

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ა. ავალიანი

ბავშვის მეტყველების
განვითარება დაბადებიდან
სამ წლამდე

(ქართული ბავშვის მეტყველების მასალებზე)

წინამდებარე შრომა წარმოადგენს ქართველი ბავშვის ენის განვითარების ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ განხილვას (დაბადებიდან სამ წლამდე). მასში კრიტიკულადაა განხილული ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დღემდე ცნობილი ბავშვის მეტყველების განვითარების პერიოდიზაცია და სისტემატური დაკვირვებებისა და მოტანილი მასალის ანალიზის საფუძველზე ნაცადია ახალი პერიოდიზაციის დადგენა.

შრომას დართული აქვს დღიური (დაბადებიდან სამი წლის ჩათვლით), რომელშიც წარმოდგენილია ქართველი ბავშვის მეტყველების განვითარების სურათი.

მონოგრაფიას დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს. იგი სასარგებლოა როგორც პედაგოგებისათვის და მშობლებებისათვის, ისე ფსიქოლოგებისა და ენათმეცნიერებისათვის.

შესავალი

ახალდაბადებულ ცოცხალ არსებათაგან ყველაზე სუსტი და უსუსური — ადამიანის შვილია. მას მზამზარეული მექანიზმების რიცხვი ძალზე განსაზღვრული აქვს. იმ აურაცხელ გამლიზიანებელთაგან, რომელნიც ბავშვზე იწყებენ ზემოქმედებას, მხოლოდ ზოგიერთი შეესატყვისება მის ძალებს. მიუხედავად ამისა, ვერც ერთი ცოცხალი ორგანიზმი ვერ აღწევს განვითარების ისეთ მაღალ საფეხურს, როგორსაც ადამიანის შვილი.

ბავშვი, სხვა ცოცხალ არსებათაგან განსხვავებით, სოციალური გარემოს ერთეულში — ოჯახში იბადება. მისი აღმზრდელები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ახალდაბადებულ ბავშვზე: სისტემატური, ხანგრძლივი მოვლა-პატრონობის შედეგად ბავშვი ფიზიკურად იზრდება, ფსიქიკურად ვითარდება და, ბოლოს, აქტიური წევრი ხდება იმ სოციალური გარემოსი, რომელშიც დაიბადა და აღიზარდა.

ახალდაბადებულ ბავშვზე ფიზიკური გარემო იწყებს მოქმედებას ისე, რომ არავითარ ანგარიშს არ უწევს მის სუსტ ძალებს. ბავშვსა და ფიზიკურ გარემოს შორის ოჯახის წევრები იმყოფებიან. აღმზრდელები რეგულაციას უწევენ ფიზიკური გარემოს გამლიზიანებლებს და ბავშვს სწორედ ისეთ გამლიზიანებლებს შეურჩევენ, რომლებიც მის ძალებს შეესატყვისება. ბავშვის ფიზიკური მომწიფების კვალობაზე, სოციალური გარემოს შეამავლის როლი, ბავშვსა და ფიზიკურ გარემოს შორის, თანდათანობით კლებულობს; ბოლოს იგი თვითონ შეიკრება ობიექტურ სინამდვილეში, თავისი ძალებით ახდენს გამლიზიანებელთა რეგულაციას და უფროსების დაუხმარებლად კრის მარტივ ამოცანას. ორი-სამი წლის ასაკიდან ფიზიკური გარემო ბავშვისათვის თანდათან ფართოვდება, იგი უფრო ღრმად იჭრება ამ გარემოში, ეცნობა ახალ-ახალ საგნებსა და მოვლენებს.

ბავშვის ფსიქიკური განვითარება ობიექტური სამყაროს შე-

მეცნების საფუძველზე სოციალურ გარემოსთან ურთიერთობით იწყება.

ბავშვი სოციალურ გარემოსთან ენის საშუალებით ამყარებს ურთიერთობას და აგებინებს მას თავის აზრებს.

მაგრამ როგორ ახერხებს ბავშვი ენის საშუალებით სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის დამყარებას, როდესაც იგი ფსიქიკურად საამისოდ ჯერ კიდევ მომწიფებული არ არის და, რაც მთავარია, ენას არ არის დაუფლებული?

ბავშვის ფსიქიკური განვითარება ობიექტური სამყაროს შემეცნების საფუძველზე ხდება. ობიექტური სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს ერთბაშად კი არ აეხდება ფარდა ბავშვისათვის. არამედ თანდათანობით. მისი ფსიქო-ფიზიკური ზრდა-განვითარების მიხედვით. გარე სინამდვილის საგანთა და მოვლენათა წრე უწყვეტი თანამიმდევრობით ფართოვდება. სოციალური გარემოს დახმარებით ბავშვი იწყებს მეტყველებას, იგი სწავლობს საგანთა სახელებს და თავისი მოთხოვნილებების საფუძველზე გარკვეულ კონტაქტს ამყარებს უფროსებთან. რამდენადაც ფართოვდება ბავშვისათვის გარესსინამდვილე, იმდენად ვითარდება იგი ფსიქიკურად და ყოველივე ეს მის მეტყველებაშიც აისახება. ბავშვის ფსიქიკური განვითარება და ენის დაუფლება ერთმანეთისაგან იზოლირებულიად კი არ მიმდინარეობს, არამედ მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

ბავშვის ფსიქიკური განვითარების სხვადასხვა საფეხური სწორედ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მასში (ბავშვში) შემეცნებითი ცვლილებები ხდება. ფსიქიკური განვითარების ცალკეულ საფეხურს მეტყველების განვითარების გარკვეული საფეხური ანუ სტადია უნდა შეესატყვისებოდეს.

ბავშვი იზოლირებულ მდგომარეობაში კი არ იწყებს ენის დაუფლებას, არამედ სოციალური გარემოს ზეგავლენითა და დახმარებით. ბავშვი, როგორც სოციალური არსება, გარკვეული მოთხოვნილებების მატარებელია, რომლებიც სოციალური ურთიერთობის საფუძველზე უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. ამის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია გაგებულ და ახსნილ იქნეს, თუ რა აუცილებლობით არის გამოწვეული ბავშვის მიერ ენის დაუფლება.

ბავშვის დამოკიდებულება როგორც სოციალურ, ისე ფიზიკურ გარემოსთან სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე სხვადასხვაგვარია, რასაც ყოველთვის მისი მოთხოვნილებები განსაზღვრავს. ადრეულ

ასაკობრივ საფეხურზე, ისე როგორც შემდეგშიც, ეს ურთიერთობა ენის საშუალებით მყარდება. აქედან გასაგებია, რომ მეტყველების დაწყებიდან ენის სრულყოფილად დაუფლებამდე გარემოსთან შემეცნებითი დამოკიდებულების ცვლილებებმა ბავშვის მეტყველებაში უნდა პოვოს გამოხატულება.

ბავშვი პრაქტიკულად ახდენს გარემოში არსებული საგნებისა და მოვლენების შემეცნებას. ეს შემეცნებითი დამოკიდებულება უწინარეს ყოვლისა ენაში პოვებს გამოხატულებას. სწორედ ამის საფუძველზე უნდა ხდებოდეს ბავშვის არამართო სიტყვათა მარაგის ზრდა, არამედ მათი ურთიერთშეთანხმება, წინადადებათა შედგენა და, ბოლოს, წინადადებაში თავისი აზრის სწორად ჩამოყალიბება. მეტყველების განვითარების პერიოდიზაციამ და თითოეულმა პერიოდმა გასაგები უნდა გახადოს ბავშვის ის შემეცნებითი ცვლილებები, რომლებსაც ფაქტიურად ადგილი აქვს და თავს იჩენს უწინარეს ყოვლისა მის მეტყველებაში.

თუ საკითხის შესწავლას ამ თვალსაზრისით მივუდგებით, მაშინ მეტყველების განვითარების პერიოდიზაცია ჩამოყალიბებული სისტემის სახით უნდა წარმოგვიდგეს და თითოეული სტადია მკიდრო კავშირში უნდა აღმოჩნდეს როგორც წინა, ისე მომდევნო სტადიასთან. ცალკე აღებულმა თითოეულმა სტადიამ, რომელიც გაგვითვალისწინებს ბავშვის მეტყველებისათვის დამახასიათებელ გარკვეულ ძირითად თავისებურებებს, გასაგები უნდა გახადოს აგრეთვე ბავშვი მომხდარი ის შემეცნებითი ცვლილებებიც, რომლებიც მისი განვითარების სწორედ ამ პერიოდისათვის აღმოჩნდება დამახასიათებელი.

ამკარაა, რომ საკითხის ასე დაყენება ბავშვის მეტყველების განვითარების შესწავლას მოითხოვს, რომლის საფუძველზეც დადგენილ უნდა იქნეს, თუ რა სტადიებს გაივლის ბავშვის მეტყველების განვითარება გარემოსთან ურთიერთობისას მასში მომხდარ შემეცნებით ცვლილებებთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ბავშვის მეტყველების დაკვირვებისა და შესწავლის საფუძველზე.

უნდა აღნიშნოთ, რომ ბავშვის მეტყველებაზე დაკვირვებას კარგა ხანია აწარმოებენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დარგის მეცნიერები, განსაკუთრებით კი ფსიქოლოგები. საკმარისია დავასახელოთ ისეთი ავტორები, როგორცაა: ჩიბნიკოვი, რუბინშტეინი, ვიგოტსკი, ლურია, ივანოვ-სმოლენსკი, შვაჩკინი, ტიხეევა, როზენგარტ-პუჰკო და სხვა, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ წარმოებული კვლევის შესახებ.

1949 წელს პროფ. ა. ნ. გვოზდევმა ორი ნაწილისაგან შემდგარი მონოგრაფია გამოაქვეყნა რუსული ენის გრამატიკული წყობის ფორმირების შესახებ ბავშვთან¹.

ყველა ზემოთ დასახელებული ავტორი საკითხის ამა თუ ამ მხარის შესწავლისას ბავშვის მეტყველებას აკვირდებოდა. ისინი ძირითადად იყენებდნენ ბავშვის ნალაპარაკევის იმ დღიურებს, რომლებსაც მეტწილად სხვადასხვანაირი განათლების მქონე დედები აწარმოებდნენ. როგორც ყველა მკვლევარი აღნიშნავს, ეს დღიურები არ იყო შედგენილი ერთნაირი პრინციპის მიხედვით. ბავშვის მეტყველების ჩანაწერები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და მათი დამუშავებისას, მეტყველების განვითარების რომელიმე საკითხზე ამომწურავი მასალების ამოკრება დღიურებიდან შეუძლებელი სდებოდა.

პროფ. ა. ნ. გვოზდევი 8 წლის განმავლობაში აწარმოებდა თავისი ბავშვის მეტყველების განვითარების დაწვრილებით დღიურს, რომლის საფუძველზე მან სპეციალური ლინგვისტური გამოკვლევა გამოაქვეყნა.

საბჭოთა რუსეთში დღეისათვის რამდენიმე დღიური დაბეჭდილი და გამოქვეყნებული. სხვადასხვა მკვლევარი აღნიშნული დღიურებიდან მეტყველების სპეციალურ საკითხებს სწავლობს და მის ფსიქოლოგიურ ბუნებას გვითვალისწინებს. ისინი ერთგვარ უკმაყოფილებას გამოთქვამენ დღიურების უკმარობაზე და უსრულობაზე.

ჩვენთან, საქართველოში, ამ მხრივ სპეციფიკური მდგომარეობაა. ჩვენ დღეისათვის არამცთუ არასრული და მცირე რაოდენობის დღიურები გვაქვს ბავშვის მეტყველების განვითარების ამსახველად, არამედ სრულიად არ გავაჩნია ასეთი რამ.

წინამდებარე შრომაში მოცემულია ცდა ერთი ქართველი ბავშვის მეტყველების განვითარებისა — დღიურის სახით. როგორც

¹ А. Н. Гвоздев, Формирование у ребенка грамматического строя русского языка, Академ. Пед. Наук РСФСР, Москва, 1949 г.

ზევითაც აღვნიშნეთ, მეტყველების განვითარების შესწავლას ჩვენ გარკვეული თვალსაზრისით ვუდგებით, რაც სხვა ავტორებისათვის უცხო იყო. სახელდობრ, ჩვენი მიზანია ვავარკვიოთ ის სპეციფიკური ცვლილებები, რომლებიც თავს იჩენენ ბავშვის შემეცნებით დამოკიდებულუბაში გარემოსთან და, რომლებიც შესაფერისად აისახებიან მის ენობრივ განვითარებაში.

როგორც ამ დღიურიდანაც ჩანს, იგი იწყება დაახლოებით იმ მომენტიდან, როდესაც ბავშვი ცდილობს სიტყვის წარმოთქმას (8 თვე) და გაგრძელდება სამი წლის ბოლომდე. ამ სამი წლის მანძილზე დღიურში აღნუსხულია ბავშვის მიერ ნათქვამი ყოველი ახალი სიტყვა. (განმეორებული სიტყვები დღიურში არ შევვიტანია. ხოლო მასალის სტატისტიკური დამუშავების დროს კი გამოვიყენეთ). იმავე თანმიმდევრობით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბავშვის მეტყველებაში.

სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია ვასაბუთოთ ამ დღიურის მნიშვნელობა. მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოდთ, რომ მიზანი მისი გამოქვეყნებისა შემდეგში მდგომარეობს:

1. შეიქმნეს სათანადო პრაქტიკა დღიურის წარმოებისა გარკვეული წესის მიხედვით, რათა მის საფუძველზე შესაძლებელი გახდეს ენათმეცნიერული, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ხასიათის რიგი საკითხების დამუშავება.

2. უჩვენოს დაინტერესებულ მკითხველს, თუ როგორი თანმიმდევრობით ეუფლება ბავშვი დედაენის სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიას და როგორ იწყებს იგი ქართულ ენაზე ლაპარაკს დაახლოებით ისე, როგორც ჩვენ — ზრდადასრულებულები.

3. გაუწიოს პრაქტიკული დახმარება მშობლებს, სკოლამდელი დაწესებულებისა და დაწყებითი სკოლის აღმზრდელებს ბავშვის ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებაში და დროულად გამოასწორებინოს ის დეფექტები, რაც ადრეულ ასაკში ბავშვის მეტყველებას შეიძლება ახასიათებდეს.

აქ წარმოდგენილი დღიურის საფუძველზე ჩვენს მიერ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ვრცლად არის დამუშავებული ბავშვის მეტყველების განვითარების მთელი რიგი საკითხები.

ამ შრომაში ჩვენ შევეცდებით ძალიან მოკლედ შევეჩერდეთ იმ არსებით შედეგებზე, რაც მოტანილი მასალის (დღიურის) ანალიზის საფუძველზე მივიღეთ.

ბავშვის მიერ სიტყვისა და ფონემის წარმოქმნის დაუფლება²

ბავშვის მეტყველების შემსწავლელი ავტორები, მასალის დაგროვებასა და ანალიზს იმ პერიოდიდან იწყებენ, როდესაც ბავშვისაგან მეტყველების დაწყებამდე ისეთ ბგერებს ისმენენ, რომლებიც ტირილსა და კივილში გამოერევა ხოლმე. შემდეგ გადადიან ტიტინის (тает) პერიოდზე, შემდეგ სიტყვებზე და ა. შ. ტირილისა და კივილის დროს ბავშვის მიერ წარმოქმნილი ბგერები დღიურში არ შეგვიტანია, და ამდენად არც მისი ანალიზი შეგვიძლია. უდავოა, რომ ბავშვის კივილში ისეთი ბგერებია, რომელთა წმინდა ადამიანურ ბგერებად ჩათვლა-შეუძლებელია. კივილის ბგერები იმდენად დიფუზურია, რომ მასში ჩვენთვის ცნობილი ბგერების გამოყოფა და ქალაქდზე გადმოტანა, ძალიან ძნელი და თითქმის გაუხორციელებელი ხდება.

პირველი „მეტყველება“ (თუ მას შეიძლება მეტყველება ვუწოდოთ), რასაც ბავშვიდან ვისმენთ, ბგერათა კრებადობას წარმოადგენს.

ექვსი თვისათვის ბავშვის ბგერათა კომპლექსებიდან შეიძლება გამოვსო და გაარჩიოს კაცმა ისეთები, როგორიცაა: „აღუ; ლუუ; ლუა“. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გადადის ისეთ კომპლექსებზე, როგორც მაგ.: „ამა“, „ამ-ამ“. როდესაც ბავშვი „აღუ“-ს ამბობს, ძალიან ხშირად საწყის ხმოვნს „ა“-ს გამოტოვებს და ვისმენთ მხოლოდ „ღუ“-ს, ხოლო ზოგ შემთხვევაში გაბმულ „ღ“-ს. როდესაც ზურგზე მწოლარე ბავშვი (გაღებული პირით) „ა“-ს წარმოქმნის იწყებს, იგი მას გაბმულად ამბობს და თითქმის მექანიკურად მიიყოლებს „ღუ“-ს, რის შედეგადაც ვღებულობთ „აღუ“-ს. აქამდე ბავშვის მიერ წარმოქმნილი „ამ-ამ-ამ“-ი ხშირად ისეთი თანმიმდევრობით ისმის, როგორც მაგ.: „მა-მა-მა“.

დაახლოებით მეშვიდე თვეში, ბგერათა კომპლექსში თავს იჩენს ისეთ ბგერებთან ახლო მდგომი ბგერები, როგორიცაა „ტ“ და „დ“

² აღნიშნულ საკითხებზე იხ. ჩვენი გამოკვლევა: 1. „ბავშვის მიერ სიტყვის წარმოქმნის დაუფლების საკითხისათვის“, თელავის პედინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1957 წ. და 2. „ადრეულ ასაკში ბავშვის მიერ ფონემის დაუფლების საკითხისათვის“. ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1957 წ. № 7.

და ისიც ისეთ გამოთქმებში, როგორცაა „ატა“, „ადა“, „ტატა“ და „დადა“. მერვე თვეში ბგერათა კომპლექსების რაოდენობა საგრძნობლად მატულობს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვი იშვიათად მიმართავს იმ ბგერათა კომპლექსებს, რასაც აქამდე თავისუფლად ამბობდა. თუ აქამდე იგი ხშირად იმეორებდა „აგუ“-ს, ან „აღგუ“-ს, ამიერიდან მის ადგილს იჭერს „აპუ“, „აპ-აპ“, „პა-პა“, „პაბა“, „ბა-ბა“, „ბუ-ბუ“, „ბე-ბე“ და „პე-პე“ კომპლექსები. არა-იშვიათია ისეთი შემთხვევაც, რომ ბავშვი ხშირად თავს ანებებს საერთოდ ბგერათა კომპლექსების წარმოთქმას და მის ნაცვლად რომელიმე ერთსა და იმავე ბგერას გადაბმით ამბობს. ეს ბგერები, როგორც წესი, თანხმოვნებია, მაგრამ ზოგჯერ ხმოვანი ბგერაც ურევია ხოლმე. მაგ. ღღღღღღ, გგგგგგგ, ხხხხხხ და აააააა. ხშირად ადგილი აქვს იმასაც, რომ ბავშვი იწყებს გადაბმული ხმოვანი ბგერით და ამთავრებს თანხმოვნით, ასე მაგ.: აააღღ, აააგგგ, ააახხხ და სხვ.. არის საწინააღმდეგო შემთხვევებიც, ე. ი. იწყებს წაბმული თანხმოვანი ბგერით და ამთავრებს ხმოვნით, მაგ.: ღღღააა, ღღღუუუ, ღღღააა და სხვ. ამ დროისათვის ბავშვი თავისუფლად წარმოთქვამს ბგერათა ისეთ კომპლექსებს, რასაც აქამდე ვერ ამბობდა; „აუა, უა-უა, აუუა, ავია, ატლა, აღლა, აღლუა“ და სხვა. ასევე ცალკე კომპლექსებად ხმარობს იგი „დაი, დია, ადა, აღია“, ბგერებს. აღნიშნულ ბგერათა კომპლექსებს გარდა, ამ ასაკში ბავშვს აქვს ბევრი სხვაც, რომელთაგანაც მხოლოდ შემდეგის მოტანა არის შესაძლებელი (და ისიც მიახლოვებით): „ტატა, ტიატია, დადა, ატა, ატატატა. გაგა, კაკა, მაიმა“ და სხვ., რომელთა ჩაწერაც ძნელი მოსახერხებელია.

როდესაც თამაზს (ჩვენი ბავშვის სახელია) 7 თვე და 28 დღე შეუსრულდა და დედამ წარმოთქვა მასთან „მამა“ (ჩემი თანდასწრებით), პირველად ბავშვმა გაიღიმა, ხოლო მეორედ განმეორებია საპასუხოდ თქვა „მამა“ და დიდი კმაყოფილებით გაიციინა. ცოტა ხნის შემდეგ დედამ ისევ გაუმეორა „მამა“ და ბავშვმა იმავე „მამა“ ბგერათა კომპლექსით უპასუხა. ამ ასაკში მან იცის ოჯახის წევრთა სახელები, მაგრამ მათი წარმოთქმაჯერ კიდევ არ შეუძლია: იმავე დღეს უფროსი და ნანა უმეორებს „თამაზ, თქვი დედა, დედა“. თამაზი იცინის და ცოტა დაყოვნების შემდეგ ამბობს: „აღლა“. კიდევ რამოდენიმეჯერ განმეორების შემდეგ ბავშვი გარკვევით პასუხობს „დიდლა“-ს. ძნელია იმის თქმა, რომ ამ ორ შემთხვევაში ბავშვის მიერ ნათქვამი საპასუხო სიტყვები მამაზე „მამა“ და დედაზე „დიდლა“, მისთვის მართლა „მამასა“ და „დედას“ ნიშნავდეს. მაგრამ, რადგანაც ეს ფაქტი მოგვაქვს, იმდენად ვაქცევთ მას ყურადღებას,

რამდენადაც პასუხს წარმოადგენს დედისა და დის ლაპარაკზე, რაც ძალიან ემსგავსება იმ პასუხს, რასაც მისგან მოითხოვენ.

პირველად, როდესაც თამაზმა სწორად წარმოსთქვა „მამა“ იგი 8 თვისა და 20 დღის იყო. ხოლო დედას ისევე „დიდა“-ს ეძახდა. ორი დღის შემდეგ (0.8.22)³ სურათებიან წიგნში ძაღლის სურათს „ამუ“ უწოდა. იგივე სახელი უწოდა მგლის სურათსაც. ქუჩაში ან ეზოში სეირნობის დროს, ძაღლის დანახვისას, ყოველთვის ხელს იშვერს მისკენ და ამბობს „ამუ“-ს.

როდესაც თამაზს 9 თვე შეუსრულდა, აქამდე წარმონათქვამი სიტყვის „დიდა“-ს ნაცვლად „დიდა“ თქვა. ამ სიტყვის თქმის დროს იგი ყოველთვის დედას ეძახის და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ეს სიტყვა სხვა ქალის სახელის დასაძახებლად გამოეყენებინოს. ამ სიტყვაში (დიდა) ბგერები „ი“ და „ე“ ხშირად ერთმანეთს ცვლიან და ვისმენთ ხან „დიდას“ და ზოგჯერ კი „დედა“-ს.

როგორც ზემოდასახელებული სიტყვებიდან ჩანს, ცხრა თვისათვის თამაზს ყველა ხმოვანი ბგერა აქვს „ო“-ს გარდა, ხოლო თანხმოვნებიდან — „მ, დ, ტ, ბ, პ, ლ, ხ, გ“ ბგერები. ხშირია შემთხვევა, რომ სიტყვა, სადაც გარკვევით „ე“ ბგერა უნდა ლეზულობდეს მონაწილეობას, წარმოითქმება ისეთი შემადგენლობით, რომ მის ნაცვლად „ი“ და ზოგჯერ „ა“ მოისმის სიტყვაში, მაგ.: დედა—„დიდა, დადა“..

მეათე თვეში თამაზმა თავისუფლად დაიწყო თავისი დის, ნანას სახელის წარმოთქმა. ამავე ასაკში მან პირველად თქვა „ბაბუ“. ეზოში სეირნობის დროს მამლის დაყვილების ხშირად მოსმენის შედეგად, მამალს დაარქვა „კხი“. სურათებიან წიგნშიც, როდესაც კი უჩვენებენ მამლის სურათს, მაშინვე ამბობს „კხი“-ს.

ოჯახში მყოფნი მოწადინებულნი არიან, რომ ბავშვმა ისწავლოს „ბებია“-ს წარმოთქმა. ამ სიტყვისათვის საჭირო ბგერებს თამაზი თავისუფლად ხმარობს სხვა სიტყვათა შენაერთში, მაგრამ მიუხედავად ამისა, „ბებია“-ს მაინც ვერ ამბობს. 9 თვისა და 15 დღის იყო. როდესაც მან მოინდრმა ბებიასთან მისვლა და უწოდა „აბღია“. მეორე დღეს (0, 9, 16) ამავე სიტყვის წარმოთქმა შეიცვა-

³ ბავშვის მიერ წარმოთქმული ამა თუ იმ სიტყვის აღნიშვნისას, ჩვენ იქვე აღვნიშნავთ მის ასაკსაც, სადაც მარცხნიდან—მარჯვნივ პირველი ციფრით აღნიშნება წელი, მეორეთი—თვე, ხოლო მესამეთი—დღე. მაგ: 1, 10, 5 ნიშნავს ერთი წელი, 10 თვე და 5 დღე, და ა. შ.

ლა „აბუღია“-თი, რასაც კარგა ხნის განმავლობაში უტყველად იძებნებდა.

ერთხელ, თამაშის დროს თამაზს ბურთი დაეკარგა. ნანაშ იკითხა სად არის ბურთიო, თამაზი გარკვევით პასუხობს „ფაფუ“ და უარყოფის ნიშნად ხელებს სათანადოდ ამოძრავებს. რამდენიმე დღის შემდეგ (0,9, 21), ნანას ამხანაგი დოდო როდესაც შემოვიდა ჩვენთან, შეცინა მას და უთხრა „დუდუ“. თამაზმა ისწავლა პურის სახელი და მისი მოთხოვნა, რასაც დასაწყისში „ბუტი“ — დაარქვა (0, 9, 29). ამავე დღეს იგი დაეუფლა ახალ სიტყვას, რომელშიც დღემდე მის მიერ ჯერ კიდევ წარმოუთქმელი ბგერა „თ“ შედის. მან პირველად წარმოთქვა „ბუთი“, ნაცვლად ბურთისა.

როდესაც თამაზი მეტერთმეტე თვეში იყო (0, 10, 20), ის მოწმე გახდა, თუ როგორ წაიყვანა ეზოდან კაცმა (მენაგემ) ორთვალაში გაბმული ცხენები და უთხრა „აჩუ“. ბავშვმა გააყოლა მას თვალის და თქვა „ათუ“. თამაზს გაუსწორეს ეს გამოთქმა. მაგრამ ამას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. საღამოს, როცა სურათებიან წიგნში ცხენის სურათი ნახა, მაშინვე წარმოთქვა „აჩუ“. იმის მიუხედავად, რომ სიტყვა „აჩუ“-ს თქმისას თამაზი ბგერა „ჩ“-ს გარკვევით ამბობს და ამ სიტყვას დღეში რამდენჯერმე იმეორებს, ექვსი დღის შემდეგ (0, 10, 26) ფანჯარაში შემოფრენილ „ჩიტს“ დღი აღტაცებით „თიტი“ უწოდა.

„ჩიტი“ მას მრავალჯერს ქონდა მოსმენილი, მაგრამ ვერც ამა და ვერც სიტყვა „აჩუ“-ს წარმოთქმამ ვერ უშველა ამ სიტყვის სწორად თქმაში. ჩვენი აზრით. აქ და მრავალ ანალოგიურ შემთხვევაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმას, თუ რა ადგილი უჭირავს სიტყვაში ამათუიმბგერას და როგორ ბგერასთან იმყოფება იგი მოსაზღვრედ.

0,9,5 ასაკში თამაზი ძალს „მნა“-ს ეძახდა. ამჟამად (0, 11, 12) იგი კვლავ ხმარობს ამ სიტყვას, მაგრამ სულ სხვა შინაარსით. სახელდობრ, ეს სიტყვა მან გამოიყენა „არ მინდა“-ს გამოსახატავად. ამ მაგალითზე აქ იმისათვის ვამახვილებთ ყურადღებას, რომ „არ მინდა“-დან „ამნა“-ს წარმოებისას ორი სიტყვაა ერთად შეერთებული, მეორეც ისაა, რომ სიტყვის დასაწყისიდანვე ყოველი მეორე ბგერა გამოტოვებულია (რ, ი და დ).

რამდენიმე დღის შემდეგ (0, 11, 3), თამაზი დაეუფლა ახალ სიტყვას, სადაც აქამდე გამოუყენებელი ბგერის გამოყენება შეიქმნა

საკირო. იგი ყოველთვის სწორად და თავის ადგილას ამბობს სიტყვა: „დაჯი“-ს, და ამგვარად, მის განკარგულებაში აღმოჩნდა ახალი ბგერა „ჯ“. სასეირნოდ წასვლასა და ახალი ტანსაცმლის ჩაცმასთან დაკავშირებით იგი დაეუფლა ახალ სიტყვა „ზიზია“-ს (0, 11, 25), სადაც მისთვის „ზ“ ახალი ბგერა იყო.

თამაზს ძალიან უყვარდა ჩაქუჩით თამაში. ერთხელ, ერთ-ერთი ასეთი თამაშის დროს (1, 0, 17) ჩაქუჩი ფეხზე დაირტყა, ფეხი იტკინა და მწარედ ატირდა. როდესაც შეეკითხნენ, თუ რა მოუვიდა, მან მიუთითა ჩაქუჩზე და თქვა „ტაბუტი“, რა გიქნა ჩაქუჩმა? ეკითხება დედა, „ვაჟა“, პასუხობს ცრემლმორეული ბავშვი. კარგა ხნის შემდეგ, როდესაც ბავშვს ტკივილმა გაუარა, ის ცემდა ჩაქუჩს, უჯავრდებოდა და თან დაატანდა ხოლმე „ჰე, ჰე“ გამოთქმას. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ბგერა „ჩ“ მისთვის ცნობილი იყო („აჩუ“-ში ამბობდა), მაგრამ როდესაც მას „ჩიტი“ უნდა ეთქვა, იგი შეცვალა „თ“ ბგერით; ამ შემთხვევაში კი, როგორც ვხედავთ, „ჩ“ ბგერის ადგილი „ტ“-მ დაიკავა.

წლისა და ერთი თვის ასაკში შესაფერ სიტუაციაში ჩვენმა ბავშვმა „ბიკი“ და „ბიძია“-ს ნაცვლად წარმოსთქვა „ბუკი“ და „ბუძია“. როდესაც იგი ათვალეერებდა სურათებიან წიგნს (1, 1, 5), ინდაურის სურათს უწოდა „ქხუ“, ხოლო მამლისას — „კუკუ“. ბგერათა კომპლექსები „ქხუ“ და „კუკუ“ არაფრით არა ჰგავს სიტყვებს არც „ინდაურსა“ და არც „მამალს“, მაგრამ; თუ მხედველობაში მივიღებთ ცოცხალი ფრინველებით ბავშვის დაინტერესებას და იმასაც, რომ ეზოში მას რამდენიმეჯერ უნახავს და დიდხანს დაკვირვებია მათ, შესაძლოა ეს სახელები ბავშვმა შეარქვა მათგან მოსმენილი ბგერების მიმსგავსების საფუძველზე.

ამავე დღეს (1, 1, 5) თამაზმა სცადა დედისათვის ნამდვილი სახელი დაეძახა და ნაცვლად „კლავდია“-სი, მას „ტადია“ უწოდა, რა თქმა უნდა, ამ სიტყვაში ჩვენს ბავშვს ახალი ბგერა არ უხმარია, მაგრამ სამაგიეროდ ბგერა „კლ“-ს ნაცვლად — „ტ“-ს მიმართა, ხოლო შემდგომი ორი თანხმონიდან „ვ“ ბგერა ამოაგდო, რის შედეგადაც მიიღო დედის შემოკლებული სახელი.

სამი დღის შემდეგ (1, 1, 8) თამაზმა ხახვს „ქხაქხი“⁴, ხოლო მკადს „ტადი“ უწოდა. სიტყვა „მკადში“ — „მკ“-ს მაგივრად „ტ“ — არის გამოყენებული, მიუხედავად იმისა, რომ „მ“ და „ქ“ ბგერების წარმოთქმა მისთვის თითქოს უცხო არ იყო (ბუჭი). რაც შეეხება „ქხაქხის“ წარმოთქმას, როდესაც ჩვენ მისგან ამ სიტყვას ვისმენდით, შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს სიტყვა მან ორ მარცვლად დაყო (ქხა-ქხი) და თითოეულ მარცვალს თავში ერთნაირი თანხმოვანი ბგერა დაუსვა, ხოლო მეორე მარცვალში, ორი თანხმოვნიდან ერთი (3) ამოაგდო⁴.

უკანასკნელად მოტანილი მაგალითის გამოკლებით (ქხაქხი), ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ბავშვი ერთ ბგერას მეორე ბგერით ცვლიდა, ანდა, როდესაც სიტყვიდან რომელიმე ბგერა სრულიად ამოვარდებოდა. თამაზის ნალაპარაკეში არა იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც იგი სიტყვაში ზედმეტ ბგერას უმატებს. როდესაც იგი სურათებიან წიგნს ათვალერებდა და ნახა ბატის სურათი, მას „ბაბტი“ (1, 1, 13) უწოდა. ხუთი დღის შემდეგ (1, 1, 18) მამას „კლაკლუ“-ს უწოდებს (ნაცვლად კაკოსი). ამ სიტყვის წარმოთქმა იმით არის საინტერესო, რომ ორ ერთნაირ თანხმოვან ბგერას ერთსა და იმავე სიტყვაში ამატებს — ხმოვანი და თანხმოვანი ბგერის შუაში. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ „ო“ ბგერის ნაცვლად თამაზი ისევ „უ“ ბგერას ხმარობს.

დაახლოებით ერთი წლისა და ორი თვის ასაკში (1, 1, 28), თამაზი დედას თხოვს, რათა მან მისცეს „ძიძია“ (ძუძუ). ბგერა „ძ“ მან თქვა, ერთი თვის წინათ (ბუძია სიტყვის შუაში, სადაც ხმოვანი „ი“ შეცვალა „უ“-თი. ამჟამად „ძ“ ბგერას ხმარობს თავში და შუაში, ხოლო სამაგიეროდ ახლა „უ“ ბგერას ცვლის „ი“ ბგერით.

წლისა და ორი თვის ასაკიდან თამაზი უკვე გადავიდა ორსიტყვიანი წინადადებების შედგენაზე. იგი შეუდგა ისეთი სიტყვების შეერთებას, რომლებიც მისთვის კარგა ხანია ნაცნობი იყო, მაგ.:

⁴ აქ და ქვემოთ მოტანილი მთელი რიგი „სიტყვები“, როგორც მაგ: „კლაკლუ, ქუჭუჭუ, კყვუ-კყვუ, ქხა, დხუდხუნა, ალხუ, აკლუ, აკყუ“ და სხვა, შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთ აკუსტიკურ კომპლექსებად, რომლებშიც ასე თუ ისე გარკვევით მხოლოდ ზოგიერთი სამეტყველო ბგერა მოისმის, (დანარჩენები კი მიემსგავსებიან ჩვენთვის ცნობილ ბგერებს) და რომელთა გრაფიკულად გამოსახვა ჩვენთვის მიახლოებით ისე იყო შესაძლებელი, როგორც აქ არის მოტანილი.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული და მსგავსი კომპლექსების წარმოთქმა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ბავშვი მათ მარცვლებად ჰყოფდეს, მაგ: „კყვუ-კყვუ“, „დხუ-დხუნა“ და ა. შ.

„მამა ადგი; ბაბუა ბუთი; ნანა დაჯე; დედა ააა; ბაბუა ქხუქხუ; დედა ათე“ და სხვა. წლისა და ოთხი თვის ასაკიდან თამაზის მეტყველებაში ერთგვარი წინსვლა იმაში იჩენს თავს, რომ იგი წინათ ნახმარ სიტყვებში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ცდილობს. თუ აქამდე იგი ამბობდა „ძიძია“, ახლა ამბობს „ძუძუ“-ს.

თამაზს ხშირად ეთამაშება ნანა „ყვაო-ყვაო ყვანჩალას“ ცხვირზე ხელის მოკიდებით. თამაზს მოუნდა ერთ დღეს ეს თამაშობა, წავლო ნანას ცხვირზე ხელი და ეუბნება: „კყვაუ-კყვაუ“, ან „კყვაო-კყვაუ“-ს (1, 4.4). აქ პირველად არის წარმოთქმული ისეთი სიტყვა, სადაც „ო“ გარკვევით მოისმის, ხოლო თანხმოვნებიდან კი „ყ“. ამ დღეს (1, 4.4) ბავშვი თითქოს განგებ ამბობს ისეთ სიტყვებს, სადაც ჭარბად არის წარმოდგენილი ისეთი ბგერები, როგორცაა: ფ, ქ, ხ, კ, ყ, ღ, ვ და სხვა. მაგ.: მან გაიგონა დისაგან სიტყვა „არ დულს“ და ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო გამეორება „აღულხ, აღულხ“. სიტყვა „ქვა“-ს ნაცვლად ამბობს „ქხვა, ქხვა“. ქვით კაკლის გატეხვას იატაკზე აღნიშნავს ბგერათა კომპლექსებით „დყაფ“, ხოლო ამის პარალელურად ამბობს ისეთ სიტყვებს, როგორცაა „ფხაქხი“, „ქაქხი“, „ბაბუტინა“, „ბაბუტულინა“ „დაბუტია“ და სხვ.

მემაწვნემ ეზოში სახელარი შემოიყვანა. თამაზმა დაინახა იგი და უწოდა „ვიდი“ (1, 4, 5), სადაც ბგერა „რ“ შეცვლილი არის „დ“ ბგერით. ამავე დღეს მან გარკვევით თქვა „გოგო“, ხოლო საძიღლის შემდეგ (1, 4, 8) კვერცხს „კოკო“ უწოდა. იმავე დღესვე მან წარმოთქვა ახალი სიტყვა „სიასია“. ეს პირველი სიტყვაა, სადაც „ს“ ბგერა იღებს მონაწილეობას. „ყ“ ბგერიანი სიტყვა (ყვაო-კყვაო). თამაზმა პირველად წლისა და ოთხი თვის ასაკში წარმოთქვა, ერთი თვის მანძილზე, გარდა ამ სიტყვისა, მას არ წამოცდენია არც ერთი სიტყვა, სადაც ბგერა „ყ“ ყოფილიყოს. ერთ დღეს (1, 5, 0), თამაზი მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ დაიყივლა ეზოში მამალმა. ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, მან მიუთითა მამალზე და თქვა: „ყიყი-კო“. ამის შემდეგ რამდენჯერაც კი დაინახავდა მამალს, ყოველთვის აღნიშნავდა მის სახელს ზემოხსენებული სიტყვით.

სწორედ ამავე დღეს, მეზობლის გოგონას, რომელსაც უუუუნა ერქვა (ეს სახელი ხშირად ჰქონდა გაგონილი), მან „დზუდზუნა“ დაუძახა, ასე რომ ბგერა „უ“-ს ნაცვლად მან გამოიყენა „დზ“ ბგერათა კომბინაცია.

წლისა და ექვსი თვის ასაკში თამაზი ამბობს „ჭუპა-ჭუპა“-ს. ხოლო შემდეგ დღეებში იგი თანმიმდევრობით ეუფლება ისეთ სი-

ტყეებს, რომელთა შემადგენლობაშიც პ, შ, წ, რ და ყ ბგერები შედის (იშო; მშია; წიბუ-წიბუ; წია-წია და სხვა).

თამაზი სასეირნოდ წაიყვანეთ ტყეში (წალღერში). იქ ჩრდილში დაგებულ ლოჯინზე გადაკოტრიალდა და გახარებულმა წამოიძახა „გორიალა“ (აქამდე კი ამბობდა „გოლილა“). ერთ დღეს (1, 6, 2) თამაზს მიაწოდეს ვაშლი. მოკბიჩა, სახე დაედმოჭა, ვაშლი გადმოყარა პირიდან და თქვა: „ჟამეა, ჟამეა“ (მჟავეა).

წლისა და შვიდი თვის ასაკში თამაზს ყველა ბგერა ჰქონდა წარმოთქმული სხვადასხვა სიტყვაში. აღსანიშნავია, რომ ბგერა, პ-ს იგი აერთებს სხვადასხვა ხმოვან ბგერებთან, როგორცაა მაგ. პო, პო, ხპო, ჰე და სხვ.

ჩვენ აქ მოვიტანეთ მხოლოდ ზოგიერთი დამახასიათებელი სიტყვის ნიმუშები, რომლებსაც ბავშვი სხვადასხვა ვარიაციით ამბობდა. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ბავშვმა ამა და იმ სიტყვაში წარმოთქვა ესა და ეს ბგერა. ეს გამოთქმა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს სიტყვის წარმოთქმის მომენტიდან ბავშვს უკვე ჩამოყალიბებულია აქვს სიტყვაში შემავალი ბგერები და, რომელ სიტყვაშიც არ უნდა შეხვდეს, მათ ყველგან თავისუფლად წარმოთქვამს. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის, და ზემოთ მოტანილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ ყოველი ახალი სიტყვა ცალკე დაუფლებას მოითხოვს. მითუმეტეს სრულიად ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ აღნიშნულ ასაკში და რამდენიმე წლის შემდეგაც ბავშვს სიტყვისაგან გამოყოფილი ცალკე ბგერა არ გააჩნია და სიტყვის დაუფლება სრულიადაც არნიშნავს იმას, რომ იგი მის შემადგენელ ბგერებსაც დაუფლებულია.

ბავშვი გარკვეულ ასაკში, პირველ რიგში სიტყვას ამბობს, როგორც მთლიანს, ხოლო სიტყვის შემადგენელი ელემენტების დაუფლება ჯერ კიდევ მომავალს ეკუთვნის⁴⁴.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ ასაკში (1, 7, 0) ჩვენს ბავშვს ყველა ბგერა აქვს. ახლა ამას უნდა დავემატოთ, რომ ეს ბგერები მას ამა თუ იმ სიტყვის წარმოთქმისას მეტ-ნაკლები რაოდენობით აქვს გამოყენებული. მართალია, ბავშვს მთლიანი სი-

⁴⁴ ამ საკითხზე იხილეთ ა. მოსიაეას სპეციალური გამოკვლევა: „წინასწანაზნო პერიოდი წერა-კითხვის სწავლებაში, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1950 წ.“

ტყვის თქმის დროს პრაქტიკულად ყველა ბგერასთან ჰქონდა საქმე, მაგრამ ეს კიდევ იმას როდი ნიშნავს, რომ ბავშვი ყველა ბგერას სიტყვაში თავის ადგილას და შეუცდომლად წარმოთქვამს. სიტყვაში მოცემული ბგერები მას ყველა აქვს, მაგრამ ამ ბგერებს მეტ-ნაკლებ-

ბგერათა თანამიმდევრული გამოყენება წარმოთქმულ სიტყვებში

| ასაკი: წელი, თვე და ღღე | ბგერათა დასახე- ლება | ბგერათა დაჯგუფება სამეტყველო ორგანოს საარტიკულაციო ადგილის. მიხედვით |
|-------------------------------|-------------------------|--|
| 0,9,0 | მ | ბაგისმიერი |
| 0,9,2 | მ | კბილისმიერი |
| 0,9,3 | ბ | ნუნისმიერი |
| 0,9,5 | ბ | ბაგისმიერი |
| 0,9,21 | ს | უკანა სასისმიერი |
| 0,9,29 | ფ | ბაგისმიერი |
| 0,10,8 | ფ | კბილისმიერი |
| 0,10,20 | წ | წინა ნუნისმიერი |
| 0,11,7 | წ | უკანა " |
| 1,0,17 | კ | კბილ-ბაგისმიერი |
| 1,0,23 | ბ | ხორხისმიერი |
| | წ | წინა ნუნისმიერი |
| | წ | უკანა " |
| | წ | " სასისმიერი |
| 1,1,5 | წ | " " |
| 1,3,24 | წ | " " |
| 1,4,1 | წ | " " |
| 1,4,4 | წ | სასისმიერი |
| 1,4,8 | წ | წინა ნუნისმიერი |
| 1,4,23 | წ | ნუნისმიერი |
| 1,6,3 | ბ | ბაგისმიერი |
| 1,6,5 | წ | წინა ნუნისმიერი |
| 1,6,8 | წ | უკანა " |
| 1,6,21 | წ | წინა " |
| 1,6,27 | წ | ნუნისმიერი |
| 1,7,0 | წ | უკანა წუნისმიერი |

ბი სიზუსტით და სიბშირით გამოიყენებდნენ მის მიხედვით, თუ რომელი სიტყვის შემადგენელი ელემენტი იქნება იგი, და თვით სიტყვა თავისი შემადგენლობის მიხედვით როგორი აღნაგობისაა.

როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, ჩვენმა ბავშვმა ცხრა თვის ასაკში გარკვეული შინაარსის მატარებელი სიტყვები წარმოსთქვა. ბუ-

ნებრეია, რომ სიტყვაში ბგერათა გამოყენების მომენტად ამ ასაკს ვთვლით. თუ როგორი თანმიმდევრობით წარმოებდა ბგერათა გამოყენება ამა თუ იმ სიტყვაში, მოვიტანოთ სათანადო მონაცემები.

როგორც მოტანილი მასალიდანაც ჩანს, ცხრიდან ათ თვემდე, ბავშვის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში ბგერათა გაცილებით მეტ რაოდენობას ვხვდებით, ვიდრე სხვა ასაკში (13 ბგერა). ათი თვიდან დაწყებული ახალბგერიან სიტყვათა წარმოთქმა ნელი ტემპით, თანდათანობით მიიწევს წინ (2-3 ბგერა თვეში) ერთ წლამდე და ხუთ თვემდე. ამ ასაკში (1, 5, 0) ბავშვი ისეთ სიტყვებს წარმოთქვამს, სადაც ოთხ ახალ ბგერას ვხვდებით, ხოლო შემდგომ თვეში — ექვს ახალბგერიან სიტყვას. ამგვარად, წლისა და შვიდი თვის ასაკში ჩვენს ბავშვს ისეთი სიტყვები აქვს წარმოთქმულა, რომლებშიც მეტ-ნაკლები რაოდენობით ყველა ქართული ბგერა შედის.

ამავე მასალებიდან ნათლად ჩანს აგრეთვე ისიც, რომ საარტიკულაციო ადგილის მიხედვით, ერთ ჯგუფში მოსათავსებელი ბგერები, რომელთაც წარმოთქმის დაახლოებით ერთნაირი სიძნელე-სიადვილე უნდა ახასიათებდეს, არათანმიმდევრულად არის განაწილებული. ცალკეული ბგერები საარტიკულაციო ადგილისა და წარმოთქმის სიძნელის მიხედვით ერთ ჯგუფში თავსდება და ბავშვისათვის სხვადასხვა სიძნელით ხასიათდება. ჩვენთვის, ზრდადასრულებულთათვის, შეიძლება წარმოუდგენელიც იყოს. თუ რატომ არ ხდება ერთნაირი სიძნელის ბგერების წარმოთქმა დაახლოებით ერთსა და იმავე ასაკში. ამ მოსაზრებას განსაკუთრებით აცხოველებს ჯ. ჩ. ე. და შ ბგერები, რომელთა წარმოთქმასაც ბავშვი იწყებს მეთერთმეტე თვეში (ჩ) და ამთავრებს წლისა და შვიდი თვის ასაკში (ე). სწორედ ასევე ვითარდება უკანა სასისმიერი ბგერების გ. ა, ქ, ლ და ხ-ს წარმოთქმის მიმდინარეობაც. თუ კ-სა და ხ-ს მეათე თვის დასაწყისში ნაჭკვამ სიტყვებში ვხვდებით; სამაგიეროდ ქ, ლ და გ-ს წარმოთქმა სიტყვებში წლისა და ორი თვის ასაკიდან იწყება და წლისა და ხუთი თვის დასაწყისში სრულდება. ასევე შეიძლება ითქვას, ყველა დანარჩენი ბგერების შესახებაც. რომლებიც მასალის სახით აქ გვაქვს მოტანილი.

ამ ასაკში ბავშვს მეტყველება (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) ჯერ კიდევ არ გააჩნია. როგორც წესი, მისგან მეტყველების დაუფლება მთლიანი სიტყვების წარმოთქმით იწყება, სადაც სხვადასხვა ბგერა სხვადასხვაგვარი სისწორით წარმოითქმება. აღნიშნულ ასაკში, როგორც ზემოთაც ვთქვით, დიფერენცირებულ ბგერაზე და მიოთემეტეს ფონემის არსებობაზე ლაპარაკი, როგორც ცალკე დამოუკიდებელ ერთეულზე. დაუსაბუთებელი და არადაზღვევადი იქნება. თუ ამას იმ ფაქტსაც დაუმატებთ, რომ ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმაზე გარკვეულ გავლენას ახდენს სიტყვაში მის მეზობლად მდებარე სხვა ბგერები, სავსებით გასაგები გახდება. თუ რატომ უნებლდება ბავშვს რომელიმე ახალი სიტყვის წარმოთქმა, ამ უკანასკნელში ბავშვისათვის ერთი რომელიმე ბგერის გარდა სხვა ყველა ნაცნობიც რომ იყოს.

ცალკეული სიტყვების წარმოთქმა და ამ უკანასკნელში ბგერათა თანმიმდევრობა, რომელიც აქ განვიხილეთ ჩვენი ბავშვის გარკვეულ ასაკობრივ საფეხურზე, სხვა ქართული ბავშვის შემთხვევაში შესაძლოა ზუსტად ასე არ დადასტურდეს: მაგრამ ეკვიპოტრანლად გვეჩვენება, რომ განხილულ ბგერათა გარკვეული ჯგუფები საარტიკულაციო ადგილისა და სიძნელის მიხედვით სხვა ბავშვთანაც დაასლოებით მაინც ისევე იქნება, როგორც ამას ჩვენ შემთხვევაში აქვს ადგილი.



ბავშვის მეტყველების მკვლევარნი ბგერათა ანალიზს იმ მომენტადან იწყებენ, როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ ტიტინის პერიოდში იმყოფება და იგი ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულ რთულ ბგერათა კომპლექსებს წარმოთქვამს. აღნიშნულ მკვლევართა აზრით, მეტყველების წინა პერიოდში ბავშვისაგან მოსმენილი ბგერა უკვე მის (ბავშვის) მარაგს წარმოადგენს. ამ მარაგს ბავშვი იყენებს სიტყვის წარმოთქმის დროს. ამ უკანასკნელის (სიტყვის) შემადგენლობაში შესული ბგერები ძირითადად ის ბგერებია, რასაც ტიტინის პერიოდში ვხვდებით.

როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ექვსი თვის ასაკიდან ასეთი „ბგერების“ არსებობა ჩვენი ბავშვის „მეტყველებაში“ შეიძლება მოიქცნოს. მოვიტანოთ სათანადო მასალა:

ბავშვის მიერ წარმოთქმული სხვადასხვა ბგერათა კომპლექსები

| ასაკი: წელი, თვე და დღე | ბგერათა დასახე- ლება | ბგერათა კომპლექსების დასახელება, სადაც აღნიშნული ბგერები გარკვე- ვით მოიხმის |
|-------------------------------|-------------------------|---|
| 0,6,10 | ა. ლ. უ. მ. | აღუ, ღუ, ღუა, ალა, ღღღ, ამ-ამ, აამ, გააა. |
| 0,6,12 | ბ | აღბუ, აბუ; |
| 0,6,15 | ტ, დ | ატა, ადა, ტატა, ტადა, დადა, მდა; |
| 0,6,22 | გ, ხ | აგუ, აგუუ, აღგუ, აღგუუ; |
| 0,7,15 | პ, ე, ბ | აპა, აპუ, აპ-აპ, პაპა, ბაბა, ბუბუ, ბებუ, პებუ; |
| 0,7,28 | ვ, ი, კ, ყ | ავა, ვავა, ავუა, ავია, აღია, აღუა, ღაი, ღია, ტია, ატლა, აღღუ, კღუ, კხუ, აკ- ლა, აკკუ, აკღუ; |
| 0,9,12 | ნ | ანა, აინა, ნანა; |
| 0,9,21 | ფ, თ, ც | ფაფუ, ფაფა, ბუთი, აბუცია; |

აქ ცალ-ცალკეა მოტანილი როგორც ბგერათა კომპლექსები, ისე მათში შემჩნეული ცალკე ბგერები. ანალოგიური ფაქტების დადასტურება წინა თვეებშიც იყო შესაძლებელი. მაგრამ მისი აღნუსხვა არ გვიწარმოვბია. ეს მონაცემები სხვა ავტორთა მონაცემებს რომ შეეადაროთ. როგორც მსგავსებას, ისე საგრძნობ განსხვავებასაც ვნახავთ. მაგალითად, გოერის⁶ ბავშვს მ, პ, ბ, ვ, დ და ტ ბგერები მეექვსე თვეში აქვს. ამ ასაკში ჩვენს შემთხვევაში მხოლოდ ა, უ, ღ და მ ბგერებს ვხვდებით.

პავლოვას⁶ ბავშვს ბ, უ, მ, გ, რ ბგერები უკვე მეოთხე თვეში აქვს და იგი შემდეგ ბგერათა კომპლექსებს ამბობს: «რყჟ, ნყწ. რრ-რრ, რყ»; მეექვსე თვეში ამ ბავშვს შეუძლია წარმოთქვას: «ნჟ, ნჟ, ნიჟ», ხოლო მეშვიდე თვეში: «მამა, პაპა, ნანა. няня» და ა. შ.

შილოვის ბავშვს მეორე თვეში შეუძლია თქვას «რყ, რყ» და მაინვე უჩნდება «ჟჟ»-სა და «ჟჟ»-ს მსგავსი ბგერები. სამი თვის ასაკში ეს ბავშვი ამბობს: «ღც, ჟყ, ჟჟ, იჟ, იჟ, იჟრ, ტჟ» და ა. შ.

თუ ვისარგებლებთ რიბნიკოვის რედაქციით გამოცემული რუსი ბავშვების დღიურებით, ანალოგიური მაგალითების მოტანა ბევრის შეიძლება, მაგრამ ჩვენ ამითაც ვკმაყოფილდებით.

⁶ Детская речь—сборник статей под редакцией Н. А. Рыбникова, Москва, 1927 г., гл. 27—38.

⁶ Словарь русского ребенка под ред. и с предисловием Н. А. Рыбникова, Москва-Ленинград, 1926 г.

დასახელებულ ავტორთა მთელი ყურადღება ბგერათა კომპლექსებში აღმოჩენილი ცალკეული ბგერებით შემოიფარგლება, რომელნიც შემდგომში ბავშვის მიერ თავისუფლად გამოიყენება. ზემოთ მოტანილი მაგალითების მსგავსად (გოერი, პავლოვა, შილოვი და სხვა), ანალოგიურ მაგალითებს ეყრდნობა თითქმის ყოველი მკვლევარი ბავშვის მეტყველების, განსაკუთრებით ბავშვის ტიტინის პერიოდში.

თუ ფაქტიურ მასალას დავაკვირდებით, ძირითადად ჩვენ აქ ვხვდებით რამდენიმე ცალკეული ბგერის შეერთებას (მარცვლების მსგავსს). ამ ავტორთა აზრით, ტიტინის პერიოდში ბავშვი ერთსა და იმავე მარცვლებს მრავალგზის იმეორებს, რის გამოც მარცვალთა შორის მყარდება ასოციაციური კავშირი და საბოლოოდ ბავშვი ახერხებს გარკვეული სიტყვის წარმოთქმას.

ჩვენი დაკვირვების საფუძველზე შეიძლება დაბეჭილებით ითქვას, რომ ბავშვის მეტყველების განვითარება ასე სწორხაზობრივად არ უნდა მიმდინარეობდეს. ბავშვის ტირილი ძირითადად დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ მას რაღაც აწუხებს და არსებულ პირობებში (როდესაც აწუხებს რაღაც) დარჩენა აღარ შეუძლია. ბავშვის გარშემომყოფთათვის ტირილი სიგნალია, რომ მალე მიეშველონ და მოაშორონ ის, რაც აიძულებს მას იტიროს. რამდენადაც ინტენსიურია ტირილი, იმდენად საფიქრებელია, რომ მას ძლიერ და შემაწუხებელ გამღიზიანებელთან აქვს საქმე. ამასვე უნდა ადასტურებდეს ის ფაქტიც, რომ ბავშვის ტირილი სხვადასხვა პირობებში ერთნაირი არ არის.

სულ სხვაა ბავშვის ტიტინი, რაც დაბადებიდან მესამე-მეოთხე თვეში იწყება. ბავშვი, ტიტინის პერიოდში წარმოთქმულ ბგერათა კომპლექსებს დიდხანს და განუწყვეტლივ იმეორებს. გზადაგზა იგი ახალ ბგერათა კომპლექსებსაც წარმოთქვამს. ეს პერიოდი გრძელდება მანამ, სანამ ბავშვი სიტყვის წარმოთქმას არ დაეუფლება. მეტყველების დაუფლების პროცესში საკიროების მიხედვით ბავშვი შიმართავს როგორც ტირილს. ისე ტიტინსაც. ბავშვის ტიტინი გაცილებით რთულ ბგერათა კომპლექსებიდან შედგება, ვიდრე ტირილი, რაც ბავშვის მეტყველების თითქმის არც ერთ მკვლევარს არ გამოპარვია მხედველობიდან. ეს ბგერათა კომპლექსები ჯერ კბდევი დიფუზური და მთლიანია, როდესაც ბავშვი თავისუფლად წარმოთქვამს რომელიმე ბგერათა კომპლექსს, რამდენიმე წნის შემდეგ მას თავს ანებებს და ახალი კომპლექსების წარმოთქმას შეუდგება.

რ. შორი ამ საკითხის შესახებ შემდეგს წერს: „ამის (ტირის) შემდეგ დაახლოებით ორი თვის ასაკში, ბავშვის მიერ ნათქვამი ბგერები ერთგვარ განსაზღვრულობას იძენენ; ბავშვი იწყებს ბგერათა სხვადასხვაგვარ შერწყმას, ჩვეულებრივ იმეორებს მრავალჯერ, მაგრამ მათ არავითარ მნიშვნელობას არ უკავშირებს. ეს არის ე. წ. „ტიტინის პერიოდში“⁷. რ. შორის აზრით, ტირილში შექმნილი ბგერათა შეერთება ტიტინს იძლევა: ტიტინის პერიოდში ბგერათა წარმოების ხერხებს დაუფლებული ბავშვი ბაძავს გარემოში მყოფ ზგერებს და იწყებს სხვადასხვა სიტყვების დაუფლებას, განსაკუთრებით კი ცხოველთა სახელებისას.

რ. შორის თვალსაზრისს ამ საკითხზე ავტორთა უძრავლესობა ეთანხმება. მაგ., ტრესი აღნიშნავს: ... „მაგრამ, თანდათანობით ეს პირველი ბგერები შეიცვალა, რიცხობრივად გაიზარდა და მათ შორის მოხდა სხვადასხვაგვარი კომბინაცია. მოხდა მათი ასოციაცია იდეებთან, რომელიც აგრეთვე იცვლებიან, რიცხობრივად იზრდებიან და ერთმანეთში კომბინირდებიან, სანამ ბავშვი საბოლოოდ მიეჩვევა სამეტყველო ორგანოების სრულ კონტროლს და თავის აზრთა გამოსახატავად მათ გამოყენებას“⁸.

როგორც ჩანს კივილისა და ტიტინის პერიოდის ბგერათა კომპლექსები და სიტყვები ძირითადად რაოდენობრივად განსხვავდებიან ურთიერთისაგან და აგრეთვე იმის მიხედვითაც. თუ როგორ კომბინაციაში მოდიან ერთმანეთთან და როგორ ასოცირდებიან იდეებთან. ბავშვის მეტყველების რომელ მკვლევარსაც არ უნდა მივმართოთ, ძირითად დასაყრდენად ყველგან შევხვდებით „ბგერას“ (звук). და ამ უკანასკნელის კომბინაციის შედეგად გარკვეულ ასაკობრივ საფეხურზე სიტყვის წარმოქმას.

ჩვენი აზრით, უფრო კემპარიტი იქნება. თუ ვიტყვი, რომ ბავშვი ბგერას კი არა, არამედ ბგერათა კომპლექსებს წარმოთქვამს, რომელიც სავსებით განსხვავდება ტირილისაგან. ასევე განსხვავდება იგი სიტყვისაგანაც. რადგან ბგერათა კომპლექსი ცალკე მთლიანია ბავშვისათვის და ყოველად შეუძლებელია იგი გახედეს მეორე ბგერათა კომპლექსის შემადგე-

⁷ P. Шор, Язык и общество, 1926 г., стр. 36.

⁸ Ф. Трессн, Психология первого детства, 1822 г., стр. 144.

ნელ ელემენტად ისევე, როგორც ერთი სიტყვა ბავშვისა მეორე სიტყვის ელემენტად ვერ გახდება.

ტიტინის პერიოდში ბგერათა კომბინაციის უნარს მოკლებულია ბავშვი. თუნდაც იმ უბრალო მოსაზრების გამო, რომ მას ცალკეული დიფერენცირებული ბგერები არ გააჩნია; თუ ეს ასეა, მათ ნებისმიერ კომბინაციაზე და მის შედეგად გარკვეულ ასაკში სიტყვის წარმოთქმაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მასალების ურთიერთშედარება იმაზე მიგვითითებს, რომ:

1. ბავშვის მიერ ცხრა თვემდე წარმოთქმული ბგერათა კომპლექსები სიტყვის შედგენილობაში (როგორც მისი შემადგენელი ნაწილი) მონაწილეობას ვერ ღებულობს. 2. ცხრა თვემდე ბავშვის მიერ ტიტინის პერიოდში წარმოთქმული ბგერები (რასაც ბავშვი, სხვა მკვლევართა აზრით, დაუფლებულია) ხელახლად დასაუფლებელია ბავშვის მიერ სიტყვის დაუფლებისა და წარმოთქმის პროცესში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მეექვსე თვეში წარმოთქმული „ღ“ ან „გ“ ხელახლად დასაუფლებელი არ გაუხდებოდა ბავშვს წლისა და ოთხი თვის ასაკში.

ამ მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტიტინის პერიოდში ბავშვს ბგერათა რთული კომპლექსები გააჩნია. მეტყველების დაწყების პერიოდში ბავშვი ბგერათა კომპლექსებიდან სიტყვებზე გადადის და ბგერათა დაუფლება სწორედ ამიერიდან იწყება. სიტყვის წარმოების დროს, ტიტინის პერიოდში თითქმის ნასწავლი და დაუფლებული ბგერათა კომპლექსები განზე რჩებიან და მეტყველების პარალელურად სოგჯერ მათაც მიმართავს ხოლმე ბავშვი.

ნუთუ არავითარი დანიშნულება არ გააჩნია ბავშვის ტირილსა და ტიტინს? შეიძლება თუ არა იგი მეტყველების წინა პერიოდად ჩავთვალოთ, რომლის საფუძველზეც შემდგომში მეტყველება აიგება? ტირილი და განსაკუთრებით ტიტინი ბავშვისა შეიძლება მივიჩნიოთ როგორც საარტიკულაციო ორგანოების ამოქმედებისა და მომწიფების პერიოდად, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს მეტყველების დაწყებისათვის, ბგერათა წარმოთქმისათვის.

როდესაც ბავშვი სიტყვას წარმოთქვამს, სიტყვის შემადგენელი ბგერებისათვის ერთი ან რამდენიმე განმეორება სრულიად არ

არის საკმაო იმისათვის, რომ იგი დაუფლებულად ვალიაროთ ბავშვის მიერ წარმოსაქმელ სხვა სიტყვისათვისაც. თუგინდ ეს უკანასკნელი იმავე ბგერებისაგან შედგებოდეს, მაგრამ სხვა წყობით. როგორც ბგერათა კომპლექსების წარმოქმნის შემთხვევაში, ისე აქაც ბავშვის მიერ ნათქვამი სიტყვა მთლიანია და მასში გამოყენებულ ახალ ბგერას გარკვეული ფარული პერიოდი ესაქორთობა, რათა კვლავ იქნეს განმეორებული რომელიმე ახალი სიტყვის წარმოქმნისას.

ბავშვის მეტყველების მკვლევარი ავტორები უდიდეს როლს მიაკუთვნებენ იმ ფაქტს, რომ ბავშვი წამბაძველი არსებაა. რაც ძალიან უადვილებს მას (წამბაძველობა) ლაპარაკის დაუფლებას. მეტყველების დაუფლების პროცესში წამბაძვის როლის უგულუბელყოფა ყოველად შეუძლებელია. ჩვენი მასალების საფუძველზე არა ერთი და ორი ფაქტი მოგვეპოვება ისეთი. რომლებიც წამბაძვის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებენ. ამასთანავე ყურადღების გარეშე ვერ დავტოვებთ სწავლების ფაქტსაც. როდესაც ბავშვი ფსიქოფიზიკურად სათანადოდ მომწიფდება, მას უფროსები ბევრ რაიმეს ასწავლიან. ასეთ შემთხვევაში წამბაძვა სწავლების დამხმარე როლს უნდა ასრულებდეს, რის შემდეგაც ბავშვს უფრო უადვილდება მეტყველების დაუფლება. სავსებით ბუნებრივია, როდესაც უფროსები ამბობენ, რომ მისმა ბავშვმა „ისწავლა“ ლაპარაკი, „ისწავლა“ სიარული და ა. შ. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვფიქრობთ. გავაიგივეოთ ეს „სწავლა“ და ის ნამდვილი სწავლა. რასაც პედაგოგიური პროცესი გულისხმობს, როდესაც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთგაგების საფუძველზე ორგანიზებული კონტაქტი მყარდება. ჩვენ მიერ აქ ნაგულისხმევი „სწავლა“, რატომ უნდა, არ არის ნამდვილი სწავლა, მაგრამ რომ მასში მოცემულია სწავლის რაღაც ელემენტი, ამის უარყოფა შეუძლებელია.

* * *

ბავშვი სოციალურ გარემოში იბადება და მეტყველებას ჩვენგან სწავლობს, მაგრამ მაინც ისმის კითხვები: როგორ მიმდინარეობს ცალკეული სიტყვის წარმოქმნის პროცესი: რასაც ბავშვი სწავლობს, თავიდანვე უშეცდომოდ სწავლობს, თუ ცალკეული სიტყვის დაუფლება გარკვეულ დროს მოითხოვს? და ბოლოს. რას

წარმოადგენს სიტყვის წარმოქმნის დაუფლება ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბავშვი დაეუფლა სიტყვაში შემავალ ყველა ფონემას, თუ იგი ჯერ კიდევ ბგერათა კომპლექსების სამყაროს ვერ შორდება?

ამ შრომაში დართული მასალების (დღიურის) მიხედვით, ცალკეული სიტყვების წარმოქმნის დაუფლებისას სამ შემთხვევას აქვს ადგილი: ა. სიტყვა თავიდანვე უშეცდომოდ წარმოითქმება ბავშვის მიერ, რომელსაც იგი ყოველთვის თავის ადგილას და სწორად ამბობს. ბ. ბავშვი სიტყვას პირველად სწორად წარმოთქვამს, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ამახინჯებს მას. ცვლის სიტყვაში შემავალ სხვადასხვა ბგერას და ბოლოს ისევ ეუფლება იმავე სიტყვის სწორად წარმოთქმას. გ. წარმოთქმული სიტყვა თავიდანვე დამახინჯებულია, იგი ძირითადად მიემსგავსება იმ ნამდვილ სიტყვას, რომელსაც უფროსები ამბობენ. ბავშვი გარკვეული დროის განმავლობაში წარმოთქვამს და იმეორებს ამ სიტყვას სხვადასხვა ვარიანტით და ბოლოს აღწევს მის სწორად განმეორებას.

1. პირველი შემთხვევა, როდესაც ბავშვი სიტყვას თავიდანვე სწორად ამბობს, ყურადღებას მხოლოდ იმ მხრივ იპყრობს, რომ ჩვენს მიერ ნაკვლევ ასაკში (და განსაკუთრებით კი ერთ წლამდე და რვა თვემდე) ბავშვი რამდენიმე დღის განმავლობაში მოსმენილ სიტყვას ერთ მშვენიერ დღეს სწორად ამბობს. მეორე ფაქტი, რომელიც ხაზგასასმელია, ისაა, რომ ბავშვი ყოველ გაგონილ სიტყვაზე, კი არ იმეორებს რამდენიმე დღის შემდეგ, არამედ მხოლოდ გარკვეულ და განსაზღვრულ სიტყვებს. ადვილი სიტყვებიდან ბავშვი თანდათანობით გადადის შედარებით უფრო ძნელ თავიდანვე სწორად წარმოთქმული სიტყვები 9 თვიდან — 21 თვემდე (ჩათვლით):

| | | |
|----------------|----------|---------|
| მამა, | სუფი, | შენ, |
| დედა, | მოდი, | ექვსი |
| ნანა, | თამარი, | ეზო, |
| ბაბუა, | დეიდა, | ლოქი, |
| მეუ (ცხვარი), | თაფლი, | ბულკი, |
| ახუა (ცხენი), | ქვა, | სველი, |
| ამუნია (ძალი), | თენგო, | აკოცე, |
| ფაფა, | პეპელა, | ძამია, |
| ნია, | ბუმბული, | დაია, |
| ადე, | ქუკი, | თოფი, |
| დაჭი, | კიპი, | ბუკეკა, |
| მამა ადე, | იქ, | წითელი, |
| დედა ადე, | ზინა, | ეყოფა, |
| ნანა ადე, | ხელი, | აქედან, |

| | | |
|-------------|----------|-----------------|
| დედა დაჭე, | თვალი, | აქ. |
| ბაბუა დაჯე. | თმა, | ეს, |
| მამა დაჭე, | კაბა, | ის, |
| ნანა დაჯე, | გაიწი, | სადილი, |
| ძუძუ. | წადი, | ჯულია, |
| გოგო, | ოთხი, | კამე, |
| კაკო, | ხუთი, | დამპალი, |
| ლია, | ქალი, | აილე, |
| დიტო, | კაცი, | კიქა, |
| ლოლა, | გაჩე, | იოლი, |
| ნუნუ, | აფრინდა, | მორჩა, |
| მოდი, | ძაფი, | თეფში |
| დიდი, | კუდი, | ვინ არი, |
| ფიალა, | ცოტა, | ხაქაპური, |
| ბუზი, | ცხელი, | ყურძენი, |
| იშო, | მეიცა, | ატამი, |
| მშია; | მოიტა, | მარილი, |
| პატარა, | ამოდი, | კატა. |
| მზე, | გაჩე, | დანა, |
| ადულდა, | ჩქარა, | უთო, |
| ჩაი, | ბატონო, | ძინამს, |
| ლილი, | პანტა, | ახლა, |
| ბოლი, | ზინა, | იქიდან, |
| ქუდი, | მელო, | უკან, |
| პალტო, | დათუნია, | კილე, |
| გორილა, | ბაქია, | კარქი, |
| ცა, | დალი, | ცუდი, |
| ცაცა, | ლალი, | ქუპა-ქუპა, |
| სამი, | მე, | მოლნია და სხვა. |
| წიაწია, | | |

სიტყვათა წარმოთქმაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავიდანვე სწორად წარმოთქმულ სიტყვათა რაოდენობა შედარებით მცირეა და თანდათანობით იზრდება ბავშვის ასაკობრივ წინსვლასთან დაკავშირებით. რომ ნათელი წარმოდგენა ეიქონიოთ აღნიშნულ საკითხზე. მოვიტანოთ სათანადო მასალები აქ დართული დღიურებიდან.

აქ წარმოდგენილი სიტყვები მხოლოდ ნაწილია იმ საერთო რაოდენობის სიტყვებისა, რომლებიც ჩვენს ბავშვს წლისა და ცხრა თვის ასაკში ჰქონდა. ასეთი სიტყვების ამოწერის გაგრძელება ზედმეტად მივიჩნევთ. მოტანილი სიტყვების რაოდენობა 130-ს უდრის. ერთი შეხედვით ამ ასაკისათვის ფრიალ საყურადღებო და საგულისხმოა ის სიტყვები, რომელსაც ბავშვი თანდათანობით ეუფლება; მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ამ ასა-

კისათვის ჩვენი ბავშვის სიტყვათა საერთო რაოდენობა (სწორად და არასწორად წარმოთქმული, ერთად აღებული) 338 სიტყვას უდრის. ვნახავთ, რომ სწორად წარმოთქმულ სიტყვათა რაოდენობა მხოლოდ 35.5%-ს შეადგენს და არასწორად წარმოთქმული კი 64.5%-ს (აქ მოტანილი სიტყვები ამოწერილი გვაქვს ბავშვის დღიურიდან იმავე თანმიმდევრობით, როგორც მას სინამდვილეში წარმოთქვამდა). თავიდანვე სწორად წარმოთქმულ სიტყვათა რაოდენობა, დაწყებული 9 თვიდან და დამთავრებული წლითა და ოთხი თვით, მხოლოდ 8 სიტყვას უდრის, სახელდობრ: მამა, ნანა, ფაფა. ნია. ადე, დაჯე. დედა. ბაბუა. ყველა დანარჩენი სიტყვა თავიდანვე შეცდომით იქნა წარმოთქმული. მაგრამ, შემდეგ ძალიან მალე ისწავლა მათი სწორად წარმოთქმა.

2. ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული მეორე შემთხვევა პირველისაგან განსხვავდება იმით. რომ აქ ბავშვი თითქოს თავიდანვე სწორად ამბობს და რამდენჯერმე კიდევ იმეორებს სიტყვებს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ იწყებს სიტყვებში ბგერების შეცვლას. ამახინჯებს მას და გარკვეული დროის გასვლისა და სათანადო ვარჯიშის შემდეგ კვლავ აღწევს იმ პერიოდს, როდესაც სიტყვას ისევ სწორად და შეუცდომლად ამბობს. მოვიტანოთ ზოგიერთი ნიმუში:

1. მშია-მსია. სია. მშია. 2. პატარა-პატალა-პატარა; 3. გორიალა-გოლიალა, გოლალა-გორიალა; 4. ჩაი-თაი-ჩაი; 5. თამარა-თამალა-თამარა; 6. შოკოლა-სოკოლა-შოკოლა; 7. ხელი-ქხელი-ხელი; 8. სელია-სელია-სელია; 9. ხუთი-ქხუთხი-ხუთხი; 10. არიქა-ალიქა-არიქა; 11. ფელიქსი-მელიქსი-ფელიქსი; 12. გამიშვი-გამისი-გამისვი-გამიშვი და ა. შ.

მოტანილი მასალის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ სიტყვებში შეცვლილი ბგერები ბავშვისათვის ჯერ კიდევ არ გადაქცეულა ფონემად და არ დაუფლებია მას, იმისდამიუხედავად. რომ შეცვლილ ბგერათა მეზობლად მყოფი ბგერები ჩამოყალიბებულია და იგი ფონემას წარმოადგენს. თუ ეს ასეა, მაშინ როგორ მოახერხა ბავშვმა სიტყვის თავიდანვე სწორად წარმოთქმა? აქ შესაძლოა ორ შემთხვევასთან გვქონდეს საქმე: ა. ბავშვმა სიტყვა თავიდანვე სწორად წარმოთქვა, მაგრამ ის ჯერ კიდევ განმტკიცებული, გამაგრებული არ არის ცალკეულ ბგერათა საწარმოთქმო ადგილის მიხედვით, იგი ვარიაციას განიცდის მანამ, სანამ ხელმეორედ სწორად არ წარმოითქმის და ამგვარად არ გაფიქსირდება.

ბ. ჰავშვის მიერ თავიდანვე სწორად ნათქვამი სიტყვა, შეიძლება ჩვენ გვეჩვენებოდეს სწორად ნათქვამად. რადგანაც გვინდა, რომ მან კარგად და სწორად თქვას, თორემ სინამდვილეში შესაძლოა თავიდანვე შეცდომით ამბობდეს, მაგ.: „გამიშვი“-ს ნაცვლად — „გამისვი“; „ხუთი“ — „ქხუთხი“, „ხელი“ — „ქხელი“ და ა. შ. ჩვენ გვინდა, რომ ბავშვმა თქვას „ხუთი“ და არა „ქხუთხი“, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ვამჩნევთ, რომ მან თქვა არა „ხ“; არამედ „ქხ“, ე. ი. ბგერა, რომელიც ძალიან ახლოს დგას „ხ“ ბგერასთან. მაგრამ მას მაინც ერთვის კიდევ სხვა ბგერები, იგი მკაფიო და დახვეწილი არ არის. გარკვეული დროის შემდეგ ეს რთული ბგერა, ჩამოეცლება რა მას თანმხლები ბგერები, ყალიბდება გარკვეულ ფონემად. თუ ეს ასეა, სწორად წრმოთქმული სიტყვა შემდეგ კი არ იცვლება ბგერათა შემადგენლობის მიხედვით, არამედ თავიდანვე წარმოითქმება არასწორად. რასაც ჩვენ აღექვატურად ვერ აღვიქვამთ. ანდა უგულებელვყოფთ თანმხლებ ბგერებს და ვაიგივებთ მას იმ ძირითად ფონემასთან, რომლის ჩამოყალიბებაც მომავლის საქმეა.

გ. მესამე შემთხვევა სიტყვის წარმოთქმისა ისაა, რომ ბავშვი თავიდანვე არასწორად წარმოთქვამს იმ სიტყვას, რომელიც უფროსებისაგან სწორად მოისმინა. ეს სიტყვა ხშირად ემსგავსება სწორად მოსმენილ სიტყვას, მერე იცვლება ბგერათა შემადგენლობის მიხედვით და ბოლოს ჩამოყალიბდება ნამდვილ სიტყვად, ე. ი. ისეთ სიტყვად, როგორიც მან სოციალურ გარემოში მოისმინა. სურათის ნათელსაყოფად მოვიტანოთ თანდართული დღიურიდან მხოლოდ რამდენიმე ნიმუში ასეთი სიტყვებისა.

ა რ ა ს წ ო რ ა დ ნ ა თ ქ ვ ა მ ი ს ი ტ ყ ე ი ს ს წ ო რ ა დ წ ა რ მ ო თ ქ მ ი ს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი :

1. დიდდა-დიდა-დადა-დედა; 2. კხი (მამალი) — კუკუ — ყიყიკო — კიკილო — კუკული — ყიყიყო — მამალი; 3. აბდია (ბებია) — აბუტია: - დაბუტია -- დაბულო — ბება — ბებია;

4. თიტო-ციტი-ჩიტი; 5. დუდუ-დიდუ-დოდო; 6. ნტა (წყალი) — ნწალი-ნწაი-ნწყალი-ნწალი-ნტყალი-წყალი; 7. ამნა (არ მინდა) — ამინა-ან უნა-ალმინა-არ მინდა;

8. ტაბუტი-დაბუტი-ტაბუტი-თაფუთი-თაქუთი-ჩაქუჩი;

9. ტადია (დედის სახელი) — კადია-ტადია-ტადიტა-კლადია-კვადია-კლავდია;

10. კლაკლუ (მამის სახელი) — კაკლუ-კაკუა-აკაკუ-აკაკო-კაკო;

11. ძიძია-ძიძიტა-ძუმუტა-ძუძუ;
12. ტულტულ-ტილიტილ-ტულუტულუ-ღორი-გოლი-ღოლი-ღორი;
13. ვაჩი-ვასლი-ვაშლი-ვასლი-ვაშლი;
14. ეთი-ერთი-ელთი-ერთი;
15. ვალოდია-ვალოდია-ვალოდია.
16. პეჩილა-პეჩელია-პეჩენია.
17. ცოქლი-ცხოცხი-ჩოჩხი-ცოცხი.
18. ცილი-ციქირი-ციხილი-ციხარი.
19. თაკალო-თბაკალო-საკალო-საკვარლო-საკვარლო;
20. თაბაზი (თავისი სახელი) — თამაზი.
21. ვალილიში (გვარი) — ვალიშილი-ავაბილილი-აბალიშილი-ავალივილი-ავალიშილი და სხვ.

როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, ორი წლის ბოლოსათვის ბავშვის მეტყველებაში მთელი რიგი სწორი სიტყვები ყალიბდება. მაგრამ მათ გვერდით ისეთი სიტყვებიც მოიპოვება, რომლებიც ამ დროისათვის ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია; როგორც მაგ.: სავალი (შარვალი), გიზი (გიჟი), ბაწია (ბაჭია), გასალა (გაშალა). კუთქეში (კუთხეში), გაგიწკლება (გაგიწყრება), ტალაქი (ტალახი) და სხვა მრავალი.

რას წარმოადგენს სიტყვის სწორად წარმოთქმის დაუფლება? როდესაც ჩვენ ბავშვის ტიტინის საკითხს ვინილავდით, აღვნიშნეთ, რომ ტიტინში მოცემულია რთულ ბგერათა კომპლექსები. მეორე მხრივ, ხაზგასმული იყო, რომ ბავშვს ამ პერიოდში მეტყველების ორგანო საფუნქციოდ უმწიფდება. როდესაც ბავშვი იწყებს სიტყვების წარმოთქმას ან განმეორებას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან მოათავა ანგაროშის გასწორება ბგერათა კომპლექსებთან და ამიერიდან თავისუფლად ამეტყველდება. ჩვენ მიერ განხილული მასალიდან აშკარად ჩანს, რომ სიტყვის წარმოთქმა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ სიტყვაში შემავალი ცალკეული ბგერა უკვე დაუფლებულია. სიტყვის წარმოთქმის პროცესი ჩვენ ასე გვესახება: ბავშვი ცდილობს სიტყვის წარმოთქმას და მიაღწია იმას, რომ სიტყვაში შემავალი ცალკე ბგერები მკაფიოდ და დაზვეწილად მოისმის. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ამ სიტყვას სწორად ამბობს, და სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მას უკვე აქვს სწორედ ეს ცალკეული ბგერები ან ფონემები, რომლისაგანც სწო-

რედ ეს სიტყვა შედგება. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი პირველ რიგში ფონემათა დაუფლების საქმეა. რომელსაც ბავშვი ვერც ისე ადვილად ახერხებს, როგორც ეს შესაძლოა ერთი შეხედვით მოეჩვენოს კაცს. ყოველი სიტყვა მეტ-ნაკლებად ძნელი ფონემისაგან შედგება მათი საწარმოთქმო ადგილის მიხედვით, რასაც ბავშვი ერთნაირად ვერ ეუფლება. სიტყვის წარმოთქმის დროს ფონემები ურთიერთზე გავლენას ახდენენ იმის მიხედვით. თუ სატყვაში როგორი ადგილი უჭირავს თითოეულს, მის მეზობლად მყოფ ფონემებთან. აქედან გასაგები უნდა იყოს, რომ სიტყვაში ხმარებული ფონემა, მეორე სიტყვაში სხვა ფონემასთან მოსაზღვრეობის გამო შეიძლება ისე მკაფიოდ აღარ წარმოითქვას. მაშასადამე, სიტყვაში მონაწილე ესა თუ ის ფონემა, რომელიც ბავშვის მიერ სწორად წარმოითქმება, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან ამ სიტყვასთან ერთად ბავშვი მის შემადგენელ ცალკეულ ფონემებსაც დაეუფლა და რომელ სიტყვაშიც არ უნდა. შეხვდეს მას, ყველგან ადვილად იტყვის. აქ დართულ დღიურში ბევრი ისეთი შემთხვევა მოიპოვება, რომ ესა თუ ის ფონემა წარმოითქმის ამ გარკვეული წყობის სიტყვაში, მაგრამ საკმარისა იგივე ფონემა სხვა სიტყვის შემადგენლობაში მოხედეს და ჩვენ მოგვესმას რთული ბგერა, რომელიც შეიძლება მხოლოდ მიაგავდეს ამ ფონემას, მაგრამ ფონემად ჯერ კიდევ არ იყოს ჩამოყალიბებული. ცალკეული ფონემის დაუფლებისათვის არ უნდა იყოს აუცილებელი, რომ ბავშვმა იგი გაიმეოროს ყოველ შესაძლო წარმოსათქმელ სიტყვათა სხვადასხვა შემადგენლობაში. თუ ტიტინის პერიოდში ბავშვი მხოლოდ ბგერათა რთული კომპლექსების გავლენის ქვეშ იმყოფება, სამაგიეროდ, როდესაც იგი ლაპარაკის სწავლას იწყებს, ბგერათა სამყაროდან თანდათანობით გადმოდის სიტყვებისა და ამდენადვე ფონემათა სამყაროში. ფონემათა დაუფლება და მარაგი. სიტყვათა მარაგის ზრდის პირდაპირ პროპორციულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, და ამდენადვე მცირდება რთულ ბგერათა ის კომპლექსები, რომლებიც ბავშვს ჰქონდა. ბავშვის მიერ ნათქვამი სიტყვები ამ პერიოდში შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1. სწორად წარმოთქმული სიტყვები და 2. სწორად წარმოთქმული სიტყვების მსგავსი სიტყვები.

პირველი ჯგუფი სიტყვებისა ფონემებისაგან შედგება, ხოლო მეორე — ფონემებისა და ბგერებისაგან. პირველი ჯგუფის სიტყვებს ბავშვი დაუფლებულია მეორეს კი ეუფლება, წარმოთქვამს მას

სხვადასხვა ვარიაციებით მანამ, სანამ არ ისწავლის მათ, სწორად წარმოთქმას.

ჩვენი მასალების მიხედვით სულერთი არ არის. თუ რა სიტყვას იტყვის ბავშვი. უმეტეს შემთხვევაში. ყველაზე ადრე ბავშვი სწავლობს ისეთი სიტყვების წარმოთქმასა და განმეორებას, რომელიც ფონემათა საწარმოთქმო ადგილის მიხედვით მისთვის შედარებით ადვილი უნდა იყოს. შემდგომში ასაკობრივ ზრდა-განვითარებასთან ერთად იგი თანდათანობით ეუფლება ძნელად წარმოსათქმელ სიტყვებსაც. არის შემთხვევა, რომ ბავშვი გარკვეული სიტყვების პარალელურად ისეთ რთულ ბგერებს ამბობს ზოგი სიტყვის ნაცვლად, რომ ჩვენ, დიდებს, გვიჭირს მისი განმეორება. მაგ: თამაზი „ხახვის“ ნაცვლად ამბობს „ქხაქხი“, „კხაკხი“, „კაკოს“ ნაცვლად „კლაკლუს“, „კაკლუს“, „კაკუციას“, „ყვაო-ყვაოს“ ნაცვლად „კვაოკყვაუ“, „ლიალიას“ ნაცვლად „გლიაგლიას“, „ბლრია-ზლრიას“, „ჩქარას“ ნაცვლად „თხალას“ და ა. შ. ვხვდებით თუ არა ჩვენ მეტყველების განვითარების შემსწავლელ ავტორთა შრომებში ბავშვის მიერ ფონემათა დაუფლების საკითხს? პასუხი ამ კითხვაზე მოკლეა: არა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ავტორები ვერც შეეხებოდნენ ამ საკითხს, რადგან მათი კონცეფცია ბგერათა ერთმანეთთან დაკავშირებაზეა აღმოცენებული. რომელსაც ბავშვი თუ უფრო ადრე არა. ტიტინის პერიოდში მაინც ახერხებს. მართო ის ფაქტი. რომ ტიტინის პერიოდში არსებულ ბგერათა დაუფლებას ბავშვი ხელახლა იწყებს სიტყვების წარმოთქმის დროს და რომ მას სიტყვათა უმრავლესობის უშეცდომოდ განმეორება არ შეუძლია, იმაზე მიუთითებს, რომ ტიტინის პერიოდში დაუფლებული ბგერათა კომპლექსები განზე რჩება.

ხშირია შემთხვევა, რომ წარმოსათქმელ სიტყვაში ბავშვი ძნელად წარმოსათქმელ ფონემას უკვე დაუფლებული ფონემით ცვლის. ჩვენი ბავშვის მეტყველების მასალათა მიხედვით, ერთი ფონემის მეორეთი შეცვლის სამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე:

1. ფონემათა შეცვლა ხდება ისე, რომ უკან წარმოსათქმელი ფონემა შეიცვლება წინა წარმოსათქმელი ფონემით.

2. ფონემის შეცვლა ხდება ჰომორგანული ფონემით. ე. ი. ერთი და იმავე საწარმოთქმო ადგილის ერთ ბგერას მეორე შეცვლის.

3. წინა წარმოსათქმელი ფონემა შეიცვლება უკანა წარმოსათქმელი ფონემით.

აქ დასახელებული პირველი შემთხვევა მდგომარეობს იმასი. რომ სიტყვაში წარმოსათქმელი რომელიმე ფონემა, ბავშვის მიერ არ წარმოითქმის, ხოლო მის ნაცვლად იგი ამბობს სხვა ფონემას, რომელიც საწარმოთქმო ადგილის მიხედვით წინაა — წარმოსათქმელ ფონემასთან შედარებით. მაგ.: ბავშვს უნდა ეთქვა სიტყვა „ჩაგიყრი“ და მის ნაცვლად ამბობს „ჩაგიყლი“. როგორც ვხედავთ, ფონემა „რ“-ს მაგივრად მან თქვა „ლ“, რომელიც „რ“-სთან შედარებით საწარმოთქმო ადგილის მიხედვით წინაა. თუ როგორ იცვლება ცალკეული სიტყვის წარმოთქმის დროს ესა თუ ის ფონემა, მოვიტანოთ სათანადო მასალები.

უკანა ფონემის შეცვლა წინა ფონემით:

1. ვ — მ-თი: ქამეა (მქავეა), ძიმი (მძივი)
2. წ — ტ-თი: მატონი (მაწონი)
3. ს — თ-თი: თადილი, თაკალელო, ფითო. მთხალი
4. ს — პ-თი: პაპილოპი (პაპიროსი)
5. ჯ — დ-თი: დოჩი (ჯოხი)
6. ჩ — დ-თი: დაბუტი, (ჩაქუჩი)
7. ჩ — თი: დაბუტი, ტაბუტი (ჩაქუჩი)
8. ჩ — თ-თი: ათუ, თიტი
9. ჩ — ტ-თი: ცხუბი, ციტი
10. კ — ზ-თი: ბიზიკო (ბიჭიკო)
11. კ — ტ-თი: ტადი, ტიტა (ქიტა), კოტა, ტამე
12. კ — წ-თი: დახუწე, ხაწაპული
13. ე — ზ-თი: მზავე, ვაზიკო
14. შ — ს-თი: მსია, ფელამუსი. ქუჩისვილი, ჯამსი, ჯალსა, მესინია, ბოდისი, ვასლი, სეძვლა, სუქი, გასალა, სუსა, ეზოსი, შენა, სათამასო, ბალისი, სეინახე.
15. ქ — ბ-თი: დაბუტი (ჩაქუჩი)
16. ხ — ჩ-თი: დოჩი (ჯოხი)
17. ხ — ქ-თი: დაქატა, ფექი. ქანჯალი, ქუთი, ცქვირი, დაქუქე. გამექალდა, თხალა (ჩქარა). ამქველა (ამხელა).
18. ყ — კ-თი: კველი, უკულე. კურქენი, საწკალი, ეკოფა, კვალილი, კული, კელი, მაწკვი. საკვალელო, კიკილო, მიკიდე, დაატკა.

19. რ — ნ-თი: მაკნატელი, მანგანინი, ლონი.

20. რ — ლ-თი: პელანგი.

მოტანილი მასალის დეტალურ ანალიზს. რომ თავი დაეანებოთ და ისე გადავხედოთ ამ მაჩვენებლებს, ვნახავთ, რომ ერთსა და იმავე ფონემას სხვადასხვა სიტყვაში — სხვადასხვა ფონემა ცვლის. ზოგიერთი ფონემა მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ იცვლება სხვა ფონემით. ზოგიერთი კი მრავალ სიტყვაში განიცდის ასეთ შეცვლას. მაგ. ს — თ-თი; ყ — კ-თი; შ — ს-თი. მასალებით დასტურდება. რომ ფონემათა შეცვლას ადგილი აქვს როგორც სიტყვის დასაწყისში, ისე შუაში მოთავსებული ფონემის შემთხვევაშიც. ფონემათა შეცვლის ზემოთ მოტანილ მასალებში შეიმჩნევა, რომ სიტყვაში არა მხოლოდ ერთი. არამედ რამდენიმე ფონემა იცვლება (მაგ.: თაკალელო, სეძვლა, დაბუტი, დოჩი).

ჰომორგანულ ფონემათა ურთიერთ შენაცვლებისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ ერთი ფონემა იცვლება მეორე ისეთი ფონემით, რომელიც იმავე საწარმოთქმო ადგილს ეკუთვნის, როგორც პირველი. სურათის ნათელსაყოფად მოვიტანოთ სათანადო მა-სალა:

1. ფ — მ-თი: ტელემონი; 2. მ — ბ-თი: თაბაზი; 3. დ — ნ-თი: მონი; 4. დ — ლ-თი: ვალოლია; 5. ს — ზ-თი: მუზიკა; 6. ს — ლ-თი: კილელი; 7. ღ — გ-თი: გვინო, გოლი, აიგე; 8. გ — ქ-თი: კაქი (კარგი); 9. რ — ლ-თი: პატალა, კილელი, თამალა, უკულე, გატელი, ლატო, ხაწაპული, ხალები, ჩაგიყლი, ჩაქვლა, ჯალსა, მალილი, უღემი, ინდოული, კული (ყური), ვალელი, სეძვლა, ჭლელი. ქილიმე. შაქალი, გამექალდა, გაგიწკლები, გემლიელი, წელილი, ყვილის, მატალებელი და სხვა

ჰომორგანულ ფონემათა შეცვლის ფაქტებს გაცილებით მეტი რაოდენობით ვხვდებით დღიურში. აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიტანეთ სანიმუშოდ.

მესამე შემთხვევა ფონემათა ურთიერთშენაცვლებისა იმით ხასიათდება, რომ სიტყვაში წარმოსათქმელ რომელიმე ფონემის ნაცვლად ბავში კი არ მიმართავს წინა წარმოსათქმელ ან ჰომორგანულ ფონემას, არამედ ისეთ ფონემას წარმოთქვამს, რომლის საწარმოთქმო ადგილიც გაცილებით უკანაა წარმოსათქმელ ფონემასთან შედარებით. მაგალითად:

1. ღ — გ-თი: მანგანინი; 2. ვ — კ-თი: საკალელო; 3. ს — ლ-თი: კილელი (კისერი), 4. კ — ქ-თი: ქიქა (ჭიქა); 5. ყ — ხ-თი: მხავეა (მეავეა); 6. ვ — ლ-თი: ქლიალი.

ფონემათა ურთიერთშენაცვლების ეს მესამე შემთხვევა იმი-
თაა საყურადღებო, რომ იგი გაცილებით მცირე რაოდენობის
სიტყვებზე ვრცელდება, ვიდრე ზემოთ განხილული ორი შემთხვე-
ვისას გვექონდა.

ჩვენ მიერ განხილულ ფონემათა შეცვლის ეს სამი შემთხვე-
ვა ეხება თანხმოვან ფონემებს. ჩვენი მასალების მიხედვით არის
ისეთი შემთხვევებიც (მართალია მცირე რაოდენობით), როდესაც
ამა თუ იმ სიტყვაში ხმოვანი ფონემებიც ცვლიან ერთმანეთს.

- მაგ: 1. ა — ო-თი: დოუძახე
2. ა — ე-თი: დეიწვა, წევიდა, დევეცი
3. ე — ი-თი: დიდა, დაჯი
4. უ — ო-თი: დუდუ (დოდო)
5. ი — უ-თი: ბუჭი, ბუძია.

წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ხმოვან ბგერათა ურთი-
ერთ შენაცვლების ცოტა შემთხვევა გვაქვს. რაც შეეხება თან-
ხმოვან ბგერებს. აქ ფონემათა შენაცვლების ყოველგვარი შე-
მთხვევა დასტურდება. ერთ სიტყვაში შეიძლება შეცვლილ იქნეს
ერთი, ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი თანხმოვანი ბგერა, მაგრამ ხმო-
ვანი ბგერა ამავე სიტყვაში უცვლელად რჩება თავის ადგილზე.
ბავშვს უნდა ეთქვა „ჯოხი“, ამბობს „დოჩი“; „ჩაქუჩის“ ნაცვლად
ამბობს „დაბუტი“ ან „ტაბუტი“; „საყვარელოს“ მაგივრად —
„თაკალელო“ და ა. შ.

საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი. როდესაც ხმოვან
ბგერათა შეცვლაზე მდგება საქმე. ერთი ხმოვანი ბგერით იცვ-
ლება მეორე, ხოლო იმავე სიტყვაში მონაწილე თანხმოვანი ბგერე-
ბი უცვლელად რჩებიან. მაგალითად. ბავშვს უნდა ეთქვა „დედა“ —
ამბობს „დიდა“, „დოდო“ — ამბობს „დუდუ“, „ბიჭი და ბიძია“ —
ამბობს „ბუჭი“ და „ბუძია“ და ა. შ.

თუ მოვისურვებთ ზემოთ განხილული მასალის რიცხობრივი
მაჩვენებლებით გამოხატავს, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ცხრილი 1

ბგერათა ურთიერთშეცვლის რიცხობრივი მონაცემები:

| | ბგერათა შეცვლა | სიტყვათა რაოდენობა |
|-------------------|-------------------|-----------------------|
| პირველი შემთხვევა | 50,0% | 59,6% |
| მეორე „ | 27,2% | 31,3% |
| მესამე „ | 22,7% | 8,9% |

ამ მონაცემებიდან აშკარაა, რომ ბგერათა შეცვლის ყველა შემთხვევიდან წინა წარმოსათქმელი ფონემით შეცვლა სხვა ფონემისა — პირველ ადგილზე არის, როგორც სიტყვათა საერთო რაოდენობის, ისე შეცვლილ ბგერათა მხრივაც. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ბავშვი, როდესაც ცდილობს ახალი ფონემის დაუფლებას, მაგრამ უძნელდება, პირველ რიგში იგი უკვე დაუფლებულ ფონემას მიმართავს და ამჯობინებს სიტყვის თქმას შეცვლილი ფონემით. ვიდრე იმას, რომ ხელი აილოს სიტყვის წარმოთქმაზე. ფონემის დაუფლების ამ პროცესში ის ფაქტი იპყრობს ყურადღებას, რომ ბავშვი ერთი ფონემის მაგივრად სხვადასხვა სიტყვაში სხვადასხვა ფონემის გამოყენებას იწყებს. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ბავშვი უკვე მზამზარეული და დაუფლებული ფონემის გარდა (1 შემთხვევა). ახლის დაუფლებას არ ცდილობდეს. ჰომორგანულ ფონემათა მონაცემები ამანე მკაფიოდ მეტყველებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰომორგანული ფონემები დაუფლების პროცესშია და ჯერ კიდევ ზუსტად განმტკიცებული არ არის საწარმოთქმო ადგილის მიხედვით. სავსებით გასაგები იქნება, რომ წარმოსათქმელად ეს ფონემები — რაკი სამეტყველო ორგანოს ერთა და იგივე ადგილიდან იწარმოება — დაახლოებით ერთნაირი სიძნელისა უნდა იყოს. თუ ამ ფონემებს შევადარებთ წინისაკენ ბგერებს, ე. ი. უკვე დაუფლებულ ფონემებს — ეს უკანასკნელი გაცილებით ადვილი უნდა იყოს ჰომორგანულთან შედარებით. ცხრილში წარმოდგენილი პროცენტული მონაცემები ამის ნათელ სურათს იძლევა. თუ პირველ შემთხვევაში (წინისაკენი) 22 ბგერა 80 სიტყვაში განიცდის მონაცვლეობას, სამაგიეროდ ჰომორგანული 12 ბგერა 42 სიტყვაში ცვლის ერთმანეთს. ბგერათა ასეთი მონაცვლეობა (ჰომორგანულის) 27, %-ს უდრის, ხოლო 31,3 %-ს სიტყვათა იმ რაოდენობიდან, რომელშიც საერთოდ მონაცვლეობენ ბგერები.

ბგერათა მონაცვლეობის მესამე შემთხვევა წინა ორ შემთხვევასთან შედარებით განსხვავებულ სურათს წარმოადგენს. თუ წინისაკენ ბგერათა ცვალებადობა უკვე დაუფლებულად ითვლებოდა, ხოლო ჰომორგანული დაუფლების პროცესში იყო, — უკანისკენი ბგერები ბავშვისათვის ჰომორგანულის პლანზე უნდა იქნეს მოთავსებული დაუფლების თვალსაზრისით, მაგრამ გაცილებით უფრო ძნელი, ვიდრე. ჰომორგანული და წინისაკენი. უკანისკენი ბგერები, რომელთა წარმოთქმასაც ბავშვი ცდილობს, შედა-

რებით მცირეა -- 10-ს უდრის. მაგრამ ძალიან ახლოს დგას პომორგანულ ბეგრათა როგორც რიცხობრივ (12). ისე პროცენტულ მონაცემებთან. სამაგიეროდ ეს აღარ ითქმის იმ სიტყვების შესახებ, რომლებშიც ბავშვს ბეგრების გამოყენება უხდება. როგორც ცხრილიდანაც ჩანს. ამ მესამე შემთხვევის სიტყვათა რაოდენობა მხოლოდ 12-ს, ე. ი. 8.9%-ს არ აღემატება. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ამ შემთხვევაში ბავშვი შედარებით ახალსა და უფრო ძნელ მასალას ეუფლება. ვიდრე აქამდე.

* * *

აქამდე ჩვენ ვიხილავდით ისეთ შემთხვევებს. როდესაც ერთი რომელიმე ფონემა იცვლებოდა მეორეთი. ამის პარალელურად ბავშვის მეტყველებაში საქმე გვაქვს ფონემათა შენაცვლების სხვა ვარიანტებთანაც. ასეთი შემთხვევები შემდეგია:

ერთი ფონემა იცვლება ორით: „წ“ — იცვლება „ნტ“-თი, (ნტყალი-წყალი, „ხ“ — „ქვ“-თი (ამქველა-ამხელა).

ორი ფონემა იცვლება ერთით: „კლ“ — „ტ“-თი (ტალი-კლავდია), „რთ“ — „ტ“-თი (ბუტი-ბურთი), „შლ“ — „ჩ“-თი (ვაჩ-ვაშლი).

ორი ფონემა იცვლება ორით: „ჩქ“ — „თხ“-თი (თხალა-ჩქარა).

ყველა ეს შემთხვევა დაახლოებით იმავე კატეგორიისა. როგორც ზემოთ უკვე იყო განხილული. მეტყველების განვითარებას ორი წლის მანძილზე ფონემათა შეცვლის სხვა შემთხვევებს ჩვენ არ შევხვდებიართ.

სამაგიეროდ ჩვენ მოგვეპოვება საკმაო მასალა იმის დამადასტურებლად, რომ ბავშვი სიტყვაში კი არ ცვლის. არამედ მთლიან ამოაგდებს ფონემებს. მოვიტანოთ ზოგიერთი მათგანი:

ბავშვის მიერ ნათქვამ სიტყვაში ფონემათა ამოვარდნის შემთხვევები

ხ მ ო ვ ა ნ ი ფ ო ნ ე მ ე ბ ი ს ა მ ო ვ ა რ დ ნ ა :

1. ა — დატყა (დაარტყა). ი — ბება (ბებია).
2. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ ო ნ ე მ ა თ ა ა მ ო ვ ა რ დ ნ ა :
1. მ — ყამეა (მყავეა). ძიძი (მძივი). შიღობით (მშვიდობით)
2. ბ — კილი (კბილი)
3. დ — მინა (მინდა). სიმინი (სიმინდი)

4. ნ — თეგო (თენგო)

5. ვ — კაღია (კლავღია). მიშენე (მიშველე). ბელი (ბეერი). კოზი (კოვზი), თალი (თვალი), თაი (თავი), ექსი (ექვსი), შიღობით (მშვიდობით)

6. შ — თეფზე (თეფშზე), ავალივილი (ავალიშვილი)

7. რ — აღიო (რადიო), აფინდა (აფრინდა). ვადი (ვარდი). კიტრი (კიტრი). მოჩა (მორჩა), კუძენი (ყურძენი), ბუთი (ბურთი), კაჭი (კარგი), კუკა (კურკა), ეთი (ერთი), შავალი (შარვალი), მაწკეი (მარწყვი).

8. ლ — კაკაი (კაკალი). ქიავი — (ქლიავი)

9. ხ — თილი (თხილი) და სხვა მრავალი.

ფონემათა შეცვლისა და ამოვარდნის გარდა, ჩვენი ბავშვის მეტყველების განვითარებაში (იხ. თანდართული დღიური) ისეთი შემთხვევებიც მოგვეპოვება. როდესაც თამაზი სიტყვაში ზედმეტ ფონემას უმატებს, რომელიც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. მაგ: ნ — ჰამინდორი, მანდლობა, წინგნი: ბ — ბაბტა: ს — ბოდისში და სხვა. ზემოთ განხილულ მასალებთან შედარებით. ფონემათა ჩამატების შემთხვევები იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ მაინც აქვს ადგილი.

წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ ბავშვის მიერ. სიტყვის წარმოთქმის დაუფლების პროცესი და ამდენადვე ფონემის დაუფლება ერთბაშად და უშეცდომოდ როდი მიმდინარეობს. წარმოთქმულ სიტყვაში ჩვენ ვხვდებით როგორც ფონემათა ურთიერთ-შეცვლის. ისე გამოტოვებისა და ჩამატების შემთხვევებს. ასეთი ვარიაციების შემდეგ ბავშვი ბოლოს და ბოლოს ახერხებს სიტყვის სწორად წარმოთქმას ისევე. როგორც მას უფროსებისაგან ისმენს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებლობა გვეძლევა დავასკვნათ, რომ ბავშვი დაეუფლა ყველა იმ ფონემის წარმოთქმას, რომელიც სიტყვაში იღებს მონაწილეობას.

აქამდე ჩვენი მსჯელობა ეხებოდა სიტყვის წარმოთქმის ჩამოყალიბების პროცესში შემჩნეულ ცვლილებებს. ახლა კი შეიძლება ვიკითხოთ: ამ ორი წლის მანძილზე წარმოთქმული სიტყვიდან რა რაოდენობის სიტყვებს ამბობს ბავშვი სწორად?

როგორც მოტანილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, ჩვენს შემთხვევაში სიტყვათა წარმოთქმას ბავშვი იწყებს ცხრა თვიდან. ორი წლის ბოლოსათვის მის მიერ სხვადასხვა კომბინაციებში განმეორებული სიტყვათა რაოდენობა დაახლოებით 578 სიტყვას შეადგენს. ხოლო აქტიური მარაგი სიტყვებისა გაცილებით ნაკლებია (450 სიტყვა): სიტყვათა ამ რაოდენობაში შედის ბავშვის მიერ ნათქვამი ყოველგვარი

სიტყვა, სწორად იქნება იგი წარმოთქმული, თუ არასწორად (ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ ბგერათა შეცვლას, გამოტოვებასა და ჩამატებას, უკვე ნაცნობი სიტყვების ახალ შეერთებას ერთმანეთთან და სხვა).

ცხრილი 2

ორი წლის მანძილზე სწორად ნათქვამ სიტყვათა რაოდენობა

| ასაკი: წელი, თვე | საერთოდ ნათქვამი სიტყვები | სწორად ნათქვამი სიტყვები |
|------------------|---------------------------|--------------------------|
| 0,9 | 8 | 5 |
| 0,10 | 18 | 6 |
| 0,11 | 8 | 2 |
| 1,0 | 7 | 1 |
| 1,1 | 8 | 0 |
| 1,2 | 8 | 0 |
| 1,3 | 10 | 3 |
| 1,4 | 5 | 4 |
| 1,5 | 51 | 4 |
| 1,6 | 11 | 5 |
| 1,7 | 36 | 16 |
| 1,8 | 70 | 29 |
| 1,9 | 94 | 59 |
| 1,10 | 65 | 58 |
| 1,11 | 96 | 79 |
| 2 წელი | 80 | 67 |
| სულ | 578 | 338 |

„სწორად ნათქვამ“ სიტყვათა დანაყოფში მოცემულია მხოლოდ ის სიტყვები, რომელნიც ბავშვმა გარკვეულ თვეში საერთოდ ნათქვამი სიტყვებიდან სწორედ ისე თქვა, როგორც მას დიდები ამბობენ. ამ დანაყოფის მიხედვით სიტყვათა სწორად თქმა კვალდაკვალ არ მისდევს საერთოდ ნათქვამ სიტყვათა რაოდენობას.

დანარჩენი დეტალების განხილვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ წლისა და შვიდი თვის ასაკიდან ჩვენი ბავშვის მეტყველებაში თვალსაჩინო ცვლილებები ხდება. აქ დროიდან იზრდება და ყოველთვიურად მატულობს როგორც „საერთოდ ნათქვამ სიტყვათა რაოდენობა“. — ისე „სწორად ნათქვამი სიტყვები“. თუ შევაჯამებთ ამ ცხრილის მონაცემებს, მივიღებთ, რომ ორი წლის განმავლობაში ბავშვის მიერ ნათქვამი 578 სიტყვიდან — 338 სიტყვა, ე. ი. საერთოდ ნათქვამ სიტყვათა 58,5%-ი თავიდანვე სწორად წარმოთქმული სიტყვებია.

თუ სიტყვათა წარმოთქმას ფონემათა დაუფლების საკითხსაც დავუკავშირებთ, შეცდომა არ იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ორი წლის

ბოლოს, მცირე გამოჩაყლისის გარდა. ბავშვი ძირითადად ასერხებს ფონემითა დაუფლებასაც. რა თქმა უნდა, ორი წლის ბოლოსათვის ბავშვის მეტყველების დაუფლებაში ყოველგვარი სიძნელე გადალახული არ არის, ჯერ კიდევ ადგილი აქვს სიტყვათა არასწორ გამოთქმას. მაგრამ მთავარი დაბრკოლება ბავშვის მაინც დაძლეული აქვს, სიტყვათა სწორად წარმოთქმის უნარი მას შექმნილი აქვს და ამიერიდან ხელს არაფერი უშლის ცვალოს სიტყვები მანამ, სანამ მას სწორედ ისე ჩამოაყალიბებს, როგორც უფროსისაგან ისმენს ხოლმე.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ, როდესაც ჩვენ ფონემის დაუფლებაზე ვმსჯელობთ, ფონემა აქცენტალურადებული — სიტყვიდან გამოყოფილი — ერთეულის სახით კი არ გვაქვს მოცემული, არამედ სიტყვაში გაერთიანებული. ამ ასაკში ბავშვი იძენს უნარს, ანუ ეკეთრომეთქვათ, ეუფლებასიტყვის წარმოთქმას და ჯერ კიდევ საკმაოდ შორს არის იმ მდგომარეობიდან, რომ მან სიტყვის ანალიზი აწარმოოს, დაშალოს იგი შემადგენელ ელემენტებად, ან ამ უკანასკნელთა შეერთებით ახალი სიტყვა მიიღოს.

აღნიშნულ საკითხს ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან იგი ჯერ კიდევ დადგენილად არ ითვლება.

ბავშვის მეტყველების მორფოლოგიური განხილვა

განვიხილოთ ბავშვის მეტყველება მორფოლოგიური თვალსაზრისით. პირველ რიგში 9 თვიდან — 1 წ. დან თვემდე.

- მეტყველების დაწყებიდან პირველი თვის განმავლობაში თამაზის სიტყვათა მარაგი ხუთ სიტყვას არ აღემატებოდა, რომელთაგან ოთხი სიტყვით თვის ახლობლებს აღნიშნავდა (დედა, მამა, ხანა, დადურა), ხოლო ერთი სიტყვა „ამუ“. ცხოველთა აღმნიშვნელი იყო. შემდეგი თვეები ახალ-ახალ სიტყვათა წარმოთქმით ხასიათდება და წლისა და ექვსი თვის ბოლოს თამაზის ლექსიკონი 90 სიტყვას მოიცავს. თამაზი თვეში 9 ახალ სიტყვას ეუფლება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვათა მატება ყოველთვიურად თანაბარი რაოდენობით როდი ხდება, არამედ ასაკობრივ წინსვლასთან ერთად სიტყვათა მარაგი შესამჩნევად მატულობს. ამ ასაკში დაუფლებული სიტყვებიდან ყველაზე დიდი რაოდენობა სიტყვებისა ახლობელთა სახელებზე მოდის, შემდეგ საკმელების, ცხოველების, ფრინველებისა და ოჯახის სხვადასხვა საგნის სახელებს უჭირავს. აღსანიშნავია, რომ

წლინახევრის ასაკში ბავშვის 90 სიტყვიდან—15 სიტყვა—მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვებია: ე. ი. ზმნებია-

როგორც ბავშვის მეტყველების არა ერთ მკვლევარს აღუნიშნავს. ბავშვი ყველაზე ადრე სიტყვების „დედა“ და „მამა“-ს წარმოთქმას სწავლობს. რამდენადაც დრო გადის, ბავშვის განვითარებასა და ასაკობრივ წინსვლასთან ერთად ახლობელთა წრე ფართოვდება. იგი იწყებს ჯერ ოჯახის შემადგენლობის სხვა წევრების (ბებია, ბაბუა, ბიძა, დეიდა) და შემდეგ კი იმ ახლობელთა სახელების დაუფლებას, რომელთაც ხშირად უხდებათ ოჯახთან და განსაკუთრებით ბავშვთან კონტაქტის დამყარება. როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა. მეტყველების დაუფლების პროცესში, ადამიანთა სახელების პარალელურად სხვადასხვა საგანთა სახელებსაც სწავლობს. ამ ასაკში ბავშვის მოთხოვნილებები და სურვილები წინა პლანზეა წამოწეული. ამიტომ საკლებით გასაგებია, რომ პირველ რიგში იგი ეუფლება იმ საგანთა სახელებს, რასაც მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ბავშვისათვის განსაკუთრებული ღირებულების მატარებელი აღმოჩნდა ისეთი რამ, რამაც მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ამიტომ თითქოს ბუნებრივია, რომ ადამიანთა სახელების პარალელურად თამაზმა ისწავლა სხვადასხვა ცხოველთა და ფრინველთა სახელები, ე. ი. პირველ რიგში — რაც ცოცხალი და მოძრავია. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ უკვე მეთათე თვეში ახლობელთა სახელებთან ერთად ეზოში დანახულ ძაღლს „ამუ“. ცხვარს „მეე“, ხოლო მამალს „ქიი“ — უწოდა.

როდესაც თამაზი დაეუფლა ნათესავეების სახელების წარმოთქმას (დედა, მამა, ბაბუა, ბებია). ამით აღარ დაკმაყოფილდა იგი და მერე მათი ნამდვილი სახელების წარმოთქმას შეეცადა.

როდესაც თამაზი 1, 1.5 დღისა იყო. დედის აღსანიშნავად „ტადია“ (კლავდია). 1, 4, 24 დღისამ „კადია“. ხოლო ერთი თვის შემდეგ (1, 5, 21) „კლადია“ წარმოთქვა გამართულად. მამის სახელის თქმა „კლადუ“ (კაკო) 1, 1. 18 დღისამ სცადა: ხოლო 1. 4 თვისამ „კაკლუ“ თქვა. 24 დღის შემდეგ მამას „აკუტუ“-ს ეძახდა და ა. შ. წლისა და ერთი თვის ასაკში იგი ამბობს: „ბუჰი“ და „ბუძია“ (ბიჰი, ბიძია). ხოლო სამი თვის შემდეგ (1. 4, 1) გოგოს „კგუ-კგუ“-ს ეძახდა.

რამდენადაც თამაზი ასაკობრივად წინ მიდიოდა. იმდენად სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და ფართოვდებოდა მის მიერ ადამიანთა სახელების წარმოთქმა. ამავე დროს. გზადაგზა იგი ცდილობდა არასწორად წარმოთქმული სახელების დახვეწასა და ისე გამეორებას, როგორც ამას უფროსებისაგან ისმენდა.

როგორც აღინიშნა, აღმაინათა სახელების პარალელური. თამაზი ადრე დაეუფლა ცხოველთა სახელებსაც. მაგრამ იცოცხოველებს არ აღნიშნავდა იმავე სახელით. როგორც ჩვენ არანედ იმ ნიშნით. რითაც ცხოველმა შთაბეჭდილება მოასდინა მასზე, განსაკუთრებით — ცხოველიდან მოსმენილი ბგერათა კომპლექსების მიხედვით. უკვე მეცხრე თვეში (0, 8, 22) თამაზი ძალს „ამუ“-ს უწოდებს. ეზოში მყოფ ცხვარს პირველ ხანებში „ამუ“-ს ეძახდა, მაგრამ მოისმინა რა რამდენიმეჯერ მისი ბლავილი, უკვე მეათე თვეში (0, 9, 12) „მეე“-ს ეძახდა. როდესაც ეზოში ნაგვის გასატანად კაცმა ორთვალა შემოიყვანა, თამაზი აკვირდებოდა ცხენებს მანამ, სანამ არ წაიყვანა პატრონმა ეზოდან. კარგა ხნის განმავლობაში ბავშვმა ვერ მოისმინა ცხენებისაგან ვერავითარი ბგერათა კომპლექსი. ცხენების ყოველი წაყვანის დროს პატრონი მიმართავდა მათ: „აჩუ“-ს თქმით, და ადგილიდან სძრავდა. უკვე მეთერთმეტე თვეში (0, 10, 20), თამაზმა დარინახა თუ არა ეზოში შემოსული ორთვალა. გაიშვირა მისკენ ხელი და წარმოთქვა: „ათუ“. ასეთივე სახელი უწოდა მან ქუჩაში შეხვედრილ ცხენებს — სულ ერთია ორთვალაში იყო იგი გაბმულა, ეტლში, თუ მხედარი იჯდა მასზე.

საყურადღებოა, რომ სურათებიანი წიგნის დათვალიერების დროს თამაზი ნაცნობ ცხოველებს სწორად ასახელებდა, ხოლო უცნობ და უნახავ ცხოველებს — მიმსგავსების საფუძველზე — ნაცნობი ცხოველების სახელებს უწოდებდა. წიგნში ნახული ძაღლის სურათი „ამუ“ არის. ამავე სახელს უწოდებდა იგი მელიის, დათვის, მგლისა და ციმბირის კატის სურათებს. თუ ნამდვილი ძროხა თამაზის მიერ „მუუ“-ს სახელით აღინიშნებოდა, წიგნში ნახული ხბოს, ხარის, კამეჩისა და ძროხის სურათი — იმავე სახელწოდების მატარებელი ხდება. ბავშვი ასეთ „განზოგადობას“ ყველა ცხოველის სახელის მიმართ ვერ ახერხებდა. პირველ ხანებში, სანამ მას კატა არ ენახა, მასაც „ამუ“-ს ეძახდა სურათებიან წიგნში. როდესაც მას კატა მიუყვანეს, ნახა და თამაზი დაუწყო მას, კატის სახელი „მია“ არცერთი სხვ. ცხოველის მიმართ არ გამოუყენებია. ასევე არ „განუზოგადებია“ მას ცხენისა და სახედრის სახელები.

ჩვენი ბავშვის მეტყველების დაკვირვების საფუძველზე უნდა აღინიშნოთ, რომ ამ ასაკში მას ისე არაფერი იზიდავს და იტაცებს. როგორც ცხოველები და ფრინველები და, განსაკუთრებით, მათი პატარა შვილები. პირველად ნახვის დროს ზოგიერთი ცხოველი მასშია შიშს იწვევს. ფრინველები კი — გაკვირვებას (მამალი, ინდაური), მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ბავშვი ეჩვევა და თამაზიც კი სურს მათთან ბავშვის ასეთი დიდი ინტერესი ცხოველებისა და ფრინ-

ველებიდან მეტწილად გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ბავშვის ქალაქში უხდება ცხოვრება. სადაც ძალიან იშვიათად თუ დაინახავს მათ წარმომადგენელს, და ისიც შორიდან. აღნიშნულ ასაკში ზაფხულზე თამაზი წაიყვამყეს აგარაკზე (ცემში), სადაც ერთბაშად აღმოჩნდა მისთვის უცხო და უცნობ ცხველთა და ფრინველთა შორის. ბავშვი დიდიდან საღამომდე ცხოველებსა და ფრინველებს ხედავდა (თუ მოვაშორებდით ტირილს იწყებდა), დასდევდა მათ, თამაშობდა მათთან და თანდათანობით დახელოვდა მათი სახელების სწავლასა და წარმოთქმავში.

წლინახევრისათვის ჩვენი ბავშვის სიტყვათა მარაგიდან 19 სიტყვა საქმელთა სახელების აღმნიშვნელია. საქმელთა სახელებიდან პირველი სიტყვა, რომელიც მან თქვა „ფაფა“ იყო (0, 9, 29). ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ბავშვი ამ სიტყვით არა მარტო ფაფას გულისხმობდა, არამედ სხვა საქმელებსაც: წვენი ჭამას, ჩაისა და რძის დაღევას, ქაშის- მაწვნის, კისელის, კომპოტის და სხვათა ჭამას. ამავე ასაკში თამაზი კვერცხს „ბუთი“-ს სახელით აღნიშნავდა ცოტა მოგვიანებით (1, 1, 8) მან რძეს „დძე“, ხოლო მჭადს — „ტაღი“ უწოდა. თუ შედარებით ადრე ასაკში სიტყვა „დღდა“ ბავშვისათვის ბევრ რამეს ნიშნავდა და განსაკუთრებით კი ძუძუს ჭამას, ახლა (1, 1, 21) ძუძუს ჭამა „ძიძა“-თი აღინიშნება, ხოლო ცოტა მოგვიანებით (1, 4, 3) პირდაპირ „ძუძუ“-ს მოითხოვს. დაახლოებით ამავე ასაკში (1, 4, 8) კვერცხს „ბუთი“-ს მაგიერად „კოკო“-ს არქმევს, შაქარს „კაკა“-ს (1, 4, 13), კარაქს -- „კაქი“-ს (1, 4, 24). მაწონს „მნაშენი“-ს უწოდებს და ა. შ.

გარდა ჩამოთვლილი საქმელების სახელებისა, ამ ასაკში (1, 5. .) თამაზმა ძალიან კარგად იცის პურის, ნამცხვრის, ბლითის (ბუბლიკი), ოცხობილას. ბოლოკის, ხახვის. კარტოფილის. ვაშლის, მსხლის. ბალის, მარწყვის და სხვათა სახელები, მაგრამ ყველა ჩამოთვლილი (და სხვა მრავალი) საქმელების სახელები მის მიერ მხოლოდ ერთი ან ორი სიტყვით აღინიშნება (ბუთი, კაკა). თუ ბავშვი ხედავს მისთვის სანუკვარ ხილს მაგიდაზე, იშვერს მისკენ ხელს და მოითხოვს, რომ მისცენ „კაკა“ (მაგ. ვაშლი). რამდენიმე ხნის შემდეგ იგივე სახელი (კაკა) უკვე სხვა ობიექტის აღმნიშვნელია. აღნიშნული ფაქტი ამ ასაკის ბავშვის მეტყველებაში ძალიან მკაფიოდ შესამჩნევია და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვების გვერდით, ბავშვის მეტყველებაში (9 თ. — 1.6 თვემდე) ჩვენ ვხვდებით აგრეთვე სხვადასხვა საგანთა სათამაშოებისა და ტანსაცმლის სახელებს (რა თქმა უნდა,

მცირე რაოდენობით. სულ 8 სიტყვას). ვარდა იმ საგნებისა, რომ-
ლითაც ბავშვი თამაშობს. მან იცის ისეთის სახელებიც, რომლებ-
მაც იგი დააინტერესეს რაიმეს მხრივ. მაგ.: პიანინოს იგი უწოდებს
„ტამ-ტამ“ (1, 4, 12 — კლავიშებზე ხელის დარტყმით გამოცემული
ხმა). „ადიო“ (რადიო — 1, 1, 0). „ტელემონი“ (ტელეფონი) და
სხვა.

ტანსაცმლისათვის ამ ასაკში თამაზს მხოლოდ ერთი სიტყვა
აქვს. რომელსაც წარმოთქვამს. სახელდობრ „ზიზია“ (0, 11, 25). ამ
სიტყვით თამაზი ყოველთვის აღნიშნავს ტანსაცმელსა და ფეხსაც-
მელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ახალია და მოსწონს. ყუ-
რადლების ღირსია ის გარემოება, რომ წლინახევრის ასაკში, რა
ტანსაცმლის ან ფეხსამოსის მიწოდებაც არ უნდა ვთხოვოთ
ბავშვს, ყოველ ნივთს შეუტყდომლად მოიტანს, მაგრამ არც ერთი
მათგანის სახელს არ ამბობს.

დაახლოებით ასევე შეიძლება ითქვას ბავშვის სხეულის ნაწი-
ლების შესახებაც. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ასაკში მათ-
თვის აღსანიშნავი ერთი სახელიც კი არ გააჩნია. თუ ვინმე ეტყვის —
თავი; თმა; თვალი; ყური; ცხვირი; კბილები. ხელები და ფეხები
შიჩვენეო — თითოეულ მათგანს უშეცდომოდ უჩვენებს.

ასევე იგი სახელების გვერდით ბავშვის მეტყუალებაში თავს
იჩენს სურვილისა და აფექტის გამომხატველი სიტყვებით. რომელ-
თა რაოდენობა 3-ს არ აღემატება. სურვილის გამომხატველი პირ-
ველი სიტყვა, რომელიც თამაზმა თქვა იყო „მინდა“ (0, 11, 2), რო-
მელიც მან წყლის დანახვასთან დაკავშირებით გამოიყენა. როდე-
საც მან წყურვილი მოიკლა. განზრახ მაინც დააძალეს წყალი. და-
ყინებით სამკერ გაიშვორა „ამნა“ (არ მინდა) და უარყოფის ნიშ-
ნად ხელებს იქნევდა.

თამაშის პროცესში, როდესაც იგი რაიმეს იტყენდა. აფექტურ
მდგომარეობაში ვარდებოდა. უჩვენებდა ახლობლებს სხეულის
ნატყენ ნაწილს და დაურთავდა „ვაჟა“ (1, 10, 17). თუ რაიმე საგნით
იტყენდა ხელს ან ფეხს. მის შემდეგ, რაც უფროსებს უჩვენებდა
ნატყენს. ისევ უბრუნდებოდა საგანს (რომლითაც იტყინა). უჩვენებ-
დებოდა მას. ცემდა ხელს. ან იატაკზე ურტყამდა მას და ძალზე გა-
ჯავრებული ამბობდა „ეკ. ეკ“ (1, 0, 17). როდესაც თამაზს, რაიმე
ისეთი მოვლენის შესახებ შეეკითხებოდნენ, რომ მისგან დადებითი
პასუხი მიეღოთ, მაგალითად: „ეს ბიჭი სკოლაში მიდის?“ (დახატუ-
ლია სკოლაში მიმავალი ბავშვი წიგნებით ხელში) „ჰო, ჰო“ სიტყვით
ადასტურებდა იგი (1, 1, 0).

გაცილებით უფრო გვიან. დაახლოებით წლინახევრის ასაკში (1, 5, 27), როდესაც თამაზს ისეთ რაიმეს აძლევენ, რაც არ უნდა — უარყოფის ნიშნად ხელს აქნევს აქეთ-იქით და ამბობს: „ააა, ააა“. ეს სიტყვა „არ მინდა“-ს ნიშნავს, და ხშირად იგი „ააა“-ითი აღინიშნება ხოლმე ბავშვის მიერ. ამავე ასაკში (1, 5, 24) მან ისწავლა მადლობის გამომხატველი სიტყვა „დაადა“. ამ სიტყვას თამაზი მხოლოდ ისეთ შემთხვევებში იყენებდა, როდესაც ძლიერ სასურველ საჭმელს და განსაკუთრებით ხილეულობას მიაწოდებდნენ.

მართალია, სურვილისა და აფექტის გამომხატველი სიტყვები წლინახევრის ასაკში ჩვენ ბავშვს მცირე რაოდენობისა აქვს, მაგრამ, რაც გააჩნია მას იგი ყველას თავის ადგილას და სწორი მნიშვნელობით იყენებს.

ის სიტყვები, რომელთაც ჩვენ აქამდე ვიხილავდით. თითქმის ყველა მიეკუთვნება არსებით სახელებს. საგულისხმოა, რომ ამათ გვერდით თამაზის მეტყველებაში ჩვენ ვხვდებით აგრეთვე მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს ანუ ზმნებს. ზმნები ჩვენი ბავშვის მეტყველებაში უკვე მე-11 თვიდან იჩენს თავს. ასეთი სიტყვა, რომელიც მან პირველად თქვა, იყო „ბუხ“ (0, 10, 29), რომელიც ბავშვმა მაგიდიდან ჭიქის გადმოგდებას და გატეხვასთან დაკავშირებით თქვა. ამის შემდეგ ბავშვისათვის სიტყვა „ბუხ“ ჩვეულებრივ სიტყვად გადაიქცა, რომელსაც იგი ყოველთვის იყენებდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ორი საგნის ურთიერთ შეხებისას რაიმე ზმა გამოიკვეთდა. მაგალითად, ჩაქუჩის იატაკზე დარტყმა. ლურსმნის დაქედება; შუშის დაჩეხვა. რაიმე სათამაშოს იატაკზე დეარდნა; სკამის გადაბრუნება. თუ სხვა რაიმე — თამაზის მიერ ყოველთვის ზემოხსენებული სიტყვით „ბუხ“-ით გამოიხატებოდა.

ამავე დღეს (0, 10, 29) თამაზმა კიდევ ორი ახალი სიტყვა შეიძინა: „აადე“ (გაღვიძება-ადგომა) და „ააა“ (ძილი-ძინავს). მეთორმეტე თვეში (0, 11, 7) თამაზი ახალ სიტყვას „დაჯი“-ს (დაჯექი) დაეუფლა. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ წარმოთქვა (0, 11, 19) „ათე“ (შუქის ანთებასთან დაკავშირებით) და „ფუ“ (1, 0, 3) სინათლის ჩაქრობის მნიშვნელობით. იგივე სიტყვა „ფუ“ თამაზმა მეორე მნიშვნელობით იხმარა (1, 1, 18). როდესაც ხელები დაესვარა.

სიტყვა „აადე“ — ადგომის მნიშვნელობით 0, 10, 29 ასაკში გამოიყენა, ხოლო ამჟამად (1, 2, 5) ამავე სიტყვას იგი ხელში აყვანის მნიშვნელობით ხმარობს, ძილის აღსანიშნავად მე-11 თვეში თამაზი იყენებდა სიტყვა „ააა“-ს. ახლა (1, 4, 1), როდესაც იგი აკვირდება

მძინარე ბაბუას და მისგან ხვრინვა ესმის. ამბობს „ქხუ-ქხუ“-ს ანუ უბრალოდ „ქხ“-ს.

1. 4. 4 ასაკში, თამაზი მოწმე იყო იმისა, რომ დედა შეეკითხა ნანას. ჩაი ხომ არ აღუღდაო. ნანამაც დადებითად უპასუხა. გაიგონა თუ არა ეს თამაზმა, დააკვირდა ჩაიდანს და თქვა, „აღუღხ“. მის შემდეგ თამაზი დაინახავდა თუ არა ნავთქურაზე ან ღუმელზე დადკმულ რაიმე ჭურჭელს, რომელიც ოდნავ შიშინს დაიწყებდა, გარბოდა დედასთან და ეუბნებოდა „აღუღხ“. აქამდე ჩვენ არაფერი გვითქვამს თამაზის მიერ მე-9 თვეში (0, 8, 17) წარმოთქმულ სიტყვა „ტუტუ“-ს შესახებ. ეს სიტყვა პირველად მან სასეირნოდ წაყვანას დაუკავშირა. როდესაც კი დედა დაუწყებდა ჩაცმა-დახურვას, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და აღტაცებით ამბობდა „ტუტუ“-ს. სეირნობიდან დაბრუნების შემდეგ, თუ ვინმე კითხავდა სად იყო ან რა ნახა, ან, სად უნდა წასვლა, მისგან ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი „ტუტუ“ მოისმოდა. შემდგომში, თამაზის სიტყვათა ლექსიკონში ამ სიტყვამ სხვა შინაარსი შეიძინა. კარგა ხნის განმავლობაში ბავშვი ამ სიტყვით მანქანას. მოტოციკლს. ტროლეიბუსს, ტრამვაის და სხვა სატრანსპორტო საშუალებებს აღნიშნავდა. ასე რომ, პირველი მნიშვნელობა ამ სიტყვისა ზმნა იყო, ხოლო შემდეგ არსებით სახელად გამოიყენა. ასევე შეიძლება ითქვას თამაზის მიერ ნათქვამ ზოგიერთი სხვა სიტყვის შესახებაც. მაგალითად, „ტამ-ტამ“ (1, 4, 12) პიანინოზე დაკრასა და მისგან ხმის გამოცემას ნიშნავს და აგრეთვე პიანინოსაც. „კიმ-კიმ“ (1, 4, 23) ჩიტის კიკიკის და ჩიტსაც, „მოდი“ (1, 5, 24) მოქმედებას, მოსვლას და აგრეთვე რომელიმე ახლობელის (გარკვეული პირის) თამაზთან ყოფნის სურვილსაც. ყოველივე ამას, ამჟამად ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან თითოეული სიტყვა ბავშვის ამ ასაკში მთელ წინადადებას ნიშნავს და გამორიცხული არ არის, რომ მის მიერ წარმოთქმულ არსებით სახელთან ერთად იმავე სიტყვაში ზმნაც ვიგულოთ და, პირიქით, ზმნა — არსებით სახელად.

განხილული მასალის საფუძველზე აშკარად ჩანს. თუ როგორი თანმიმდევრობით ეუფლება ბავშვი მეტყველებას წლინახევრის ასაკში. მოტანილი მონაცემები შეჯამებული სახით შემდეგნაირად შეიძლება გავითვალისწინოთ: წლინახევრის ასაკში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვის სიტყვათა მარაგი 90-ს შეადგენს. აქედან 67 სიტყვა ანუ 74,4% არსებითი სახელებია, 15 სიტყვა ანუ 16,6% — ზმნა, ხოლო 8 სიტყვა ანუ 8,8% — სურვილისა და ემოციის აღმნიშვნელი სიტყვებია.

სხვა ავტორთა დაკვირვების მონაცემები ერთხმად მიგვიჩივებენ იმაზე, თითქოს აღნიშნულ ასაკში ბავშვის ნალაპარაკევი 100%-ით არსებით სახელგანთქმულად წარმოადგენდეს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. მათ არ გამოპარვიათ მხედველობიდან ის უდავო ფაქტი, რომ ბავშვის მეტყველება გარკვეული თვეების მანძილზე ერთი სიტყვით იწყება, რაც ჩვენს ენაზე გადათარგმნილ მთელ წინადადებას წარმოადგენს. მეტყველების განვითარების ეს ეტაპი ერთ სიტყვიანი წინადადების სახელწოდებით აღინიშნება.

ჩვენი ბავშვის მეტყველებაში, დაახლოებით წლინახევრის ასაკში, ჰარბად არის წარმოდგენილი ერთსიტყვიანი წინადადებები, მაგრამ მარტო ამის აღნიშვნა ახალს ბევრს არაფერს იძლევა. ჩვენი მასალების საფუძველზე უდავოდ დასტურდება ერთსიტყვიანი წინადადებათა თავისებური მნიშვნელობა. თუ ბავშვის მიერ ნათქვამი სიტყვა ჩვენ მიერ თარგმნილ ერთ წინადადებას შეადგენს, აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ეს ერთი სიტყვა სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა შინაარსით იხმარება.

მაგალითად. სხვადასხვა სიტუაციაში ნათქვამი სიტყვა „დედა“ -- შეიძლება ნიშნავდეს: დედა, ძუძუ მარჯვენა; დედა, ხელში; ამიყვანე; დედა. ჩემთან მოდი; დედა. წყალი დამალეინე; დედა. სათამაშო მომეცი; დედა, სასეირნოდ წამიყვანე და სხვა უამრავი. ასევე ითქმის ბავშვის მიერ გამოყენებულ „მამა“, „ბები“, „ბაბუა“ და სხვა სიტყვათა შესახებაც.

ამის გარდა, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ამ ასაკში, ერთი სიტყვით ბავშვი სხვადასხვა ობიექტებს და მოქმედებებს აღნიშნავს (რაც შრავლად არის წარმოდგენილი დღიურში), მაგალითად, თიტი-ჩიტი, მერცხალი, ყვავი, ქორი, თვითმფრინავი; კაკა-შოკოლადი, კამფეტი, შაქარი, თხილი, კაკალი, ბალი, ატაჟი, ყურძენი და სხვა ყოველგვარი ხილეულობა და მათი მიწოდება; ფაფა, ჩაი, რძე, წვენი. ქაში, ფაფა, კისელი, მაწონი, კომპოტი და მათი ჭამა; ბუთი-ბურთი, ბლითი (ბუბლიკი), ბოლოკი, ვაშლი. მსხალი, კარტოფილი, ხახვი, ნიორი, კვერცხი და სხვა. ბუზ-ჭიქის, თეფშისა და კვერცხის გატეხვა, ჩაქუჩის ბრაზვანი, როდინში მარილის ჩანაყვა, რაიმეს დარტყმა. დაქედება და სხვა.

ანალოგიური მაგალითების მოტანა ძალიან ბევრის შეიძლება, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა. მოტანილი მონაცემები აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ ამ ასაკში ბავშვის მეტყველება დაუნაწევრებელი

ლია. დიფუზურია და მისი წინაარსის გავე-
ბა (ბავშვის მეტყველების ჩვენს ენაზე გადმოთარგმნა და გამ-
ლა) მხოლოდ სიტუაციის გათვალისწინების
საფუძველზე არის შესაძლებელი.

* * *

თუ გავითვალისწინებთ ბავშვის მეტყველებას წლინახევრიდან
— ორი წლის ასაკამდე, ვნახავთ, რომ მასში არსებითი გარდატეხა
ხდება როგორც რაოდენობითი, ისე რომელობითი თვალსაზრისით.
თუ წლინახევრის ბოლოს ჩვენი ბავშვის სიტყვათა ლექსიკონი 90
სიტყვას არ აღემატებოდა და ყოველთვიური საშუალო ნამატი კი
9 სიტყვას შეადგენდა, უკვე 6 თვის განმავლობაში (წლინახევრიდან
ორ წლამდე) სიტყვათა საერთო რაოდენობა 5-ჯერ იზრდება და იკი
450 სიტყვას აღწევს, ხოლო ყოველთვიური საშუალო ნამატი კი
60 სიტყვას უდრის.

მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით განაწილება ორი
წლის ბავშვის სიტყვათა მარაგისა. შემდეგ სურათს იძლევა: არსე-
ბითი სახელი — 49,3%; ზმნა — 24%; ზმნიზედა — 8,2%; შორის-
დებული — 5,7%; ზედსართავი სახელი — 5,3%; რიცხვითი სახე-
ლი — 2,2%; ნაცვალსახელი — 2,0%; კავშირი — 0,4%; სხვადასნ-
ვა — 2,6%.

ამ მონაცემთა ზერელე თვალის გადავლება ცნობად გვითვა-
ლისწინებს იმ დიდ გარდატეხას ბავშვის მეტყველებაში, რასაც
წლინახევრიდან — ორი წლის ბოლოსათვის აქვს ადგილი. წლინ-
ახევრის ასაკში ჩვენ ბავშვს 74,4% არსებითი სახელები ჰქონდა,
ხოლო ორი წლის ბოლოსათვის იგი დაახლოებით 50%-ს (49,3%)
შეადგენს. ცხადია, ეს გარკვეულ წინსვლაზე მიუთითებს. მაგრამ
მართო ეს არ კმარა. წლინახევრის ბოლოსათვის ჩვენს ბავშვს არ-
სებითი სახელების აღმნიშვნელი მხოლოდ 67 სიტყვა ჰქონდა, ხო-
ლო ორი წლის ბოლოსათვის მას 222 სიტყვა აქვს. ამის გარდა,
წლინახევრის ასაკში ბავშვს გააჩნდა მხოლოდ ზმნისა და ემოციის
აღმნიშვნელი სიტყვები და ისიც ძალიან მცირე რაოდენობით, ხო-
ლო ორი წლის ბოლოსათვის მას მეტყველების ყველა ნაწილის
სიტყვები აქვს. მართალია, არსებითი სახელების მაჩვენებლების
პროცენტული მონაცემები კლებულობს. მაგრამ ეს დაკლება პიზ-
დაპირ მიუთითებს ბავშვის მეტყველების რომელობით ცვლილე-
ბებზე — მისი განვითარების შემდგომ წინსვლაზე. რამდენადაც
არსებითი სახელები იკლებს, იმდენად მატულობს ზმნის მონაცე-

ძები (108 სიტყვა). ამის გარდა, ყურადღებას იქცევს ის, რომ ამიერიდან ბავშვის მეტყველებაში, გარდა არსებითი სახელისა და ზმნებისა, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მეტყველების სხვა ნაწილის სიტყვებიც იჩენენ თავს. ამიერიდან უკვე შესაძლებელია ვილაპარაკოთ ბავშვის საკმაოდ განვითარებულ და წინწასულ მეტყველებაზე, რომლითაც მას შეუძლია თავისი მოთხოვნილებები და სურვილები უფროსებს თითქმის თავისუფლად გააგებინოს. აქამდე უფროსებთან დამყარებული „პირობითი“ კონტაქტი ერთ-სიტყვიან წინადადებას იშვიათად თუ გასცილდებოდა, ამიერიდან ბავშვი, გაშლილი წინადადებით გამოხატავს ყოველივე მას, რაც მისთვის აქტუალური მოთხოვნილების საგანს წარმოადგენს. ხაზგასასმელია, აგრეთვე ისიც, რომ ბავშვი არამარტო ამჟამად მის ყურადღების ცენტრში მოთავსებული ობიექტის აღმნუსხველია, არამედ ისეთისაც, რასაც წარსულში ჰქონია აღვილი. ან მომავალში რაიმეს მხრივ გამოიყენება.

ორი წლის ბოლოსათვის ბავშვის მიერ ნათქვამ სიტყვათა დეტალურ ანალიზს ჩვენ ვერ შევუდგებთ; აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ არსებით მომენტებს.

არსებითი სახელის მონაცემებში გაერთიანებულია ყველა ის ჯგუფი, რაც წარმოდგენილი იყო წლინახევრის ასაკისათვის. არსებითი სახელების გამომხატველი 222 სიტყვა აბსოლუტურ მონაცემად რომ ავიღოთ. ვნახავთ, რომ ამ სიტყვათა 28,4% სხვადასხვა საგნების დასახელებაზე მოდის, 21% ადამიანთა სახელებია, 10,3% ცხოველთა სახელები, 9,9% საქმელებია, 7,2% ხილეთულობა და ა. შ. საყურადღებოა, რომ ყველაზე მცირე პროცენტული მონაცემები სათამაშოებსა (3,1%) და მცენარეთულობაზე (2,2%) მოდის. რიგორც ჩანს, ამ ასაკში თამაშობა და სათამაშოები ჯერ კიდევ არ გამხდარა ბავშვის ძირითად საქმიანობად. დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ ბავშვის ყურადღება ამ ასაკში ყველაზე ნაკლებად მცენარეთულობას ექცევა.

საერთოდ ორი წლის ასაკის მეტყველებისათვის და, კერძოდ, არსებითი სახელების კატეგორიაში მოთავსებული საგნებისათვის ძირითადი დამახასიათებელი მოვლენა ის არის, რომ ამ ასაკში ყოველი საგანი თავისი სახელით აღინიშნება.

თუ აქამდე (წლინახევრის ასაკში) ბავშვის მიერ წარმოთქმულ ერთი სიტყვის ქვეშ სხვადასხვა შინაარსის მატარებელი ობიექტები იგულისხმებოდა, ორ წლის ბოლოსათვის უკვე ყოველი საგანი

თავისი სახელით აღისიშნება. და ეს სიტყვები (222) თიოქმის ყველა სწორად იხმარება.

ბავშვი ზედსართავ სახელებს მეტწილად არსებოთი სახელების გვერდით ხმარობს: ზედსართავი სახელები რაიმე ნიშნის განმსაზღვრელად გამოიყენება ბავშვის მიერ. პირველი სიტყვა, რომელიც ბავშვმა გამოიყენა ზედსართავი სახელებიდან, იყო „დიდი“ და აღნიშნავდა ჩაქუჩის ერთ-ერთ თვისებას (რომელიც მართლა დიდი იყო და ბავშვმა თქვა „დიდი ტაბუტი“). შემდეგ ეს სიტყვა მან სხვა ობიექტებსაც დაუკავშირა. 1. 6. 9 --- ასაკში თამაზმა ვაშლის შესახებ თქვა „პატარა“ და ამის შემდეგ ამ სიტყვის თავისუფალი გამოყენება დაიწყო. რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვი ვაშლზე ამბობს, რომ ის „კარქია“ და მერე ამ სიტყვასაც დაუწყო გამოყენება სხვადასხვა ობიექტთან დაკავშირებით.

წლისა და შვიდი თვის ასაკში თამაზმა ვაშლის ახალი თვისება „აღმოაჩინა“; მიწოდებული ვაშლი მოკბინა, დაიღმია, გადმოყარა პირიდან და თქვა „ჟამეა, ჟამეა“ (მეავეა). იმავე დღეს ძველი ქუდის შესახებ აღნიშნა „ცუდი“ ქუდი. ამავე პერიოდში თამაზი თანმიმდევრობით იძენს ისეთ სიტყვებს, როგორცაა: „ცხელი“, „სველი“ (1, 7, 28), „ღამპალი“ (1, 8, 19), „წითელი“ (1, 8, 25); „ფინთი“ (ცუდის მნიშვნელობით) (1. 9. 7), „ტკბილი“ (1, 97), „თეთრი“, „ცოვი“ (1. 99, 11), „მძიმე“ (1. 920), „გემრიელი“ (1. 11. 4), „დულარე“ (1. 11, 19), „ცელქი“ (1, 11, 30) და სხვა.

ჩამოთვლილ ზედსართავ სახელებს თამაზი ყოველთვის ადექვატურად იყენებს ამა თუ იმ ობიექტის რაიმე თვისებების აღნიშნავად.

გამონაკლისის სახით შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ ერთი შემთხვევა. დედა თამაზს კვერცხს აკმევდა და შემთხვევით ზედმეტი მარილი მოუყარა. ბავშვს არ ესიამონა მლაშე კვერცხი, გადმოყარა პირიდან და თქვა: „ჟამეა კვეცი“ (1, 9, 9). სიტყვა „ჟამეა“ მან გამოიყენა „მლაშეს“ აღსანიშნავად, რადგან მას სიტყვათა მარაგში ეს უკანასკნელი სიტყვა არ მოეპოვებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბავშვის მიერ რიცხვითი სახელების გამოყენება. როგორც ვიცით, წლინახევრის ასაკში მას რიცხვის აღმნიშვნელი არც ერთი სიტყვა არ გააჩნდა. სამაგიეროდ ამ ასაკიდან იგი იწყებს რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვების წარმოთქმას. ბავშვი რიცხვს თანდათანობით (ერთიდან დაწყებული) კი არ ეუფლება, არამედ ნახტომისებურად, რამდენიმე რიცხვს გამოტოვებს, შემდეგ კიდევ უბრუნდება მას და ა. შ.

თამაზის მიერ რიცხვითი სახელების დაუფლების ნათელი წარმოდგენისათვის, მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი. ნანა თხილს ჭამს. თამაზი უცქერის მას. ართმევს თხილს. მერე ისევ უკანდგაძლევს და ეხვეწება: „ნანა! ეთი. ეთი მიე“ (1, 6, 17). ათი დღის შემდეგ (1, 6, 27) დედა აძლევს იმდენ თხილს. რამდენსაც ბავშვი ხელში ითავსებს. თამაზი ხედავს. რომ თეფშზე ბევრი თხილი ჩუყვია. ბავშვი იშვერს ხელს თეფშისაკენ და ეუბნება დედას: „ბელი-ბელი“ (ბევრი არის იქ; ან ბევრი მომეცა). იგივე სიტყვა „ბელი“ გამოიყენა მან (1, 7, 20) ბევრი ღრუბლის დანახვაზე. („ბელი“ ბოლი“ -- ბევრი ღრუბელი). ამის პარალელურად „ბევრის“ აღსანიშნავად თამაზი იყენებდა რიცხვით სახელსაც „ელთი-ოლი“.

როდესაც თამაზმა იატაკზე დაყრილი სიმინდის ტაროები ნახა, დაუწყო მათ მიმოფანტვა და იძახოდა: „ელთი. ოლი. ქუთხი. სამი, ოთხი. ექვსი სიმინდი. სიმინდი. პნელი წითელი სიმინდია“ (1, 8, 25). უკვე წლისა და ათი თვის ასაკში თამაზი აღნიშნავდა „ცალი ხელი, და მეორე ხელი“ და ა. შ.

მოტანილი მაგალითები ნათელყოფს იმას, თუ როგორი თანმიმდევრობით ეუფლება თამაზი რიცხვით სახელებს და საგანთა ოდენობის აღმნიშვნელ სიტყვებს. ორი წლის ბოლოსათვის თამაზი სწორად აღნიშნავს ერთს, ორსა და სამს. ამის იქით, ათამდე იგი არათანმიმდევრულად ასახელებს რიცხვებს. ათის შემდეგ მას მხოლოდ ერთი რიცხვითი სახელწ და ისიც ოცის დასახელება შეუძლია. რომელსაც შედარებით ხშირად მიმართავს ხოლმე. რაოდენობითი რიცხვითი სახელების გვერდით ბავშვი სწორად იყენებს მხოლოდ ერთ რიცხვით სახელს „მეორეს“. განუსაზღვრელი რიცხვითი სახელებიდან მის ლექსიკონში შემოდის „ცოტა. ბევრი და ცალი“.

ორი წლის ბავშვის სიტყვათა მორფოლოგიური კატეგორიების პროცენტულ მონაცემებში ყველაზე მცირე მაჩვენებლები (თუ კავშირს არ მივიღებთ მხედველობაში) ნაცვალსახელებს ეკუთვნის (9 სიტყვა = 2%). წლინახევრის ასაკიდან დაწყებული 1. 8. 8 დღემდე თამაზი ხმარობს პირველი პირის ნაცვალსახელს მხოლოდობით რიცხვში (მე). 1 წ. 8 თვისა და 9 დღიდან იგი იწყებს მეორე პირის (მენ)

ნაცვალსახელის გამოყენებას და ამავე დროს გაუადის კუთვნილებით ნაცვალსახელზეც „ჩემი“. ერთი თვის შემდეგ (1, 9, 7) იგი ეუფლება ჩვენებით ნაცვალსახელეს, როგორცაა „ეს. ეგ“. 1, 10, 19 ასაკში მან სწორად იხმარა პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი „ჩვენ“. ორი წლის ბოლოსათვის ნაცვალსახელთა აღმნიშვნელ სიტყვათა მარაგს ბავშვმა მიუმატა მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი „შენი“ და ამით დამთავრდა ორი წლის ბოლოსათვის ნაცვალსახელთა მთელი მარაგის დაუფლება.

ჩვენ სპეციალურად აღარ გასვინილავთ კავშირს, თანდებულს, შორისდებულსა და ნაწილაც. შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ კავშირის აღმნიშვნელი ნაწილაკები ამ ასაკში ბავშვს მინიმალურად (მხოლოდ ორი: და, თუ) აქვს და ამიტომ იგი ჯერ კიდევ ვერ აღწევს სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირებას.

ამ ასაკის მეტყველებისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ბავშვი სიტყვებს უცვლელად კი აღარ ხმარობს, არამედ ფორმასაც უცვლის, თანდებულებს ურთავს. ნაწილაკებსა და შორისდებულებებსაც იყენებს. თუ აქამდე ერთი სიტყვა მეორეს გვერდით უცვლელად თავსდებოდა, ამიერიდან სიტყვები დაბოლოებათა მიხედვით ერთმანეთს უთანხმდება (რა თქმა უნდა ყველა არა და არც ყოველთვის). მაგალითად ბავშვი ამბობს: „თბილისში, კოლიასთან, ეზოში, ოთახში, ვედრაში, ჯიბეში, ლოგინზე. სახურავზე; არ, ალა, ალა (არა); ოპ, ოპ, უპ, უპ, ვაა. ვაი. ურაა, უი, არიქა, აუ“ და სხვა მრავალი. საინტერესოა აქ რს არის, რომ თანდებულებს, შორისდებულებისა და ნაწილაკთა მაინც და მაინც იმდენად დიდ მრავალფეროვნებასთან კი არა გვაქვს საქმე, რამდენადაც ადგილი აქვს მათ ძალიან ხშირ გამოყენებას სხვადასხვა სიტუაციაში, სხვადასხვა შინაარსის წინადადებით გადმოცემის დროს (ამის მაგალითები მრავლად არის წარმოდგენილი აქ დართულ დღიურში).

სპეციალურად უნდა შევჩერდეთ მოქმედების გამომხატველი სიტყვების ანუ ზმნების ანალიზზე. რომლებიც რიცხობრივი მონაცემების მიხედვით არსებითი სახელების შემდეგ პირველ ადგილზეა. თუ წლინახევრის ასაკში ბავშვის მეტყველებაში მოქმედების

ალმნიშენელ სიტყვებს იშვიათად გავიგონებდით, სამაგიეროდ მეორე წლის მეორე ნახევარში ყოველ ორსიტყვიან წინადადებაში (მითუმეტეს სამ და ოთხსიტყვიანში) მეორე სიტყვა აუცილებლად ზმნა არის.

ზმნის გამომხატველი ყოველი სიტყვა უღლებადია. რომელთაგან 50% ერთპირიანი, ხოლო მეორე 50% ორპირიანი ზმნებია. მოქმედების გამომხატველ სიტყვათა აქტიურ გამოყენებას ბავშვი განსაკუთრებით წლისა და ათი თვის ასაკიდან იწყებს. მანამდე კი ორ და სამსიტყვიანი წინადადებები მეტწილად უზმნოდ იხმარება და მსმენელმა უნდა დაასკვნას იმის შესახებ, რაც იგულისხმება ბავშვის ნათქვამში. რიცხვის მიხედვით, ხუთი-ექვსი სიტყვის გარდა, ზმნა მხოლოდით რიცხვში გამოითქმის, ხოლო -- „დავწვეთ, ჩავიცვათ, გავწმინდოთ, დაებანოთ, გავაკეთოთ“ — მრავლობით რიცხვშია მოცემული. მრავლობითი რიცხვის თავისებურება ჩვენი ბავშვის მეტყველების მასალების მიხედვით იმაში მდგომარეობს, რომ იგი ძირითადად ერთ პირს, ე.ი. თამაზს ეკუთვნის. რისი გაკეთებაც დამოუკიდებლად არ შეუძლია, ან არ უნდა იგი მოითხოვს სხვის დახმარებას და გამოხატავს ისე, თითქოს ის, რაც მას აინტერესებს, — სხვაზეც უნდა გავრცელდეს. მაგ.: „დავწვეთ“ — ეუბნება დედას იმ დროს, როდესაც მას სურს დაწოლა; „ჩავიცვათ“ — მაშინ ამბობს, როდესაც სხვა ჩაცმულია და თითონ კი არა. „გავწმინდოთ“ — როდესაც ფეხი დაესვარა და თითონ არ შეუძლია გაწმენდა და სხვას მიმართავს. ყველა შემთხვევაში დასახელებული სიტყვების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად, ყველგან მხოლოდით რიცხვთან გვაქვს საქმე, მაგრამ ბავშვი ამ საქმის მონაწილედ სხვასაც ხდის. უდავოა, ასეთი მეტყველების დროს ზმნამრავლობითი რიცხვის ფორმას იღებს. დროის მი-

ხედვით ზმნათა დიდი ნაწილი ახლანდელ დრო-
პი იხმარება: სულ მცირე რაოდენობა მოდის
წარსულ დროზე. არც ერთი ზმნა მომავლის გა-
ცებით ამ ასაკის მეტყველებაში არ ურევია.

ერთპირიანი ზმნების გამომხატველი სიტყვები, როგორც წესა,
მესამე პირში იხმარება, ხოლო მცირე რაოდენობა — პირველ და
მეორე პირში. რაც შეეხება ორპირიან ზმნებს, მოქმედი პირი, აქ
ძირითადად მეორე პირია (შენ) და უფრო იშვიათად მესამე პირი.
პირველი პირის აღმნიშვნელი სიტყვები კი სულ მცირე რაოდენობა-
თაა წარმოდგენილი.

ზმნებთან დაკავშირებით საკმაო რაოდენობის სიტყვებია ისე-
თი, რომლებიც ზმნიზედას შეიძლება მივაკუთვნოთ. ზმნიზედის გა-
მომხატველი სიტყვებიდან ყველაზე მეტი რაოდენობა (22 სიტყვა)
კითხვითია, ხოლო გაცილებით მცირე (7 სიტყვა) დროისა და ად-
გილის აღმნიშვნელი ზმნიზედებია. დროის აღმნიშვნელი სიტყვებუ-
დან შეიძლება დასახელებულ იქნეს შემდეგი: ახლა, ხანი, წუთი, წე-
ლი, ღამე და ხვალ. ახლა—მეტწილად ისეთ სიტყვებთან იხმარება,
რომლებიც ნდომის, სურვილის ან რაიმე მოთხოვნის დაკმ-
ყოფილებასთან არიან დაკავშირებული. ხანი ან წუთი — რაიმეს მი-
ცემასთან ან თხოვნასთან, ღამე — დაძინებასთან, ხვალ — რაიმე გა-
დადებული დაპირების შესრულებასთან, ხოლო წელი — მის წლო-
ვანებასთან (მე ორი წლისა ვარ). უნდა აღინიშნოს, რომ არამცთუ
ორი წლის ბოლოს, არამედ ოთხი წლის ასაკშიც არა აქვს თამაზს
ზოგიერთი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობის ცოდნა. მაგ.: წუ-
თი, ხანი, წელი, ხვალ („ხვალ რომ დაღამდება და გათენდება — მა-
შინ არის დედა ხვალ“? კითხულობს იგი).

ადგილის ან მდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვებიდან შეიძლება
დასახელებული იქნეს: იქ, აქ, წინ, ზევით, ქვეშ და უკან. ყველა ეს
სიტყვა ბავშვის მიერ ორი წლის ბოლოს სწორად იხმარება. ამ სი-
ტყვებით იგი მეტწილად ამა თუ იმ საგნების ან სათამაშოების მდებ-
არეობას აღნიშნავს.

რას ეხება ორი წლის ბავშვის მეტყველება, ან რა შინაარსის მატარებელია იგი? ჩვენ რომ ამ თვალსაზრისით ანალიზი გავუქეთო-

ბავშვის ნალაპარაკებს და იგი შინაარსობრივი კატეგორიებს მიხედვით დავაჯგუფოთ. შემდეგს მივიღებთ: აღქმულის აღწერა — 32,3%; სურვილი — 17,9%; შეფასება (კარგია-ცუდია) — 12,9%; კითხვა-პასუხი — 11,8%; თხრობა წარსულიდან 7%; ხოლო გაცილებით მცირე რაოდენობით — მოფერების გამომხატველი სიტყვები, ლექსები და მოთხრობები, აფექტი, ტყუილი და ერთი შემთხვევა სიზმრისა.

ბავშვის მეტყველების შინაარსში აღქმულის აღწერის უპირატესობა არ შეიძლება მოულოდნელად ჩაითვალოს. როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ამ პერიოდში ბავშვი აქტიურად ამყარებს პრაქტიკულ ურთიერთობას საგნებთან და მოვლენებთან. იგი იჭრება გარემოში უფროსების დახმარებით, და ცდილობს მის დაუფლებას. მას იზიდავს ყოველი ცოცხალი და მოძრავი ობიექტი. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მას, რასაც ხმის გაღება შეუძლია და თანდათანობით ეუფლება მათ სახელებს. ზემოთ მოტანილ მაგალითებში ბევრია ბავშვის მიერ აღქმული ობიექტების სახელის წარმოთქმის შემთხვევები. აღქმულის აღწერისას ბავშვი პირველ რიგში ადასტურებს ობიექტის ან მოვლენის არსებობას, ხოლო მის შემდეგ აღწერს მას. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ის, რაც ბავშვის წინაშე ხდება, რასაც იგი აღიქვამს, მეტწილად მისი მეტყველების საგნად იქცევა. ამასთან დაკავშირებით ბავშვი ახალი სიტყვების წარმოთქმას ეუფლება, ფართოვდება გარემო, რომელშიც მას ცხოვრება უხდება და საგრძნობლად მდიდრდება ბავშვის სიტყვათა სფეროთ მარაგი.

რიცხობრივი მონაცემების მიხედვით მეორე ადგილი სურვილის გამომხატველ სიტყვებს უჭირავთ. აქ პირველ რიგში თავს იჩენს ის თი ობიექტების დასახელება, რომელთაც შეუძლიათ ბავშვის რაიმე მოთხოვნილების — პირველ რიგში ვიტალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება. როდესაც ბავშვს რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვის დაუხმარებლად არ შეუძლია, იგი თავის სურვილებს ახლო მყოფთ გადასცემს და მათი მეშვეობით ცდილობს მათ შესრულებას, მაგ.: „წითელი სიმინდი მომე; სამი მომე, ბელი სიმინდი“ (1, 8, 26). როდესაც მას თხოვნას შეუსრულებენ, ეუბნება: „მანდ-

ლობ, მეტი არა“. „ჩემო დედიკო, მიეცი თამაზის პამიდორი. დედ-
კვალა მიეცი თამაზის პამიდორი“ (1, 8, 26). „თუნგი ნწყალი მინ-
და. ჩემო ვულამი მეიტანე“ (1. 9, 22) და სხვა.

ყურადღებას იქცევს შეფასების მაჩვენებლებიც. შეფასების გა-
მომხატველი სიტყვები (შედგენილი შემასმენელი), — კარგია, ცუ-
დია, ფინთია. მძიმეა, სველია. მკავეა და სხვა — პირველ რიგში აღ-
ქმული საგნის ან მოვლენის აღწერასა და დადასტურებას უფრო გა-
ნობატავენ (ბავშვის თვალსაზრისით). ვიდრე ობიექტურ შეფასებას.
ეს გარემოება უფრო მკვეთრად მაშინ იჩენს თავს, როდესაც ბავშვი
აფექტურ ან ემოციურ მდგომარეობაშია. თუ ბავშვს რაიმე სურვი-
ლი დამ არ შეუსრულა, ის ფინთია, ან ცუდია. მაგრამ რა წამს ბავშვს
თხოვნას შეუსრულებენ, მას ხელს არაფერი უშლის ორი წუთის წინ
„ცუდად“ შეფასებული პიროვნება „კარგად“ აღიაროს. ამა თუ იმ
საგნის „სიმძიმე, სიდიდე, სიძველე ან გემო“ (მკავე, ტკბილი, მლა-
შე), მართალია, ძირითადად აღქმულის აღწერასა და დადასტურებას
წარმოადგენს (ამის გარეშე არც შეფასება შეიძლება), მაგრამ იმ-
დენად. რამდენადაც ყოველ ასეთ შემთხვევაში აღქმული ობიექტის
რაიმე ახალი თვისება (ბავშვისათვის აქამდე შეუუმჩნეველი, ფარუ-
ლი) ხდება აქტივირებული, რომელსაც ბავშვი სპეციალურად უს-
ვამს ხაზს. ეს მოვლენა არ შეიძლება უბრალო აღწერას მივიკუთვ-
ნოთ. ამისათვის აუცილებელი შეიქმნა „შეფასების“ ცალკე გამო-
ყოფა, რომელიც მეტწილად სუბიექტურ მო-
მენტს უფრო შეიცავს. ვიდრე ობიექტურს. რომ-
ლის რიცხობრივი მონაცემებიც არც ისე მცო-
რეა (12,9%).

რიცხობრივი მონაცემების მიხედვით შეფასებასთან ძალიან ახ-
ლოსაა კითხვა-პასუხი. წლინახევრიდან ორი წლის ბოლომდე ბავშვს
საკმაო რაოდენობის სიტყვათა მარაგი გააჩნია და იგი კონკრეტულ
შეკითხვებზე; სწორ პასუხს იძლევა, თუ ეს შეკითხვები მისი გამოც-
დილების ფარგლებს და მის მიერ დაუფლებულ სგნებსა და მოვლე-
ნებს არ სცილდება. აღსანიშნავია, რომ ამიერიდან და უფრო ადრეც
ბავშვისათვის წარსული შთაბეჭდილებები უგზო-უკვლოდ კი არა
იკარგება, არამედ ის მათ იგონებს, რეპროდუქციას აწდენს თხრობის

სახით. ბავშვის მიერ წარსულის შესახებ თხრობა ხშირად ოთხი, ხუთი და ექვსი თვის წინათ მომხდარ ფაქტებს შეეხება. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბავშვი ყველაფერს კი არ იგონებს, რასაც მის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა, არამედ მეტწილად მხოლოდ ისეთ შემთხვევებს. რომელთაც ბავშვში შთაბეჭდილების ღრმა კვალი დატოვეს.

დანარჩენ მონაცემთა განხილვისაგან რომ თავი შეეკავოთ, განხილული ფაქტების საფუძველზეც აშკარად ჩანს, რომ ორი წლის ბოლოსათვის ბავშვის მეტყველება არა მხოლოდ სიტყვათა მარაგის ზრდით ხასიათდება, არამედ იგი შინაარსობლივადაც მრავალფეროვანი ხდება. ბავშვის მეტყველების განვითარება წლინახევრიდან — ორ წლამდე ჩვენ მიერ სპეციალურად იქნა გამოყოფილი, როგორც რომელიმე თად განსხვავებული პერიოდი. თუ პირველი პერიოდის შესახებ ჩვენ აღვნიშნეთ (9 თვიდან — 1, 6, 0 თვემდე), რომ ბავშვის მეტყველება იქვე კიდევ დაუნაწევრებელია, დიფუზურია, ბავშვი ერთსიტყვიან წინადადებებს ხმარობს, რომლებსაც ჩვენ ვთარგმნით და სხვ., ორი წლის ბოლოსათვის ბავშვი მრავალსიტყვიან წინადადებებს აგებს, მისი მეტყველება შინაარსობლივად მდიდარი ხდება. იგი გარემოში იჭრება და აღიქვამს ობიექტებს, ამდიდრებს თავის სიტყვათა მარაგს და თანდათანობით აფართოებს დაუფლებულ სიგანთა და მოვლენთა ფარგლებს. აქ ჩვენ უკვე საქმე გვაქვს ძირითადად მისი მეტყველების ობიექტური სამყაროსადმი მიმართვის ფაქტთან; იგი ცდილობს შეიცნოს მის ირგვლივ მყოფი საგნები და მოვლენები, ასახოს ისინი ისე, რომ ამ ეტაპზე მეტყველებაში სუბიექტურ კიდევ არ ჩანს, იგი ჯერ კიდევ ვერ აქლავნებს მეტყველებიდან სუბიექტის გამოყოფას და მის დამოკიდებულებას ობიექტური სამყაროსადმი. თუ მეტყველების განვითარების პირველ ეტაპზე მის ერთსიტყვიან წინადადებაში არაფერი იყო გამოყოფილი, ორი წლის ბოლოსათვის მისი მეტყველებიდან ობიექტის გამოყოფა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

• *

განვიხილოთ, ბავშვის მეტყველება ორიდან სამ წლამდე. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ორიდან — სამი წლის ბოლომდე ჩვენი ბავშვი ეუფლება დაახლოებით 467 ახალ სიტყვას, ასე რომ სამი წლის ბოლოსათვის მისი სიტყვათა მარაგი დაახლოებით

917 სიტყვას შეადგენს. რომლის პრაქტიკულად გამოყენებასაც იგი ახერხებს. ამ ერთი წლის მანძილზე ყოველთვიური ნამატი საშუალოდ 39 სიტყვას არ აღემატება. თუ ვიხელმძღვანელებთ სამი წლის ბოლოსათვის ბავშვის ყოველგვარი ნალაპარაკების ანალიზით (რომელიც დაახლოებით 2730 გამოთქმას შეადგენს) და დავყოფთ მას მორფოლოგიური კატეგორიების მაჩვენებელთა მიხედვით, ვნახავთ, რომ ამ ასაკის ბავშვის ნალაპარაკები შემდეგნაირად დაჯგუფდება:

არსებითი სახელი — 33,9% (928 სიტყვა), ზმნა — 26,9% (737 სიტყვა), ნაცვალსახელი — 12,7% (349 სიტყვა), კავშირი — 7,6% (208), ზმნიზედა 7% (192), ზედსართავი სახელი — 5,3% (145). რიცხვითი სახელი — 3,7% (103), თანდებული — 1,3% (36), შორისდებული — 1,1% (32 სიტ.).

ეს მონაცემები რომ შევადაროთ ამავე ბავშვის ანალოგიურ მონაცემებს წლინახევრიდან — ორი წლის ბოლომდე — შემდეგს ვნახავთ:

1. სამი წლის ბოლოსათვის არსებითი სახელების მონაცემები იკლებს; ხოლო ზმნა იმატებს;

2. ორი და სამი წლის ბოლოსათვის თითქმის ერთნაირი მონაცემებია ზედსართავი სახელის, რიცხვითი სახელისა და ზმნიზედებისა;

3. ნაცვალსახელი და კავშირი ორი წლის ბოლოსათვის შეუდარებლად მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, ვიდრე სამი წლის ბოლოს; და

4. თუ ორი წლის ბოლოს შერწყმული თანდებულები სხვა დანაყოფში გვეტანდა გაერთიანებული, სამი წლის ბოლოსათვის იგი საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი და ცალკე დანაყოფში გამოვყავით. ამ ასაკში ცალკე მდგომ თანდებულებს ვერ ვხვდებით.

მართალია, ჩვენ ვადარებთ ორი წლის ბოლოსა და სამი წლის ბოლოს ბავშვის ნალაპარაკებს, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამი წლის ბოლოს ნალაპარაკები გამოანგარიშებულია შედარებით დიდი რიცხობრივი მონაცემებიდან (2730 სიტყვა), ვიდრე ორი წლის ბოლოს. მოტიანილი მონაცემები თავისთავად მეტყველებენ ბავშვის მეტყველების წინსვლის და განვითარების შესახებ, მაგრამ ჩვენ მაინც ძალიან მოკლედ შევჩერდებით ზოგიერთი კატეგორიის სიტყვებზე.

ბავშვის სიტყვათა ლექსიკონში სამი წლის ბოლოსათვის მარტო კონკრეტულ არსებით სახელებს როდი ვხვდებით; არაიშვიათია ისეთი შემთხვევაც, რომ იგი მიმართავს ისეთი სიტყვების გამოყენებასაც, რომლებიც „ზოგადად“ უნდა ჩაითვალოს. დამახასიათებელი ასეთი სიტყვებისათვის ის არის, რომ ისინი კონკრეტიზირებულია და დაუვანილია რაიმე კერძო საგნამდე ან მოვლენამდე. ასეთი „ზოგადი“ სიტყვები მხოლოდ ჩვენთვის შეიძლება ჩაითვალოს ზოგადად, თორემ ბავშვისათვის იგი კონკრეტული საგნის აღმნიშვნელია. ასეთი სიტყვების რაოდენობა ამ ასაკში არც ისე დიდია, იგი 20—25 სიტყვის არ აღემატება (მაგ.: ხალხი, ამბავი, არტისტი, ნადირობა, ფარიკაობა. სიკვდილი, მგოსანი და სხვა) და იხმარება ისეთ კონტექსტში, როგორცაა მაგალითად „მანქანაში ავიდენ აეთო, ომარი, ვახტანგი, სუყველა, სუყველა ხალხები და წავიდნენ“ (2, 2, 23); „სალამოს მომიყევი ამბავი წელიაზე“ (2, 2, 24). „მე ავიღებ დანას, ჩავიდებ ჭიბეში. წავალ სანადიროდ. მოვკლავ მგლებს, ბაჭიებს, დათვებს, მოვკლავ და გავჭრი და შევჭამ“ (2, 3, 30), ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ სანიმუშოდ ესეც კმარა.

ამავე ასაკში ვხვდებით ზოგ ისეთ სიტყვებსაც, რომლებიც თამაზს ვერ დაუყვანია კონკრეტულ მნიშვნელობამდე, მაგ.: თამაზმა რალაც დაუშავა ნანას. დედამ უთხრა, რომ ბოდიში მოიხადოს ნანასთან. თამაზი გაოცებული უპასუხებს, დედას: „არ ვიცი მე ბოდიში, მე არ ვიცი როგორ უნდა ბოდიში“ (2, 4, 29). როდესაც დედამ თამაზი სერიზობიდან მოიყვანა, თქვა, რომ ოთახში ძალიან ცხელა. თამაზი მიაჩერდა დედას და თქვა: „მე ეგ სიტყვა არ ვიცი, შენ რომ ამბობ. ეგ სიტყვა“ (2, 11, 3) და სხვ.

ორიდან სამ წლამდე. ბავშვი ისეთი გამართული წინადადებითა ლაპარაკობს, რომ დიდის მეტყველებისაგან ბევრი წინადადება არც კი განსხვავდება. ამ ასაკში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სიტყვათა ურთიერთშეთანხმება და არსებითი სახელების ფლექსიების ცვლა. თუ აქამდე. ბავშვის მეტყველებაში დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი ისეთი წინადადებები, რომელთა შემადგენელი სიტყვებიც უცვლელად თავსდებოდა ერთმანეთის გვერდით (ყოველგვარი შეთანხმების გარეშე). ამიერიდან მდგომარეობა იცვ-

ლება და ბავშვი ახერხებს სიტყვათა ერთმანეთთან შეწყობას. სიტყვები იცვლიან თავის დაბოლოებას და თავსდებიან ვარკვეულ ბრუნვაში. ყველა ბრუნვა ერთნაირი მნიშვნელობის მატარებელი როდია ბავშვისათვის. ასრებით სახელო ბრუნვის მიხედვით განაწილება შემდეგ სურათს იძლევა: 1. სახელობითი — 710 სიტყვა — 76,5%; 2. წოდებითი—28 სიტყვა—3,0%, 3. მოთხრობითი — 44 სიტყვა — 4,7%; 4. მიცემითი — 115 სიტყვა — 12,4%; 5. ვითარებითი — 0; 6. ნათესაობითი — 18 სიტყვა — 1,9%; 7. მოქმედებითი — 13 სიტყვა — 1,4%.

როგორც ვხედავთ, ორიდან სამ წლამდე ჩვენი ბავშვისათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელობით ბრუნვას (76,5%). იგი დაახლოებით 4-ჯერ მეტია, ვიდრე დანარჩენი ექვსი ბრუნვა. ამ ხნის განმავლობაში თამაზი არც ერთ სიტყვას ვითარებით ბრუნვაში არ ხმარობს.

სიტყვათა ფლექსიების სიმდიდრე და დაბოლოებათა მრავალფეროვნება არა მარტო არსებითი სახელების აღმნიშვნელ სიტყვებზე ვრცელდება, არამედ მეტყველების სხვა ნაწილებზეც, რომელთაც ფორმაცვალებადობა ახასიათებთ. მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ ბავშვის ამ ასაკის მეტყველებაში სახელობითი ბრუნვა ასეთი დიდი პროცენტითაა წარმოდგენილი, ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად განუვითარებელი და ჯერ კიდევ მოუქნელია ბავშვის მეტყველება.

როგორც ცნობილია, ზედსართავი სახელი—არსებითის განმსახლრელია. იგი საგნის რაიმე ნიშანზე ან თვისებაზე მიგვითითებს. ორიდან სამ წლამდე საგნებთან პრაქტიკული დამოკიდებულების საფუძველზე ბავშვი ძირითადად უკვე ეჩვევა მათი ობიექტური ნიშნის სწორად ასახვას. თამაზი თითქმის უშეცდომოდ იყენებს არსებით სახელთან ზედსართავ სახელს, მაგალითად, „დიდი შკაფი“, „ცივი მანდარინი“, „პატარა გოგო“, „წითელი ქული“, „ცხელი ჩაი“ და სხვ. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თამაზი სუბიექტური შთაბეჭდილებისა და განწყობის საფუძველზე უდგება საგნის თვისების გამომჟღავნებას, მაგ.: „კაი დროშა“ (წითელი); „გლახა დროშა“ (თეთრი); „მშვენიერი ქაში“. (თუ ტკბილია); „კარგი ბიჭი“, „ცული ბიჭი“ და სხვა მრავალი.

ამ ასაკის ბავშვის მეტყველებაში ისეთ შემთხვევასაც ვხვდებით, როდესაც ბავშვი ვერ მოძებნის არსებითი სახელის განმსაზღვრელ — ზედსართავი სახელის შესატყვის სიტყვას, და იგი ცვლის თავისი სიტყვათა მარაგიდან სხვა რომელიმე სიტყვით, როგორც მაგალითად, „ცოტა ფანჯარი“ (პატარას ნაცვლად); „გემრიელი სუნი“ (ნაცვლად კარგი ან სასიამოვნოსი); „კარგი წყალი“ (ნაცვლად ცივისა — ზაფხულში) და სხვ. რა თქმა უნდა, ბავშვის ლექსიკონში ასეთი სიტყვები ძალიან ცოტაა და მას იგი მეტწილად მაშინ მიმართავს, როდესაც ემოციურ მდგომარეობაშია. არსებითი სახელის შემდეგ, ყველაზე დიდი რიცხობრივი მონაცემები ზმნას ეკუთვნის. თუ ორი წლის ბოლოს თამაზს ზმნის გამომხატველი 108 სიტყვა ჰქონდა, სამაგიეროდ სამი წლის ბოლოსათვის ზმნის გამოყენებას იგი 737 გამოთქმაში მიმართავს.

ჩვენი ბავშვის მიერ გამოყენებული ზმნები დროის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ახლანდელი — 54,7%; წარსული — 21,7%; მომავალი — 23,3%. აქედან — რიცხვის მიხედვით — 86,6% მხოლოდია რიცხვს ეკუთვნის, ხოლო 13,1% მრავლობითს. როგორც ზემოთაც გვქონდა ამაზე მსჯელობა. ორი წლის ბოლოსათვის თითქმის ყველა ზმნა ახლანდელ დროში იხმარებოდა, ხოლო სულ მცირე რაოდენობა — წარსულ დროში. რაც შეეხება მომავალს — იქ არც ერთ სიტყვასაც არ შევხვედრივართ. ჩვენი აზრით. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ორი წლის ასაკში ბავშვი ჯერ კიდევ ვერ აღწევს თავს ახლანდელ დროს, იგი უშუალოდ ამჟამად მოქმედი სიტუაციის ტყვე არის. სამი წლის ბოლოსათვის სხვა სურათთან გვაქვს საქმე. ბავშვი ახერხებს უშუალო სიტუაციის გაუღენიდან თავის დაღწევას, ახლა ის ისე ძლიერად აღარ არის მასზე მოქმედ სინამდვილეს მიჯაჭვული. უჩნდება გარკვეული გამოცდილების შედეგად მიღებული რაღაც მარაგი და ამავე დროს იგი აღარ კმაყოფილდება ზოგჯერ უკუხედვით, არამედ წინაც იხედება და სათანადო პერსპექტივებიც ესახება. როგორც ვხედავთ, მეტყველების განვითარების უდავო ფაქტთან გვაქვს საქმე, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ. რომ განვითარება ჯერ კიდევ არ დასრულებულა და შემდგომი დიფერენციაცია (განსაკუთრებით ახლანდელი დროსი) კიდევ არის მოსალოდნელი.

რაც შეეხება ზმნის რიცხვს. აქაც გარკვეულ წინსვლასთან გვაქვს; საქმე. მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ვხვდებით ძრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ ზმნებს. ორიდან სამ წლამდე გამოყენებული მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები — ზმნის პირიან ფორმების მიხედვით რომ განვიხილოთ ვნახავთ, რომ ერთპირიანი ზმნები — 32,6%-ით არის წარმოდგენილი, ორპირიანი — 63,6%. ხოლო სამპირიანი — 3,6%. როგორც ვიცი, ორი წლის ბოლოსათ-

ცხრილი 3

| | ერთპირიანი ზნები სულ = 2,11 სიტყვა | | | ორპირიანი ზნები სულ = 469 სიტყვა | | | სამპირიანი ზნები სულ = 27 სიტყვა | | |
|--------------|---------------------------------------|------------|-------------|-------------------------------------|------------|-------------|-------------------------------------|------------|-------------|
| | პირველი პირი | მეორე პირი | მესამე პირი | პირველი პირი | მეორე პირი | მესამე პირი | პირველი პირი | მეორე პირი | მესამე პირი |
| სიტყვა-რაოდ. | 72 | 49 | 120 | 202 | 195 | 72 | 4 | 13 | 20 |
| % | 29,8 | 20,3 | 49,7 | 43,0 | 41,5 | 15,3 | 14,8 | 48,1 | 37,0 |

ვის ამ მხრივაც განსხვავებული სურათი გვექონდა. 50% სიტყვებისა: ერთპირიანი, ხოლო 50% ორპირიანი ზმნები იყო. სამი წლის ბოლოსათვის ერთპირიანი ზმნები საგრძნობლად შემცირდა, მის ხარჯზე გაიზარდა ორპირიანი ზმნები და ძალიან მცირე რაოდენობით იჩინა თავი სამპირიანი ზმნების პრაქტიკულმა გამოყენებამ.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ფორმიან ზმნებში — რომელი პირი არის მოქმედ პირად წარმოდგენილი. მოვიტანოთ სათანადო მონაცემები:

თუ მეტყველების-განვითარების წინა საფეხურზე წლისა და ათი თვის ასაკამდე წინადადებაში სიტყვათა რაოდენობის მიუხედავად, ზმნა, როგორც წესი, იშვიათად იხმარებოდა, ორიდან — სამ წლამდე აღარც ერთი წინადადება უზმნოდ არ ითქმის. თუ ორი წლის განმავლობაში ბავშვისათვის ძირითადი ობიექტური სინამდვილის საგანთა წრის გაფართოება და დასახელება იყო, ამიერიდან

| | პირველი პირი | მეორე პირი | მესამე პირი |
|--------|----------------------------------|----------------------------------|----------------------------------|
| რიცხვ. | 273 | 257 | 202 |
| % | 37,7 ⁰ / ₀ | 34,8 ⁰ / ₀ | 27,4 ⁰ / ₀ |

ყურადღება ინდივიდს, სუბიექტს, პიროვნებას და მის მოქმედებას ექცევა, რომელიც უფრო ალკონტაქტს ამყარებს საგნებთან და მოკლენებთან. ბავშვის მეტყველების მკვლევარ ავტორებს ამ პერიოდში ბავშვის მეტყველების სიმძიმის ცენტრი — ბავშვის მიერ ნაცვალსახელთა გამოყენებაში გადააქვთ და სუბიექტის აქტივობას სწორედ ამ უკანასკნელის (ნაცვალსახელთა) ოდენობაში ხედავენ. ქართული ენის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნაცვალსახელთა გვერდით (ამაზე ქვევით გვექნება მსჯელობა) ზმნის გამომხატველი სიტყვები პირველ რიგში სუბიექტის აქტივობაზე და მის გარესამყაროსთან გარკვეულ დამოკიდებულებზე მიგვითითებენ. მაგალითად, ბავშვი რომ იტყვის: „მომიტანე“ აქ ცალკე სიტყვით არ არის გამოყოფილი, რომ შენ — მე — ის მომიტანე, არამედ „მომიტანეში“ ყველა ეს იგულისხმება იმ განსხვავებით, რომ მეორე პირი აქტიურია, მოქმედია, ხოლო პირველი და მესამე — პასიური. ზმნებში „დაგიწერ“, „შეგიკამ“, „გაგიტენ“, „დაგიხევ“ და სხვ. ბავშვის (პირველი პირის) აქტივობა იგულისხმება. როგორც ცნობილია, სხვა ენებში ზმნები ასე გამოკვეთილად როდი მიუთითებენ პიროვნების აქტივობაზე და სწორედ ამიტომ ჩვენ ამ გარემოებას განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს (სხვა ენებში ზმნა მხოლოდ ერთპირიანია, ქართულში კი ზმნა ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანიცაა).

შეიძლება მთელი საიდუმლოება სუბიექტის მოქმედებისა ზმნებში არ მიუთითებდეს ბავშვის მეტყველების განვითარების რაიმე განსაკუთრებულ მომენტზე და კაცმა იფიქროს, რომ, როდესაც კი ბავშვს უჩნდება მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები. თავიდანვე ან ფორმით იყოს იგი მოცემული და განვითარებას არ განიცდიდეს.

როგორც ზემოთაც ვნახეთ, მეტყველების განვითარების წინასაფხურზე (წლინახევრიდან — ორ წლამდე), იმისდა მიუხედავად:

რომ წინადადება ბავშვისა მრავალსიტყვიანია, ზმნის აღმნიშვნელი სიტყვები წინადადებაში ან იგულისხმება, ანდა ისე არ იხმარება, როგორც ორიდან სამ წლამდე. მაშ, ამ საფეხურის მეტყველების განვითარებაში, სხვა მნიშვნელოვან მომენტთა შორის, ბავშვის მიერ ფორმირებული ზმნების გამოყენება დიდ მონაპოვრად მიგვაჩნია, რაც აშკარად მიუთითებს სუბიექტის პრაქტიკულ დამოკიდებულებაზე გარესსამყაროსადმი და ამდენადვე სუბიექტის მოქმედებაზე ანუ მის აქტივობაზე.

მოქმედების გამომხატველ სიტყვათა (ზმნათა) ამ მოკლე ანალიზის შემდეგ, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღარ ენიჭება ბავშვის მიერ ნაცვალსახელთა გამოყენებას, რადგან ბავშვმა შესაძლოა არც კი წარმოსთქვას ნაცვალსახელის აღმნიშვნელი სიტყვა. ხოლო სამაგიეროდ იგი შეიძლება მოცემულ იქნეს სულ სხვა სიტყვაში და განსაკუთრებით კი მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვაში (ზმნაში ეს მოვლენა ქართული ზმნის სპეციფიკურობითაა გამოწვეული). თუ ჩვენ მაინც მოვისურვებთ ნაცვალსახელთა აღრიცხვას ბავშვის მეტყველებაში ვნახათ, რომ იგი საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი (12,7%).

ორიდან სამ წლამდე ბავშვი შემდეგ ნაცვალსახელებს მიმართავს: მე—55,6%, შენ—21,1% ის—5,7%, ჩემი—13,7% და ჩვენ—3,7%.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, პირველი პირი მხოლოდ რიცხვში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი, ხოლო მესამე პირი კი — ძალიან მცირე რაოდენობით. მრავლობით რიცხვში მხოლოდ პირველი პირი (ჩვენ) იხმარება, კუთვნილებითი ნაცვალსახელებიდანაც ბავშვი მხოლოდ ისევ პირველ პირს (ჩემი) მიმართავს. დასახელებულ კატეგორიებს გარდა, ბავშვის ნალაპარაკეში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი ჩვენებითი, უარყოფითი და განსაკუთრებით კითხვითი ნაცვალსახელები. რაც შეეხება მიმართებით და განუსაზღვრელობით (რომელიც, როგორიც, რანაირიც, ვილაც, რომელიმე და სხვა) ნაცვალსახელებს ამ ასაკში სანიშნუშოდაც ვერ ვხვდებით.

მეტყველების სხვა ნაწილთა სიტყვების შემდგომი ანალიზიდან რომ თავი შევიკავოთ, განხილული მასალებიც ნათელ სურათს იძლევა იმის შესახებ, თუ რაოდენ განვითარებული და წინწასულია ბავშვის მეტყველება ორიდან სამ წლამდე ჩვენ მიერ განხილულ წინასაფეხურთან შედარებით.

ბავშვის მეტყველების სინტაქსური ბანხილვა

განვიხილოთ ბავშვის მეტყველება სინტაქსური თვალსაზრისით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვის სიტყვა მეტყველების დიწყების პერიოდში — წინადადებაა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ბავშვის განვითარებასთან ერთად, სიტყვათა მარაგიც იზრდება, და იგი თანდათანობით იწყებს ორ, სამ, ოთხ და მრავალსიტყვიან წინადადებებზე გადასვლას. თუ როგორი თანმიმდევრობით ხდება მრავალსიტყვიან წინადადებებზე გადასვლა ბავშვის მიერ, მოვიტანოთ სათანადო მაჩვენებლები. (ცხრილი 4).

ცხრილი 4

| ასაკი: წელი. თვე | ერთსიტყვ. წინადად. | ორსიტყვ. წინადად. | სამსიტყვ. წინადად. | ოთხსიტყვ. წინადად. | მრავალ- სიტყვ. წინადად. |
|---------------------|-----------------------|----------------------|-----------------------|-----------------------|-------------------------------|
| 9 თ.— | | | | | |
| 1 წ. 2 თ. | 51 | — | — | — | — |
| 1 წ. 3 თ. | 45 | 6 | — | — | — |
| 1 წ. 4 თ. | 48 | 5 | — | — | — |
| 1 წ. 5 თ. | 55 | 17 | 4 | — | — |
| 1 წ. 6 თ. | 86 | 4 | — | — | — |
| 1 წ. 7 თ. | 109 | 19 | 8 | — | — |
| 1 წ. 8 თ. | 16 | 33 | 26 | — | — |
| 1 წ. 9 თ. | — | 10 | 14 | 25 | 11 |
| 1 წ. 10 თ. | — | 9 | 8 | 12 | 23 |
| 1 წ. 11 თ. | — | 5 | 9 | 15 | 26 |
| 2 წელი | — | 7 | 14 | 27 | 36 |

მოტანილი ცხრილი მრავალმხრივ არის საინტერესო. ამ მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ 1 წლისა და 2 თვის ასაკამდე ბავშვს მხოლოდ ერთსიტყვიანი წინადადებები აქვს, რომელთა რაოდენობა 51 წინადადებას არ აღემატება. ცხრილის დეტალურ ანალიზს რომ თავი დავანებოთ, მისი ზერელე გადათვალიერებაც კი

შემდეგ სურათს გვითვალისწინებს: ერთი წლიდან და სამი თვის ასაკიდან წლინახევრის ჩათვლით, ბავშვის მეტყველება შედგება ერთი და ორსიტყვიანი წინადადებებისაგან, რომელთაგან, ერთსიტყვიანი წინადადებები გაცილებით დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი, ვიდრე ორსიტყვიანი.

შემდეგ ორ თვეში (1 წ. 7 თვე და 1 წ. 8 თვე) ერთ და ორსიტყვიან წინადადებებს ემატება სამსიტყვიანი წინადადებები. ერთი წლიდან და 9 თვიდან ერთსიტყვიან წინადადებებს სრულიად ვეღარ ვხვდებით ბავშვის მეტყველებაში, ხოლო სამაგიეროდ იგი გადადის ოთხ და მრავალსიტყვიან წინადადებათა შედგენაზე. წლისა და რვა თვის ასაკში ბავშვის მეტყველებაში ერთსიტყვიანი წინადადებანი მინიმალური ოდენობით (16) არის წარმოდგენილი, ხოლო ორ და სამსიტყვიან წინადადებათა რაოდენობა გაცილებით მეტია. შემდგომი ასაკობრივი წინსვლა იმით ხასიათდება, რომ ერთსიტყვიანი წინადადებები სრულიად ქრება, ხოლო ორსიტყვიანი წინადადებები მინიმალური რაოდენობისაა. სამსიტყვიანი—გაცილებით მეტია ვიდრე ორსიტყვიანი, ხოლო ოთხ და მრავალსიტყვიანი წინადადებები გაცილებით მეტი — ვიდრე სხვა დანარჩენი.

როგორც ვხედავთ, ბავშვის ასაკობრივ წინსვლასთან ერთად თანდათანობით ვითარდება მეტყველება და მას კი აღარ უხდება აზრის ჩამოყალიბება ერთ ან ორსიტყვიან წინადადებებში, არამედ თანდათანობით გადადის სამ და მეტსიტყვიან წინადადებებზე (საბოლოო ოთხ და მრავალსიტყვიანზე).

ჩვენს ცხრილში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წლისა და ხუთი თვის და წლის და ექვსი თვის ასაკში გამოყენებულ წინადადებათა მონაცემები. როგორც ცხრილი №4-დანაც ჩანს, 1 წ. 5 თვეში ბავშვს აქვს ერთსიტყვიანი წინადადებები 55, ორსიტყვიანი 17, ხოლო სამსიტყვიანი — 4, შემდგომ თვეში — ერთსიტყვიანი — 86, ორსიტყვიანი — 4, ხოლო სამსიტყვიანი — არცერთი. სად დაიკარგა წინა თვეში წარმოთქმული 7 სამსიტყვიანი წინადადება და რატომ შემცირდა (17 დან — 4-მდე) ორსიტყვიან წინადადებათა რაოდენობა? საერთოდ აქ მოტანილი მონაცემები და მათი ანალიზი დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ ფაქტიურ მონაცემებზე, ყოველგვარ წინასწარშემუშავებულ თეორიულ მოსაზრებათა გარეშე. აქედან გამომდინარე ჩვენ მიერ დასახელებული შეუსაბამობა ასე გვესახება: ჩვენ აღვრიცხეთ და ანალიზი გავუქეთეთ წლისა და ხუთი თვის ბავშვის მეტყველებას. როგორც ვხედავთ — იგი აღარ განმეორდა შემდეგ თვეში, ე. ი. ბავშვი აღარ მოქცეულა ისეთ სიტუაცი-

აში, რომ მას აუცილებლად მიემართა სახელდობრ. დიდი რაოდენობის ორსიტყვიანი წინადადებებისათვის და მათ გვერდით სამსიტყვიანიც გამოყენებია. თითოეულ თვეში ნალაპარაკევი არ გულისხმობს წინა თვის ნალაპარაკევის უცვლელ განმეორებას. როგორც ვხედავთ, აქ თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სათანადო წინსვლის მაჩვენებელი ნახტომები, რომელთა დასაბუთებელი ახსნაც ყოველთვის ვერ ხერხდება (მაგ., რით უნდა აიხსნას, რომ ერთ წელსა და რვა თვეში სწორედ ის მონაცემები გვაქვს, რაც ცხრილშია წარმოდგენილი? ან შემდგომ თვეში ბავშვმა რატომ ერთსიტყვიანი წინადადება სრულიად აღარ გამოურია და ერთბაშად გადავიდა ოთხ და მრავალსიტყვიან წინადადებებზე? და სხვ.).

ცხრილში მოტანილი მონაცემების საფუძველზე უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ წლიდან და ხუთი თვიდან ბავშვი გარკვევით იწყებს ორსიტყვიანი წინადადებების შედგენას. მაგრამ ეს ჭერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვმა განვლო ერთსიტყვიანი წინადადების სტადია და მზად არის გადავიდეს სამსიტყვიანი წინადადების შედგენაზე. ერთსიტყვიანი წინადადების პარალელურად და მის ხარჯზე იზრდება ორსიტყვიან წინადადებათა რაოდენობა და, ბოლოს, დგება ისეთი მომენტი, როდესაც ერთსიტყვიანი წინადადებები (იმ მნიშვნელობით, როგორც დასაწყისში იყო) სრულიად აღიკვეთება და მის ადგილს ორი, სამი, ოთხი და მრავალსიტყვიანი წინადადებები დაიკვრს.

როგორ ადგენს ბავშვი წინადადებებს? როგორ ათანხმებს იგი სიტყვებს ერთმანეთთან? ეს კითხვები მეტად საყურადღებოა.

ბავშვის მეტყველების მორფოლოგიური თვალსაზრისით განხილვის დროს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მისი სიტყვათა მარაგის დიდი რაოდენობა (წლინახევრის ასაკში) არსებითი სახელია, ნოლო ძალიან მცირე პროცენტი ზმნას წარმოადგენს. ამ ასაკში ორსიტყვიან წინადადებათა ჯამი 32-ს უდრის. საგულისხმოა, რომ ორსიტყვიან წინადადებათა შედგენაზე ბავშვი მის შემდეგ გადავიდა, როცა მის სიტყვათა ლექსიკონში მოქმედების აღმნიშვნელმა სიტყვებმა იჩინა თავი. ამის მიუხედავად, ჩვენ არა გვაქვს ისეთი ფაქტები, რომ წინადადებათა შედგენილობა 10% -ით ქვემდებარისსა და შემასმენლის გამოყენებას ეფუძნებოდეს. 32 ორსიტყვიანი წინადადებიდან—10 წინადადება ანუ 31,2% ქვემდებარესა და დამატებას შეიცავს. წინადადების ამ წევრებად ყველგან არსებითი სახელია წარმოდგენილი (მაგ., ბაბუა ბუთი, დედა-კოკო, კვერცხი); დედა აჩუ; დედა ნანა, ნანა კაკა და სხვ.). დანარჩენი

22 ორსიტყვიანი წინადადება ქვემდებარისა და შემასმენლის შეერთების ცდას წარმოადგენს. რაც 68,7%-ს უდრის. ორსიტყვიან წინადადებათა საერთო რაოდენობიდან (მაგ., მამა ადე, დედა ააა, ნაწა და:ე. ბაბუა ქხ. კოკო ბუხ და სხვა).

აღნიშნული 22 წინადადება, თუ ქვემდებარისა და შემასმენლის თანამონაწილეობას მივიღებთ მხედველობაში, მარტივ წინადადებებს წარმოადგენს. საყურადღებო აქ ის არის, რომ წინადადების შედგენის დროს თამაზი სრულიად არ უწყევს ანგარიშს არც დროს, არც რიცხვსა და არც ბრუნვაში ერთმანეთთან სიტყვების შეთანხმებას. ის როგორც ერთ სიტყვას წარმოთქვამდა. ისე ახლაც ორ ან სამ სიტყვას უცვლელად აერთებს ერთმანეთთან და ეღებულობთ ახალ წინადადებას. ყოველგვარი აფიქსების გარეშე. თუ აღნიშნულ წინადადებებს სიტუაციის მიხედვით შინაარსობლივად განვიხილავთ. ვნახავთ, რომ ქვემდებარე ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია. ხოლო შემასმენელი კი, ახლანდელი დროის ფორმიტაა წარმოდგენილი.

როგორც ცხრილი №4-დან ჩანს, მეორე წლის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა იმ მხრივ იცვლება, რომ ბავშვი გადადის სამ, ოთხ და მრავალსიტყვიან წინადადებებზე. ყურადღებას იპყრობს ას ფაქტიც. რომ ორსიტყვიანი წინადადებები თანდათანობით კლებულობს, ხოლო ოთხ და მრავალსიტყვიანი მატულობს. შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ორი წლის ბოლოსათვის თამაზს თავისუფლად შეუძლია გამოთქვას აზრი გამართული და ჩამოყალიბებული წინადადების სახით. ახერხებს თუ არა ბავშვი წინადადებაში მონაწილე სიტყვების ურთიერთთან ისე შეთანხმებას, როგორც ამას ჩვენ — დიდები ვშვებთ?

ერთი წლიდან და რვა თვიდან ბავშვის მეტყველებაში თვალსაჩინო გარდატეხა ხდება. ყოველთვის ურად იზრდება როგორც ბავშვის სიტყვათა მარაგი, ისე წინადადებებიც ივსება ახალი სიტყვებით. ჩვენი ბავშვის სიტყვათა მარაგის მორფოლოგიური თვალსაზრისით განხილვისას (ოო წლამდე) ცალკე აღვნიშნეთ მეტყველების ნაწილთა რაოდენობა და დროებით გვერდი ავუარეთ წინადადებაში შემავალ სიტყვათა გარჩევას. ამჟამად წინადადების სინტაქსური გარჩევის დროს, საკითხის ნათელსაყოფად ერთი და იმავე წინადადების ანალიზი მოვახდინოთ ჭერ მორფოლოგიურად, შემდეგ სინტაქსურად.

მოვიტანოთ რამდენიმე ნიმუში.

ორსიტყვიანი წინადადებები:

1 6,17 — ერთი მიე = ერთი მომეცი.

1,6,20 — კაქი ვაჩი = კარგი ვაშლი.

- 1,6,21 ფისო წია — კატა ქყავის.
 1,7,9 — დედა ნწალი — წყალი დამალევიანე.
 1,8,5 — დაჯი ტამი — დაჯექი სკანზე.
 1,8,16 — ბუთი ფექი ბურთს ფეხი გავარტყი.
 1,8,19 ვაშლი ჟამეა — ვაშლი მჟაფეა.

სამსიტყვიანი წინადადებები:

- 1,7,29 — მამიკო. ბაბუა სოკოლა — მამა, ბაბუამ შოკოლადი მო-
 მიტანა.
 1,8,0 — ბაბუა, მამიკო ტუმ-ტუმ — ბაბუა, მამამ გიტარა დაუკრა.
 1,8,1 — დედა, პული კალალი — მომე პური და კარაქი.
 „ — დედა, მაწონი ჩამე — მაწონი ნაჭამე.
 1,8,3 — დედა, ადე მე — ხელში ამიყვანე.
 1,8,26 — დედა, ბუზი ქელი — ბუზი დამაჯდა ხელზე
 1,9,20 — გადაუდე ქული თამაზი — ქული გადამივარდა თავიდან.
 1,9,22 — დაჩექე შესა თამაზი — მე შეშა დაეჩხებე.

ოთხსიტყვიანი წინადადებები:

- 1,7,22 — დაჯი ჰეპელა, ოლი ჰეპელა — ორი ჰეპელა. დაჯდა.
 1,7,24 — ადიო ტომ-ტომ ბუძია — რადიოში ბიძია ლაპარაკობს.
 1,8,0 — ბებია, ჩაი პული ჰე — ჩაი დამალევიანე და პური მაჭამე.
 1,8,9 — ნანა ეზოსი, მოდი ჩხარა — ნანა ეზოშია ამოვიდეს ჩქარა.
 1,9,7 — დედა, თამაზი კენჭები დაქატა — თამაზიმ კენჭები დახა-
 ტა (სინამდვილეში ერთად დააწყო).
 1,9,23 — დასხი ცოტა ჩაინიკი წყალი — დედას ეხვეწება ჩაიდნიდან
 წყლის დასიმას.

მრავალსიტყვიანი წინადადებები:

- 1,8,8 — დედა, დედა, ბაბუა ულაა, ულაა, თადილი, თადილი, ბა-
 ბუა თადილი ულაა, ულაა (ბებიათ თქვა: ბაბუამ სადი-
 ლი გაათავაო, მივიდა თამაზი დედასთან და ასე მოუყვია).
 1,8,14 — აკოცო ძუძუ, აკოცო. ალალ ალი ძუძუ ნოჩა (დედამ ძუ-
 ძუს გადააჩვია. თამაზი ეხვეწება მხოლოდ ვაკოცებ, მო-
 ვეფერები და არ მოვწოვო).
 1,8,22 — ნანა დიდი პირო, ამუ ტამე (თამაზის ხილი შექაძა ნა-
 ნამ. თამაზი მიყვება ამ ანბავს).
 1,8,25 — სიმინდი, ბელი, წითელი სიმინდი. ელთი, ოლი, ქუთხი,
 სამი, ოთხი, ექსი სიმინდი...

1,8,26 -- ჩემო დედიკო, მიეცი თამაზის პამიდორი. დედა კვადია მიეცი თამაზის პამიდორი.

„ — ტადი (წადი) ბუზი, ვავა, იძინამს თამაზი (ძილის წინ ბუზმა უკბინა).

1,9,17— დედა. ახლა პული ძაგლი ქამოს. თამაზი აქამე (ძალღს პური აქამა).

აქ მოტანილი მაგალითების ანალოგიურს მრავლად ვხვდებით ამავე ნაშრომში მოთავსებულ დღიურში. მოტანილი მაგალითებიდან შეიძლება ამოიჩხეს ისეთი წინადადებები, სადაც არსებითი სახელის არსებით სახელთან შეერთებას აქვს ადგილი (დედა ნწალი, ბუთი ფეჭი და სხვ.). ასეთ წინადადებათა ფორმალური განხილვა მეტს არაფერს იძლევა, მაგრამ თუ ბავშვის თვალსაზრისზე დავდებით და ანგარიშს გავუწევთ იმას, თუ რა სურდა მას ამ სიტყვებით ეთქვა, მაშინ ამ სიტყვებში უთუოდ უნდა ვიგულისხმოთ ზმნაც, რომელიც ბავშვმა ნათქვამ წინადადებას ველარ დაუმატა (დედა წყალი დამალევიან; ბურთს ფეხი გავარტყი და სხვ.). ორსიტყვიან წინადადებებში ჩვენ ვხვდებით არსებითი სახელის ზმნასთან, ზედსართავ სახელთან, ნაცვალსახელთან და რიცხვით სახელთან შეერთების საკმაო რაოდენობის მაგალითებს.

აღნიშნული და ანალოგიური მაგალითების სინტაქსური თვალსაზრისით განხილვას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ, გარდა იმ წინადადებისა, რომელშიც არსებითი სახელი არსებითს უერთდება, კვლეგან მარტივ წინადადებასთან გვაქვს საქმე, სადაც, როგორც ქვემდებარე, ისე შემასმენელიც არის წარმოდგენილი. ორსიტყვიან წინადადებებში, როგორც წესი, სუბიექტი ანუ ქვემდებარე ყველგან არის წარმოდგენილი. რისი თქმაც შემასმენლის შესახებ არ შეიძლება (სხვაგან შემასმენელი მხოლოდ იგულისხმება).

სამ, ოთხ და მრავალსიტყვიან წინადადებათა ანალიზს აღარ შევუძლებით. ჩვენ მიერ მოტანილი მაგალითების ზერელე გადათვლიერებაც კი საკმაოა, რათა დავინახოთ მათ შორის მხოლოდ სიტყვათა რაოდენობრივი განსხვავებაა. სხვა მხრივ კი ეს წინადადებები თითქმის ერთნაირია. ყოველი წინადადება, მიუხედავად სიტყვათა რაოდენობრივი შედგენილობისა, ორ მთავარ ჯგუფად შეიძლება იქნეს დაყოფილი: 1. წინადადებები, რომელთა შედგენილობაში ისეთი სიტყვაა მოცემული. რომელიც სუბიექტის ან ობიექტის მოქმედებაზე მიგვითითებს (შემასმენელი).

2. წინადადებები. სადაც მოქმედების გამომხატველ სიტყვას. ვერ ვხვდებით, მაგრამ იგულისხმება.

ამ მეორე სახის წინადადებებს (უზმნო) ორსიტყვიან წინადადებებში იშვიათად ვხვდებით, ვიდრე სამ, ოთხ და მრავალსიტყვიან წინადადებებში. ერთის შეხედვით, თითქოს საკვირველიც არის ასეთი გაჩემობა: რადგან მას მაშინ უფრო იშვიათად ვხვდებით, როდესაც ბავშვი სიტყვათა მარაგის მხრივ უფრო ღარიბია. მეორე მხრივ, ამ გამოკვლევებიდან აშკარად ჩანს, რომ ბავშვის მეტყველების განვითარების ხაზი სწორხაზობრივად კი არ მიიმართება, არამედ ერთბაშად (თუ შეიძლება ასე ითქვას) აკეთებს ნახტომს.

ჩვენ მიერ მოტანილი მაგალითები. დაწყებული ორსიტყვიანი და დამთავრებული მრავალსიტყვიანი წინადადებებით, იმაზე მიუთითებს, რომ ბავშვი, რაკი მას მოუგროვდა საკმაო რაოდენობის სიტყვათა მარაგი, „თავისუფლად“ ადგენს წინადადებებს სიტყვათა რაოდენობის მიუხედავად და სრულიად არ გრძნობს უხერხულობას. რომ ამა თუ იმ წინადადებას რომელიმე წევრი: თუგინდ პირველხარისხოვანი (მთავარი) კიდევ აკლდეს.

მაგრამ მაინც ისმის კითხვა: ნუთუ ოთხი და მრავალსიტყვიანი წინადადებები არაფრით არ განსხვავდება ორსიტყვიანი წინადადებებისაგან? განსხვავება, რომელიც თვალში გვხვდება, ისაა, რომ ორსიტყვიანი წინადადების წარმოქმნის დროს ძირითადად თითქოს ბავშვის რაიმე სურვილისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სწრაფვასთან გვაქვს საქმე. სხვა შემთხვევაში კი (მრავალსიტყვიან წინადადებებში), გარდა ამისა, იმასთანაც, რომ ბავშვი აღწერს აღქმულს და ამას მიმართავს როგორც მოქმედების პროცესში, ისე მოქმედების დასრულების შემდეგაც. როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, ხშირ შემთხვევაში წინადადებათა სიტყვიერი ზრდა გამოწვეულია ერთი და იმავე სიტყვის ორჯერ განმეორებით. თუ მოვისურვებთ ასეთ წინადადებათა აზრის სწორად გადმოცემას, იგი ყოველთვის შეიძლება დაყვანილ იქნეს ორ ან უკიდურეს შემთხვევაში სამსიტყვიან წინადადებაზე. წინადადებაში ერთი და იგივე სიტყვების განმეორება მეტწილად იმით არის გამოწვეული, რომ ბავშვი, უპირველეს ყოვლისა. ფაქტის დადასტურების, ობიექტის არსებობაზე მიუთითებს, ხოლო შემდეგ კი იმაზე, თუ როგორია, ან თვითონ რა სურს ამ ობიექტისაგან.

მხედველობის გარეშე არ შეიძლება იქნეს დატოვებული, რომ წინადადება, რამდენი სიტყვისაგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი, ისეა შედგენილი, რომ არავითარ ბრუნვასა და უღლებას ანგარიში არ ეწევა ბავშვის მიერ. ერთ სიტყვას უცვლელად უერთდება მეორე, მეორეს — მესამე და დგება წინადადება. მრავალსიტყვიან წი-

ნადადებაში აქა-იქ ისეთი შემთხვევაც გვაქვს. რომ ერთი სიტყვის დაბოლოება იცვლება რომელიმე ბრუნვაში. მაგრამ სხვა სიტყვები მაინც უცვლელად და თითქოს გაკრისტალებულად თავსდება ერთმანეთის გვერდით. თამაზი. ოამდენ სიტყვიან წინადადებასაც არ უნდა ხმარობდეს, სულ ერთია, თავის თავზე ყოველთვის მესამე პირში ლაპარაკობს. როგორც ორსიტყვიან წინადადებათა შემთხვევაში. ისე აქაც. დროის მიხედვით წინადადებათა დიდი ნაწილი ახლანდელ ღროშია მოცემული. მცირე ნაწილი წარსულს განეკუთვნება, ხოლო მომავალზე არცერთი წინადადება არ მიუთითებს.

*
.

რა დრომდე გრძელდება წინადადებაში ბავშვის მიერ სიტყვათა ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე გამოყენება? ჩვენ მიერ ზემომოტანილი მაგალითებიდან ჩანს. რომ ბავშვი ერთ სიტყვას მეორეს გვერდით უცვლელად ათავსებს ერთი წლისა და ათი თვის ასაკამდე (რაც დღიურებშიც თვალნათლივ არის წარმოდგენილი). ამის შემდეგ თუ რა ემართება ბავშვის მეტყველებას, ამას შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს:

ერთმანეთთან შეთანხმებული სიტყვების მაგალითები:

- 1, 10, 12 — ბაბუა მოდის.
- ბაბუა სოკოლა (შოკოლადი) მომეცი.
- 1, 10, 23 — თალიკომ კაკალი მომიტანა.
- 1, 10, 28 — ბაჭიას აქვს ყურები.
- 1, 11, 7 — ფისოს ძინავეს სახურავზე.
- 1, 11, 29 — ტუზიკამ უკბინა ნანას.
- 1, 11, 30 — ბოვსები მირბიან, ყვირიან.
- 1, 10, 4 — ბაბუას ძინამს, თვალი დაქუქვა.
- 1, 10, 18 — ნანას უკავია ხელსი სოკოლა.
- 1, 11, 11 — ბიძია ლევან, წავიდეთ ეზოსი.
- 1, 11, 12 — მამა წადი, მოიტანე თენგოს წამალი.
- 1, 11, 19 — ქუჩაში ჩვენი მასინა გაცელებულა.
- 1, 11, 25 — მამა ღღეს არსად წახვალ?
- 1, 12, 29 — აჩუა ცალი ფეხით მიდის.
- 1, 10, 17 — დედიკო ავდგეთ, ჩაეცკათ, სადილი ვჭამოთ.

ამ მცირე მაგალითებიდანაც ჩანს, რომ ერთი წლიდან და ათ თვიდან მდგომარეობა ერთბაშად იცვლება. დაწყებული ორ სიტყვიანი და დამთავრებული მრავალსიტყვიანი წინადადებებით. სიტყვათა ბრუნვის მიხედვით ყველგან ერთნაირი მდგომარეობა გვაქვს. მართალია, საბოლოოდ ბავშვი ვერ ასერხებს ყველა სიტყვის ერთმანეთთან შეთანხმებას (განსაკუთრებით მრავალსიტყვიან წინადადებებში). მაგრამ ასეთის ცდას ბავშვი მეორე წლის ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში გაბედულად იწყებს და ყოველდღიურად გარკვეულ შედეგს აღწევს. ამ ასაკში წარმოთქმულ წინადადებებში სიტყვები ურთიერთს უთანხმდება როგორც ბრუნვის, ისე დროისა და რიცხვის მიხედვითაც.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ აქამდე თუ ზოგ წინადადებაში. სიტყვათა შემადგენლობის მიუხედავად. ადგილი ჰქონდა მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების გამოტოვებას. და ისინი უნდა გვეგულისხმებინა, ერთი წლისა და ათი თვის ასაკიდან მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის გარეშე წინადადებას იშვიათად თუ შეეხვდებით. როგორც წესი, წინადადება გამართულია მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრებით და ნაცადია სიტყვათა ურთიერთშეთანხმება ბრუნვის, რიცხვისა და დროის მიხედვით.

ერთი შეხედვით, ამ ასაკში თამაზის მეტყველება თითქმის არც კი განსხვავდება დიდის მეტყველებისაგან, მაგრამ განსხვავება არამცთუ ორი წლის ბოლოსათვის, არამედ კიდევ რამდენიმე წელწადს გასტანს. და ბავშვს სერიოზული წინააღმდეგობების დაძლევა მოუხდება. სანამ მისი მეტყველება განვითარდებოდეს და ჩამოყალიბდებოდეს ისე, როგორც დიდები მეტყველებენ.

რომ დავაკვირდეთ ჩვენი ბავშვის მეტყველების სინტაქსურ მხარეს (ორიდან-სამ წლამდე), ვნახავთ, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული წინადადებების სიტყვიერი შემადგენლობა თანდათანობით ვითარდება. ამ ასაკში იგი უკვე ძირითადად გადასულია სამ, ოთხ და მრავალსიტყვიან წინადადებებზე. სამი წლის დასაწყისში, წინადადებებში სიტყვათა ურთიერთშეთანხმება ბრუნვისა და რიცხვის სწორად გამოყენების თვალსაზრისით ჯერ კიდევ უშეცდომოდ როდი ხდება. მაგალითად: „ბოვსები ჰაჰს, თამასობენ“ 2, 0, 9; „ბიკი ესროლა მგელის, წაქცეული მგელი“ 2, 0, 10; „ბებია მყავდა პოვრები, დამირჩა გაუთხოვრები“ 2, 0, 19. ანალოგიურ წინადადებებს მის მეტყველებაში ხშირად ვხვდებით.

წინადადებაში სიტყვათა ასეთი შეუთანხმებელი წყობა სამი წლის მეორე ნახევრიდან იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. თუ ამ წინადადებებს განვიხილავთ შემადგენელი ნაწილების მიხედვით,

კნახავთ, რომ არასრული წინადადება (რომელსაც შეიძლება აკლდეს, მაგრამ იგულისხმებოდეს ქვემდებარე, შემასმენელი ან ამხსნელი სიტყვა), იშვიათად გვხვდება. თითქმის ყველა წინადადება სრულია და შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი ან რთული.

მარტივი წინადადება, რომელსაც თამაზი მიმართავს, თითქმის ყოველთვის გავრცობილია. გაუვრცობელ მარტივ წინადადებას ბავშვი მხოლოდ მაშინ იყენებს, როდესაც რაიმე კითხვაზე პასუხობს. მაგალითად, თამაზი შეწუხებული სახით მეუბნება: „მამა გასკდა ბურთი“. ვეკითხები „ვინ გახეთქა?“ „თამაზიმ, მე გასკდომე“ (2, 2, 23) მპასუხობს იგი.

სამი წლის ბოლოს, როდესაც მას ეკითხებიან, თუ რად უნდა თვალები? პასუხობს: „რომ დავინახო“. პირი? „რომ ვჭამო“. კბილები? „რომ ვილაპარაკო“. ფეხები? „რომ გავიარო“ და ა. შ. რთული წინადადებები, თავისი შემადგენლობის მხრივ ორი სახისაა: 1. თანწყობილი და 2. ქვეწყობილი. ამ ასაკში ბავშვის მეტყველებისათვის დამახასიათებელია თანწყობილი წინადადებების ხშირი ხმარება. ასეთ წინადადებათა გამოყენების შემთხვევა ბევრია აქ დართულ დღიურში. მოვიტანოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი. თამაზი თხოვს ნანას ფანქარს. „მომეცი რა, ცოტა ხანი მომეცი. შენ უყურე, როგორ დაეწერო აქა: სალამი მამიდა, გამომიგზავნე ყველი, ჭადი, ჩანჩუხა და... სალამი ბაბუა, მომიტანე კამფეტები“ (2, 1, 0, 29); „მამიკო მონი ვიბურთაოთ, აი აქ დადგი სკამი“ (2, 1, 22); „მე ოხრახუმი ვჭამე. ოხრახუმი დაეჭერი და ვჭამე“ (2, 3, 9); „მამა მიყიდის ველოსიპედს, შეეჯდება და გავაკატავებ, შენც შეგაჯენ, შენც, შენც“ (2, 3, 29 მიმართავს იქ მყოფ ბავშვებს); „მე ავიღებ დანას, ჩავიდებ ჯიბეში, წავალ სანადიროდ, მოვკლავ მგლებს, ბაჭიებს, დათვებს. მოვკლავ და გავჭრი და შეეჭამ“ (2, 3, 30) და სხვ.

არაიშვიათია ისეთი შემთხვევა, როდესაც თამაზის ნათქვამ წინადადებაში მიხეზ-შედგობრივი ურთიერთობა ჩანს. ასეთი წინადადებები ჩვენი (უფროსების) თვალსაზრისით შეიძლება არ აღმოჩნდეს ლოგიკურად გამართული, მაგრამ ბავშვი მაინც ცდილობს დასაბუთების თავისებურ ხერხს მიმართოს. მაგალითად: თამაზი ცდილობს დაასაბუთოს თავისი სიტყვით ან სიკარგე შემდეგი წანამიღვრებიდან. „მე კარგი ბიჭი ვარ, იმიტომ რომ ორი წლისა ვარ“ (2, 2, 8). „მე ცუდი ბიჭი ვარ, იმიტომ რომ ცელქი თამაზი ვარ“ (2, 2, 8).

თუ მოვისურვებთ სამი წლის ბოლოსათვის თამაზის მეტყველების სინტაქსურად განხილვას, ასეთ სურათს მივიღებთ:

| ქვე- მდებარე | შემას- მენე- ლი | დამა- რება | განა- ზღუ- რება | დროის გარე- ნობა | ადგილის გარემო- ება | მიზნის გარემო- ება | მიზეზის გარემო- ება | სულ გარემო- ება |
|-----------------|-----------------------|---------------|-----------------------|------------------------|---------------------------|--------------------------|---------------------------|-----------------------|
| 26.3% | 30% | 18.8% | 13.1% | 4.9% | 2.2% | 2.2% | 2.1% | ≈ 11.4% |

როგორც ვხედავთ, რიცხობრივი მონაცემების მიხედვით, პირველი ადგილი შემასმენელს უჭირავს, მეორე ქვემდებარეს, შემდეგი დამატებასა და გარემოებას. ამ უკანასკნელის სახეებიდან პირველი ადგილი დროის გარემოებას უჭირავს. ხოლო თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი ადგილისა და მიზნის გარემოება. როგორც ზეერთადაც აღვნიშნეთ, მართალია ბავშვი პრაქტიკულად იყენებს დროის აღმნიშვნელ სიტყვებს, მაგრამ მათი მნიშვნელობა მის ცნობიერებაში დასული არ არის და მისი ადეკვატური მნიშვნელობის წვდომა და წინადადებაში თავის ადგილზე სწორად გამოყენება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. ჩვენი ბავშვის მეტყველების ანალიზზე მეტად აღარ შეეჩერდებით. როგორც უკვე ითქვა, აქ განხილული მასალა მთლიანად დაფუძნებულია ამ შრომაში მოტანილ დღიურებზე. ბავშვის მეტყველების მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით განხილვის შემდეგ ბუნებრივად ისმის კითხვა. მეტყველების დაწყებიდან სამი წლის ბოლომდე განვითარების რა საფეხურებს გაივლის ბავშვის მეტყველება? აღნიშნული საკითხი ფრიალ საინტერესოა და მასზე ბავშვის მეტყველების მთელ რიგ მკვლევართა თვისი შეხედულება აქვთ წამოყენებული. ჩვენ ვერ შევუდგებით ამ თეორიათა გადმოლაგებასა და კრიტიკას, რადგან იგი ზემოდასახელებულ შრომაში დაწვრილებით გვაქვს განხილული. არამედ შევეცდებით ჩვენი მასალის საფუძველზე წარმოვადგინოთ ბავშვის მეტყველების განვითარებაზე საკუთარი შეხედულება, რაც უდავოდ გამოსკვივის ბავშვის მეტყველების სისტემატური ანალიზიდან. განვიხილოთ მეტყველების განვითარების ჩვენს მიერ დადგენილი სტადიები.

ბავშვის მეტყველების განვითარების სტადიების დადგენის ცდა⁹

მეტყველების განვითარების სტადიების დადგენა, ცხადია ბავშვის მეტყველების შესწავლის საფუძველზე ხდება. როგორც უკვე

⁹ იხ. ჩვენი გამოკვლევა: „ბავშვის მეტყველების განვითარების სტადიები“, ათლავის პედინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. III, 1959 წ.

აღნიშნეთ. ბავშვი იზოლირებულ მდგომარეობაში კი არ იწყებს ენის დაუფლებას, არამედ გარემომცველი სოციალური გარემოს სუ-
ჯავლენითა და დახმარებით. მასთან უშუალო ურთიერთობის საფუძ-
ველზე.

როგორც ერთ-ერთ გამოკვლევაშიც აღნიშნავდით¹⁰, ბავშვი ბგერებითა და მარცვლებით ვერ დაიწყებს მეტყველებას თუნდაც იმიტომ, რომ სოციალურ გარემოში იგი ბგერებს, მარცვლებსა და ცალკეულ სიტყვებს კი არ ისმენს, არამედ წინადადებებს.

როგორც თითქმის ყველა მკვლევარს აქვს აღნიშნული, ბავშვი ცალკე სიტყვების წარმოთქმით იწყებს მეტყველებას, მაგრამ ეს სიტყვა წინადადების ფარდია, წინადადების შინაარსის მატარებელია. ხოლო, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როცა ახალ ასაკობრ. საფეხურზე ბავშვის გაზრდილ მოთხოვნილებათა გამო მისი დამოკიდებულება გარემოსთან იცვლება, ეს დაუნაწევრებელი მეტყველებაც უნდა შეიცვალოს, დანაწევრდეს. ეს მართლაც ასე ხდება და ბავშვი იწყებს ცალკეული სიტყვებით ცალკე საგნებისა და მათი თვისებების აღნიშვნას. რაც შეეხება სიტყვის დიფერენციაციას მარცვლებად და ცალკეულ ბგერებად, ეს უკვე მოწესრიგებული პედაგოგიური პროცესით ხორციელდება სკოლაში ან ოჯახში.

უნდა შეჩერდეს თუ არა მეტყველების განვითარება ამ საფეხურზე? რა თქმა უნდა. არა! თუ აქამდე ბავშვი სოციალური გარემოს წევრებითა და მათთან ურთიერთობით, აგრეთვე მასზე მოქმედი ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების გაცნობით იყო დაინტერესებული, ამიერიდან იგი ობიექტური სამყაროს პასიური მკვრეტელი ვერ დარჩება. იგი აქტიური სუბიექტი ხდება, უპირისპირებს თავისთავს ობიექტური სამყაროს საგნებს, მოქმედებს მათზე. უფრო ახლოს ეცნობა მათ დამახასიათებელ თვისებებს.

რა თქმა უნდა ყოველივე ეს გარკვეულ გამოხატულებას პოულობს ბავშვის მეტყველებაში. ერთ-ერთ გამოკვლევაში, როდესაც ჩვენ განვიხილეთ ბავშვის მეტყველების განვითარების სტადიები. აღნიშნეთ, რომ ფსიქოლოგიურად გაუგებარია მათი ისე დაყოფა. როგორც ეს მის ავტორებს აქვთ მოცემული. არავითარი კანონზომიერება არ ჩანს, თუ რატომ მოსდევს მეტყველების განვითარების

¹⁰ იხ. ჩვენი გამოკვლევა: „ბავშვის მიერ სიტყვის წარმოთქმის დაუფლებების საკითხისათვის“ ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. 11, 1957 წ.

პირველ სტადიას მეორე, ხოლო ამ უკანასკნელს მესამე და ა. შ.

ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის უნდა იყოს, რომ აღნიშნულ მკვლევარებმა არ გაუწიეს ანგარიში და ვერ გაითვალისწინეს პრაქტიკულ-შემეცნებითი დამოკიდებულება ბავშვისა გარემო სინამდვილისადმი¹¹.

ამ პრინციპის საფუძველზე ვნახოთ, ფსიქოლოგიურად როგორ საბუთდება ჩვენთან ბავშვის მეტყველების განვითარება, რა პერიოდებს გაივლის იგი და როგორი კანონზომიერი დამოკიდებულება იქნება ცალკეულ პერიოდებს შორის¹².

ბავშვის მეტყველების დღიურზე დაყრდნობით და იქ მოტანილი მასალის ანალიზის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ დაბადებიდან ოთხი წლის ჩათვლით ობიექტური სინამდვილის პრაქტიკულად შემეცნების პროცესში ბავშვის ფსიქიკური განვითარება სხვადასხვა საფეხურს გაივლის. რომელთაც მეტყველების განვითარების გარკვეული საფეხური შეესატყვისება.

თუ ჩვენ ბავშვის მეტყველების განვითარებას არა ფორმალურად, არამედ შინაარსობრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, მასში ძირ. მხდარ შემეცნებით ცვლილებებთან დაკავშირებით და საქმის ფაქტური ვითარებიდან ამოვალთ, მაშინ ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალის საფუძველზე, ბავშვის მეტყველების განვითარება ოთხ ძირითად სტადიად დაიყოფა.

1. დიფუზური მატყველების სტადია (9 თვიდან 1 წ. 6 თვემდე)

თუ ბავშვის მეტყველების დასაწყისად იმ მომენტს მივიჩნევთ, როდესაც იგი სიტყვის წარმოთქმას იწყებს, მაშინ ჩვენი ბავშვის შემთხვევაში მეტყველების განვითარების პირველი პერიოდი იქნება დაწყებული 9 თვიდან და დამთავრებული 1 წლისა და 6 თვის ასაკით.

რა არის ამ სტადიისათვის დამახასიათებელი?

ზევით, სათანადო ადგილას იყო აღნიშნული, რომ ბავშვის მე-

¹¹ იხ. ჩვენი გამოკვლევა: „ბავშვის მეტყველების განვითარების სტადიები“, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1959 წ.

¹² ჩვენი გამოკვლევა: „ბავშვის მეტყველების განვითარების სტადიები“. შეიცავს დღემდე სხვა ავტორებისაგან დადგენილი მეტყველების სტადიების განხილვას, მათ კრიტიკას და ჩვენ მიერ დადგენილი სტადიების დაწვრილებით დასაბუთებას. რადგან ეს გამოკვლევა განოუქვეყნებულა, ამიტომ აქ ძალიან შემოკლებით ვიხილავთ ჩვენ მიერ დადგენილი სტადიების შინაარსს.

ტყველების ამ სტადიას ერთსიტყვიან წინადადებათა პერიოდს უწოდებენ. იგი იმით ხასიათდება, რომ ბავშვი წარმოთქვამს ცალკე სიტყვებს და თითოეული ამ სიტყვათაგან მთელს წინადადებას ნიშნავს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ამ ერთი სიტყვით ბევრი ისეთი შინაარსი აღინიშნება, რომელთაც ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. ეს უწინარეს ყოვლისა, იმაზე არის დამოკიდებული, თუ რა მოთხოვნილება აქვს ბავშვს ამჟამად მოცემულ კონკრეტ სიტუაციაში. ბავშვის მიერ წარმოთქმული სიტყვებიდან სხვადასხვა მნიშვნელობის მქონეა არა მარტო არსებითი სახელები, არამედ ზმნებიც. გარდა ამისა, არსებითი სახელი ხშირად გამოყენებულია ზმნის მნიშვნელობით და პირიქით. როდესაც ბავშვი ისწავლის რომელიმე საგნის აღმნიშვნელი სიტყვის წარმოთქმას, ამ უკანასკნელს იგი იყენებს სხვა მსგავსი და ზოგჯერ არამსგავსი საგნების აღსანიშნავადაც. ბავშვის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც ცალკე სიტყვებს კი არა, არამედ წინადადებაებს წარმოადგენს, არც მარტო სუბიექტურ და არც ობიექტურ მდგომარეობას არ გამოხატავს. ბავშვის ერთსიტყვიან წინადადებაში სუბიექტი და ობიექტი ერთდროულად და განუყოფლად არის მოცემული, რათა შემდეგში ისინი ურთიერთს გამოეყვანენ და ცალკე ჩამოყალიბდნენ.

ყოველივე ამას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ბავშვის მეტყველება დასაწყისში დაუნაწევრებელია; დიფუზუოია და გარკვეული დრო არის საჭირო იმისათვის, რათა ამ მეტყველების დიფერენციაცია მოხდეს.

შეიძლება თუ არა მეტყველების ეს სტადია საყოველთაო სტადიად ვალიაზროთ ყველა ბავშვისათვის 9 თვიდან 1 წ. და 6 თვის ასაკში? რა თქმა უნდა, ასეთი რაიმეს მტკიცება არ იქნებოდა მართებული. დღეისათვის დადასტურებულ ფაქტად ითვლება, რომ სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ზოგი ბავშვი ადრე იწყებს მეტყველებას და ზოგი გვიან; მეტყველების დაწყების აქ მოტანილი ასაკი (9 თვე); მხოლოდ ჩვენი ბავშვის შემთხვევაში გვაქვს დადასტურებული, თორემ სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება უფრო ადრე ან გვიან მოხდეს (10, 11, 12 და ზოგჯერ 14 თვე).

ასევე შეიძლება ითქვას ამ სტადიის ბოლო ასაკის შესახებაც (1 წ. 6 თვე). ასე რომ ჩვენ მიერ დასახელებული ასაკის შემთხვევაში 2-3-4 თვეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, იგი მიახლოებითია (ისევე, როგორც დანარჩენი ქვევით მოტანილი სტადიების ასაკის შესახებ შეიძლება ითქვას) და მისი მერყეობა (ასაკის მიხედვით) ყოველთვის არის მოსალოდნელი. რაც შეეხება თვითონ მეტყვე-

ლების სტადიას (დიფუზურს). იგი ყოველი ეროვნების ბავშვის მიმართ ძალაში რჩება. მეტყველების დამწყები ყოველი ბავშვი გაივლის დიფუზური მეტყველების სტადიას; იგი აუცილებლად ერთსიტყვიან წინადადებათა წარმოთქმით დაიწყებს მეტყველებას და გაგრძელდება მანამ, სანამ ბავშვის მეტყველებაში ობიექტური სამყაროს შემეცნების საფუძველზე ახალი ეტაპი არ დაიწყება, სანამ იგი შინაარსობლივად არ გამდიდრდება და ამის საფუძველზე არ დაიწყებს თავისი აზრის ჩამოყალიბებას ორ და სამსიტყვიან წინადადებებში.

2. მენტალური განვითარების უმჯობესი სტადია ობიექტის
.ბავშვობის სტადია. (1,6 წ.—2 წ.).

მეტყველების განვითარების ამ საფეხურზე დიფუზური მეტყველების დიფერენციაცია ხდება; ერთსიტყვიანი წინადადების ნაცვლად ბავშვი თავის აზრს ორ, სამ და მრავალსიტყვიან წინადადებებში აყალიბებს. ბავშვი მთელი თავისი ძალებით ობიექტური სამყაროსაკენაა მიმართული. გარკვეული საგნები გავლენას ახდენენ ბავშვზე და აინტერესებენ მას. ბავშვი კითხულობს ამ საგანთა თვისებების შესახებ და ეცნობა მათ, სწავლობს ამ საგანთა სახელებს, ყოველივე ამის შედეგად სწრაფად იზრდება მისი სიტყვათა მარაგი.

მეტყველების განვითარების აღნიშნულ სტადიაზე ბავშვის აქტმა, შეფასება (კარგია, ცუდია), სხვადასხვა კითხვები, თხრობა წარსულის შესახებ, სურვილები და სხვა, ყველაფერი მიმართულია ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების დაუფლებისაკენ. ბავშვის სიტყვათა მარაგის 88,6% ზემოდასახელებულ კატეგორიებს განეკუთვნება. ამ ასაკში ბავშვი არამცთუ დამოუკიდებლად დაიარება, არამედ კიდევ დარბის, თითონ მიდის საგნებთან, ეხება მათ ხელით, ათამაშებს, ისვრის, ამტარებს და სხვ. ერთი სიტყვით, მკვიდრო კონტაქტს ამყარებს ობიექტური სამყაროს საგნებთან.

ამიერიდან ბავშვი აღარ კმაყოფილდება თავისი აზრის ერთსიტყვიან წინადადებაში ჩამოყალიბებით. იგი ერთსიტყვიანი წინადადებიდან თანდათანობით კი არ გადადის ორ, სამ და მრავალსიტყვიან წინადადებებზე, არამედ ერთბაშად. აღსანიშნავია, რომ სამ და მრავალსიტყვიან წინადადებებზე გადასვლა იმას არ ნიშნავს, რომ იგი ორსიტყვიან წინადადებებს აღარ უბრუნდებოდეს. სამ და მრავალსიტყვიან წინადადებებში ზმნის აღნიშნული სიტყვები ხშირად გამოტოვებულია. ერთი შეხედვით აქ მრავალ სიტყვათა უბრალო თავის მოყრაა, სადაც თითოეული სიტყვა მეორეს გვერდით

ყოველგვარი ცვლილებების გარეშე თავსდება, როგორც ცალკე მოლიანი ერთეული. ეს წინადადებები მარტივია და შედგება ქვემდებარის, შემასმენლისა და დამატებისაგან. წინადადების წარმოთქმისას დროს, რიცხვს და ბრუნვას ანგარიში არ ეწევა. ორსიტყვიან წინადადებებში ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია, ზმნა კი აწმყო დროში. სამსიტყვიან წინადადებაში დამატებაც სახელობით ბრუნვაში იხმარება. ამ ასაკში ბავშვი თავისთავზე ყოველთვის მესამე პირში ლაპარაკობს, რა თქმა უნდა, სოციალური გარემოს ზეგავლენით.

წლისა და ათი თვის ასაკიდან მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლება. წინადადებაში შემავალი სიტყვები ერთმანეთს უთანხმდება ბრუნვის, დროსა და რიცხვის მიხედვით. ამ ასაკიდან მოქმედები: აღმნიშვნელი სიტყვის გარეშე წინადადება არ წარმოითქმება. ყოველი წინადადება გამართულია შემადგენელი წევრების თავის ადგილას გამოყენების თვალსაზრისით.

3. მატყველბაის განვითარებაში უამჯომი სტადია სუბიექტის გამოყოფის სტადია (2—3 წელი)

მეტყველების განვითარების ამ საფეხურზე ბავშვი მარტო ობიექტური სამყაროთი კი აღარ არის დაინტერესებული, როგორც აქამდე იყო, არამედ ობიექტური სამყაროდან სუბიექტი გამოყოფის სუბიექტი და მისი მოქმედება ობიექტის გამოყოფის სტადიაში არსად ჩანდა. ამიერიდან სუბიექტი აქტივობს, მოქმედებს. მას სურს ესა თუ ის საგანი, მოსწონს ან არ მოსწონს, აქებს ან აძაგებს საგანს, ერთი სიტყვით, ყველგან სუბიექტი არის წარმოდგენილი. მაგრამ სუბიექტი განმხოლოებული კი არ არის, არამედ დაპირისპირებულია ობიექტთან. მოქმედებს მასზე და გარკვეულ მიმართებას ამყარებს ობიექტურ სამყაროსთან. ჩნდება ბავშვის „მე“-ს ცნობიერება. მისი სურვილები და მიდრეკილებები მიმართულია ობიექტური სინამდვილის საგნებისადმი. ამიერიდან კიდევ უფრო მეტად მდიდრდება ბავშვის ლექსიკონი ნაცვალსახელებითა და განსაკუთრებით ზმნის პირიანი ფორმების გამოყენებით. მეტყველების განვითარების ამ საფეხურზე ბავშვის, ანუ სუბიექტის მოქმედება და საგანი ცალკე და ერთმანეთის დაპირისპირებულად განიცდება.

სუბიექტის აქტიური მოქმედება ნათლად ჩანს ბავშვის მეტყველების დროს ნაცვალსახელთა და ზმნის პირიანი ფორმების გამოყენებაში. თუ ორი წლის ასაკში მისი მეტყველების 2% ნაცვალსახელებს ეკუთვნოდა, ორიდან სამ წლამდე იგი 12,7%-ს აღწევს.

პირველი პირის ნაცვალსახელი 55,6%-ს უდრის, მეორე პირის 21,1%-ს. ხოლო მესამე პირის 5,7%-ს. კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ჩემი) 13,7%-ს შეადგენს. ხოლო პირველი პირის მრავლობითი რიცხვი 3,7%-ია.

მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების მხრივაც ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს. ორი წლის ბოლოს ბავშვი მოქმედების აღმნიშვნელ 108 სიტყვას იყენებდა, ხოლო სამი წლის ბოლოს მოქმედების აღმნიშვნელ 737 სიტყვას. პირიანი ფორმების ზმნებში პირველი პირის მოქმედება 37,7%-ით არის წარმოდგენილი, მეორე პირისა 34,8%, ხოლო მესამე პირისა კი — 27,4%.

ამ ასაკში საგრძნობლად ვითარდება ბავშვის მეტყველება. იცნობს მისი შინაარსი, ჩნდება მთავარი და დამოკიდებული წინადადებები. ბავშვის მეტყველებაში ხშირად ვხვდებით მარტივ გავრცობილ წინადადებებს. რთული წინადადებები თანწყობილი ან ქვეწყობილია, უფრო ხშირად კი თანწყობილი წინადადებები გვხვდება. შეიძლება ითქვას, რომ მეტყველების განვითარების ამ საფეხურზე დიფუზური მეტყველების დიფერენციაცია უკვე დამთავრებულია.

4. მიმართებათა წვდომის სტადია 3 წლის შემდეგ: ა) სუბიექტურ მიმართებათა წვდომის სტადია. ბ) ობიექტურ მიმართებათა წვდომის დასაწყისი

ამ შრომაში ჩვენ მოვიტანეთ ბავშვის მეტყველების განვითარების მაჩვენებლების ფაქტიური მასალა (დაწვრილებითი დღიური) მხოლოდ სამი წლის მანძილზე. ასევე იქნა ვანხილული ბავშვის მეტყველების განვითარების სტადიებიც.

რომ მკითხველს ბავშვის მეტყველების განვითარების შესახებ დასრულებული წარმოდგენა დაუჩიეს. ამისათვის ძალიან მოკლედ შევჩერდებით მეოთხე — უკანასკნელ სტადიაზეც (თუმცა საამისო მასალა აქ არ მოგვაქვს). რომელსაც ჩვენ კუწოდებთ მიმართებათა წვდომის სტადიას. მიმართებათა წვდომის სტადია სამი წლის შემდეგ იწყება და ორ პერიოდს შეიცავს. ა) სუბიექტურ მიმართებათა წვდომის სტადია და ბ) ობიექტურ მიმართებათა წვდომის სტადია.

რა არის დამახასიათებელი ამ სტადიისათვის? თუ მეტყველების განვითარების მეორე პერიოდი ობიექტურ გამოყოფით ხასიათდება, ხოლო მესამე პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო სუბიექტის გამოყოფა და სუბიექტის და ობიექტის დაპირისპირება, ამ მეოთხე პერიოდისათვის დამახასიათებელი ის არის, რომ ბავშვი ახროვნებითი ოპერაციების მეშვეობით ცდილობს გარკვეული მიმარ-

ოებები დაამყაროს საგნებსა და მოვლენებს შორის. პირველ რიგში ეს მიმართებები სუბიექტურია, ე. ი. ბავშვი ვერ ახერხებს საგნებსა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების დამყარებას, არამედ მეტწილად თავისი მოსაზრებებით და გამოცდილებით სარგებლობს და ყოველივე, რაც იცის, ანალოგიის საფუძველზე საგნებზეც გადააქვს. მაგალითად, ერთ სალამოს, როდესაც შუქი აინთო, თამაზი მოდის ჩემთან და მეუბნება: „მამა, შუქი მოვიდა, ტუესმა დაანთო შუქი“. ცოტახნის შემდეგ მეკითხება: „ტუესი ზევით ცხოვრობს?“ (და მიმითითებს სხვენზე—3, 2, 5). თამაზს დილით დეიდაშვილის ხმა მოესმა მეორე ოთახიდან და უთხრა დედას: „დედა, გათენებულა, ბაიამ გაიღვიძა, გესმის?“ თამაზი წავიდა დეიდაშვილთან მეორე ოთახში, როდესაც იქიდან შემობრუნდა და დედა ისევ ლოგინში ნახა. ეუბნება: „დედა, რატომ არ დგები? გინდა ისევ დამდეს?“ „რომ დამდეს ისევ. გინდა?“ (არა — უპასუხებს დედა) „აბა, რატომ არ დგები?“ (3, 3, 5). თამაზმა თეფშიდან პატარა პამიდორი აიჩრია და შეკვამა. შემდეგ გავიდა უფროს ამხანაგ გურამთან და ეუბნება: „გურამი, მე შევკვამე პატარა პამიდორი. ჩვენ გვაქვს დიდი პამიდორი და იმას ყავს მისი შვილი. მისი პატარა შვილი შევკვამე მე“ (3, 7, 15). ანალოგიური მაგალითების მოტანა ბევრის შეიძლება.

ასეთი მიმართების დამყარების შემდეგ თამაზი თანდათანობით გადადის საგანთა შორის ობიექტურ ანუ მიზეზ-შედეგობრივი მიმართების დამყარებაზე, სადაც ბავშვის სუბიექტური თვალსაზრისი მოხსნილია და იგი ცდილობს თავისი ძალების მიხედვით ობიექტური არსის წედომას. მაგ. თამაზი მიდის დედასთან, უჩვენებს ხელის გულს კი ეკითხება: „დედა, ეს ხელის გულია?“ (კი). „ფეხს აქვს გული?“ (კი). თავს აქვს გული? (არა). „აბა, მითხარი, თუ ამათ აქვთ გული თავს რატომ არა აქვს? (3, 8, 13). ბაკურიანში, სალამოზე ტყეში წავედით, და თამაზი მოწმე იყო იმისა, თუ როგორ დავეკეტეთ ოთახის კარები. თამაზი გზაში დედას ეუბნება: „დედა, ჩვენ რომ ტყეში მივდივართ და სახლი დავეკეტეთ, ხომ შევა ვინმე?“ ჩვენ ხომ დავეკეტეთ სახლი და გასაღები. თან გვაქვს, ეუბნება დედა. „გასაღებით ჩვენ კარები დავეკეტეთ, ახლა კიბეზე რომ ვინმე ავიდეს და ფანჯარა გატეხოს, ხომ შევა სახლში?“ (3, 7, 29). ხილზე გავიარეთ და თამაზმა ნახა, რომ ზოგ ადგილას ფიცრები ჩავარდნილი იყო. დააკვირდა, მომიბრუნდა და მეკითხება: „მამა, ამ ხილზე მძიმე მანქანა რომ გაივლის, ხომ ჩაინგრევა?“ (3, 7, 29). ასეთი მაგალითები ოთხი წლის ბოლოსათვის ბავშვის მეტყველებაში დიდი როდენობით არ მოგვეპოვება, მაგრამ რაცა გვაქვს, იმაზე მიუთითებს, რომ მეოთხე

წელში ბავშვის მეტყველებაში თავს იჩენს საგანთა შორის დახლოებით იმავე მიმართების დამყარების ცდები. როგორც ჩვენთვისაა დიდებისათვის არის დამახასიათებელი.

ჩვენ აღარ შევუდგებით მეტყველებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ სხვა საკითხთა განხილვას. მოტანილი მასალების ანალიზის საფუძველზე, ბავშვის მეტყველების განვითარების სტადიებზე მიხედვით უნდა იქნეს: 1. დიფუზური მეტყველების სტადია (9 თვიდან - 1 წ. 6 თვემდე), 2. ობიექტის გამოყოფის სტადია (1 წ. 6 თვე - 2 წელი); 3. სუბიექტის გამოყოფის სტადია (2 წ. - 3 წ.) და 4. მისართებათა წვდომის სტადია (3 წლის შემდეგ): ა) სუბიექტურ მიმართებათა წვდომის სტადია. ბ) ობიექტურ მიმართებათა წვდომის სტადია.

* * *

აქვს თუ არა რაიმე უპირატესობა მეტყველების განვითარების ჩვენ მიერ დადგენილ სტადიებს სხვა ავტორთა მიერ დადგენილ სტადიებთან შედარებით?

ჩვენ ორიოდ სიტყვით შემდეგ ძირითად მომენტს გავუსვამთ ხაზს:

1. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, მეტყველების განვითარების დასახელებული მკვლევარი ავტორებიდან არც ერთს არ მოუძებნია კვლევის ისეთი ამოსავალი პრინციპი, რომელიც მართლა იძლეოდა შესაძლებლობას. რომ თვალსაჩინო და გასაგები გახადოს ბავშვის მეტყველების განვითარება. სხვა ავტორებთან ბავშვის მეტყველება თავისთავად არსებული ფაქტია. მას არც ხელს უშლის რაიმე და არც ხელს უწყობს. არავითარი ობიექტური პირობა არ არის საჭირო მისი აღმოცენებისა და განვითარებისათვის და არც არავის დახმარებას საჭიროებს იგი.

2. მეტყველების განვითარების ცალკეული სტადიები სტატისტიკურ მდგომარეობაში არის განხილული. ერთი სტადიიდან მეორე არ გამომდინარეობს და ამიტომ გასაგებია, რომ ეს სტადიები სისტემის სახით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მხოლოდ რიგითი თანამიმდევრობის მიხედვით, სადაც ერთ სტადიას მექანიკურად მოსდევს მეორე, ხოლო ამ უკანასკნელს — მესამე და ა. შ.

3. იმის გამო, რომ აღნიშნულ სტადიათა შორის ლოგიკური კავშირი არ არის, ჩვენ გვეჩვენება. რომ მეტყველების განვითარების პერიოდიზაციაში ეს თვალსაზრისიც უთუოდ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო. ჩვენი გამოკვლევა სწორედ ამ საკითხის გათვალისწინებას ემსახურება.

ბავშვის მეტყველების განვითარების კვლევისათვის ჩვენ მიერ ისეთი პრინციპია მოხაზული, რომელიც საერთოდ. ფსიქიკის განვითარების და, კერძოდ, მეტყველების განვითარების კვლევის რეალურ შესაძლებლობას იძლევა.

მეტყველების განვითარების სტადიებმა ჩვენთან გარკვეულად ჩამოყალიბებული სისტემის სახე მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ცალკეული სტადიები, რომელობითად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ისინი არა მარტო ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ ლოგიკური აუცილებლობის გამო ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ. ეს სტადიები იძლევიან მეტყველების განვითარების იმ დინამიკურ სურათს, რასაც ფაქტიურად აქვს ადგილი. რაც შეეხება მეტყველების განვითარების პირველ დემორე სტადიას, უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ არ გვეგულება ისეთი მკვლევარი, რომელსაც ბავშვის მეტყველების კვლევისას მხედველობიდან გამორჩენოდეს მეტყველების დასაწყისში ბავშვის ერთსიტყვიანი წინადადებები და, აგრეთვე, წლინახევრის ასაკიდან, რომ ბავში საგანთა სახელებს კითხულობს¹³. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ამ მკვლევარს არ გაუხსნია ფსიქოლოგიური ბუნება მეტყველების განვითარების დასახელებული სტადიებისა. ვფიქრობთ, ჩვენთან იგი საკმაო სიცხადით არის წარმოდგენილი, განსაკუთრებით ეს მეტყველების განვითარების მეორე სტადიის შესახებ უნდა ითქვას. აღნიშნული ავტორები დაკმაყოფილდნენ იმის აღიარებით, რომ ბავში ამ ასაკში (1 წ. 6 თვე) სიტყვის სიმბოლურ მნიშვნელობას წვდება (ვ. შტერნი, კ. ბიულერი და სხვ.), ხოლო შემდეგ იგი დაუკავშირეს საერთოდ ბავშვის სიმბოლური ცნობიერების გაღვივებას (ფ. კაინცი).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენთან ეს საკითხი მარტივად წყდება. გარემოში არსებული ობიექტების დიფერენცირებული აღქმისა და შემეცნების საფუძველზე, ცალკეული ობიექტის გამოყოფის შედეგად. ბავში კითხულობს იმ საგნის შესახებ, რომელსაც მასზე რაიმე მხრივ შთაბეჭდილება მოახდინა. ამით ბავში პრაქტიკულად ეუფლება მის სახელს. არავითარ სიმბოლურ ცნობიერებაზე მსჯელობა ამ ასაკში არ შეიძლება.

¹³ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას დიდ ადგილს უთმობენ თავიანთ გამოკვლევებში კ. კოფკა (Основы психического развития, 1934 წ., გვ. 206) და ვონ. შოიშანი (Лекции по экспериментальной педагогике, ч. I, 1911 წ., გვ. 230), მაგრამ საკითხის გადაკრას ვერც ეს ავტორები იძლევიან.

ასევე რეალური შინაარსის მატარებელია ჩვენთან შემდგომი სტადიებიც, რასაც ბავშვის მეტყველების განვითარების დღემდე ცნობილ მკვლევარებთან ვერ ვხვდებით.

* * *

მეტყველების განვითარების თითოეული სტადიისათვის ჩვენ მოტანილი გვაქვს ბავშვის ფიზიკური ასაკიც, როგორც მაგალითად, ლიფუზური მეტყველება — 9 თვიდან — 1,6 თვემდე, ობიექტის გამოყოფის სტადია — 1 წ. 6 თვიდან ორ წლამდე და ა. შ. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მეტყველების დამწყები ყოველი ბავშვი ზუსტად აღნიშნულ ასაკში გამოავლენს მეტყველების იმ მონაცემებს, რომლებიც თითოეული სტადიისათვის არის დამახასიათებელი? რა თქმა უნდა, არა! ზემოაღნიშნული ასაკები მეტყველების თითოეული სტადიისათვის შეეხება მხოლოდ ჩვენს ბავშვს, რომელმაც მეტყველება მართლაც მე-9 თვეში დაიწყო და გაგრძელდა იმ თანმიმდევრობით, როგორც ზევით გვქონდა დახასიათებული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო ყველა ბავშვი ერთსა და იმავე დროს კი არ იწყებს მეტყველებას, არამედ ისინი მეტნაკლებად იგვიანებენ, და არაიშვიათია ისეთი შემთხვევები, რომ ერთი წლის, ანდა წლისა და ორი თვის ასაკში ბავშვს სიტყვის წარმოთქმა არც კი უცდია.

თუ ეს ასეა, გამოდგება თუ არა ჩვენ მიერ დადგენილი ასაკები და სტადიები ყველა იმ ბავშვისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ მეტყველება არ დაუწყიათ?

ჩვენი ბავშვის ფიზიკური ასაკი და მეტყველების განვითარების სტადიები სხვა ბავშვის შემთხვევაშიც შესაძლოა ზუსტად ასევე განმეორდეს, მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ ფიზიკური ასაკი არ დაემთხვეს ერთმანეთს. ფიზიკური ასაკის ცვალება ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ 1) რომელი თვიდან იწყებს ბავშვი მეტყველებას და 2) რამდენ ხანს გრძელდება თითოეული სტადიის ხანგრძლიობა. ჩვენს შემთხვევაში მეტყველების განვითარების პირველი სტადია გრძელდება 9 თვეს, მეორე — 6 თვეს, ხოლო მესამე და მეოთხე — თითო წელს. თუ ბავშვმა მეტყველება დაგვიანებით დაიწყო, ეს აღნიშნული ასაკები თავისთავად გადაიწევს წინ და, მეორეც, თითოეული სტადიის ხანგრძლიობა ზოგისა შესაძლოა დაემთხვეს. ზოგს არ დაჰქირდეს დროის ის ხანგრძლიობა, რაც ჩვენ გვაქვს და ზოგ ბავშვს არც კი ეყოს. ასე რომ, ჩვენ

მიერ დასახლებული ასაკები. სადაც ვლინდება ესა თუ ის სტადია მეტყველების განვითარებისა. ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს.

ახლა კითხვა ეხება თვით მეტყველების განვითარების სტადიებს. შეიძლება თუ არა მათი შეცვლა? დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ სტადიების ცოტა მოგვიანებით დაწყებას შეიძლება ექნეს ადგილი. თორემ, რომ რომელიმე სტადია ბავშვის მეტყველების განვითარების ხაზზე ამოვარდეს ანდა გადაინაცვლოს ერთი ადგილიდან მეორეზე (მაგ. ობიექტის გამოყოფის სტადიამ გადაინაცვლოს დიფუზური მეტყველების ადგილზე, ან სუბიექტის გამოყოფის სტადიაზე, ან სავსებით ამოვარდეს ზემოთ აღნიშნული სტადიებიდან), ეს — ყოველად შეუძლებელია.

მეტყველება ყოველი ეროვნების ბავშვისა, ადრე დაიწყებს ის თუ გვიან მეტყველებას. როგორც წესი, გაივლის მეტყველების ყველა ამ სტადიას და იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ჩვენი ბავშვის შემთხვევაში გვაქვს დადასტურებული. ამდენად, ჩვენ მიერ დადგენილი მეტყველების განვითარების სტადიები ეხება საერთოდ ყოველი ბავშვის მეტყველების განვითარებას, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი წარმოადგენს მეტყველების ონტოგენტური განვითარების სტადიებს.

* * *

როგორი პედაგოგიური დასკვნების გამოტანა არის შესაძლებელი ბავშვის მეტყველების განვითარების განხილვის საფუძველზე?

ბავშვი სოციალურ გარემოში, ადამიანთა საზოგადოებაში იბადება. ბავშვი წაბაძვის საშუალებით ეუფლება იმ მზა ენას, რომლითაც მის გარეშე მყოფი უფროსები ლაპარაკობენ, მაგრამ ბავშვის წამბაძველობა მის ყოველ ასაკში ერთნაირ როლს როდი ასრულებს. როდესაც იგი იწყებს ერთსიტყვიან წინადადებათა წარმოთქმას, უდავოა, ამ სიტყვების თქმას იგი უფროსების ზეგავლენით სწავლობს; მაგრამ როდესაც იგი გადადის ორ, სამ და მეტსიტყვიან წინადადებათა შედგენაზე, მისი ინიციატივა და შემოქმედებაც მკაფიოდ მოჩანს ცალკეული აზრის ჩამოყალიბების დროს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ბავშვი უბრალო გამოძახილი იქნებოდა ოჯახში მყოფი უფროსებისა, იგი თანდათანობით ისევე გაიმეორებდა ყოველივეს, როგორც მოისმენდა და ამდენად დასაუფლებელი და დასაძლევიც ბევრი არაფერი ექნებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ მრავალშვილიან ოჯახში ბავშვები გაცილებით უფრო ადრე იწყებენ მეტყველებას, ვიდრე დედისერთა ბავშვები. ამის მიზეზი კი ის არის,

რომ უფროსი დები და ძმები ოჯახში შემომატებული უმცროსი-სადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ დედ-მამასთან ერთად. უფრო ხშირად ელაპარაკებიან მას და ათამაშებენ. ამყარებენ მასთან მეტყველების საშუალებით კონტაქტს, რაც დადებით გავლენას ახდენს მეტყველების დამწყებ ბავშვზე.

როგორც ზევით სათანადო მასალის განხილვის დროს ვნახეთ, ერთსიტყვიანი წინადადების წარმოთქმის დროს ბავშვი ხშირად ამასინჯებს ამა თუ იმ სიტყვას არასწორი წარმოთქმის გამო. სიტყვის არასწორად წარმოთქმა ბავშვის მიერ ძირითადად ეხება მისი შემადგენელი ფონემების ან გამოტოვებას, ან ჩამატებას, ან ერთი ფონემის მეორით შეცვლას და ან ფონემათა გადაადგილებას. ხშირია შემთხვევა, რომ ოჯახში უფროსები, მოისმენენ რა ბავშვის მიერ დამახინჯებულად წარმოთქმულ სიტყვას, უკვე ბავშვის ენით იწყებენ მასთან ლაპარაკს და იმავე დამახინჯებული სიტყვით მიმართავენ და აიძულებენ განუმტკიცონ მას (რა თქმა უნდა შეუგნებლად) ამა თუ იმ სიტყვის არასწორი წარმოთქმა. ერთი შეხედვით ეს უბრალო მოვლენაა, მაგრამ მას შეიძლება მოჰყვეს ძალიან ცუდი შედეგი და მთელი წლების მანძილზე ბავშვმა ვერ მოახერხოს რომელიმე ფონემის დაუფლება, რის გამოც ის სიტყვაც არ წარმოითქმება სწორად, სადაც ეს ფონემა იქნება წარმოდგენილი. ამისათვის აუცილებელია, რომ უფროსები ოჯახში ბავშვის ენით კი არ ლაპარაკობდნენ, არამედ სწორი. გამართული ლიტერატურული ენით, რათა მეტყველების კულტურას, სალიტერატურო ენით ლაპარაკს ბავშვი თავიდანვე მივაჩვიოთ. რა თქმა უნდა, ყველა მშობელს ჩვენ ჭერ კიდევ ვერ მოვთხოვთ წმინდა ლიტერატურული ენით ლაპარაკს ოჯახში, მაგრამ იმას მაინც უნდა მივალწიოთ, რომ უფროსებს არ ჰქონდეთ შემოღებული „ორნაირი“ ლაპარაკი—სახელდობრ: დიდებთან ჩვეულებრივი მეტყველება, ხოლო ბავშვებთან კი — „ბავშვის ენაზე“ მეტყველება. თუ ბავშვი ისმენს მის ირგვლივ ლიტერატურულ მეტყველებას, ის სწრაფად იჭერს და ითვისებს სხვადასხვა სიტყვათა წარმოთქმის თავისებურებებს და უზრუნველყოფს შედარებით ნაკლები სიძნელეებით დაუფლოს იგი სიტყვათა ლიტერატურულ წარმოთქმას. თუ ყოველივე ეს უფროსებისაგან მხედველობაში არ იქნება მიღებული, მეტყველების ასეთი დეფექტების შემდგომი გამოსწორება სპეციფიკური ზომების მიღებას საჭიროებს.

სავსებით ბუნებრივია, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში (საბავშვო ბაგებში, სახლებსა და ბაღებში) მომუშავე აღმზრდელე-

ბი კარგად უნდა იყვნენ დაუფლებული ლიტერატურულ მეტყველებას. რათა, ერთი მხრივ, განამტკიცონ ოჯახის მეტყველებითი ზეგავლენა ბავშვზე, ხოლო მეორე მხრივ კი, დაიცვან ბავშვები არალიტერატურული მეტყველებისაგან, რომელსაც ბავშვი ხშირად ისმენს ოჯახისა და საბავშვო დაწესებულების გარეშეც.

თუ უფრო ადრე არა. ბავშვი ორი წლიდან მაინც კარგად გრძნობს თავის და დიდის მეტყველებას შორის განსხვავებას. ბავშვი იმასაც გრძნობს, რომ ყოველ სიტყვას სწორად ვერ იმეორებს, ე. ი. ისე როგორც ამას დიდები წარმოთქვამენ. ბავშვი ცდილობს დიდებს სწორედ ისე წაბადოს, როგორც მათგან ისმენს. ჩვენთან დედამ სტუმრად მოიყვანა თამაზის დეიდაშვილი. გოგონა (დიანა — 2 წლისა და 2 თვის ასაკის) ბგერა „კ“-ს ვერ ამბობდა და მე „ტატოს“ მეძახდა (ნაცვლად კაკო-სი), ხოლო კაკალს — „ტატალს“. მე ვუთხარი რომ უნდა თქვას კაკო და არა „ტატო“. მან მიპასუხა: „ვიცი ძია ტატო, მაგრამ ვერ ვამბობ“. როდესაც ბავშვის მეტყველებაში ასეთ არასწორ წარმოთქმას შევნიშნავთ, არ უნდა დავცინოთ მას. დაცინვამ შეიძლება ბავშვი სულ ჩაკეტოს თავის თავში, დაიმორცხვოს და ისეთი სიტყვების წარმოთქმის შიშიც გაუჩნდეს, რასაც აქამდე სწორად ამბობდა. პირიქით — შექება, მოფერება და მოწონება მისი ლაპარაკისა ათამამებს და გამბედავს ხდის ბავშვს, რის საფუძველზეც ის თვითონაც შეეცდება შემჩნეული დეფექტის გამოსწორებას. არა ერთი და ორი შემთხვევა არის იმისა, რომ არასწორად წარმოთქმულ სიტყვებს ბავშვები თვითონ უსწორებენ ერთმანეთს.

როგორც ზევითაც ვნახეთ, სწორად წარმოთქმული სიტყვა ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვი დაუფლებულია სიტყვაში შემავალ ყველა ფონემას. ამ ერთი სიტყვის შემდეგ შეიძლება მეორე სიტყვაში ბავშვმა დაამახინჯოს სწორედ ის ფონემა, რომელიც ეს ეს არის სწორად თქვა. ამ ფაქტსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც მშობლებმა და უფროსებმა. ისე განსაკუთრებით საბავშვო დაწესებულებათა აღმზრდელებმა და უნდა გააძლიერონ ბავშვზე ზემოქმედება.

მეტყველების ფონეტიკური მხარის დაუფლებას ყველა ბავშვი ერთსა და იმავე ასაკში ვერ მოახერხებს. თუ ოჯახში თავიდანვე ლიტერატურული ენით მეტყველებენ, შესაძლოა ბავშვმა ორი საწი წლის ასაკში უკვე დაძლიოს ყველა ფონემა, მაგრამ არაიშვიათია ისეთი შემთხვევაც, რომ ზოგი ბავშვი ხუთი, ექვსი და შემდეგ წლებშიც ვერ ახერხებდეს ყველა ფონემის სწორად წარმოთქმას სიტყვაში. ჩვენი აზრით, თუ რაიმე ორგანულ ნაკლთან არა გვაქვს

საქმე, ბევრათა არასწორად წარმოთქმის მიზეზი მაინც ის ვიწრო სოციალური გარემოა, რომელშიც ბავშვმა დაიწყო მეტყველება. ასეთ შემთხვევაში მშობლებმა ან აღმზრდელებმა უნდა მიმართონ ლოგოპედის რჩევა-დარიგებას, სპეციალური ზომების მიღებისა და შემჩნეული დეფექტების დროულად გამოსწორებისათვის.

თუ ბავშვის მეტყველების დეფექტებს უფრო ღრმა ფესვები აქვს (სამეტყველო ორგანოების დეფექტები, სასმენ ორგანოთა დეფექტები და სხვ.), ეს უკვე სპეციალურ მკურნალობას მოითხოვს სათანადო სპეციალისტის მიერ.

ბავშვის მეტყველების განვითარებისა და ლიტერატურული მეტყველების ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული როლი სკოლამდელ დაწესებულებათა კოლექტივს ეკუთვნის. საბავშვო ბავა, საბავშვო სახლი და საბავშვო ბაღი თუ მიზნად დაისახევენ სისტემატურ ზრუნვას მეტყველების კულტურის ჩამოყალიბებისათვის, უდავოა, სკოლას ლიტერატურულად გამართულ ენაზე მოლაპარაკე ბავშვებს გადასცემენ. მეტყველების ფონეტიკას ბავშვები იმდენად სწორად და სწრაფად ეუფლებიან, რამდენადაც მასთან ბევრს ლაპარაკობენ, და ისიც ბავშვისათვის საინტერესო საკითხებზე. სკოლამდელ დაწესებულებათა პირობები ყოველგვარ შესაძლებლობას იძლევიან, რათა ბავშვებმა თავის კოლექტივში ერთმანეთთან სათანადო კონტაქტი დაამყარონ აღმზრდელთა მეთვალყურეობის ქვეშ. ასეთ კოლექტივში ბავშვები სწრაფად ამჟღავნებენ მეტყველების იმ დეფექტებს, რომლებიც მათ გააჩნიათ. მზრუნველ აღმზრდელს არ უნდა გამოეპაროს მხედველობიდან ასეთი შემთხვევები; და თავის დროზე მიმართოს სათანადო ღონისძიებას. მაგრამ უდავო ფაქტია ისიც, რომ მეტყველების დეფექტებიდან თვითონ აღმზრდელი უნდა იყოს დაზღვეული და თვითონ უნდა ლაპარაკობდეს ლიტერატურული ენით. ჩვენს სკოლამდელ დაწესებულებებში არაიშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ აღმზრდელებთან დალაპარაკებისთანავე მიხვდებით, იგი იმერელია, გურული. მეგრელი თუ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხიდან, რადგან მაშინვე თვალში გაცემათ ის კუთხური დიალექტი, რომლის ზეგავლენითაც მან მეტყველება დაიწყო. თუ სკოლამდელ დაწესებულებებში მიჰყავთ ისეთი ბავშვი, რომელიც უკვე რომელიმე კუთხური დიალექტით მეტყველებს, მას შეუძლია მოკლე დროში ლიტერატურული ენით ამეტყველება. თუ აღმზრდელი ამ უკანასკნელს დაუფლებულია, ხოლო თუ პირიქით არის, მაშინ ბავშვში უფრო განმტკიცდება ასეთი კუთხური დიალექტით მეტყველება. ბავშვის მეტყველების სწორად ჩამოყალიბებისათვის არ კარა მხოლოდ ის, რომ აღმზრდელი მეტყველებდეს ლი-

ტერატურული ენით; ამასთანავე საკიროა ისიც, რომ იგი უსწორებდეს ბავშვებს იმ დიალექტიზმებს, რომლებიც ბავშვებს საბავშვო ბალებში მოაქვთ.

ყველა ადვილად ამჩნევს, და განსაკუთრებით სკოლამდელ დაწესებულებათა აღმზრდელები, რომ ზაფხულობით, როდესაც მათი ბავშვები მშობლებს საქართველოს სხვადასხვა სოფელში მიჰყავთ. სულ ცოტა ორი თვის ხანგრძლივობით, ბავშვების დაბრუნების შემდეგ შეცვლილია მათი მეტყველება კუთხური კილოკავების შექრით. აღმზრდელებს ხელახლა უხდებათ მათი მეტყველების, ასე ვთქვათ, გაწმენდა-გასუფთავება და ისევ ნორმალური ლიტერატურული მეტყველებისადმი ბავშვების დაბრუნება. სკოლამდელ დაწესებულებათა აღმზრდელები და ბავშვის მშობლები ხელიხელჩაკიდებული უნდა იბრძოდნენ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის თავიდანვე სწორ რიადგზე დაყენებისათვის.

რაკი მეტყველების განვითარება მის მარტო ფონემატიკურ მხარის დაუფლებაში არ გამოიხატება, ამისათვის ზედმეტი არ იქნება, თუ სხვა ზოგიერთ საკითხსაც შევვხებით.

თუ ჩვენ მიერ ამ შრომაში წარმოდგენილი ბავშვის მეტყველების განვითარების სტადიები ჭეშმარიტებას მოკლებული არ არის, მაშინ ხაზი უნდა გაესვას ამ სტადიათა განვითარებაში ოჯახისა და სკოლამდელ დაწესებულებათა როლს.

როდესაც ბავშვი დიფუზური მეტყველებიდან გადადის ობიექტის გამოყოფის სტადიაზე, როგორც ცნობილია, იგი კითხულობს ყოველ მისთვის საინტერესო საგანთა სახელებს. ძალიან ხშირად უფროსები ბავშვს უსახელებენ სხვადასხვა საგნის სახელებს არა ნამდვილი სახელით. არამედ შეუფერებელი სახელებით (მაგ.: ცხენი — აჩუა; ძაღლი — ამუნი; კატა — ფისო; სავარცხელი — ბაცაბაცა; სიარული — სიასია; გიკბენს — გიკინამს, და სხვა მრავალი). ვფიქრობთ, რომ ბავშვს თავიდანვე უნდა ვუთხრათ ობიექტის აღმნიშვნელი სწორი სიტყვა. შეიძლება ბავშვმა იგი მაშინვე ვერ გაიმეოროს, მაგრამ ამას გადაამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. ამავე ასაკში ბავშვი იწყებს ორ და სამსიტყვიანი წინადადებების გამოყენებას; გარკვეული დროის განმავლობაში ბავშვი სიტყვებს ერთმანეთს ვერ უთანხმებს ბრუნვის, დროისა და რიცხვის მიხედვით. უფროსები, როგორც ეს ამის მოწმე შეიქმნებიან, მაშინვე უნდა ეცადონ ბავშვის მიერ წარმოთქმული წინადადება — მისივე თანდასწრებით სწორად გაიმეორონ. ასეთი ღონისძიება ბავშვს გაუადვილებს სინტაქსური თავისებურების დაუფლებას. არანაკლები დადებითი

შედგის მომცემი იქნება ბავშვისადმი მიშველება, როდესაც იგი მეტყველების განვითარების მესამე სტადიაში (სუბიექტის გამოყოფის სტადია) იმყოფება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდში ბავშვი მიმართავს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს: მომიტანე, გამიტეხე, დამინატე, წამიკითხე და სხვა მრავალი. ასეთ შემთხვევაში უფროსები უნდა ეცადონ, უფრო აქტიური გახადონ ბავშვი ძეგუყველებითი კონტაქტის საშუალებით. მაგალითად: თუ ბავშვი გუწოდებს კაკალს ან თხილს და გვეუბნება „გამიტეხე“, ზედმეტი აოიქნება თუ შევეკითხებით: „რა გაგიტეხო? რით გაგიტეხო? მერე რაღვინდა რომ გავტეხო?“ ან დახატვისა და წაკითხვის შემთხვევაში; „რა დაეხატო? რაზე დაეხატო? რით დაეხატო?“ და სხვ. ამით ჩვენ ბევრ რამეს მივალწევთ, სახელდობრ: მივაჩვევთ ბავშვს აზრის სწორად ჩამოყალიბებას სიტყვების საშუალებით, გავამდიდრებთ მის სიტყვათა მარაგს, მივალწევთ, რომ ბავშვმა ყოველი საგანი და მოქმედება თავისი სახელით აღნიშნოს და ბოლოს ყოველი სიტყვა გამართულად წარმოთქვას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეტყველების განვითარების მეოთხე სტადიას, მიმართებათა წვდომის სტადიას. ამ დროისათვის ბავშვი უკვე საბავშვო ბაღშია, და, თუ აღმზრდელს ეცოდინება მეტყველების განვითარების ამ ეტაპის თავისებურება, მას შეეძლება სუბიექტური მიმართებიდან კონკრეტული და ბავშვისათვის მისაწვდომი მაგალითებით, თანდათანობით გადაიყვანოს იგი ობიექტურ მიმართებათა წვდომაზე. საგნებსა და მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი მიმართებების დამყარებისა და ამ საქმეში აღმზრდელის აქტიური ჩარევისა და დახმარების შედეგად, ბავშვი დროულად მიეჩვევა არა მარტო სწორ, გამართულ ლიტერატურულ ენაზე მეტყველებას, არამედ ბავშვის გარესინამდვილის სწორად ასახვას, ობიექტური საგნებისა და მოვლენების სწორად შემეცნება. და აზროვნებითი ოპერაციების ისე წარმართვას, რომ მას აღარ გაუძნელდეს კონკრეტული მიმართებებიდან თანდათანობით გაცილებით რთული კანონზომიერების აღმოჩენა ობიექტურ სინამდვილეში.

ბავშვის მეტეველებზე დაკვირვების დღიური
(დაბადებიდან სამ წლამდე)

0, 7, 28; ლულუნებს „აღუ-ღულუ“—თამაზი დედას უზის კალთაში და ხტუნავს, დედა ეუბნება: „თამაზ, თქვი დედა“. თამაზი იცინის და ამბობს: „აღუ“. დედა კი უმეორებს, ბავშვი ისევ იცინის და ამბობს: „ღულუ“, მერე ისევ „აღუ-აღუს“ იძახის.

0, 7, 28; ტიტინებს „ამ, ამ, ამ“—ბავშვი დას ნანას უქირავს ხელში და ეუბნება: „აბა თქვი, თამაზიკო „მამა“—ბავშვი ჯერ იცინის, არაფერს არ უპასუხებს, მერე ამბობს „ამ“, ცოტა ხნის შემდეგ ორჯერ ზედიზედ იმეორებს „ამ-ამ“.

0, 7, 28; „აღღუ—თამაზი და ნანა აივანზე თამაშობენ, დედამ გაიარა, დადგა შორიახლოს და უყურებს ბავშვებს, თამაზმა დაინახა დედა, დაყარა სათამაშოები და მთელი ტანით გაიწია დედისაკენ. მოკუმშა ხელები და წარმოთქვა „აღღუ“, „რა იყო შეილო?“ ეკითხება დედა, თამაზი იწევს დედისაკენ, ხელებს იშვერს.

0, 7, 28;—„დიღდა“-ს ამბობს. დედა უახლოვდება, მაგრამ ჯერ არ აპყავს ხელში, ბავშვი სახეშეცვლილია და უფრო მაღალი ხმით იძახის: „დიღდა“. დედას აპყავს ხელში ბავშვი, იგი სრულიად მშვიდდება.

0, 8, 5; ტიტინებს: „დიღდა“ (დედა)—ბავშვს მამა ეთამაშება, დედა კი იქვე საქმიანობს, მაგრამ ბავშვი მას ვერ ხედავს. მამა ეკითხება: „სად არის დედა თამაზ-? ბავშვი თვალთ ეძებს, მოძებნა, სახე გაუბრწყინდა და ამბობს: „დიღდა“. იწევს დედისკენ, ხელებს იშვერს.

0, 8, 5; „დიღდა“—დედა ამზადებს თამაზს სასეირნოდ წასაყვანად. აცმევს სუფთა ტანსაცმელს და ეუბნება: „შენ ახლა წაგიყვან სასეირნოდ“; თამაზი ნერვიულობს, ხელში არ უჭერდება, მთელი ტანით მიიწევს კარებისაკენ, მერე შეუბრუნდება დედას ხელში და ეუბნება: „დიღდა“. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ იმეორებს „დიღდა, დიღდა“.

0, 8, 17; „ტუტუ“—(სასეირნოდ წაყვანა)—ბავშვი დედას სასეირნოდ ყავდა წაყვანილი ქალაქში. როდესაც დაბრუნდნენ, მამა შეეკითხა: „სად იყავი, თამაზ? „ტუტუ“ უპასუხებს ბავშვი და პიტრიალდება კარებისაკენ: „რა ნახე იქ?“ ისევ ეკითხება მამა,— „ტუტუ“ კიდევ პასუხობს ბავშვი. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ეკით-

ხება მამა: „თამაზ, სად გინდა წასვლა?“ „ტუტუ“ პასუხობს თანა-
ზი და მისწვდება ახლოს მდებარე ქუდს, იღებს სელში, ცდილობს
თავზე დაიხუროს და თან კარებისაკენ იხედება, მთელი ტანით
იქით იწევს, იზნიქება და იძახის: „ტუტუ“.

0, 8, 20; „მამა“ (მამა)—თამაზი მამას უზის მუხლებზე და
ფაფას ქამს, ბავშვი ათავენს ქამას, მამა ეთამაშება-აცინებს; შემ-
დეგ დასვამს ტახტზე და ტოვებს, თითონ კი შორიახლოს დგას.
ბავშვმა თვალი გააყოლა, სახე მოეღუშა და შეწუხებულმა დაიძახა
„მამა“. მამა მიუბრუნდა თამაზს, ბავშვი უშვერს ხელებს, იწევს
მამისაკენ. მამას აყავს ხელში და ეკითხება: „რა გინდა, თამაზ?“
ბავშვი არ პასუხობს. თამაზ, თქვი კიდევ „მამა“, ეხვეწება მამა,
თამაზი იცინის, მაგრამ აღარაფერს არ ამბობს.

0, 8, 22; „ამუ“—(ძალღი). ეზოში სეირნობის დროს თამაზი
დიდი ინტერესით და ყურადღებით ადევნებს თვალს ძაღლების
თამაშს, ყუფას. წვიმიანი ღლეა. თამაზი მამამ მიიყვანა ფანჯარას-
თან და რაფაზე დასვა. ბავშვი ფანჯარაში იცქირება, დაინახა
ეზოში მოთამაშე ძაღლები, ძალიან გაეხარდა და ღღეს პირველად
წამოიძახა მათი სახელი: „ამუ“.

0, 8, 22; ამუ (ძაღლის სურათი)—თამაზი და ნანა სხედან
მაგიდასთან და სურათებიან წიგნს ათვალეირებენ. თამაზმა დაი-
ნახა ძაღლის სურათი და თქვა: „ამუ“, „ამუ“.

0, 8, 22; „ამუ“ (მგლის სურათი)—იმავე წიგნში შემდეგ ფურ-
ცელზე მგელია დახატული, თამაზი აკვირდება და იძახის „ამუ“.

0, 8, 25; „ამუ“ (მგლის, მელიის, ძაღლის სურათი)—თამა-
ზი ბებიას უზის კალთაში. ათვალეირებენ სურათებიან წიგნს. გა-
დაფურცლა ბებიან წიგნი, თამაზმა დაინახა ძაღლის სურათი და
სთქვა: „ამუ“. შემდეგ მგელია დახატული. იმაზეც „ამუს“ იძახის,
შემდეგ ფურცელზე მელიის სურათია. თამაზი ამასაც „ამუს“ უწო-
ლებს. „ამუ“, „ამუ“ ამბობს და კმაყოფილებით იღიმება.

0, 8, 30; „დედა“ (დედა). თამაზი დედამ ასაუზმა, შემდეგ
ბავშვი მამას გადასცა, თითონ საქმისთვის წავიდა. ბავშვი ატირ-
და, დედას დაეძებდა თვალით და როდესაც დაინახა, გაიწია მის-
კენ, გაიწოდა ხელები და გარკვევით დაუძახა ხმამაღლა: „დედააა“. სიტყვა
„დედას“ წარმოთქმისას ა—გაგრძელებულად იყო ნათქვამი
ბავშვის მიერ.

0, 8, 30; „მამა“—(მამა). დედამ ფაფა აჭამა თამაზს. ბავ-
შვი კარგ გუნებაზეა: არ ჩერდება, ტრიალებს, უნდა მისვლა მამას-
თან; მამას არ აყავს ბავშვი ხელში. ბავშვი იხრება; მთელი ტანით
მიიწევს მამისკენ და ეუბნება: „მამა“.

0, 8, 30; „ამუ“ (ცხვარი-ძალი). მამას ხელში ყავს აყვანილი თამაზი და ასეირნებს ოთახში. მიყავს იგი ფანჯარასთან. ბავშვი იცქირება ფანჯარაში. მამა დაანახევებს ეზოში ხესთან მიბმულ მეზობლის ცხვარს, რომელიც ბალახს ჭამს. „დაინახე რა არის თამაზ“—ეუბნება მამა. თამაზი დააკვირდება და ამბობს: „ამუ“. მოშორებით მეზობლის ძალი გაირბენს. ეხლა თამაზი შენიშნავს ძალს, გაეხარდება, ხელს იწვდის ძალისკენ და იძახის: „ამუ“-ს. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ იმეორებს ორჯერ: „ამუ“, ამუ“.

0, 8, 30; „ღაღუა“ (დაღურა). თამაზი დეიდას ყავს ხელში აყვანილი და ათამაშებს; ცოტა ხნის შემდეგ დეიდამ ბავშვი დედას გადასცა და თითონ დააპირა წასვლა ოთახიდან. თამაზი მამინე შემოტრიალდა, დეიდასაკენ გადაიხარა, გაუწოდა ხელები, ატირდა და თქვა: „ღაღუა“ (დეიდას მერ სახელად ბავშვობისას „ღაღურას“ ეძახდნენ).

0, 8, 30; „ნანა“ (ნანა).—ნანა ეთამაშება თამაზს, ართობს. ბავშვები იცინიან, ცოტა ხნის შემდეგ ნანა ტოვებს თამაზს და მეორე ოთახში გადის. თამაზი იხედება კარებისაკენ და იძახის: „ნანა“. დამ გაიგონა თავისი სახელი და გახარებული უპასუხებს იქიდან: „რა გინდა, თამაზ?“ თამაზი ისევ იძახის: „ნანა“ (თითქოს გაჯაგრებული). ნანა გამორბის თამაზისაკენ, აყავს იგი ხელში, ეფერება, კოცნის. თამაზი უკვე გაბრწყინებული სახით ილიმება და ამბობს: „ნანა“. ისინი განაგრძობენ თამაშს.

0, 8, 30; „ღაღუა“ (დაღურა).—თამაზის დეიდა დაბრუნდა (ქალაქში იყო გასული) და ბავშვს ტკბილეულობა მოუტანა. თამაზი კმაყოფილებით შეექცევა. დედა ეკითხება: ვინ მოგიტანა ეს კამფეტი, თამაზ? „ღაღუა“, უპასუხებს თამაზი.

0, 9, 2; „ბაბუ“ (ბაბუა). ბაბუა დაბრუნდა სამსახურიდან და თამაზს მოუტანა ტკბილეული და ფუნთუშა. თამაზს ძალიან უყვარს ბაბუა. მის დანახვაზე ალტაცებაში მოდის, ხტუნაობს, იწვეს მისკენ, ხელებს იწვდის და იძახის: „ბაბუ“, თხოულობს, რომ ბაბუამ აიყვანოს ხელში.

0, 9, 2; „ტუტუ“ (მანქანის საყვირის ხმა). თამაზი მამამ წაიყვანა სასეირნოდ ქუჩაში. ზურგს უკან მოესმა მანქანის საყვირის ძლიერი ხმა. თამაზი მთელი ტანით შეხტა, მიიხედა უკან, მერე გააყოლა თვალი მანქანას და თქვა: „ტუტუ“.

0, 9, 5; „ქხი-კხი“ (მამალი). მამა ათამაშებს თამაზს ეზოში; იქვე ახლო ხესთან მეზობლის მამალია მიბმული, რომელიც ხშირად ყვივის. თამაზი შეშინებული მიჩერებია მამალს. ბავშვი საითაც არ წაიყვანა მამამ, იგი თვალს არ აშორებს მას. თავს მამლისკენ აბრუ-

ნებს. კარგა ხნის შემდეგ თამაზი თითქოს დააცქერდა მამალს და წარმოთქვა: „ქხი-თუ-ქხი“. ამ სიტყვაში ძნელი გასარჩევია „ქ“ არის თუ „კ“ ბგერა; ისე კი უნდა ითქვას, ძალიან შერბილებულად წარმოთქვამს საწყის ბგერას.

0, 9, 5. „ტუტუ“ (მანქანა). მძლოლმა ეზოში მანქანა შემოიყვანა გამაფრთხილებელი საყვირის გარეშე. თამაზი ხელს იშვერს მანქანისაკენ და იძახის: „ტუტუ“. ცოტა ხნის შემდეგ ისევ იმეორებს: „ტუტუ“—„ტუტუ“.

0, 9, 12; „ქხი“ (მამლის სურათი)—თამაზი უზის ნანას კალთაში. ისინი მაგიდასთან სხედან და ათვალეირებენ წიგნს. თამაზი ხედავს დახატულ მამალს და ამბობს: „ქხი“.

0, 9, 12; „მე-ვე“—(ცხვარი). თამაზი ეზოში სეირნობის დროს ყოველთვის ინტერესით უყურებდა ცხვარს, მაგრამ არაფერს ამბობდა. დღეს კი, როდესაც მამა დაასეირნებდა, დანახა ცხვარი, ხელი გაიშვირა: მისკენ, გაიცინა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ცოტა ხნის შემდეგ ცხვარმა დაიბლაკლა, თამაზი მიტრიალდა ცხვრისკენ, თითი გაიშვირა და თითქოს გააჯავრაო გაგრძელებულად წარმოთქვა: „მევე“.

0, 9, 12; „მევე“ (ცხვრის სურათი). თამაზმა იმავე დღეს წიგნში რომ ნახა ცხვრის სურათი, წამოიძახა: „მევე“.

0, 9, 15; „ამუნია“ (ძალი). ეზოში ძაღლები თამაშობენ. თამაზი ფანჯრის რაფაზე უზის ბებიას და უყურებს ძაღლებს. ცოტა ხნის შემდეგ იშვერს თითს დიდი ძაღლისკენ და ამბობს: „ამუნია“.

0, 9, 15; „ე-ე“ (თითით აჩვენებს საგანს). ბებიამ ფაფა აქა-მა და შემდეგ თეფში გვერდით გადადო. ამ დროს დედა შემოვიდა. თამაზმა დედას მიუთითა თეფშზე და უთხრა: „ე-ე“.

0, 9, 15; „აბღია“ (ბებია)—თამაზს მამა ათამაშებდა, მაგრამ ბავშვმა მალე მოიწყინა. ამ დროს ოთახში ბებია შემოვიდა. ბავშვმა დანახა, და ხელები გაიშვირა ბებიასაკენ და დაუძახა: „აბღია“.

0, 9, 15; აბუღია (ბებია, ამიყვინე)—მამამ არ მისცა ბავშვი ბებიას. თამაზი ეხლა უკვე გაჯავრებული იძახის და იწვევს ბებიისაკენ, „აბუღია“ „აბუღია“. ეძახის და არ წყნარდება, სანამ ბებია არ აიყვანს ხელში.

0, 9, 21; „ფაფუ-ფაფუ“ (არ არის)—მამამ მოუტანა თამაზს დიდი ფერადი ბუშტი (წითელი). ბავშვს ძალიან გაეხარა, მისცეს ძაფით ხელში, მაგრამ მას ძაფის ბოლო ხელიდან გაექცა. ბუშტი წავიდა მალა და მიეკრო ჰერს, მამამ ჩამოუღო, ისევ

მისცა და კიდევ გაექცა ბუშტი. მამამ ისევ ჩამოუღო და იქვე მიუბა ძაფით სკამზე, სადაც ბავშვი იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ თამაზმა დაარტყა ბუშტის ხელი და გახეთქა. თამაზს ძალიან შეეშინდა ბურთის ხმაზე და ატირდა. „თამაზ სად არის ბურთი?“, ეკითხება მამა. თამაზი უმწეოდ აქნევს ხელებს და ამბობს: „ფაფუ“; „რა უყავი ბურთი?“ ეკითხება ნანა: თამაზი გულდაწყვეტილი ეძებს თვალთ ბუშტის ნაგლეჯს და ამბობს: „ფაფუ“.

0, 9, 21; „დუდუ“ (დოდო). ნანასთან შემოდის მეზობლის გოგონა დოდო და იწყებს თამაზთან თამაშს, (თამაზი ძალიან შეჩვეულია მასთან). როდესაც დოდო წავიდა, თამაზმა მოიწყინა, თვალი გააყოლა და დაუძახა: „დუდუ“.

0, 9, 29; „ბუთი“ (ბურთი). მამამ მოუტანა თამაზს სათამაშო ბურთი. მის სიხარულს საზღვარი არ აქვს: ხტის, იღებს ბურთს და ავლებს, მიუტანენ კიდევ გადაავლებს, იცინის და იძახის: „ბუთი“, მიუტანენ, კიდევ გადაავლებს და ხმამაღლა გაჰკვივის: „ბუთი, ბუთი“ და ა. შ.

0, 9, 29; „ბუტი“ (პური)—დედას ხელში უქირავს თამაზი, ოჯახის წევრები სადილობენ. თამაზი იძახის: „ბუტი“ და ხელს სუფრისაკენ იშვერს, დედა აწოდებს ხან რას, ხან რას, თამაზი არაფერს ხელს არ კიდებს. ბოლოს, პური მიაწოდეს, გაეხარდა. მიიტანა პირთან და დაიწყო ჭამა, თანაც კმაყოფილებით იღიმება.

0, 9, 29; „ბუთი“ (ბუბლიკი)—ბაბუამ სამსახურიდან დაბრუნებისას მოუტანა ბლითი. თამაზს ძლიერ გაეხარდა; იგი ზის ტახტზე ბლითს ათამაშებს, აგორებს და იძახის: „ბუთი“.

0, 9, 29; „ბუთი“ (ვაშლი). ნანამ ვაშლი მიაწოდა თამაზს და ეკითხება: „თამაზ, რა არის ეს?“. თამაზი ართმევს ვაშლს, აკვირდება და ამბობს: „ბუთი“. ამ დროს ვაშლი გაუვარდა ხელიდან. თამაზი იხრება, ყვირის, იძახის: „ბუთი, ბუთი“. ნანა აწოდებს ვაშლს, თამაზი მშვიდდება, იცინის.

0, 9, 29; „ბუთი“ (წითელი ბოლოკი). სამზარეულოში მაგიდაზე აწყვია წითელი ბოლოკი. ბავშვი მისკენ მიიწევს, უნდა აიღოს და ამბობს: „ბუთი“. დედა აწოდებს ბოლოკს. თამაზი იცინის, ამბობს: „ბუთი“ და ბოლოკი მიაქვს პირისაკენ.

0, 9, 29; თამაზი ბებიას შეყავს სამზარეულოში, მაგიდაზე აწყვია ბოლოკი, ხახვი და კართოფილი. ბავშვი იწველის ხელს და იძახის: „ბუთი“. აწოდებენ ბოლოკს, იგი ხელს არ კიდებს, კვლავ იძახის: „ბუთი“, და შეცქერის მაგიდას. უფროსები აწოდებენ ხახვს. იგი უჭერს ხელს და ამბობს: „ბუთი“.

0, 9, 29; „**ბუთი**“ (კართოფილი)—ცოტა ხნის შემდეგ თამაზმა გადაადგო ხახვი, კვლავ მაგიდისკენ იწვდის ხელს და იძახის: „**ბუთი**“. აწოდებენ ხახვს. ის ხელს ჰკრავს. აწოდებენ ბოლოკს, პირი იბრუნა, ხელს ისევ მაგიდისკენ იწვდის და იძახის: „**ბუთი**“. მიაწოდეს კართოფილი; იგი იღებს ხელში კართოფილს, იცინის და იმეორებს: „**ბუთი**“.

0, 9, 29; „**ფაფა**“ (სუფი-წვენი)—დედამ წვენი მოუხარშა, ცოტა დაუსხა თეფშზე და აჭამა. როდესაც თამაზმა გაათავა წვენი კვლავ მოითხოვა. დედას ეუბნება: „**ფაფა**“. დედა ისევ უსხამს და აკმევს.

0, 9, 29; „**ფაფა**“ (ჩაი). სალამოს თამაზი ხედავს, რომ ნანა სვამს ჩაის. თამაზი მიიწევს სუფრისკენ, დაჟინებით მოითხოვს: „**ფაფა**“ და ხელს იწვევს ფინჯნისკენ. მას დატუსხეს ჩაი ლამბაქზე, ბავშვმა დალია, მაგრამ კვლავ იძახის: „**ფაფა**“. მეტს აღარ ასმევენ, იგი ტირის და იძახის: „**ფაფა, ფაფა**“.

0, 10, 8; „**ბაბუა**“ (ტკბილეული მომეცი). ბაბუა ბრუნდება სამსახურიდან. თამაზი დანახვისთანავე იძახის: „**ბაბუ**“, და ხელს იწვდის ბაბუას პორთფელისაკენ. „რა გინდა ბიჭო?“ ეკითხება ბაბუა. „**ბაბუუუ**“—დაჟინებით ამბობს თამაზი და პორთფელს თვალს არ აშორებს. ბაბუა ხსნის პორთფელს, იღებს ტკბილეულს და აძლევს ბავშვს. „**ბაბუა**“, იძახის, გახარებული თამაზი და ათვალეირებს ტკბილეულობას, მიაქვს პირისაკენ.

0, 10, 8; „**ნანა**“—(პალტო მომეცი)—დედა აცმევს თამაზს ტანისამოსს, ამზადებს სასეირნოდ წასაყვანად. ნანას თამაზის პალტო უჭირავს ხელში. თამაზი ეძახის: „**ნანა**“—„რა გინდა თამაზ?“ უპასუხებს ნანა. თამაზი გაჯავრებული უკივის: „**ნანა**“ და თან ხელს იწვდის პალტოსაკენ. ნანა აწვდის პალტოს. თამაზიც მშვიდდება.

0, 10, 8; „**აბუცია**“ (ბები, ფაფა მაჭამე). სეირნობიდან დაბრუნდნენ. ბებიამ საუზმედ ფაფა მოუშხადა. თამაზი ხედავს და უხარია, იძახის: „**აბუცია**“ და იწევს ბებიასაკენ. დედა არ უშვებს: ტანსაცმელს უცვლის, თამაზს ეს არ მოსწონს და გაჯავრებული ყვირის: „**აბუცია**“. დედამ გამოუცვალა ტანსაცმელი. ბებიამ აიყვანა ხელში, თამაზიც მშვიდდება, იცინის და იწყებს საუზმის ჭამას.

0, 10, 14; „**ია**“ (ლია). ნანასთან მოვიდნენ მეზობელი გოგონები დოდო და ლია. დოდო ეკითხება თამაზს ლიანახე: „ვინ არის ეს, თამაზიკო?“ „**ია**“ უპასუხებს თამაზი.

0, 10, 14; „**ბუთი**“ (კვერცხი)—ბებიას მიაქვს სამზარეულოში კვერცხები მოსახარმად. თამაზი დაინახავს და ყვირის: „**ბუთი, ბუთი**“. ბებია აძლევს ერთ კვერცხს. თამაზი იღებს ხელში კვერცხს, აყვირდება. უეცრად კვერცხი გაუფარდება ხელიდან და ტყდება. თამაზი უცქერის იატაკზე გატეხილ კვერცხს და ამბობს: „**ბუთი**“.

0, 10, 14; „**აღია**“ (აღიკა) — შემოდის მეზობლის ბიჭუნა აღიკა და ნანას ელაპარაკება. თამაზი უწვდის ხელებს და იძახის: „**აღია, აღია**“.

0, 10, 20; „**ათუ**“ (აჩუ-ცხენო)—თამაზი ხშირად ხედავს, როდესაც ეზოდან გააქვთ ხოლმე ორთვალათი ნაგავი (რომელშიც ცხენებია შებმული). თამაზი ყოველთვის გაკვირვებით აცქერდება ცხენებს, თუ ახლოს მიიყვანეს, ემინია. მას ხშირად მოუსმენია ორთვალას გამყოლის შეძახილი: „**აჩუ**“. დღეს როგორც კი შემოსული ცხენები დაინახა, თქვა: „**ათუ**“.

0 10, 20; „**მუუ**“ (ძროხის სურათი)—თამაზი და ნანა ათვალეირებენ წიგნს. ძროხის სურათის დანახვაზე, პირველად ამბობს „**მუუ**“-ს ისე რომ ნანას არაფერი უთქვამს, არც უკითხავს.

0, 10, 26; „**თიტი**“ (ჩიტი)—თამაზი მამას უჭირავს ხელში. ისინი ფანჯრიდან იცქირებიან. ხშირად დაუნახავს ბავშვს ფანჯარასთან მოფრენილი ჩიტები, რომლებიც ნამცეცებს შეექცევიან და შემდეგ გაფრინდებიან ხოლმე. დღეააც ჩიტები კენკავდენ და გაფრინდნენ. თამაზმა თვალი გააყოლა და თქვა: „**თიტი**“. „სად არის ჩიტი თამაზ?“ ეკითხება მამა. თამაზი ხედავს ჩიტს ხის ტოტზე, მისკენ იწვდის თითს და ამბობს: „**ეეეე**“.

0, 10, 26; „**ნია**“ (ნია). ნანას ესტუმრა დიდი ხნის უნახავი მეგობარი ნია. მის დანახვაზე ნანამ შეჰკვივლა: „უი, ნია მოვიდა“-ო. თამაზმა შეხედა ნიას და ოდნავ გასაგონი ხმით თქვა: „**ნია**“. შემდეგ უფრო ხმაძალდა გაიმეორა: „**ნია**“ და ბოლოს ხმაძალდა დაჟინებით დაიწყო ყვირილი: „**ნია, ნია**“, და არ გაჩუმდა, სანამ ნიამ არ მიაქცია ყურადღება, მივიდა მასთან და ხელში აიყვანა.

0, 10, 29; „**ბუხ**“ (ჭიქის გატეხვა). თამაზმა უნებურად ხელი წაჰკრა მაგიდაზე ჭიქას, გადმოაგდო და გატეხა. „**ეგ რა ქენი?**“ ეკითხება დედა. თამაზი დასცქერის გატეხილ ჭიქას და ამბობს: „**ბუხ**“. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ბაბუა, თამაზი იშვერს ხელს იატაკისკენ (გატეხილი ჭიქა უკვე აღებულია) და ეუბნება ბაბუას: „**ბუხ**“.

0, 10, 29; „ადე“ (ადექი) — მამა წამოწოლილია ლოგინზე და თვალებს განზრახ ხუჭავს (ძილს იგონებს). თამაზი დედას უჭირავს და ეუბნება: „გაალვიძე კაკო-მამა“. თამაზი ხელს კიდებს მამას, ეწევა და ეუბნება: „ადე-ადე“. მამა არ ღვება, არც თვალებს ახელს. „ადე“ უკვე გაჯავრებული ეუბნება თამაზი.

0, 10, 29; „ა-ა“ (ძინავს). დედა ეკითხება: „თამაზიკო, რას შვება მამიკო?“ თამაზი მიჩერებია თვალებდახუჭულ მამას და ჩუმად ამბობს: „ა-ა, ა,-ა“.

0, 10, 30; „თიტი“ (ყვავები). ეზოში გუნდის ხეებია ფანჯრის გასწვრივ. თამაზმა დაინახა ყვავები ხის ტოტებზე, ხელს იწვდის და იძახის: „თიტი, თიტი“.

0, 10, 30. „თიტი“ (თვითმფრინავი). თამაზი დედას უჭირავს ხელში. ისინი ფანჯარასთან დგანან. ეზოს თავზე თვითმფრინავმა გადაიარა. თამაზი მიჩერებია, მაგრამ არაფერს არ ამბობს. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ორმა თვითმფრინავმა გადაიარა. თამაზმა დაინახა, უჩვენა დედას ხელით და თქვა: „თიტი“.

0, 11, 2; „მინა“ (მინდა). დილით დედა საკმელს უმზადებს თამაზს, თან ეკითხება: „თამაზ, ფაფა გინდა?“. „მინა“ უპასუხებს თამაზი. დედამ თევზზე დაუსხა ფაფა და მაგიდაზე დადგა. თამაზი ხელავს ამას, მთელი ტანით იხრება სუტრისაკენ, ტუჩებს აცმაცუნებს და იძახის: „მინა-მინა“.

0, 11, 2; „ნტა“ (წყალი დამალევინი) — როდესაც საუზმეს მორჩა, თამაზი მიაჩერდა წყლიან გრაფინს და ეუბნება დედას: „ნტა“. დედა ასმევს წყალს. როდესაც თამაზმა წყალი დალია თქვა: „ამნა“.

0, 11, 2; „ამნა“ (მეტი არ მინდა). მამამ კიდევ დაუსხა წყალი ქიქაში და მიაწოდა: თამაზმა თავი მოპირდაპირე მხარეს მიაბრუნა და თქვა: „ამნა“. ახლა იქითა მხრიდან მიაწოდა მამამ წყალი. თამაზმა კვლავ მოარიდა პირი წყალს და „ამნა, ამნა“ გაიმეორა.

0, 11, 7; „დაჯი“ (დაჯექი). თამაზი ლოგინში ზის. ახლადგალვიძებულმა ნანამ წიგნი მიუტანა და სურათებს აჩვენებს ფეხზე მდგომი. „დაჯი“, ეუბნება თამაზი და კაბას სწევს. ნანა განავრდობს ფეხზე დგომას. თამაზი ისევ დაყინებით მოითხოვს: „დაჯი“ და სანამ ნანა არ დაჯდა არ დამშვიდდა.

0, 11, 15; „ფაფა“ (რძე დამალევინი) — დედამ რძე აადულა. ფინჯანში ჩაასხა და მაგიდაზე დადგა გასაგრილებლად. უმზადებს საუზმეს და შემდეგ ხელებს ბანს. თამაზი აჩქარობს, „ფაფა“ ეუბ-

ნება დედას და მიიწევს მაგიდისაკენ. დედა განზრახ აქიანურებს დროს, წინსაფარს აფარებს, თამაზი უფრო დაჟინებით მოითხოვს: „ფაფა“.

0, 11, 15; „ფაფა“ (მაქამე: მაწონი, კისელი, კომპოტი). საერთოდ, როდესაც დედა საუზმეს—საქმელს უმზადებს თამაზს, იგი მოუთმენლად იძახის „ფაფა“-ს, სულ ერთია, რაც უნდა იყოს, დღეს სხვადასხვა დროს რძეს, მაწონს, კისელს და კომპოტს—ყველას „ფაფა“ უწოდა.

0, 11, 19; „ათე“ (შუქი აანთეთ). სალამოს შუქი ჩაქრა, ბაბუამ თქვა; „აანთეთ სანთელიო“. თამაზი იმეორებს: „ათე“ და მოსვენებას არ აძლევს დედას, სანამ სანთელი არ აანთეს. დედამ ცოტა გვიან გაიყვანა თამაზი მეორე ოთახში დასაძინებლად, იქაც ბნელოდა. „ათე“ მოითხოვა მან.

0, 11, 25; „ზიზია“ (ახალი ფეხსაცმელი). დედა ამზადებს თამაზს სასეირნოდ წასაყვანად, მას ახალი ფეხსაცმელი უჭირავს ხელში და ამბობს. „ზიზია“. დედა აცმევს ფეხსაცმელს, მაგრამ თამაზი არ ანებებს. როდესაც ჩააცვა გაეხარდა, იცქირება ფეხებზე, კმაყოფილებით იღიმება და იმეორებს: „ზიზია“.

0, 11, 25; „ბუზ“—(ჩაქუჩის ხელიდან გაეარდნა). ხელში ჩაქუჩი უჭირავს და ყველაფერს ურტყამს, ვითომ აჭედებს. უცებ ჩაქუჩი ხელიდან გაუვარდა, დაეცა ფეხზე, ეტკინა და ატირდა. „რა იყო თამაზ?“—ეკითხება ბებიამ. „ბუზ“ უპასუხებს თამაზი და ჩაქუჩზე უჩვენებს.

1, 0, 3; „ზიზია“ (ახალი წითელი წინდები)—დედამ მოუქსოვა თამაზს წითელი წინდები და ჩააცვა. თამაზს ძალიან მოწონს, ხშირად იცქირება, ვინც შემოდის ყველას უჩვენებს და ეუბნება: —„ზიზია“.

1, 0, 3; „ზიზია“ (ახალი ქუდი)—მამამ ახალი ქუდი უყიდა. თამაზს ძალიან მოწონს, სულ ხელში უჭირავს. ნანამ გამოართვა და თითონ დაიხურა. თამაზი მიწვდა ნანას, ცდილობს ქუდი მოხადოს, ვერ წვდება და ეუბნება: „ზიზია-ზიზია“ არ ისვენებს, სანამ უკან არ დაიბრუნებს.

1, 0, 3; „ფუ“ (ჩააქრე სანთელი)—სალამოს შუქი ჩაქრა. დედამ სანთელი აანთო. მალე კვლავ აინთო შუქი, თამაზი უცქერის ანთებულ სანთელს, ხელით გამოხატავს რაღაც გაურკვეველ მოძრაობას და დედას ეუბნება: „ფუ“. დედა განზრახ არ აქრობს. თამაზი ისევ იმეორებს: „ფუ“ და არ ჩერდება, სანამ სანთელს არ აქრობენ.

1, 0, 10; „ზიზია“ (ყოველგვარი ახალი ტანსაცმელი)—დედა აშხადებს თამაზს სასეირნოდ წასაყვანად. მას ახალი საზამთრო ტანსაცმელი აქვს და თითოეულის ჩაცმას (შარვალი, ხალათი, წინდები, ფეხსაცმელი, პალტო, ქუდი და ხელთათმანები) ბავშვი ცალკე-ცალკე აღნიშნავს: „ზიზია“.

1, 0, 10; „ბუთი“ (მანდარინი)—ბაბუა სამსახურიდან დაბრუნდა. თამაზი გახარებული შეეგება, თან ელოდება რას მისცემს. ბაბუამ მიაწოდა ბლითები. თამაზი ართმევს და ამბობს: „ბუთი“, თან პორთფელს მიჩერებია, საიდანაც ბაბუა მანდარინებსაც ალავებს. თამაზი გახარებული იცინის ართმევს მანდარინებს და იძახის: „ბუთი“.

1, 0, 17; „ტაბუტი“ (ჩაქუჩი)—თამაზს ძალიან უყვარს ჩაქუჩი, თითქმის სულ ხელში უჭირავს, დადის და ყველაფერს აკედებს. ახლაც სკამს აკედებდა, ჩაქუჩი გაუფარდა ხელიდან, ფეხზე დაეცა, ეტკინა და იტირა. მამა ეკითხება: „რა გატირებს თამაზ, რა იყო?“. თამაზი ჩაქუჩზე მიუთითებს და ტირილით ეუბნება: „ტაბუტი“.

1, 0, 17; „გავა“ (მეტკინა, მატკინა, მტკივა)—თამაზი ტირის. მამა ეკითხება: „რა გიქნა ჩაქუჩმა თამაზ?“. „გავა“, უპასუხებს თამაზი ტირილით და აჩვენებს ნატკენ ფეხს.

1, 0, 17; „ბუზხ“—(ჩაქუჩის გადაგდება)—თამაზს ჯერ კიდევ ცრემლები არ შემრობია თვალებზე, იღებს ჩაქუჩს და გაბრაზებული გადააგდებს, ჩაქუჩი ხმაურით დეარდება. თამაზს ტირილი-სიცილად შეეცვალა, იგი გახარებული იძახის. „ბუზხ“.

1, 0, 17; „ტაბუტი“ (ლურსმნის დაქედება)—თამაზი ჩაქუჩით ლურსმნის აკედებს. „რას აკეთებ თამაზ, ლურსმნის აკედებ?“ ეკითხება დედა. თამაზი განაგრძობს „მუშაობას“ და ეუბნება: „ტაბუტი“. უცებ ჩაქუჩი ხელზე დაირტყა და ხელი იტკინა. გაუჯავრდა ჩაქუჩს, ცემს და ეუბნება: „ეეჰ, ეეჰ, ეეჰ“.

1, 0, 18; „ტაბუტი“ (შეშის ჩეხვა)—მამა შეშას ჩეხავს. თამაზი მიდის და უყურებს, აკვირდება, შემდეგ გარბის დედასთან და ეუბნება: „ტაბუტი“. ისევ მირბის მამასთან, უყურებს ალტაცებული და იმეორებს: „ტაბუტი“.

1, 0, 23; „ჰო“ (თანხმობა)—ნანა და თამაზი სხედან მაგიდასთან და წიგნს ათვალეიერებენ. ნანა უხსნის ყველა სურათს. მაგალითად, „ბიჭი მიდის სკოლაში“. თამაზი კი ეთანხმება „ჰო“; —„კატამ თავი დაიჭირა“. „ჰო“, ეთანხმება კვლავ თამაზი და ასე განაგრძობს ყველა სურათზე.

1, 0, 23; „ტაა“ (თვალების ხელებით დამალვა)—თამაზი იფარებს ხელებს თვალებზე და ამბობს: „ტაა“-ს. დედას იგი მიყავს სასეირნოდ და ეკითხება: „სად არის შენი ქული“. „ტაა“ უპასუხებს თამაზი. დედამ ვერ გაიგო რას ამბობს ბავშვი და უმეორებს კითხვას. „ტაა“ პასუხობს თამაზი, მიდის კარადასთან ალებს კარებს და გამოაქვს ქული.

1, 0, 27; „ფაფუ“ (შეეჭამე, აღარ არის)—მამამ თამაზს ვაშლი მისცა და მან მაშინვე დაუწყო ჭამა. როდესაც სულ შეჭამა, მამამ კითხა: „სად არის ვაშლი?“ თამაზი დაცქერის ხელებს გაკვირვებული. „რა უყავი ვაშლი?“ ისევ ეკითხება მამა. „ფაფუ“, უპასუხებს ბავშვი, თან ხელზე-ხელს უსვამს იმის ნიშნად, რომ ვაშლი აღარ არის.

1, 1, 0; „ადიო“ (რადიო). თამაზმა ყურადღება მიაქცია რადიოში სიმღერების გადმოცემას. „რა არის ეს თამაზ?“. ეკითხება დედა. თამაზი უფრო ახლოს მიდის, თითოეულ უჩვენებს და ამბობს: „ადიო“.

1, 1, 0; „ბუჭი“ (ბიჭი). ნანა და თამაზი წიგნს ათვლიერებენ. ნანა უჩვენებს ბიჭის სურათს და ეკითხება: „ეს ვინ არის თამაზიკო?“ „ბუჭი“, უპასუხებს თამაზი.

1, 1, 0; „ბუძია“ (ბიძია)—ოთახში შემოდის თამაზის ბიძა. ნანა წამოხტება და დაიძახებს: „უი ბიძია“. ბიძია თამაზისკენ მიდის, შორიახლოს დგება და უყურებს. „ბუძია“, ეძახის თამაზი და ხელს მისკენ იწვდის.

1, 1, 5; „ქხუ“ (ინდაურის სურათი)—ნანა უჩვენებს ინდაურის სურათს წიგნში და ეკითხება „რა არის ეს?“ „ქხუ“ უპასუხებს. მერე მამა ეკითხება, მამასაც ისევ უპასუხებს: „ქხუ“. წინა კვირაში თამაზი ეზოში ხშირად ხედავდა ინდაურს და ინტერესით აკვირდებოდა, განსაკუთრებით როცა ინდაური აიფხორებოდა, მაგრამ სახელი აქამდე არ უწოდებია.

1, 1, 5; „კუკუ“ (მამალი). აქამდე მამალს ყოველთვის „კხი“-ს უწოდებდა, დღეს კი, როდესაც დაინახა მამალი, პირველად თქვა: „კუ-კუ“. ცოტა ხნის შემდეგ დედა შეეკითხა: „რა არის ეს თამაზ?“ „კუკუ“ უპასუხა ბავშვმა.

1, 1, 5; „ტადია“ (კლავდია). მამა და თამაზი ტახტზე სხედან. მამა ეუბნება: „თქვი, თამაზ, კლავდია“. ბავშვი შეყურებს დედას და სიცილით ამბობს: „დედა“. „ვინ ვარ მე?“ ეკითხება დედა. „ტადია“, უპასუხებს თამაზი, თანაც კისკისებს. ცოტა ხნის შემდეგ დედამ მას გვერდით ჩაუარა, მაგრამ არ შეჩერებულა თა-

ზახთან. თამაზმა დაუძახა: „ტადია“. დედამ არ მოუხედა. თამაზი კვლავ იჩეორებს: „ტადია, ტადია“ და მანამ იძახოდა, სანამ დედა არ მივიდა მასთან.

1, 1, 8; „ღძე“ (რძე)—დედამ საუზმე მოუშზადა და ეძახის: „მოდი, თამაზ, რძე დაგაღვეინო“. თამაზი თავს ანებებს თამაშობას, დედისკენ გარბის და ამბობს: „ღძე, ღძე“.

1, 1, 8; „ქხა-ქხი“ (ხახვი). თამაზი და ნანა ერთად თამაშობენ. თამაზს გამოაქვს სამზარეულოდან ხახვის თავები და უყრის ნანას კალთაში, ნანა უჯავრდება და ეუბნება: „წაილე ეხლავე უკან“. თამაზს არ მიაქვს. ნანა დგება და მიდის სამზარეულოსაკენ, თამაზი მისდევს და ყვირის: „ქხა-ქხი“. ნანა აძლევს მას რამდენიმე თავ ხახვს. თამაზს უხარია, იცინის და ამბობს: „ქხა-ქხი“, „ქხაქხი“.

1, 1, 8; „ტადი“ (ქადი)—თამაზი თავის. მაგიდასთან ზის და სადილობს. სასადილო, მაგიდაზე ქადები აწყვია. თამაზმა ეს დაინახა, და როდესაც მას პური მისცა დედამ, თამაზი გაჯავრებული ამბობს: „ამნა“ და პურს ხელს არ ჰკიდებს. „აბა რა გინდა?“ ეკითხება დედა. „ტადი“ უპასუხებს თამაზი. დედა აძლევს ქადს, თამაზი კმაყოფილებით ართმევს და ქამს.

1, 1, 13; „ბაბტი“ (ბატი). ნანა უჩვენებს ბატის სურათს და ეუბნება: „თამაზ, აი ბატი“. თამაზი უცქერის, იცინის და იჩეორებს: „ბაბტი“.

1, 1, 18; „კლა-კლუ“ (კაკო)—„თამაზ, დღეს კაკო მამა წაგიყვანს სასეირნოდ“ ეუბნება დედა. თამაზი შეხედავს მამას და ამბობს: „კლა-კლუ“ მერე იღებს პალტოს და ქუდს ხელში და მიდის მამასთან, უშვერს ხელებს და ეუბნება: „კლა-კლუ“. „მე რა მქვია?“ ეკითხება მამა. „კლა-კლუ“, ისევ უპასუხებს ბავშვი, და თან კარებისკენ მიიწევს, ეჩქარება სასეირნოდ წასვლა.

1, 1, 18; „ფუ“ (ხელების გაჭუჭყიანება)—თამაზმა გაიჭუჭყიანა ხელები მტვრით. „რა არის ეგ?“ ეუბნება მამა, თამაზი დააჩერდება ხელებს და ამბობს: „ფუუ“. „წადი ახლავე დაიბანე ხელები“. თამაზი მირბის დედასთან, უჩვენებს ჭუჭყიან ხელებს და ეუბნება: „ფუ“ (აქამდე ამ სიტყვას ხმარობდა მხოლოდ სანთლის ჩაქრობის აღსანიშნავად).

1, 1, 28; „მამა“ (წყალი დამალევიანი)—თამაზი ხედავს წყლით სავსე გრაფინს, იგი მიდის მამასთან. მამას იგი აყავს ხელში, თამაზი მიბრუნდება გრაფინისკენ და ეუბნება: „მამა“. მამა მეორე მხარეს შემოატრიალებს ბავშვს. თამაზი კი ისევ გრაფინისკენ მიბრუნდება და ეუბნება. „მამა“. მამა ასმევს წყალს. თამაზი აღარ უჩერდება ხელში, ჩამოდის ძირს.

1, 1, 28; „ძიძია“ (ძუძუ მაწოვე) — თამაზი და მამა დაბრუნდნენ სეირნობიდან. ბავშვმა დაინახა დედა თუ არა უძახის: „ძიძია“. დედა არ აქცევს ყურადღებას. „ძიძია“, იძახის ისევ და მიიწევს დედისაკენ. დედამ აიყვანა ხელში. თამაზი მიიწევს ძუძუსკენ და იწყებს წოვას (აქამდე ძუძუს წოვას მხოლოდ „დედა-ს თქმით აღნიშნავდა).

1, 2, 5; „ადე-მამა, ადე“ (ადეკი და ამიყვანე ხელში). თამაზი ხალჩიან ზის და თამაშობს. მამაც იქვე უზის, ართობს. თამაზს მოწყინდა თამაში და ეუბნება მამას: „ადე“. მამა ადგა. ბავშვი არ კმაყოფილდება ამით და კიდევ ეუბნება: „ადე“. „ხომ ავდეკი, ახლა რაღა გინდა?“ ეკითხება მამა. თამაზი ჭირვეულად გაგრძელებული ინტონაციით ეუბნება: „მამა ადე“. მამამ აიყვანა ხელში და ბავშვიც დაწყნარდა.

1, 2, 5; „თათუ“ (დადევ). ნანა ათამაშებს თამაზის დედოფალას. „თათუ“, ეუბნება თამაზი. ნანას მიაქვს თამაზთან დედოფალა, მაგრამ არ აძლევს. თამაზი უმეორებს: „თათუ“ და ხელით ანიშნებს ლოგინზე. ნანა დებს დედოფალას, სადაც თამაზმა უჩვენა. იგი იღებს ხელში დედოფალას და იწყებს თამაშს.

1, 2, 7; „ბაბუა ბუთი“ (ბურთი მომეცი) — თამაზი ბურთს ათამაშებდა. ბურთი გაუგორდა და ტახტის ქვეშ შეგორდა. „ბუთი“, იძახის თამაზი და იწყებს ბურთისაკენ. მიდის ბაბუასთან, კიდებს ხელს და მიყავს ტახტთან, ანიშნებს ხელით ტახტის ქვეშ და ეუბნება: „ბუთი“, „მერე რა გინდა?“. ეკითხება ბაბუა. „ბაბუა ბუთი“, ეუბნება თამაზი. ბაბუას გამოაქვს ბურთი. თამაზს უხარია და განაგრძობს თამაშს.

1, 2, 17; „ა-ა-ა-დედა, ა-ა-ა“ — (დედა დამაძინე და შენც მომიწევი). დედამ წაიყვანა თამაზი დასაძინებლად. თამაზი თითქოს მღერისო, გაბმით ამბობს: „ა-ა-ა-ა“. დედამ გახადა და ლოგინში ჩააწვინა, თითონ კი გვერდით მოუჯდა. თამაზი არ ისვენებს და ეუბნება: „დედა ა-ა-ა“. დედა მიუწევა გვერდით. თამაზი იწყებს თამაშს, გამოფხიზლდება. წამოხტება ფეხზე და ამბობს: „დედა ადე“. დედა არ ღვება. თამაზი ეწევა დედას, უნდა ააყენოს, დედა უჯავრდება. „ახლავე დაწეკი და დაიძინე“. თამაზი წევა, თან ამბობს: „ა-ა-ა“.

1, 2, 22; „ბაბუა ბუთი“ (ბლითი მომეცი) — ბაბუამ ბლითები მოუტანა და შორიდან დაანახა. თამაზმა დაინახა თუ არა, გაეჭანა ბაბუასკენ და ერთი „წაართვა“, მერე უჩვენებს დანარჩენებს და ეუბნება: „ბაბუა ბუთი“.

1, 2, 22; „ნანა ადე“ (ადეკი და წადი)--ნანა და თამაზი თამაშობენ. ნანა აჯავრებს, აწვალებს. თამაზს ეს არ მოსწონს და უჯავრდება ნანას: „ნანა ადე“. ნანა არ ღგება. „ადე“, ეუბნება ბრძანების კილოთი და არ ისვენებს, სანამ ნანა არ მოშორდება.

1, 2, 22; „დედა ბუთი“ (ბლითი მომეცი)—თამაზი ხედავს, რომ მაგიდაზე, თევზზე ბლითები აწყვია და თხოულობს: „ბუთი“. ყურადღებას არავენ აქცევს, მიდის დედასთან და ეუბნება: „ბუთი“. დედას არ სცალია, თამაზი წაავლებს კაბაში ხელს და მიყავს მაგიდასთან, უთითებს ბლითებზე და ეუბნება: „დედა ბუთი“.

1, 2, 25; „ნანა-აა“ (ბურთი მომეცი)—ნანა თამაზის ბურთით მარტო თამაშობს. თამაზს ეტყობა არ მოსწონს და უძახის: „ნანა“: „რა იყო, თამაზიკო?“, ეპასუხება ნანა, მაგრამ თამაზს არ წყვეტს. „ნანა-აა“. გაჯავრებული უძახის თამაზი. ნანა განაგრძობს თამაშს. მაშინ რაც ძალი და ღონე აქვს ხმამალა უყვირის თამაზი: „ნანა-აა“. ნანა მიიბრუნს მასთან და აძლევს ბურთს. (ეს გაგრძელებული „ნანა-აა“ ჩვენის დაკვირვებით რამდენიმე სიტყვის მაგივრადაა ნაგულისხმევი, რადგან აფექტურ მდგომარეობაში შეორე სიტყვა ვერ მოძებნა და ეს გააგრძელა).

1, 3, 5; დედაააა-მამაააა—მას შემდეგ, რაც თამაზმა გაბმულად წარმოთქვა „ნანააა“ და მიზანს მიაღწია, ხშირად ხმარობს ასეთ გამოთქმებს, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც სხვის ხელში ხედავს ისეთ რაიმეს, რაც მას მოსწონს და უნდა მას ჰქონდეს. მაგალითად, მამა კითხულობს ჟურნალ „ნიანგს“. თამაზი უძახის: „მამააა“, და არ მშვიდდება, სანამ მამა არ მიცემს ჟურნალს.

1, 3, 9; „დედა-დაჯე“ (მოდი ჩემთან დაჯექი)—თამაზი მამას უჭირავს ხელში. დედა კი სუფრას აწყობს. თამაზი უტყვროს დედას და ეუბნება: „დედააა“. დედა საქმიანობს და ყურადღებას არ აქცევს. თამაზი უძახის: „დაჯე“. დედა მაინც არ მოდის. თამაზი უკვე გაჯავრებული რაც ძალი და ღონე აქვს გაჰკივის: „დედაა“, და როცა სულს მოითქვამს, იძახის „დაჯე“. დედა მოდის, გვერდით მიუჯდება. თამაზიც მშვიდდება და დედას ეალერსება. მამას კი ყურადღებას აღარ აქცევს.

1, 4, 0; „ლილი“ (ლილი). დედამ წითელი ღილი იპოვა იატაკზე, აიღო და თამაზს უჩვენა: „აი, თამაზ, ღილი“. თამაზმა გამოართვა ღილი, აკვირდება, იცინის და ამბობს: „ლილი-ლილი“.

1, 4, 0; „კაკლუ-კაკლუ“ (კაკო)—მამა მუშაობს ოთახში. თამაზი შედის მასთან და ეუბნება: „კაკლუ“. მამა არ აქცევს ყურადღებას. თამაზი, კვლავ იმეორებს: „კაკლუ“ (აქამდე სახელი მან მხოლოდ ერთხელ წარმოთქვა 1, 1, 18 კლა-კლუ, ახლა კი კაკლუს წარმოთქვამს).

1, 4, 1; „კლუ-კლუ“ (გოგო)—ნანა და მისი ამხანაგი საუბრობენ. ნანამ ამხანაგს მიმართა: „რას ამბობ, გოგო?“ თამაზი იქვე ზის და იმეორებს: „კლუ-კლუ“, თან მიჩერებია ნანას ამხანაგს.

1, 4, 1; დედა, ბაბუა ა-ა, ქხუ-ქხუ“ (ბაბუას ძინავს)—ბაბუამ დაიძინა და ხვრინვა დაიწყო. თამაზი შივიდა ბაბუას საწოლთან და უტყერის გაკვირვებული, მერე მიდის დედასთან და ეუბნება: „დედა, ბაბუა ა-ა, ქხუ-ქხუ“. „რას შვება ბაბუა?“ ეკითხება მამა (მეორე ოთახიდან). თამაზი ახლა მასთან გარბის და ეუბნება: „ბაბუა ქხუ-ქხუ“, „ბაბუა ქხუ-ქხუ“.

1, 4, 3; „მამა-ქხხუ, ნანა ქხხხუ, დედა ქხხხუ“ (ძინავს)—თამაზი ვისაც კი დანახავს წამოწოლილს და თვალგდახუჭულს, ხვრინვა რომ არც ისმოდეს, მაინც იძახის: „ქხუ“. თუ აქამდე იძახდა „ქხუ-ქხუ“, ახლა მის ნაცვლად „ქხხუ“-ს ხმარობს, მაგალითად, ნანა წევს და განგებ ხუკავს თვალებს, თამაზი უყურებს და ამბობს: „ნანა ქხხუ“ და ა. შ.

1, 4, 3; ძუძუ“—დედა ოთახში საქმიანობს, თამაზი დასდევს უკან და ეძახის: „ძუძუ“. დედა ჯდება, თამაზის ისევამს კალთაში და აძლევს ძუძუს. თამაზი ეფერება და იწყებს წოვას. დღეს მან „ძუძუ“ სწორად წარმოთქვა, აქამდე კი ეძახდა „ძიძიას“.

1, 4, 4; „ქხვა-ქხვა“ (ქვა)—თამაზმა მიაგნო ქვასანაყს, დააქვს ის და იძახის: „ქხვა-ქხვა“.

1, 4, 4; „ქხვა-ვავა“ (ქვან ფეხი მატკინა). თამაზს გაუვარდა ხელიდან ქვასანაყი. მას იგი დაეცა ფეხზე, ატკინა, თამაზი ტირილით მიიჭრა დედასთან, ფეხი გაუშვირა და უთხრა: „ქხვა-ვავა, ვავა“.

1, 4, 4; „დედა კყვაო, კყვაო“ (მეთამაშე ყვაო, ყვაო, ყვანჩალაო). დედა ხშირად ართობდა თამაზს თამაშობით: წაავლებდა ცხვირზე ხელს და ეუბნებოდა ყვაო, ყვაო. ყვანჩალას. თამაზი მიდის დედასთან, რომელიც ტახტზეა წამოწოლილი, წაავლებს ხელს ცხვირზე და ეუბნება: „დედა—კყვაო, კყვაო“.

1, 4, 4; „დიდუ, დიდუ“ (ИДУ)—ეზოდან ერთ-ქალიშვილს ამხანაგმა დაუძახა „Илья идешь?“ „ИДУ, ИДУ“—უპასუხა მან და სახლიდან გავიდა. თამაზი იქვე იდგა, გაიგონა ქალიშვილის პასუხი და იმეორებს: „დიდუ, დიდუ“.

1, 4, 4; „ადულს-ადულს“ (ადულდა)—დედა საუზმეს ამზადებს. ნანას ავალებს „აბა ნახე, ნანა ჩაი ადულდა თუ არა“. ნანა გადის სამზარეულოში და იქიდან იძახის: „დედა, ადულდა, ადულდა“. თამაზს ესმოდა ეს და გაიმეორა: „ადულს, ადულს“.

1, 4, 4; „ქაქხი“ (ხახვი)—თამაზს გამოაქვს სამზარეულოდან რამდენიმე თავი ხახვი და იატაკზე აგროვებს. ნანამ დაინახა ეს, აკრიფა ხახვის თავები და მიაქვს უკანვე სამზარეულოში. თამაზი უკან მისდევს, კაბაში ეწევა და იძახის: „ქაქხი, ქაქხი“. ნანა უბრუნებს ხახვს და ბავშვი განაგრძობს თამაშს.

1, 4, 4; „ბუძია არა?“ (ბიძია არ არის?). თამაზი იღებს ბეზიას და ბაბუას სურათს, აკვირდება და ამბობს: „ბუძია არა?“ (ალბათ, რატომ ბიძია არ არის). დედა ეუბნება: „თამაზიკო, ეს არის ბებია, ეს კი—ბაბუა“. „ბეზა“ იმეორებს თამაზი „ბეზა, ბეზა“. შემდეგ გარბის ბეზიასთან და ეუბნება: „ბეზა, ბეზა“.

1, 4, 4; „დედამუა, დედამუა, დაბუცია მიმ. მამ“—თამაზს ძინავს, უცებ შეშინებული წამოხტება და ყვირის. „დედა მუა, დაბუცია მამ“ და ტირის.

1, 4, 5; „გოგო, გოგო“—ნანა საწერ მაგიდასთან ზის და მეცადინეობს. თამაზი მიდის უნდა წიგნი წაართვას, ნანა არ აძლევს, „გოგო, გოგო“, ეუბნება თამაზი გაჯაყებული.

1, 4, 5; „ვიდი-ვიდი“ (ვირი)—ნანა და თამაზი ფანჯრის რაფაზე სხედან, ეზოში მემწვანილემ სახედარი შემოიყვანა, ნანა ეუბნება: „თამაზიკო, შეხედე ვირი“. თამაზი აკვირდება სახედარს და ამბობს: „ვიდი-ვიდი“, შემდეგ ჩამოხტება ძირს, მირბის მამასთან და ეუბნება: „ვიდი, ვიდი“.

1, 4, 8; „კოკო“ (კვერცხი)—თამაზი თავის მაგიდასთან ზის. დედა მას საუზმედ აძლევს მოხარშულ კვერცხს. თამაზი ხელს კიდებს კვერცხს და ამბობს: „ბუთი“. დედა უსწორებს: „არა თამაზიკო, ბურთი კი არა, ეს კვერცხია“. თამაზი იმეორებს: „კოკო-კოკო“.

1, 4, 8; „ტიტა“ (თინა)—ნანა უჩვენებს თამაზს დეიდას სურათს. „თამაზი აი თინა დეიდა“.—„ტიტა-ტიტა“ ამბობს თამაზი და ღიმილით უცქერის სურათს.

1, 4, 8; „დედა შა, შა, შა“ (თმა დამეარცხნე)—თამაზი იღებს სავარცხელს, მიდის დედასთან და ეუბნება: „დედა შა, შა, შა“. თან სავარცხელს ისევამ თავზე, ამით დედას ანიშნებს, რომ მან თმა დავარცხნოს.

1, 4, 8; „ამჟ“ (კატა). ნანა წიგნს ათვალერებს, ეძახის თამაზს, აჩვენებს ციმბირის კატის სურათს და ეკითხება: „რად არის თამაზ ეს?“ თამაზი აკვირდება და უპასუხებს „ამჟ“;

1, 4, 12; „ბეზა, კოკო, მამა კოკო, ბუძია კოკო“ (აი მეკვერცხი მაქვს). თამაზი გამოდის სამზარეულოდან, ხელში კვერცხი უჭირავს (მოუტაცია) და ყველას აჩვენებს და სათითაოდ ეუბნება: „ბეზა კოკო, ბუძია კოკო“ და უჩვენებს კვერცხს, იცინის და გარბის შემდეგთან: „ბაბუა კოკო“ და ა. შ.

1, 4, 12; „ბუხ კოკო, ბუხ“ (კვერცხი გამიტყდა).—თამაზს გაუვარდა კვერცხი ხელიდან, დაეცა იატაკზე და გატყდა. ბებია ეკითხება: „რა ჰქენი, შეილო?“ „ბუხ, კოკო-ბუხ“, ეუბნება თამაზი და დაცქერის გატეხილ კვერცხს.

1, 4, 12; „დედა, კოკო ბუხ“ (დედა, კვერცხი გამიტყდა)—დედა გამოდის სამზარეულოდან. თამაზი მივარდება დედას და ეუბნება: „დედა, კოკო ბუხ“ კიდებს ხელს კაბის კალთაზე და ეწევა, მიყავს გატეხილ კვერცხთან და ეუბნება: „კოკო ბუხ“, თან თითით უჩვენებს.

1, 4, 12; „ფითო-ფითო“ (ფისო)—ნანა ფისოს ეფერება. ამბობს: „ფისო ფისო“. თამაზი აკეთებს ხელით რალაც გაურკვეველ ნოდრობას და იმეორებს: „ფითო, ფითო“.

1, 4, 12; „დედა აჩუ, დედა აჩუ“ (ველოსიპედზე შეჯდომა). მეზობლის ბიჭი გვესტუმრა ველოსიპედით. თამაზს ძალიან გაეხარდა, სულ ველოსიპედთან ტრიალებს, ჩასქიდა ხელი ველოსიპედს და დედას ეძახის: „დედა აჩუ, დედა აჩუ“, სანამ დედა მივიდოდა თითონ ცდილობდა ველოსიპედზე შეჯდომას.

1, 4, 12; „ტამ-ტამ“ (პიანინოზე დაკვრა)—ნანა მუსიკის გაკვეთილს ამზადებს, უკრავს პიანინოზე და ამბობს: „ტამ, ტამ“. თამაზი დედას უჭირავს ხელში. ბავშვი იწევს ინსტრუმენტისაკენ თხოულობს პიანინოსთან მიყვანას. დედას მიჰყავს. თამაზი ურტყამს ხელს კლავიშებს და იძახის: „ტამ-ტამ, ტამ-ტამ“.

1, 4, 13; „დაბღუ“ (კართოფილი)—ბებია სამზარეულოში კართოფილს ფცქვინის, თამაზიც იქვე არის ახლოს. იღებს ერთ ცალ კართოფილს და ამბობს: „ბუთი“. „არა თამაზ, ბუთი კი არა, კართოფილი, აბა თქვი“, ეუბნება ბებია. თამაზი მიჩერებია კართოფილს და იმეორებს: „დაბღუ, დაბღუ“.

1, 4, 13; „კაკა“ (შაქარი). თამაზი საუზნობს, იგი იღებს ერთ ნაჭერ შაქარს საშაქრიდან, ცდილობს მეორე ნაჭერიც აიღოს. დედა არ აძლევს და საშაქრეს შორს სწევს. თამაზი მოუსვენრად

იწევს საშაქრისაკენ. „კაკა“, მოითხოვს იგი და არ მშვიდდება, სანამ დედა არ მიცემს შაქრის მეორე ნაჭერსაც.

1, 4, 15; „მამა, მამა, ვავა, თაფუთია“ (მამა ჩაქუჩით ხელი ვიტკინე). თანაზი ზის ტახტზე და ჩაქუჩით ქედავს, ურტყამს ტახტზე. უცებ ხელზე მოიხვედრა, იტკინა, მირბის მამასთან და ეუბნება: „მამა, მამა, ვავა, თაფუთია“, თან უშვერს ნატკენ ხელს.

1, 4, 15; „დედა დაღუა, დედა დაღუა“ (დედა, აი, დაღურა)—თამაზმა ნახა მაგიდაზე დეიდის სურათი (რომელიც თბილისში არ არის), გახარებული მიაქვს დედასთან და ეუბნება: „დედა დაღუა, დედა დაღუა“ თან უჩვენებს სურათს.

1, 4, 15; „მტა, მტა, მტა“ (მანქანის საყვირის ხმა)—ეზოში შემოყავთ მანქანა და ისმის მანქანის საყვირის ხმა. თამაზმა მიიღბინა ფანჯარასთან, იწევს, ზევით თხოულობს აყვანას. ნანამ აიყვანა ხელში, თამაზმა დაინახა მანქანა და გააჯავრა მის ხმას: „მტა, მტა, მტა“. ცოტა ხნის შემდეგ ხელით ანიშნებს ნანას პიანინოზე და ეუბნება: „მტა, მტა“. მიიწევს პიანინოსკენ თხოულობს დაკვრას.

1, 4, 15; „ტუ-ტუ, ტუ-ტუ“ (მანქანის საყვირის ხმა). ცოტა ხნის შემდეგ მანქანა წაიყვანეს ეზოდან, კვლავ ისმის იმ საყვირის ხმა. ახლა თამაზი უფრო ანსგავსებს მის ხმას და ამბობს: „ტუ-ტუ, ტუ-ტუ“.

1, 4, 15; „გლი-გლია, გლი-გლია“ (ლოლია). თამაზი ფანჯრის რაფაზე ზის. დედამ დაანახა ეზოში მოთამაშე მეზობლის გოგონა და უთხრა: „თამაზ, შეხედე: ლილია“. თამაზი იცინის და იმეორებს: „გლი-გლია, გლი-გლია“.

1, 4, 21; „ამ“ (გადაყლაპა-შექამა). თამაზი ლოგინში წევს. დედა ზღაპარს უყვება „ჩიტის და მელა“. როგორც კი დედა ეტყვის „მელიამ დასტაცა პირი ბარტყს და შექამა, ან გადაყლაპა, თამაზი იმ წამსვე დაატანს: „ამ“.

1, 4, 23; „ჰიმ, ჰიმ, ჰიმ“ (ჩიტის ჰიკიკიებს). ფანჯარაზე შემოსხდნენ ჩიტები (გარედან, სადაც ნამცეცებს უყრის ხოლმე ნანა) და ჰიკიკიობენ. თამაზი ყურს უგდებს, შემდეგ გარბის დედასაკენ, უთითებს ჩიტებზე და ეუბნება: „ჰიმ, ჰიმ, ჰიმ“.

1, 4, 23; „ბულია, ბულია, ბულია, ბულია“. როგორც კი მოათავა ჩიტებზე საუბარი, მაშინვე ამბობს: „ბულია, ბულია, ბულია, ბულია“. იმეორებს ოთხჯერ, რომლის შინაარსიც ვერ გავიგეთ, ვერ მივხვდით რა უნდოდა ეთქვა.

1, 4, 23; „ლიალია“ (ლიალია)—რაკი თამაზმა „ლ“ სწორად წარმოთქვა, დედა ეუბნება: „აბა თამაზიკო, თქვი, ლილი“. თამაზი იცინის და არაფერს არ ანბობს. „აბა „ლიალია“ თქვი, ეუბნება კვლავ დედა. თამაზი ისევ იცინის, არ იმეორებს. დედა კვლავ უმეორებს: თქვი „ლია-ლია“. თამაზი იცინის და იმეორებს სწორად „ლიალია“.

1, 4, 24; „ტადია, კადია, კუკუ, აკუკუ“ (კლავდია-კაკო). დედას და მამას ახლა უკვე სახელებს ეძახის და თითქმის ყოველთვის დედას ეძახის ხან „ტადიას“, ხან კი „კადიას“, მამას კი „კუკუს ან აკუკუ“-ს.

1, 4, 24; „მნამუნე, მნამუნე“ (მაწონი). კაცმა მაწონი შემოიტანა ეზოში და გაყვირის „მაწონი, მაწონი“ (თამაზი ფახჯრის რაფაზე უზის ნანას). თამაზი იხედება ეზოსკენ, ყურს უგდებს მემაწენეს და იმეორებს: „მნამუნე-მნამუნე“.

1, 4, 24; „კაკი“ (კარაქი)—თამაზი თავის მაგიდასთან ზის და საუბრობს. დედა აძლევს კარაქიან პურს და ეუბნება: „აჰა შვილო, ჰამე კარაქი და პური“. თამაზმა გამოართვა კარაქიანი პურის ნაჭერი. შეატრიალ-მემოატრიალა ხელში და გაიმეორა: „კაკი, კაკი“ და დაუწყო ჰამა.

1, 4, 26; „მია“ (კატა)—ოთახში კატამ გაიარა, თამაზი გამოეკიდა და უძახის: „ამუ-ამუ“. ნანამ გაუსწორა: „თამაზიკო, ეს ამუ კი არა, მიაუ არის“. „მია-მია“, იმეორებს თამაზი და მისდევს კატას.

1, 4, 26; „და, და“ თამაზს, როდესაც ვინმე რუსულად დაელაპარაკება, ყველას პასუხობს: „და, და“. თამაზი დედა ეკითხება: „Тамазик, ты хороший мальчик?“ „და, და“ პასუხობს თამაზი. იქვე არის ქალიშვილი, ლეილა და ანბობს: „КТООН ОН БУДЕТ?“ თამაზმა ახლა ლეილასკენ მიიხედა და უთხრა: „და, და“.

1, 4, 28; „ტადიტა“ (კლავდია)—თამაზი დღეს ძალიან კარგ გუნებაზეა—მხიარულია. ყველა სიტყვას ბოლოში უმატებს „ტას“. დედას უძახის: „ტადიტა-ტადიტა“-ს.

1, 4, 28; „ძიძიტა-ძუძუტა“ (ძუძუ). მისდევს დედას უკან და ეძახის: „ძიძიტა“. „ძიძიტა კი არა, ძუძუ უნდა თქვა“, უსწორებს დედა. თამაზი იცინის და ამბობს. „ძუძუტა“.

1, 4, 29; „ნაჟი“ (დანები). ეზოში შემოდის დანების მღესავი და გაიძახის: Точить ножи, ножницы!“. თამაზი ყურს უგდებს და იმეორებს „Нажи“ და თან აგრძელებს მიმსგავსებულად „ტაიტ ნაინო, ტაიტ ნაინო“.

1, 4, 29; „კუკა“ (კურკა)—მამამ ბალი მოიტანა, დედამ გარეცხა და მაგიდაზე დადგა. ნანა ეუბნება: „თამაზ, არ შექამო კურკა“. თამაზი იმეორებს თავისთვის: „კუკა“ და მიჩერებია ბალს.

1, 4, 29; „ტადიტა, ნანა, კუკა მუნი-მუნი“ (დედა ნანამ კურკა?)—ნანამ ბალი შექამა, კურკა გამოარჩია და თამაზს უჩვენა. თამაზმა გამოართვა ბლის კურკა, მიუტანა დედას და ეუბნება: „ტადიტა, ნანა, კუკა მუნი-მუნი“ (სიტყვა მუნი, რა მნიშვნელობით იხმარა, ვერ გავიგეთ).

1, 4, 29; „ტადია, მამა უჰ, უჰ“ (კლავდია, მამა გამიჯავრდა)—მამა გაუჯავრდა თამაზს, იატაკზე წყალი რად დაღვარეო. თამაზი გარბის დედასთან და ეუბნება: „ტადია, მამა უჰ, უჰ“.

1, 4, 30; „ყუყუკო“ (მამალი)—ეზოდან ისმის მამლის ყვილი. თამაზი ყურს უდგებს და იძახის: „ყუყუკო, ყუყუკო“, თითქოს აჯავრებს მამალს.

1, 4, 30; „ათო, ავთო“ (ავთო, ავთანდილი). ეზოში დედა ეძახის 7 წლის ბიჭს „ავთო, მოდი ჩქარა, ავთო!“ თამაზი უყურებს ამას და როდესაც ის ბავშვი გამოივლის თამაზის წინ, უძახის: „ათო, ავთო“.

1, 4, 30; „ღზუ-ღზუნა“ (ეუეუნა). თამაზი ეზოში თამაშობს. იქვე არის მეზობლის გოგონა ეუეუნა, რომელსაც დედამ დაუძახა და გარბის. თამაზი ეძახის: „ღზუ-ღზუნა“. ამ გამოთქმაში „ღზ“ ძალზე შერბილებულია.

1, 5, 2; „ჭიკიკა“ (ჭინიკა). თამაზი ფანჯრიდან ხედავს ქვედა სართულის აივანზე მეზობლის გოგონას (რომელსაც ჭინიკას ეძახიან), უქნევს ხელს და ეძახის: „ჭიკიკა, ჭიკიკა“.

1, 5, 4; „მამა-ბაბუა“ (მამა და ბაბუა)—მამის საწერ მაგიდაზე სურათია თამაზის მამისა და პრ. დ. უზნაძის (განწყობის ცდების ერთ-ერთი მომენტში, მამას უჭირავს ხელში ბურთები). თამაზი უცქერის ამ სურათს და ამბობს: „მამა ბაბუა“, თან იცინის (პრ. დ. უზნაძეს სათვალეები აქვს, როგორსაც ბაბუა ატარებს ხოლმე).

1, 5, 4; „დიტა, დიტო, დიტო“ (დიტო)—დედა უსწორებს და ეუბნება: „არა ეს ბაბუა კი არა, ბატონი დიტოა“. თამაზი იმ წუთში არაფერს ამბობს და კიდევ აკვირდება სურათს. დედა ისევ უმეორებს; თამაზი იცინის და ამბობს: „დიტა, დიტა“. ცოტა ხნის შემდეგ იღებს სურათს ხელში, მიაქვს ბაბუასთან და ეუბნება: „დიტო-დიტო“.

1, 5, 4; „დიდი ტაბუტი“ (დიდი ჩაქუჩი)—თამაზს შებოაქეს ოთახში დიდი ჩაქუჩი. დაავდებს იატაკზე და ამბობს: „დიდი ტაბუტი, დიდი ტაბუტი“. ყურადღებას არავინ აქცევს, მიდის ბეიასთან, კიდებს კაბაზე ხელს, ეწევა ჩაქუჩისკენ, მიიყვანს და ეუბნება: „ე, ე, დიდი ტაბუტი“.

1, 5, 20; „ჩ, ჩ; ჩ, ჩ;“ (ცემში ვართ აგარაკზე). თამაზი ჩასვლისთანავე გაერია რუსი ბავშვების ჯგუფში და დიდხანს აკვირდება მათ საუბარს, თითონ კი ვერავითარ მონაწილეობას ვერ ღებულობს. ბოლოს მიდის მარტოდ დარჩენილ გოგონასთან და ეუბნება: ჩ, ჩ; ჩ, ჩ; გოგონა გაკვირვებული მიჩერებია და ააფერი არ ესმის.

1, 5, 20; „ტილი, ტილი“. ეზოში ძალიან პატარა გოგები დარბიან (10 გოკი). თამაზი დასდევს მათ, თან ეშინია. როდესაც გოგები ქვივლით გარბიან, თამაზი უფრო გაბედულად მიადევს მათ და უძახის: „ტილი-ტილი, ტილი-ტილი“.

1, 5, 20; „ვიტი-ვიტი“ (იხეები). ჩვენს. ეზოს ჩაუდის ძალიან პატარა რუ, რომელშიც მთელი დღის განმავლობაში დიასახლისის იხეები ქუქუპალობენ: თამაზს ჯოჯი აუღია, დასდევს იხეებს და იძახის: „ვიტი, ვიტი“ (ამსგავსებს მათ სახელს, მათ მიერ განოცემულ ბგერებს).

1, 5, 21; „კლაღია“ (კლავდია)—თამაზი და ნანა სხედან ტახტზე, რომელიც აივანზე დგას. დედა ოთახში საქმიანობს. თამაზი იცქირება ფანჯარაში და უძახის დედას: „კლაღია“ (დღეს აღარც ტადიას უძახის და აღარც დედას).

1, 5, 21; „ლოლა“ (ლოლია). დედა ეძახის გვერდით ოთახში მცხოვრებ მეზობელს, „ლოლა“. თამაზი ბაძავს დედას და ისიც იმეორებს: „ლოლა, ლოლა“-ს.

1, 5, 24; „ტულუ, ტულუ“ (გოგები)—დიასახლისს უნდა საქმელი აქამოს გოგებს. ყველას ერთად რომ მოუყაროს თავი, იგი ეძახის: „ტულუ, ტულუ“. თამაზი უცქერის, ყურს უგდებს და იჩეორებს: „ტულუ-ტულუ“. ამის შემდეგ დღის განმავლობაში რამდენჯერმე იმეორებს: „ტულუ-ტულუ“, როგორც კი გოგებს დაინახავს.

1, 5, 24; „ჭუკ-ჭუკ, ჭუკ-ჭუკ“ (იხეები). დიასახლისი იხვის ქუქებს უძახის „ჭუკი-ჭუკი“—თამაზმა ეს გაიგონა და თითონაც უძახის: „ჭუკ-ჭუკ, ჭუკ-ჭუკ“.

1, 5, 24; „მჟუ“ (ძროხა)—სალამოს სოფელში ნახირი მორეკეს. თამაზი აიენიდან უცქერის, როგორ მოდიან ძროხები.

ჩვენი დიასახლისის ძროხამ ეზოს მოაშურა ბლავილით: „მუუ, ნუუ“. „თამაზი, ხედავ, ძროხა მოდის“, ეუბნება ნანა. თამაზი არაფერს არ ამბობს მხოლოდ შეჰყურებს ძროხას როგორ მიიწევს ხბოსაკენ. „როგორ იძახის ძროხა?“ ეკითხება ნანა. „მუუ“ ამბობს თამაზი და ძროხას თვალს არ აშორებს.

1, 5, 24; „მოდის“—თამაზმა ისწავლა სიტყვა მოდი. ვისი მოსკლაც უნდა, ეძახის: „ნია მოდი, ნუნუ მოდი, ნანა მოდი“.

1, 5, 24; „ვაჩი“ (ვაშლი)—ნამ მოუტანა თამაზს ვაშლი და მიაწოდა. თამაზი ერთხანს აკვირდება ვაშლს. „აილე, ვაშლი თამაზიკო“, ეუბნება ნია თამაზს. თამაზი ხელს დასტაცებს ვაშლს და ამბობს: „ვაჩი“.

1, 5, 24; „დაადი“ (გმადლობ)—თამაზმა ვაშლი წაიღო პირისაკენ, მაგრამ სანამ მოკბეჩდა, ნიას „დაადი“-ს ეუბნება, და თავს იქნევს მადლობის ნიშნად.

1, 5, 27; „დიდი კოკო“ (დიდი კვერცხი)—დილით ბავშვები საუზმობენ აივანზე. დედამ თამაზს კვერცხი (მოხარშული) გადაუდო. თამაზმა აიღო კვერცხი და ამბობს: „დიდი კოკო“. ასევე იმეორებს თამაზი ზოგიერთი ხილის და საკმელის შესახებ, რომელიც უნდა, მაგ. „დიდი ვაჩი“.

1, 5, 27; „ალა-ალა-ბებია“ (არ მინდა ბებია). ბებიამ მიაწოდა ფინჯნით კაკაო. თამაზმა მოსევა ცოტა და მეტი აღარ უნდა. ბებია აძალტებს: „თამაზიკო, დალიე“. თამაზი კი ეუბნება: „ალა-ალა ბებია, ალა-ალა“, და თან ცდილობს, როგორმე გაექცეს ბებიას.

1, 6, 3; „ფიალა“ (ფინჯანი გავტეხე)—თამაზს ფინჯანი ექირა ხელში, გაუფარდა და გატყდა. დედა ეკითხება: „რა ჰქენი, თამაზ?“ „ფიალა“ უპასუხებს თამაზი.

1, 6, 3; „კოკო მინა“ (კვერცხი მინდა)—„გინდა, თამაზი გოგლი-მოგლი?“ ეკითხება დედა. „კოკო მინა“ პასუხობს თამაზი.

1, 6, 3; „დედა ამ, მე“ (მაქამე-მე)—დედა უმზადებს გოგლი-მოგლს, მაგრამ თამაზი არ აცლის გაკეთებას და ეუბნება: „დედა ამ, მე“, თითოს პირში იტებს და ანიშნებს, რომ დედამ აქამოს.

1, 6, 3; „კლადია მე, მე, ნანა-ალა-ალა“ (მე მაქამე, ნანას არ მიატე)—თამაზი გოგლი-მოგლს შეექცევა და სიამოვნების ნიშნად გულზე ხელს ირტყამს. ამ დროს ხედავს, რომ ნანა ამოდის აივანზე და მოემართება შათკენ. თამაზი დედას ეუბნება: „კლადია მე-მე, ნანა ალა, ალა“, თან გოგლი-მოგლიან ფინჯანს თავისკენ ეწევა.

1, 6, 3; „სია ხია“ (სიარული)—ნანა და თამაზი სხედან ტა-
ბტზე, რომელიც აივანზეა. თამაზი ღვება და ნანას ეუბნება: „ხია-
ხია“. როდესაც წასვლა ან სიარული მორუნდება „სიასიას“ იძახის.
აქამდე კი ამ სიტყვით თავის დავარცხნას აღნიშნავდა.

1, 6, 3; „ჭუპა-ჭუპა“ (ტანის დაბანა)—ღედა ამზადებს თა-
მაზს და ეუბნება: „თამაზ ახლა შენ ტანი უნდა დაგბანო“. თამაზი
იციინის, უხარია, უყვარს ბანაობა. ღედა ხდის ტანისამოსს. ბავშ-
ვი ვერ ისვენებს, აბაზანისკენ მიიწევს. ღედა აბანავებს, თამაზი
იძახის: „ჭუპა-ჭუპა“.

1, 6, 5; „ღეღი, აი ბუზი. აი, აი ბუზი. ნანა, აი ბუზი“—
თამაზი თანჯრის რაფაზე ზის. მან შენიშნა თანჯარაზე ბუზები,
ურჩევნებს ნანას ბუზს და ეუბნება: „ნანა, აი ბუზი“. უძახის ღედას:
„ღეღი, აი ბუზი“ (სიტყვა „აი“ პირველად იხმარა წინადადებაში).

1, 6, 5; „ნანა ღაია“—თამაზი თავის შვილთან თამაშობს.
ამ დროს შემოდის ნანა, თამაზს უხარია და ეძახის. ნანა მიღის
მასთან. თამაზი ეფერება და ეუბნება: „ნანა ღაია“, „ნანა ღაია“.

1, 6, 6; „ტა-ტა, ტა-ტა“ (ტაშის დაკვრა)—თამაზი ცეკვავს
აივანზე. ბავშვები შემოხვევიან და ტაშს უკრავენ. თამაზმა შეამჩ-
ნია, რომ უფროსები: ბებია და ღედა ტაშს არ უკრავენ. შეაჩერ-
დება, უკრავს თითონ ტაშს და იძახის: „ტა-ტა, ტა-ტა“ და ანიშ-
ნებს მათაც დაუკრან ტაში. როდესაც ისინი ასრულებენ თამაზის
მოთხოვნას, ის განაგრძობს ცეკვას.

1, 6, 8; „ღეღი აი, ღეღი ბებია“ (ბებია მოდის)—ღედამ
თამაზი და ნანა ტყეში წაიყვანა სასეირნოდ. თამაზს ძალიან უყ-
ვარს ეს გასეირნება. ღარბის, აგროვებს გირჩებს, ერთობა. კარგა
ხნის შემდეგ დაინახა მათკენ მომავალი ბებია, აღფრთოვანებული
გარბის ღელისაკენ, უთითებს ბებიაზე და ეუბნება: „ღეღი აი,
ღეღი ბებია“, გარბის ბებიასაკენ, ეხვევა და მოყავს ღელასთან.

1, 6, 8; „იშო, იშო“ (ხარები)—თამაზი ბუჩქთან ჩამჯდარა
და რალაცას ჩიჩქნის. ამ დროს გზაზე გაიარა ურემმა. მეურმემ
ხარებს შეუძახა: „იშო, იშო“. თამაზმა თვალი გააყოლა მიმავალ
ხარებს და თან იმეორებს: „იშო-იშო“.

1, 6, 9; „მშია ღეღი, მშია“—თამაზი ნასაუზმევს აივანზე
თამაშობს. ღედაც იქვე ზის. აივანზე ნანა ამოდის და ღედას ეუბ-
ნება: „ღედა მშია“. თამაზიც იმეორებს: „მშია ღეღი, მშია“. ღედა
ნანას უმზადებს საუზმეს. ნანა იწყებს ჭამას. თამაზი მიიწევს
სუფრისაკენ, მოითხოვს რასაც ნანა ჭამს და იძახის: „ღეღი
მშია, ღეღი მშია“ (თუშცა მას არ შია).

1. 6, 0 „მზიე, მზიე, მზიე, ბებია“—დილით ბებია აივანზე ზის, თამაზი კალთაში უზის. თამაზს მზის სხივი თვალებში უქუცინებს, ბავშვი თავს ხან აქეთ, ხან იქით სწევს, უნდა აიშოროს მზის სხივი და ამბობს: „მზიე, მზიე“. ბებია ყურადღებას არ აქცევს. თამაზი მიუბრუნდება ბებიას და ეუბნება: „ბებია მზე“ თან თვალებზე ხელს იდებს.

1, 6, 9: „დედა, ნანა ააა“ (დედას და ნანას ძინავთ)—დედას და ნანას ნააადილევს ძინავთ. თამაზი და მამა აივანზე თამაშობენ. თამაზი ფანჯრიდან ხედავს მძინარეთ, იგი ხელს კიდებს მამას, მიჰყავს საწოლებთან და ეუბნება: „დედა, ნანა ააა“.

1, 6, 9: „მე მიე, მიე“ (მე მომეცით)—მაგიდაზე ხილის თეფშზე ქლიავი აწყვია. უფროსები შეეკეცევიან, თამაზს კი არ აქმევენ. თამაზი თითს იდებს გულზე და ამბობს: „მე მიე, მიე“. დედა ურჩევს და აძლევს ქლიავს. თამაზს უხარია, იცინის, იწყებს ჭამას.

1, 6, 15; „მოლნია“ (ელვა დეპეშა)—ფოსტალიონმა დაიძახა ჩვენი გვარი. ეზოში. მეზობლის ბავშვმა გამოართვა დეპეშა, ამოიტანა და ამბობს: „მოლნია გამოუგზავნიათო“. თამაზიც იმეორებს: „მოლნია. მოლნია“.

1, 6, 15; „ალოლა ჩაი“ (ადულდა ჩაი)—დედა თინა საღამოზე სუფრას შლის და ამბობს: „ადულდა ჩაი“. თამაზი სუფრასთან ზის, ჩაის ელოდება და იძახის: „ალოლა ჩაი“.

1, 6, 17; „ლოლა-ნუნუ“—აივანზე ჩვენი მეზობლის გოგონა ნუნუ დედას ესაუბრება. თამაზი ტიხარს იქით ხედავს (ქუქრუტანაში) და ეძახის: „ლოლა-ნუნუ, ლოლა-ნუნუ“.

1, 6, 17; „მინა“ (მინდა)—დედა აწოდებს თამაზს მსხალს და ეკითხება: „გინდა თამაზ, მსხალი?“ თამაზი ართმევს მსხალს, უხარია, იცინის და ამბობს: „მინა“.

1, 6, 17; „ამნა“ (არ მინდა)—ნანა იმ წუთშივე, როგორც კი დედამ მსხალი მიაწოდა, ქლიავს აწვდის და ეუბნება: „თამაზ, გინდა?“ თამაზი (უარყოფითი რესტით) ხელს აქნევს და ამბობს: „ამნა“ და ხელს არ ჰკიდებს ქლიავს.

1, 6, 17; „ბებია, ამუნია, აა, ააა“ (ბებია დაიძინე, თორემ ძალღი გიკბენს)—ბებია დაწვა დასაძინებლად და თამაზის დედას ეუბნება: „ძალიან დაღლილი ვარ, მაგრამ მაინც არ მეძინებაო“. თამაზი უტკეპრის ბებიას და ეუბნება: „ბებია ამუნია, აა, ააა“ (ე. ი. დაიძინე, თორემ ძალღი გიკბენს, ან შეგკამსო).

1, 6, 17: „ლოლა“ ზიზი (ლოლა, აი ახალი ფეხსაცმელები) — დედამ ჩააცვა თაისს ახალი ფეხსაცმელები. თამაზს ძლიერ მოწონს, უხარია, გარბის მეზობლის აიენისკენ და უძახის: „ლოლა, ზიზი, ლოლა ზიზი“.

1, 6, 17; „ნანა ეთი, ეთი მიე“ (ერთი მონეცი)—ნანა თხილს ჭამს, თამაზს კი არ ექმევა. თამაზი მიდის ნანასთან და ცდილობს თხილის აღებას. ნანა გარბის ოთახისაკენ, თამაზი მისდევს და უძახის: „ნანა ეთი, ეთი მიე“.

1, 6, 17; „ალა, ოლა, ლოლა, ლოლიო. ლალი, ლოლიკო, დედიტო, მამიტო, ბაბედიტო“ (სიტყვათა თამაში)—თამაზი დადის აივანზე და დაუსრულებლად იმეორებს, ამ სიტყვებს, ხან თითქოს მღერის, გაბმით წარმოთქვამს, ზოგჯერ კი იმეორებს თავიდან ბოლომდე და ისევ იწყებს იელახლა. სრული შთაბეჭდილებაა, რომ იგი თამაშობს ამ სიტყვის წარმოთქმით.

1, 6, 17: „კუკუკი“ (კუკური)—ჩვენი მეზობელი ხშირად ეძახის თავის ცელქ ბავშვს: „კუკური, კუკური სადა ხარ“?. თამაზი ამას ხშირად ისმენდა, მაგრამ არ იმეორებდა. დღეს კი, როგორც გაიგონა, ნაშინვე გაიმეორა: „კუკუკი“. კუკური როგორც დაინახა, ეძახის: „კუკუკი, კუკუკი“.

1, 6, 17; „ვალლოლია“ (ვალოდია)—თამაზი მეზობლის პატარა ბიჭს, ვალოდის ეთამაშება. ვალოდის დედამ დაუძახა. ბავშვი გაიქცა, თამაზი მიუბრუნდა და ზრახის: „ვალლოლია, ვალლოლია“.

1, 6, 19; „დოჩი“ (ჯოხი)—თამაზს ხშირად ესმის ბავშვებისაგან—„ჯოხი“, მაგრამ ამ სიტყვას დღემდე არ ამბობდა. დღეს ეზოში ნახა ჯოხი, რომლითაც მეზობლის ბიჭი თამაშობდა, აიღო და თქვა: „დოჩი“. ამის შემდეგ ეზოში, სადაც კი ნახა დაგდებული პატარა თუ დიდი ჯოხი, იღებს და იძახის: „დოჩი-დოჩი“.

1, 6, 20; „ქიაფი“ (ქლიაფი)—ნანას ჯიბე ქლიაფით აქვს სავსე. იგი დახტის აივანზე და ჭამს ქლიაფს. თამაზი დაყვება უკან და ეუბნება: „ქიაფი-ქიაფი“. ნანა აძლევს ქლიაფს და გახარებული თამაზი იწყებს ჭამას.

1, 6, 20; „ფისო“ (კატა)—თამაზს აუღია ხელში დიდი ჯოხი და დასდევს კატას. კატა ტანტის ქვეშ შეძვრა. თამაზი იცქირება და ეძახის: „ფისო!“. კატა გამოძვრა ტანტიდან და კიბეები ჩაირბინა. თამაზი უჩვენებს თითით და იძახის: „ფისო, ფისო“.

1, 6, 20; „თილი“ (თხილი)—თამაზი და ნანა აივანზე სხედან. ნანა თხილს ამტვრევს და აძლევს. თამაზი შეექცევა. თუ ნანას შეუგვიანდა თხილის გარჩევა და მიწოდება, იძახის: „თილი“.

1, 6, 20: „კაქი მუუ“ (კარგი ძროხა)—დიასახლისი ძროხას წველის. თაშაზი მიყავს მამას ძროხის ახლოს. თამაზი ეფერება ძროხას, ხელს უსვამს და ეუბნება: „კაქი მუუ,—კაქი მუუ“.

1, 6, 20; „კაქი ვაჩი“ (კარგი ვაშლი)—მაგიდაზე ვაშლები აღაგია (ბევრი). თამაზი მიყავს მამას სუფრასთან და ეუბნება: „აბა აირჩიე ვაშლები“. თამაზი იღებს ორ ვაშლს და ამბობს: „კაქი ვაჩი“.

1, 6, 20, „ქო-ქო“ (ხო-ან ჰო)—თამაზი სუფრასთან ზის და საუბრობს. დედას მოაქვს გოგლი-მოგლი და ეკითხება: „თამაზ, გინდა გოგლი-მოგლი?“ „ქო-ქო“, უპასუხებს თამაზი და იწყებს ქანას.

1, 6, 20; „სა-სა“ (სხვა)—ბებია და თამაზი აივანზე სხედან. მაგიდაზე ხილი აწყვია. ბებია იღებს ვაშლს და აწოდებს თამაზს. თამაზი ვაშლს ხელს არ კიდებს და იძახის: „სა, სა“, და იწვდის ხელს მსხლისაკენ. როდესაც ბებია მსხალს აძლევს, თამაზი მშვიდდება და ქამს.

1, 6, 20; „კაკაი“ (კაკალი)—მამა აწვდის თამაზს კაკალს; თამაზი უწვდის ხელს გამოსართმევად. მამას უჯან მიაქვს კაკალი. თამაზი ყვიროს: „კაკაი“ და ეტანება კაკალს, ართმევს მამას და იციინის.

1, 6, 21; „კაკუნი“ (კაკო)—მამა წაწოწოლილია ტახტზე, ისვენებს. თამაზი მიდის მასთან ეალერსება უსვამს ლოყაზე ხელს, კოცნის და ეუბნება: „კაკუნი“.

1, 6, 21; „ბაბუტულინა, ბებიტა“ (ბებია)—ბებიაც იქვე ზის და თამაზს ეუბნება: „მეც მომეფერე, თამაზიკო“. ესლა თამაზი ბებიასთან მიდის, ეხვევა კოცნის და ეუბნება: „ბაბუტულინა, ბებიტა“.

1, 6, 21; „კაკალი“—თამაზმა იპოვა კაკალი, გაეხარდა, აიღო და ამბობს: „კაკალი“. მერე ეძებს თვალით სატეხს და თან ამბობს: „კაკალი“.

1, 6, 21; „საი-სხალი“ (მსხალი)—დედა ხილს რეცხავს. თამაზი მიირბენს მასთან. დედა აძლევს თამაზს მსხალს. იგი ამბობს: „საი“. „საი კი არა, მსხალი“ უსწორებს დედა. „სხალი“ იმეორებს თამაზი და ართმევს მსხალს.

1, 6, 21; „ფისო მია“ (კატა კნავის)—კატა მაგიდასთან დგას და კნავის (საქმელს თბოულობს). თამაზი უყურებს და ამბობს: „ფისო მია“.

1, 6, 21; „უთო“—დედა აუთოებს და ამბობს: „უთო გამიცვიდაო“. თამაზს ესმის ეს და იმეორებს: „უთო, უთო“.

1, 6, 21; „წიბუ-წიბუ“ (წიავ-წიავ) — აივანზე თამაზი და მამა სხედან, იცქირებიან ეზოში, სადაც კრუხი და წიწილები საკენეს შეექცევიან, თანაც წივიან. მამა ეკითხება: „თამაზ, წიწილა როგორ იძახის?“ „წიბუ-წიბუ“ უპასუხებს თამაზი.

1, 6, 21; „ულააა“ (ურა! გაეთათე) — თამაზი სადილობს, დედა აქმევს. როდესაც ქამას მორჩა, ორივე ხელი მაღლა ასწია და შესძახა: „ულააა“.

1, 6, 27; „ქუდი-პატო“ . დედა ამზადებს ბავშვებს სასეირნოდ წასაყვანად. თამაზი დაავლებს ქუდს ხელს და ამბობს: „ქუდი“. მერე პალტოს წვდება ცდილობს ჩაიცვას და ამბობს: „პატო“.

1, 6, 27; „დიდი ღოჩი“ (დიდი ჯოხი) — დედა, ნანა და თამაზი ტყეში შევიდნენ. თამაზი წინ გარბის. მან იპოვა დიდი ჯოხი, იღებს ხელში და ამბობს: „დიდი ღოჩი“.

1, 6, 27; „პატარა ვაჩი“ (პატარა ვაშლი) — დედამ პატარა ვაშლი მისცა თამაზს. თამაზმა აიღო ვაშლი, ატრიალებს ხელში და ამბობს: „პატარა ვაჩი“.

1, 6, 27; „გოლიალაა“ (კოტრიალობს) — ტყეში დედა და მამა ხალიჩაზე სხედან. თამაზი მივიდა მათთან გადაკოტრიალდა ყირამალა და დაიძახა: „გოლიალაა“.

1, 6, 27; „ბელი-ბელი“ (ბევრი) — თეფშზე თხილი აწყვია. დედა იღებს ცოტას და აძლევს თამაზს. თამაზი შეჭყურებს თეფშს და ამბობს: „ბელი, ბელი“, თან ხელს იწევეს თხილისაკენ.

1, 6, 27; „სიმინი“ (სიმინდი) — მეზობელი აძლევს თამაზს შემწვარ სიმინდს და ეუბნება: „აჰა, თამაზ სიმინდი, გამომართვი“. თამაზი ართმევს სიმინდს, ტაროს ატრიალებს ხელში და ამბობს: „სიმინი, სიმინი“ თან მიაქვს პირისაკენ.

1, 7, 0; „უამეა“ (მეათევა) — ნანამ მკვებე ვაშლი მისცა თამაზს. მან გამოართვა, მოკბიჩა, დაიღმიჯა, გაღმოყარა პირიდან და თქვა: „უამეა, უამეა“.

1, 7, 0; „ცა-ცაცა“ — თამაზი და მამა აივანზე სხედან. თამაზი ცას მიჩერებია. მამა ეუბნება: „ცა“. თამაზიც იმეორებს „ცა“ — მამა კიდევ ეუბნება „ცაცა“. თამაზი სწორად იმეორებს: „ცა-ცა“. შემდეგ მამა კიდევ ეუბნება: „ციცინო“. თამაზი ამბობს: „ცა-ცა“.

1, 7, 0; „ცული-ქული“ (გლახა, ძველი ქული) — სასეირნოდ ემზადებიან. დედამ ვერ იპოვა თამაზის საყვარელი ახალი ქული და ძველი დაახურა. თამაზმა მოიხადა, გადააგდო ძირს ქული და თქვა: „ცული ქული“.

1, 7, 0; „კაქი ბაცაცო, კაქი ბაჩია“ (კარგი ფეხსაცმელები)—
დედამ ახალი ფეხსაცმელები ჩააცვა თამაზს. ბავშვს უბარია, უსვამს
ხელს და ამბობს: „კაქი ბაცაცო, კაქი ბაჩა“ (აქამდე ზიზიას ეძახ-
და ფეხსაცმელებს).

1, 7, 0; „ლონი-ლონი“ (ლორი)—თამაზი ეზოშია, ხედავს დიდ
ლორს, რომელიც საქმელს ქამს. მამას მიყავს ახლოს და ეკითხება:
„რა არის ეს?“ „ლონი“ უპასუხებს თამაზი.

1, 7, 0; „ქლიალი“ (ქლიავი)—მაგიდაზე თეფშით ხილი აწყვეია.
თამაზი მიდის, არჩევს ქლიავს და ამბობს: „ქლიალი, ქლიალი“.

1, 7, 0; „ეთი-ოლი“ (ერთი-ორი)—თამაზს ქლიავი უჭირავს
ხელში, შემდეგ აწყობს ტახტზე და ამბობს: „ეთი, ოლი“. მერე
ისევე იღებს და იმეორებს, თითქოს თვლის.

1, 7, 0; „წია-წია“ (წიწილა)—აივანზე ამოსულა მოზრდილი
წიწილა. თამაზი დასდევს მას ჯოხით და უძახის: „წია-წია“.

1, 7, 0; „პეჩიალა“ (ნამცხვარი)—ბებია აძლევს თამაზს
ნამცხვარს. იგი გასარებული ართმევს და იძახის: „პეჩიალა, პე-
ჩიალა“.

1, 7, 0; „დიტანი“ (ქინკარი)—ეზოში იხვის ქუეკბია. თამაზ-
მა აიღო ჯოხი და მისდევს მათ. უცებ იგი ჩავარდა ქინკარში,
დაისუსხა და დაიწყა ტირილი. დედა ეკითხება: „რა იყო თამაზ,
ქინკარი?“ თან აყავს ხელში და ეფერება. თამაზი სლუკუნებს და
იმეორებს: „დიტანი, დიტანი“.

1, 7, 0; „ლოდაი“ (ნოდარი)—სტუმრად მოვიდა თამაზის
ნაცნობი ყმაწვილი, რომელიც მას ძლიერ უყვარს. თამაზს უხარია
და იძახის: „ლოდაი, ლოდაი“.

1, 7, 9; „დედა, დედა ნწალი“ (წყალი, წვიმს)—თამაზი აივ-
ნადან უცქერის, რომ მოდის შხაპუნა წვიმა. იგი ყოფს ხელს მოა-
ჯირში. წვიმის წვეთები ეცემა და ეძახის დედას: „დედა, დედა
ნწალი“. შემდეგ შეირბენს ოთახში, ეძახის დედას და ნანას, გა-
ნოყავს გარეთ, ხელს იწვდის ცისაკენ და ამბობს: „ნწალი, ნწალი“.

1, 7, 9; „ადე-მე“ (ამიყვანე ხელში)—თამაზი დედას კაბაზე
ეპოტინება და ეუბნება: „ადე-მე“, თან ხელით აჩვენებს, რომ დე-
დამ აიყვანოს.

1, 7, 9; „ტუტუ მე“ (სასეირნოდ წამოყვანე)—ნანა მიდის
კაბეზე, თამაზი ეუბნება: „ტუტუ მე“.

1, 7, 9; „ჩაი მე“ (ჩაი დამალევიწე)—ბებია სვამს ჩაის. თა-
მაზი მიდის მასთან და ეუბნება: „ჩაი მე“.

1, 7, 9; „სუფი მე“ (წვენი მაქამე)—დედა აწყობს სუფრას. თამაზი ჯდება და ამბობს: „სუფი მე“.

1, 7, 9; „კალალი“ (კარაქი)—თამაზი საუზმობს. პურს აიღებს და დედას ანიშნებს ხელით, კარაქი წაუსვას (ყესტიო). შემდეგ ეუბნება: „კალალი, კალალი“.

1, 7, 9; „დიდი მუუ“ (ძროხა)—სალამოა. თამაზი აივანზეა. შოაჯირიდან იტკირება. ეზოში შემოდის დიასახლისის ძროხა. თამაზი იწვდის ხელს და იძახის: „დიდი მუუ, დიდი მუუ“.

1, 7, 9; „დედა, ე-ე-ე“ (არ იცის სახელი)—თამაზი დიასახლისის ბაღჩაშია. შეამჩია გოგრა, არ იცის რა უწოდოს, დედას წააველებს ხელს კაბაში და ეწვევა იქით, საითაც დიდი გოგრაა. მიყავს ახლოს, უჩვენებს და ეუბნება: „დედა ეეე, დედა ეეე“. ეს გოგრაა, ეუბნება დედა. თამაზი არაფერს არ იმეორებს. მხოლოდ ათვალეირებს, აკვირდება.

1, 7, 9; „უჰ-უჰ“—თამაზი მაგიდასთან ზის, კიქას გაკრა უნებურად ხელი და ძირს გადმოავდო. კიქა გატყდა. თამაზი გაოცებული ამბობს: „უჰ-უჰ“, თან ხელებს შლის.

1, 7, 9; „დედა ვაა“.—შემოდის დედა. თამაზი აჩვენებს გატეხილ კიქას და ამბობს: „დედა ვაა“.

1, 7, 9; „ნანა მიეცი“ (ნანა მომეცი)—ნანას წითელი ვაშლი უჭირავს. თამაზი თხოვს. ნანა გარბის. თამაზი მისდევს და ეძახის: „ნანა მიეცი, ნანა მიეცი“—ნანა აძლევს.

1, 7, 9; „დეიდა“ (დეიდა კარაქი წამიცხე პურზე)—უფროსები საუზმობენ. თამაზი იღებს პურის ნაჭერს, შიდის დეიდასთან და ეუბნება: „დეიდა“, თან აწვდის პურს. დეიდა ვერ მიხვდა რა უნდა და გამოართვა პურის ნაჭერი. თამაზი ყვირის, ართმევს პურს, კვლავ ეუბნება: „დეიდა“, და უთითებს კარაქზე. „კარაქი გინდა?“ ეკითხება დეიდა, პურზე უსვამს კარაქს და აძლევს მას. თამაზი გაბარებული ართმევს პურს და სიამოვნებით შეექცევა.

1, 6, 9; „თამარა მიეცი“ (თამარა მ-მეცი სიმინდი)—დეიდა, თამარი ქაშს შემწვარ სიმინდს. თამაზი მიდის და ეხვეწება: „თამარა მიეცი, თამარა მიეცი“ და სიმინდს შესცქერის.

1, 7, 9; „თაფლი“ (მაქამე თაფლი)—მაგიდაზე დგას შუშის ქილა თაფლით, დედაც იჭევა. თამაზი მიდის დედასთან და ეხვეწება: „თაფლი, თაფლი“ და უთითებს ქილაზე; დედა გადმოუღებს ლამბაქზე და აქმევს. თამაზი სიამოვნებით შეექცევა, ილოკავს ტუჩებს და იძახის: „თაფლი-თაფლი“.

1, 7, 9: „ღუმბ ქვა“ (ქვის წყალში ჩაგდება)—მამამ თამაზი ხევში ჩაიყვანა, სადაც დიდი მდინარე ჩადიოდა. მდინარეში ბავშვები ბანაობდნენ, ხტობდნენ, თამაშობდნენ. თანაზი მათ ყურადღებით აკვირდება. მამამ მიიყვანა მდინარის ნაპირას, აიღო რიყის ქვა და ჩააგდო წყალში. ქვამ გამოსცა სათანადო ხმა, და ამოასხა წყლის წვეთები. თამაზი გაკვირვებული უცქერის, მერე იღებს ქვას და აგდებს წყალში. იგი აღფრთოვანებული შესძახებს: „ღუმბ ქვა“ და იწყებს თამაშს. ისერის ქვებს და იძახის: „ღუმბ ქვა, ღუმბ“. როდესაც მამა თამაზითურთ შინ ბრუნდებოდა, გზაში ბავშვი სადაც კი ქვას დაინახავდა, ცდილობდა მის ალებას და იძახდა: „ღუმბ“. შინდაბრუნებული თამაზი ყურადღებას აქცევს გუბეს, რომელიც დიასახლისს იხვებისთვის აქვს გაკეთებული. უცებ თამაზი დატრიალდა, დაფაცურდა, რალაცას დაეძებს. „რა გინდა თამაზ?“ ეკითხება დედა. „ღუმბ“ უპასუხებს იგი, იღებს ქვას, რომელსაც ახლოს ამჩნევს, აგდებს გუბეში და იძახის: „ღუმბ ქვა“. იგი დარბის, დაეძებს, მოაქვს და ყრის ქვებს გუბეში; ყოველ გადასროლილ ქვას მიჩერებია, როგორც კი წყალში ჩავარდება, მაშინვე იტყვის: „ღუმბ ქვა“.

1, 7, 15; „ღუმბ-ღუმბ“ (სასულე ორკესტრი)—მეზობლად მოხუცი გარდაიცვალა. დასაფლავების დღეს სასულე ორკესტრი უქრავდა. თამაზმა გაიგონა, შემდეგ აყვა და იძახოდა: „ღუმბ, ღუმბ“.

1, 7, 15; „თენგო ბუთი“ (თენგიზ, ეს ბურთი ჩემია, მომეცი)—თამაზის მამიდაშვილს უქირავს ხელში მისი ბურთი და ათამაშებს; თამაზი დანახვისთანავე მივარდება, ართმევს ბურთს და გაჯავრებული ეუბნება: „თენგო ბუთი“.

1, 7, 16; „დაჯი პეპელა“ (პეპელა დაჯდა)—დაახლოებით ათი დღის წინათ, ტყეში სეირნობის დროს დედამ უჩვენა თამაზს პეპელა, რომელიც ყვავილზე დაეწვა და უთხრა: „შეხდე თამაზ, პეპელა დაფრინდა ყვავილზე“. თამაზი მხოლოდ უკვირდებოდა, მაგრამ არავითარი რეაქცია არ მოუცია: დღეს კი ტყეში პეპელას დანახვისთანავე დაიძახა: „დაჯი პეპელა“. იგი მიიქრა დედასთან, პეპლებს უჩვენებდა თითოთ და განუწყვეტილად იმეორებდა: „დაჯი პეპელა“.

1, 7, 16; „ბუმბული“ (ქათმის ბუმბული) თამაზმა იპოვა ბალახებში ქათმის თეთრი ბუმბული, იგი მიუტანა დედას. დედა ეუბნება: „ეს ბუმბულია“. თამაზიც იმეორებს: „ბუმბული“.

1, 7, 16; „დაჯი პეპელა“ (ბუმბული გაფრინდა)—დედამ ხელი მალლა ასწია. ქარმა მოიტაცა ბუმბული და გაფრინდა. თამაზი გაკვირვებული უყურებს და იძახის: „დაჯი პეპელა, დაჯი პეპელა“.

1, 7, 16; „კაკო ზიზია“ (აკაიმი ახალი ფეხსაცმელები მიყიდა)—მამამ ახალი ფეხსაცმელები მოუტანა თამაზს. მას ძალიან გაეხარდა. როდესაც ჩააცევს ის ღარბოდა, ყველას უჩვენებდა და ეუბნებოდა: „კაკო ზიზია, კაკო ზიზია“.

1, 7, 18; „შოკოლა. შოკოლა. სულ დიდი შოკოლა, პატალა ალა“ (დიდი შოკოლადი მომეცით, პატარა არ მინდა)—ბაბუამ თამაზს მოუტანა ფიგურებიანი შოკოლადი, სადაც პატარა ნაქრებიც არის და დიდებიც. თამაზი ჯერ ართმევს სახელს ობიექტს, „შოკოლა“, ამბობს თვალეგაბარწყინებული, მერე კი მოითხოვს დიდ ნაქერს „სულ დიდი შოკოლა, პატალა ალა“.

1, 7, 18; „ღუმბ ქვა“ (წყლიან ვედროში ნივთების ჩაყრა). —თამაზი ოთახიდან გადის აივანზე, მალიმალ შემობრუნდება და ისევ გარბის, თან ყოველ გამოსვლაზე იძახის: „ღუმბ ქვა“. დედამ ყურადღება მიაქცია, გავიდა და რას ხედავს? თამაზს წყლიანი ვედრო აუესია იმ ნივთებით, რაც ხელში მოხვედრია (ქიჩა. დანები, კოვზები, ქუდი, ფეხსაცმელი და სხვა); დედა გაჯავრებული ეუბნება: „ეს რა გიქნია თამაზ? თამაზი იცინის და ეუბნება: „ღუმბ ქვა“;

1, 7, 20; „პატალა წიპო, სულ პატალა“ (პატარა წიწილები)—თამაზმა ეზოში დაინახა ახლადგამოჩეკილი წიწილები და მოითხოვა ახლოს მისვლა. მიიყვანეს აკვირდება მათ და ამბობს: „პატალა წიპო, სულ პატალა წიპო“.

1, 7, 20; „ბებია ადე, მსია“ (ბებია მშია, ადე მაქამე)—ბებია ტახტზე წამოწოლილია და ისვენებს. თამაზი მიდის მასთან და ეუბნება: „ბებია ადე, მსია“.

1, 7, 20; „თეგო გოლი, გოლი მინდა“ (თენგიზ. ღორებთან წამიყვანე)—თამაზი აიენიდან ხედავს ღორებს ეზოში; უნდა მათთან ჩასვლა, მაგრამ ეშინია და ეხვეწება თენგიზს: „თეგო გოლი, გოლი მინდა“, თხოვს ჩაიყვანოს ეზოში.

1, 7, 20; „გოლი ქაცა-ქაცა“ (ღორები გაიქცნენ)—თენგიზმა რომ თამაზი ეზოში მიიყვანა ღორებთან, ისინი დაფრთხნენ და გაიქცნენ. თამაზი „ქაცა-ქაცა“-თი აღნიშნავს მათ გაქცევას: „გოლი ქაცა-ქაცა“.

1, 7, 20; „ქსა წიპო“ (აქმა, წიწილებო)—მან იქვე კრუხი დაინახა წიწილებით, უნდა ისინიც დააფრთხოს, უქნევს ხელებს და უძახის; „ქსა წიპო“.

1, 7, 20; „ჭუჯი კავ-კავ“ (ინდაურის ძახილი)—თამაზი ეხო- შია და დიდხანს აკვირდება ინდაურების ძახილს, შეჰდევს სრულად სპონტანურად წამოაძახა: „ჭუჯი კავ-კავ“.

1, 7, 20; „ბოლი, ბელი ბოლი“ (ბევრი ღრუბელი)—თამაზი აიენიდან უტკერის ცას, სადაც ბევრი თეთრი ღრუბელია და აზ- ბობს: „ბოლი, ბელი ბოლი“.

1, 7, 20, „ბებია ნწაი, ნწაი“ (ბებია წვიმა წამოვიდა)—თა- მაზი და ბებია აივანზე არიან. დაიწყო წვიმა. თამაზი უყურებს წვიმის წვეთებს და ამბობს: „ბებია ნწაი, ნწაი“ თან ხელს ნოა- ჯირის გარეთ ყოფს და უჩვენებს ბებიას.

1, 7, 20; „ბებია, მომე კალალი“ (კარაქი წამიცხე პურზე და მაქამე)—საუხზობენ. თამაზი იღებს პურის ნაქერს, აწვდის ბებიას, უთითებს კარაქზე და ეუბნება: „ბებია მომე კალალი“, თან ხე- ლით ანიშნებს პურზე წაუსვირო.

1, 7, 20; „ნანა მომე ძიმი“ (მომეცი მძივები)—ნანა ტახტზე ზის და მძივებს ასხანს ძაფზე. თამაზი მიდის მასთან და ეხვეწება: „ნანა, მომე ძიმი“.

1, 7, 20; „კოტა, ოლი კოტა“ (ორი კოქა)—თამაზს უჭირავს ძაფის ცარიელი კოჭები (ხუთი ცალი) თამაშობს, აგორებს და იძახის: „კოტა, ოლი კოტა“.

1, 7, 20; „მანო, ბუა იქა“ (მარომ თქვა, იქ ბუა არისო)— თამაზი გააჯავრეს და ტირილი დაიწყო. დიასახლისმა უთხრა: „თამაზ, არ იტირო, იქ ბუა არის, წაგიყვანსო“. თამაზმა ტირილს თავი დაანება, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მამასთან მივიდა, გაი- წოდა ხელი გარეთ, ეხოკენ და უთხრა: „მანო, ბუა იქა“.

1, 7, 22; „დაჯი, პეპელა, ოლი პეპელა“ (ორი პეპელა და- ჯდა)—ტყეში მიდიან სასეირნოდ. თამაზმა დაინახა, რომ ორი პეპელა დაფრენა ერთად. თამაზი იძახის: „დაჯი პეპელა“, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: „ოლი პეპელა“.

1, 7, 22; „დედა ნანა, ნანა“... (ნანას ხელზე ვუკბინე)—ხა- ლიჩაზე სხედან (ტყეში) ნანა და თამაზი. ისინი თამაშობენ. თამაზ- მა ნანას ხელზე უკბინა და აატირა. დედა ეუბნება „რა ქენი თა- მაზ?“ „დედა ნანა, ნანა“... უნდა კიდევ რალაცა თქვას, მაგრამ სიტყვები არ ყოფნის, იგი ჩაიდებს თავის ხელს პირში, იკბნეს ხელზე და ანიშნებს დედას, რომ ასე უკბინა ნანას ხელზე.

1, 7, 22; „მოღი ზინა, წადი ზინა“—თამაზმა დაინახა მეზობლის გოგონა ზინა და ეძახის: „მოღი ზინა“. ისინი ერთად თამაშობენ. ცოტა ხნის შემდეგ, როცა მობეზრდა თამაში, ხელით აგდება, აწვება და ეუბნება: „წადი ზინა“.

1, 7, 22; „ცოქლი, გაწიე, ცოქლი“ (ცოცხი, გაწიე ცოცხი)—ნანა ოთახს გვის, თამაზს ცოცხს უჩვენებს და ეკითხება: „თამაზიკო ეს რა არის?“ მას ძალიან ახლოს მიაქვს ცოცხი ბავშვთან. თამაზი უკან იხევს და ეუბნება: „ცოქლი“, და ცოტა ხნის შემდეგ უმატებს: „გაწიე ცოქლი“.

1, 7, 22; „თეგო უწაპი“ (მომეცი ლურსმანი, თენგო)—თამაზის მამიდაშვილი თენგო კედელზე ლურსმანს აკედებს, თამაზი მირბის მასთან, ხელებს უწვდის და ეხვეწება: „თეგო უწაპი, თეგო უწაპი“.

1, 7, 22; „ოღი მე“ (ორი მე)—დედამ ნანას თეფშით კლი-
ავი მიცა და უთხრა, ბავშვებს გაუნაწილეო“. ნანა უნაწილებს და თან ამბობს: „ორი ნიას, ორი დალის, ორი ლალის“,—„ოღი მე“—წამოიძახებს თამაზი.

1, 7, 24; „ქემიკა, ქემიკა“ (მზესუმზირა „სემიჩკა“ მონეცი)—თამაზმა მეზობლის ბავშვს დაუნახა მზესუმზირა, მიიბრინა დედასთან და დაჟინებით თხოვს: „ქემიკა, ქემიკა“, თან ხელს იწვდის ბავშვისაკენ, რომელსაც მზესუმზირა უჭირავს.

1, 7, 24; „გატკა, გატკა“ (გატყდა, მოწყდა)—თამაზს ხელში უჭირავს გრძელყლორტიანი ყვავილი და ათამაშებს. აქნევს. უცებ ყვავილი მოწყდა და ძირს დაეარდა. თამაზი ხელით ანიშნებს ბებიას ყვავილის მოწყვეტას და ეუბნება: „გატკა, გატკა“.

1, 7, 24; „ხელი, ფეჟი, თალი, თაი, თმა“. (ხელი, ფეხი, თვალი, თავი, თმა)—ნანა და თამაზი თამაშობენ. ნანა ეკითხება: „თამაზიკო ეს რა არის?“—უჩვენებს ხელზე. თამაზი სწორად გამოთქვამს: „ეს ფეჟი, ეს თაი, თალი, თმა“. ასევე განაგრძობს დასახელებას:

1, 7, 24; „კული, კელი, ცილი, კილელი“ (ყური, ყელი, ცხვირი, კისერი)—ნანა ისევ ეკითხება: „აბა მიჩვენე ყური?“ თამაზი უჩვენებს და ეუბნება: „კული, კელი, ცილი, კილელი“.

1, 7, 24; „ნანა, ნანა“... (ნანამ მცემა)—ნანამ თამაზს ხუმრობით შემოჰკრა. თამაზი გაიქცა დედასთან ყვირილით, ირტყამს ხელს იმ ნაწილზე, სადაც ნანამ დაარტყა და ამბობს: „ნანა, ნანა“... ე. ი. მოძრაობით-მოქმედებითაც უჩვენებს და ცდილობს შეაფხოს სიტყვების დანაკლისი.

1, 7, 24; „ადიო, ტომ-ტომ, ადიო ბუძია“ (რადიო უკრავს, რადიოში ბიძია ლაპარაკობს)—რადიოთი კონცერტს გადმოცემენ. თამაზი ყურადღებით უსმენს, და როდესაც გადმოცემა დამთავრდა, ამბობს: „ადიო ტომ-ტომ“. ამის შემდეგ დიქტორმა დაიწყო ხმამაღლა ლაპარაკი, ცნობების გადმოცემა. თამაზი მიაჩერდა რეპროდუქტორს და თქვა: „ადიო ბუძია“, ე. ი. რადიოში ბიძია ლაპარაკობსო.

1, 7, 24; „ბუძია კაქია“ (ბიძია კარგია)—თამაზს ხელში უკრავს ბიძის სურათი, ეალერსება და ამბობს: „ბუძია კაქია“.

1, 7, 24; „თაკალელო ბუძია“ (საყვარელო ბიძია)—სურათს კოცნის და ამბობს: „თაკალელო ბუძიკო“ ხელს უსვამს, თითქოს ეფერება.

1, 7, 24; „თაბაზი (თამაზი)—ნანა ეკითხება: „რა გქვია შენ?“

1 „თაბაზი“—უპასუხებს თამაზი.

„ვალილიში“ (ავალიშვილი). „რა გვარი ხარ საყვარელო?“ ეკითხება ისევ ნანა. „ვალილიში“, უპასუხებს თამაზი.

1, 7, 25; „აი, ბუჭი“ (აი ბიჭები)—თამაზი ათვალეირებს სურათს, სადაც რამდენიმე ბიჭია გადაღებული და ამბობს: „აი ბუჭი“ „რამდენია?“ ეკითხება, დედა. თამაზი ისევ უყურებს, ადებს თითს და ამბობს: „ელთი-ოლი“ (ერთი ორი)—თითქოს თვლის.

1, 7, 25; „ბებია, ბებიკო ელთი-ოლი ბუთი, ელთი ოლი“ (ბებია ევე გოგრები)—თამაზი და ბებია აივანზე არიან. თამაზმა დაინახა ეზოში გოგრები. აჩვენებს ბებიას და ეუბნება: „ბებიკო ელთი-ოლი ბუთი, ელთი-ოლი“.

1, 7, 25; „დანა, ტომ-ტომ უწაპი“ (დანით ლურსმნის მიქედება)—დედამ კედელზე პატარა ლურსმანი მიაჭედა დანის ტარით. თამაზი შეჰყურებდა. როდესაც ბაბუა დაბრუნდა სამსახურიდან, თამაზმა უჩვენა მიქედებული ლურსმანი და უთხრა: „დანა ტომ-ტომ უწაპი“.

1, 7, 25; „დედა ვაჟა, ნანა ტაბუტი“ (ნანამ ჩაქუჩით მატკინა)—თამაზი და ნანა თამაშობენ. ნანას მოუხვდა ჩაქუჩის ტარი ხელზე, თამაზი ატირდა, გაიქცა დედასთან და უთხრა: „დედა ვაჟა“. თან აჩვენებს ნატკენ ხელს. „ვინ გატკინა?“ ეკითხება დედა. „ნანა ტაბუტი“, უპასუხებს იგი.

1, 7, 28; „ცხელია“.—თამაზი საუზმისთვის ემზადება. იგი დასვეს სუფრასთან. ბებიამ მოუტანა თეფშით ახლადმოდულებული ფაფა. თამაზს ეჩქარება ჭამა და ბებიას აჩქარებს, მაგრამ შეჭამა თუ არა პირველი კოვზი იძახის: „ცხელია“. თავი დასანება ჭამას და დაუწყობ სულის შებერვა, გაცივება.

1, 7, 28; „ხველია“.—თამაზმა საუზმის შემდეგ მოიხსნა წინ-სათარი და გადააგდო. „რა ქენი“? ეკითხება დედა. „ხველია“ უპასუხებს თამაზი. დედამ შეამოწმა და მართლაც წინსაფარი მთლად დაესველებია, ჩაი ჩამოეღვარა ზედ.

1, 7, 28; „ტაკუდინი, ტაკუნინი, თაქი-თუქი, ტიკი-ტოკი“ (სიტყვათა თამაში—ახლადგალვიძებული წევს საწოლში და იმეორებს ამ სიტყვებს დაუსრულებლად იმ თანამიმდევრობით, როგორც აქაა ჩამოთვლილი).

1, 7, 28; „ქალი, კაცი. გაჩე ნანა. მეცა, გეწი ნანა“ (დამაცადე ნანა, მოიცა, გაიწი იქით)—თამაზი ათვალეერებს ნანას წიგნში სურათებს, თან ჩამოთვლის: „ქალი, კაცი“. ნანა არ აცლის, ცდილობს წაართვას წიგნი. „გაჩე ნანა, მეცა, გეწი ნანა“. უჯავრდება თამაზი და ცდილობს მოიშოროს ხელისკერით.

1, 7, 28; „ოლი, თამი, ოთხი, ხუთი“ (ორი, სამი და ა. შ.)—ნანა და თანაზი წამოწოლილი არიან ტახტზე. ნანა იწყებს დათვლას: „ერთი“. „ოლი“, უპასუხებს თამაზი. „სამი“—ამბობს ნანა. „თამი“ განაგრძობს თამაზი. „ოთხი“ ამბობს ნანა. „ოთხი“ უპასუხებს თამაზი. „ხუთი“ ამბობს ნანა. „ხუთი“ პასუხობს თამაზი.

1, 7, 29; „ბებია, კაბა, შავალი“ (ჩამაცვი კაბა და შარვალი)—თამაზი დილით გაღვიძებისთანავე უძახის ბებიას: „ბებია, კაბა, შავალი“. ბებიას შეაგვიანდა მოსვლა, იღებს იქვე დაწყობილ ტანსაცმელს და მიდის ბებიასთან, ისევ უმეორებს: „ბებია კაბა, შავალი“.

1, 7, 29; „დედა, მამა... მე“ (მამამ წყალი დამალევინა)—მამამ წყალი დაალევინა, მიდის დედასთან და ეუბნება: „დედა, მამა მე“. სიტყვას ველარ პოულობს, ალებს პირს, თითოთ ანიშნებს და უმატებს სიტყვას „მე“-ს ე. ი. დამალევინაო.

1, 7, 29; „ნანა მთხალი მე“ (ნანა მსხალი მაქამე)—ნანა აივანზე ზის. და მსხალს შეექცევა. თამაზი მიდის მასთან, ულებს პირს, იღებს თითს პირში და ეუბნება: „ნანა მთხალი მე“ ანიშნებს, მსხალი მაქამეო.

1, 7, 29; „ბაბუა მოდი თხალა“ (მოდი ჩქარა)—თამაზი ზის და თამაშობს თავის მაგიდასთან, სადაც ახალი სათამაშოები ულავია. ამ დროს დაინახა სამსახურიდან დაბრუნებული ბაბუა. თამაზი ეძახის: „ბაბუა მოდი თხალა“.

1, 7, 29; „შოკოლა, მე შოკოლა“ (შოკოლადი მომეცი)—ბაბუა შემოვიდა ოთახში, გაიხადა პალტო და ჯიბიდან იღებს

შოკოლადს. თამაზმა როდესაც ეს დაინახა, თავი დაანება სათამაშოებს, გაიქცა ბაბუასთან ძახილით: „შოკოლა მე, შოკოლა“.

1, 7, 29; „მამიკო, ბაბუა შოკოლა“ (ბაბუამ შოკოლადი მომცა)—ბაბუამ შოკოლადი მისცა თამაზს. მას უხარია, გარბის მამასთან, უჩვენებს შოკოლადს და ეუბნება: „ბაბუა სოკოლა, მამიკო, შოკოლა“.

1, 7, 30; „წიპო, პატარა წიპო, ციტი დედა, ციტი“ (პატარა წიწილა, ჩიტო). ფანჯარაზე ჩიტები შემოფრინდნენ და ნამცეცებს კენკავენ. თამაზმა დაინახა ისინი, უჩვენებს დედას და ეუბნება: „წიპო, პატარა წიპო“. ის წიწილა კი არა, ჩიტია უსწორებს დედა. თამაზიც იმეორებს: „ციტი დედა, ციტი“.

1, 7, 30; „აფინდა, აფინდა, ბზზ, აფინდა, აფინდა, ბზზუუ“ (აფრინდა—აფრინდა ბზზ, თამაშობაა)—ნანა და მისი ამხანაგები თამაშობენ „აფრინდა, აფრინდას“. თამაზი აკვირდება მათ, შემდეგ მიდის თავის მაგიდასთან, ჯდება სკამზე, უსვამს ხელს სკამს და აზბობს: „აფინდა, აფინდა ბზზუუ“.

1, 7, 30; „კიკილო-მამალო“ (ყიყლიყო, მამალო)—თამაზი წიგნს ათვალეირებს, ნახა მამლის სურათი და აზბობს: „კიკილო, მამალო“. აქამდე კი მხოლოდ „კიკილო“-ს აზბობდა.

1, 7, 30; „ტამე, წიპო, ტამე“ (ქამა წიწილამ)—დედა ეკითხება ნანას „ნანა წიწილს აქამე?“ (ნანა როდესაც წიწილას აქმევედა, თამაზი იქვე იყო და უყურებდა), ახლა თამაზი პასუხობს ნანას მაგივრად: „ტამე წიპო, ტამე“.

1, 8, 0; „კაკო მამა, კაქი კაკო მამა“ (კარგი მამა)—მამა წამოწოლილი ისვენებს, თამაზი მიდის, ეფერება, ხელებს უსვამს ლოყებზე და ეუბნება: „კაკო მამა, კაქი კაკო მამა“.

1, 8, 0; „დედა ძაფი, ოლი პატალა ძაფი“. თამაზი საუბრობს. კარაქიანი პური დაუფარდა ძირს. თამაზმა აიღო; დანაკვირდა და ნახა რომ, პურს ორი ბეწვი აყოლია იატაკიდან. იგი უჩვენებს დედას და ეუბნება: „დედა ძაფი, ოლი პატალა ძაფი“—დედა ართმევს პურს.

1, 8, 0; „ბაბუა, კალალი პული“ (ბაბუა მაქამე კარაქიანი პური)—თამაზი მიუბრუნდება ბაბუას და თხოვს „ბაბუა, კალალი პული“.

1, 8, 0; „ბებია ჩაი, პული მე. ბებია მე ჩაი პული“ (პური მომეცი და ჩაი დამალევიწე)—ბებია ჩაის ასხამს, თამაზი თხოვს მასაც დაალევიწოს. „ბებია ჩაი, პული მე“. როდესაც დალევს, მიდის დედასთან და ეუბნება: „ბებია მე ჩაი პული“. „ვინ გაქამა?“ ეკითხება დედა, ისიც უპასუხებს: „ბებია“.

1, 8, 0: „დედა ადე, დედა ადე, დედა იქა, იქა“ (დედა ადექი)—თამაზი ესახის დედას, რომელიც მეორე ოთახში წევს: „დედა ადე“. სად არის დედა? ეკითხება მამა. —დედა იქა, იქა“ უპასუხებს თამაზი და ხელს იშვერს მეორე ოთახისაკენ, სადაც დედა ეგულება.

1, 8, 0; „ბაბუა, ქუდი“ (ბაბუას ქუდი მახურავს)—თამაზს დაუხურავს ბაბუას ქუდი, დარბია ოთახში და იძახის: „ბაბუა ქუდი“.

1, 8, 0, „ბაბუა, ქიაფი ტამე. ბაბუა კუკა. კუკა“. დედამ თევზით ქლიაფი შემოიტანა და რამდენიმე ცალი ბისცა თამაზს. თამაზმა ბაბუას მიაწოდა და ეუბნება: „ბაბუა, ქიაფი ტამე“ და როდესაც ბაბუამ აიღო და ქამა დაიწყო, თამაზმა მოაგონა („ბაბუა კუკა, კუკა“) რომ კურკა გადაადგოს.

1, 8, 0; „ბაბუა, მამიკო ტუმ-ტუმ“ (მანამ გიტარა დაუკრა) —მამა თამაზის სათამაშო „გიტარას“ უკრავს. თამაზი ბაბუას ეუბნება: „ბაბუა! მამიკო ტუმ-ტუმ“.

1, 8, 0; „ტუმ-ტუმ“ (გიტარა)—თამაზი ცდილობს მამას გიტარა გამოართვას, მამა ეკითხება: „რა არის ეს?“ ტუმ-ტუმ“ უპასუხებს იგი.

1, 8, 0; „გილალა“ (გიტარა). —ეს ტუმტუმ კი არა, გიტარა არის“, უსწორებს მამა. „გილალა, გილალა“ იმეორებს თამაზი და იცინის.

1, 8, C; „ვაი, დედა უწაპი“ (ვაი, დედა ლურსმანი)—თამაზი ლურსმანს აქედებს კედელზე. უცებ ლურსმანი ხელიდან გაუვარდა. თამაზი იძახის: „ვაი, დედა უწაპი“ და თან თვალებით ეძებს ლურსმანს იატაკზე.

1, 8, 1; „ავაბილილი. ავაბილილი“ (ავალიშვილი) —ნანა ეკითხება: „რა გვარი ხარ, თამაზიკო, შენ?“ „ავაბილილი“, უპასუხებს იგი. „არა, ავაბილილი კი არა, ავალიშვილი“ უსწორებს ნანა. თამაზი ცდილობს სწორად გაიმეოროს, „ავაბილილი“ ამბობს იგი.

1, 8, 1; ნწყალი ცოტა, ცოტა ტიქა ცოტა“ (ქიქაში ცოტა წყალი ჩამისხი)—თამაზს მიაქვს ქიქა დედასთან და თხოვს: „წყალი ცოტა ტიქა, ცოტა“. (ე. ი. ცოტა წყალი ჩამისხი ქიქაში).

1, 8, 1; „თენგო, წყალი მე“ (მე წყალი დავლიე)—როდესაც დედამ წყალი დაუსხა და თამაზმა დალია, მიუტანა ცარიელი ქიქა თენგოს, აჩვენა და ეუბნება: „თენგო, წყალი მე“, ე. ი. მე წყალი დავლიეო.

1, 8, 1; „დედა, პული კალალი, ჩაი ცხელია“ (პური და კარაქი მომეცი) — თამაზი სუფრასთან ზის და საუზმეს ელოდება. დედას ჩაი მოაქვს. თამაზი ეუბნება: „პული კალალი“. დედამ იაიცი ნიაწოდა. ჩაი მოსუა და განაცხადა: „ჩაი ცხელია“.

1, 8, 1; „პული, პული, დედა“ (პური მომრჩა და წაილე) — ჩაი დალია, პურის ნაქერი დარჩა, დედას ეუბნება: „პული, პული დედა“, ე. ი. პური წაილე და შეინახეო.

1, 8, 1; „დედა, მაწონი მე“ (მაწონი მაქამე) — დედამ შემოიტანა ქილით მაწონი და მაგიდაზე დადგა. თამაზმა დაინახა და თხოულობს: „დედა, მაწონი მე“.

1, 8, 1; „ნანა, მანგანინი“ (მაკრატელი მომეცი) — ნანა უკრის დედოფალას კაბას. თამაზი იქვე ტრიალებს, არ უსვენებს და დაჯინებით მოითხოვს: „ნანა, მანგანინი, მანგანინი“ — ე. ი. მაკრატელი მომეციო.

1, 8, 2; „მაწონი-მალაკო“ (ვითომ მაწონს ყიდის) — თამაზს ზურგზე მოკიდებული აქვს კალათა. იგი დადის ოთახში და ყვირის: „მაწონი-მალაკო, მაწონი მალაკო“, აჯავრებს მემაწვნეს, რომელიც ხშირად შემოდის ჩვენს ეზოში.

1, 8, 2; „დედა, დედა, პამიდო“ (პამიდორი შეეკამე) — თამაზს პამიდორი უჭირავს ხელში და ჭამს, წერე მიდის დედასთან და ეუბნება: „დედა, დედა“ თან აღებს პირს. „რა იყო შეილო?“ ეკითხება დედა. „პამიდო, პამიდო“ თითს იღებს პირში, ანიშნებს დედას პამიდორი შეეკამეო.

1, 8, 2; „დედიკო, ბებიკო თაქუთი. ბებია ჩხარა, ჩხარა უწაპი პატარა უწაპი“ (ჩაქუჩი ვიპოვე, ბებია ლურსმანი დამიკირე რომ დაეკედო. ჩქარა) — თამაზმა იპოვა ჩაქუჩი, რომელიც რამდენიმე დღის წინ გადაუმაღეს. მას ძალიან გაეხარდა, დატრიალდა, მოჰგებნა პატარა ლურსმანი, მაგრამ ვერ დააქედა, უძახის ბებიას და თხოვს, რომ დაუჭიროს ლურსმანი, თვითონ ცდილობს დაქედებას.

1, 8, 2; „ხო. ხო, ჩხარა უწაპი“ (ჩქარა დაიკირე ლურსმანი) — ბებია ეკითხება: „თამაზიკო, ასე დაეკირო ლურსმანი?“ თამაზს მოთმინება არ ყოფნის და აჩქარებს მალე შეასწოროს: „ხო, ხო, ჩხარა უწაპი“.

1, 8, 2; „თაქუთი, თაქუთი, ტუმპ. წყალი დიდი ქვა, ტუმპ წყალი, დიდი ქვა“ — თამაზს თავის მაგიდასთან იქვე უდევს თავისი საყვარელი ჩაქუჩი და თავისთვის ლაპარაკობს, თითქოს იგონებს წყალში ქვის ჩაგდებას.

1, 8, 3; „დედა, ადე მე“ (ჩამაცვი და ამაყენე)—თამაზმა გა-
იღვიძა, დედა ამდგარა და ოთახში საკმეიანობს, ბავშვი კირვეუ-
ლობს, ტირის და დედას უძახის: „დედა, ადე მე“. თხოულობს
ადგომას და ჩაცმას.

1, 8, 3; „ცხოცხი, ცხოცხი, კოჩხა, კოჩხა, ბუძია“ ცოცხი,
კოჩკა ბიძია)—თამაზს აულია ცოცხი, დადის ოთახში და იძახის:
ცხოცხი, ცხოცხი. ამ დროს ბიძიამ გაიარა. ახლა ბიძიას საშინაო
სახელს (კოჩკა) იმეორებს: „კოჩხა, კოჩხა, კოჩხა-ბუძია, კოჩხა“.

1, 8, 3; „დედა, დედა ნწალი თხარა, თხარა. ბეზია, ბეზიკო
თხარა ნწალი“ (დედა, ბებო ჩქარა წყალი დამალევინეთ)—თამაზი
მიდის დედასთან და თხოვს წყალს. დედა უარს ეუბნება, „ჩაის მე-
რე არ შეიძლებაო“. მერე ბეზიასთან გარბის იმას თხოვს. „ბეზია
ბეზიკო, თხარა ნწალი“. არც ბეზია აძლევს. თამაზი დაინახავს
შემოსულ ბაბუას, გარბის მისკენ.

1, 8, 3; ბაბუა, ბაბუა ნწალი“ (ბაბუა შენ დამალევინე)—
თხოვს წყალს. ბაბუა უსხამს კიქაში ცოტა წყალს, თამაზი სვამს,
მაგრამ არ ყოფნის. „ბაბუა, კიდევ ცოტა, ცოტა“—(კიდევ დამალე-
ვინე ცოტა)—ეხვეწება ბაბუას.

1, 8, 3; „ალმინა-ალმინა“ (არ მინდა)—დედა პირს ბანს.
თამაზი ტირის და იძახის: „ალმინა, ალმინა“. დედამ ხელ-პირი
დაბანა, აიღო პირსახოცი და უმშრალებს.

—„— „ხელი, დედა, ოლა ხელი“ (მეორე ხელი)—თამაზი უშ-
ვერს ჯერ ერთ ხელს და ეუბნება: „ხელი დედა“. მერე მეორეს და
ისევ ეუბნება: „ოლა ხელი, დედა ოლა, ხელი“, ე. ი. მეორე ხე-
ლიც გაშიშრალეო.

1, 8, 3; „ნანა, პატარა უწაპი“ (პატარა ლურსმანი ვიპოვე)
—თამაზმა იატაკზე იპოვა პატარა ლურსმანი. იგი გახარებული
გაიქცა ნანასთან, უჩვენებს ლურსმანს და ეუბნება: „ნანა, პატა-
რა უწაპი“.

—„— „კოჩხა უწაპი“ (კოჩკას ლეიბში შევარქე)—თამაზს მიაქვს
ლურსმანი, იქვე ტახტზე ბიძია წევს და ძინავს. თამაზი მიდის და
ლეიბში შეარქობს ლურსმანს. გამორბის, იცინის და ისევ ნანას
მიმართავს: „კოჩხა ბუძია უწაპი“.

1, 8, 3; „ჩიჩი მე, ქოცხი, ქოცხი მე, კაქი პული, კალაღი. ჩაი
კაქია“ (ხორცი მაქამე, კარგია ხორცი, კარაქი, პური, ჩაი)—უფრო-
სები საუზმობენ. თამაზიც თავის მაგიდაზე საუზმობს: სვამს ჩაის.
მან დაინახა, რომ უფროსები ხორცს მიირთმევენ. იგი მოითხოვს
მასაც. მისცენ ხორცი: „ჩიჩი მე“. „ჩიჩი კი არა ხორცი“ უსწო-

რებს მამა. „ქოცხი, ქოცხი, მე. კაქია“. რასაც ქაშს ყველაფერზე ამბობს „ჩაი კაქია, კალალი პული კაქია“.

1, 8, 4; „თამლიკო ჭუპა-ჭუპა“ (თამრიკო პირს იბანს)—თამაზი წიგნს ათვალისრება, ნახა გოგონას სურათი, რომელიც პირს იბანს. თამაზი ამბობს: „თამლიკო ჭუპა-ჭუპა“. დედა უსწორებს: „თამრიკო პირს იბანს“. ის მაინც იძახის: „თამლიკო ჭუპა-ჭუპა“. როდესაც კი ამ წიგნს იღებს ხელში გადაფურცვლამდე ამბობს: „თამლიკო ჭუპა-ჭუპა“.

1, 8, 5; „ნანა ტამო, ჩაი. გოგო ტამო, ტამო გოგო“ (ნანა წამოდი ჩაი დალიე)—დედამ საუზმე გაამზადა, ბავშვებს ეძახის. ნანა მეორე ოთახშია. თამაზი გარბის, ხელს კიდებს კაბაში, ეწევა და თანაც ეუბნება: „ნანა, ტამო ჩაი. ტამო გოგო, ტამო“.

1, 8, 4; „ბიძია კოჩხა, პაპილოპი, პაპილოპი (ბიძია კოჩკა, პაპიროსი გამატანე)—თამაზი გააგზავნა მამამ, „წადი ბიძია კოჩკას პაპიროსი თხოვე და მომიტანე“-ო. თამაზი მიდის და ეუბნება: „ბიძია კოჩხა, პაპილოპი, პაპილოპი“. ბიძია აძლევს პაპიროსს თამაზს, ისიც გახარებული გარბის მამასთან.

1, 8, 5; „ბებია, შაქალი ჩაი“ (ბებია დაშაქრული ჩაი დამალევინე)—დილით თამაზი გაღვიძებისთანავე ბებიას ეძახის: „ბებია, შაქალი, ჩაი. შაქალი ჩაი მე“.

1, 8, 5; „ნანა, ქაქალი“ (ქალაღი მომეცი)—ნანა ნეცადინეობს. თამაზს ხელში ფანქარი უჭირავს, მიდის ნანასთან და ეუბნება: „ნანა, ქაქალი“. ნანა აძლევს ქალაღს, ისიც ჯდება თავის მაგიდასთან და იწყებს ხატვას.

1, 8, 5; „ბატონო“—თამაზი ტახტზე თამაშობს. დედა ეძახის. თამაზი უპასუხებს: „ბატონო“, ნანაც ეძახის მას. თამაზი არ ეუბნება „ბატონოს“. ნანა ეკითხება: „მე რატომ არ მითხარი ბატონო?!“. „აჲ უნდა, აჲა“. პასუხობს თამაზი, ე. ი. არ მინდაო.

1, 8, 5; „დედა, აი... პატალა სუსა“ (პატარა შუშა)—თამაზმა იპოვა შუშის პატარა ნაჭერი, მიუბრუნია დედას და ეუბნება: „დედა აი...“ არ იცის სახელი, დედა უკარნახებს: „შუშა“. თამაზიც უმატებს: „პატალა სუსა“.

1, 8, 5; „დაჯი ტამი“ (დაეჯექი სკამზე)—თამაზს მიაქვს პატარა სკამი, დგამს მაგიდის წინ, ჯდება ზედ, იხედება აქეთ იქით, თუ ვინმე მიცქერისო და ამბობს: „დაჯი ტამი“.

1, 8, 5; „პანტა... დელიკო პანტა ღზინა, პანტა ღზინა“ (პანტა, ზინამ რომ მომცა)—დედა აძლევს თამაზს პანტა მსხალს და ეუბნება: „აიღე თამაზ პანტა“. „პანტა“ იმეორებს თამაზი,

დაფიქრდება და ცოტა ხნის შემდეგ აპობს. „დედიკო პანტა, ღვინა პანტა, ღვინა პანტა“. მან გაიხსენა ცემში ერთი თვის წინ დიასახლისის გოგონამ, რომ პანტა ზისცა.

1, 8, 6; „ურაა... დიდი ქვა, ბელი აჩუა, ბელი ჩიტი, პატარა გოგო, მელია, ბაჭია“. (ბევრი ცხენი, ბევრი ჩიტი, პატარა გოგო, მელია)—თამაზი უზის ნანას კალთაში, ათვალერებენ წიგნს და რა სურათსაც ნახავს თამაზი ჩამოთვლის, ასახელებს.

1, 8, 8; „დალი, ბაბუ, დალი“ (დალის უკბინა ლოყაზე)—თამაზი დედას ეფერება, კოცნის ხელზე და უნდა უკბინოს. „ეგ არ შეიძლება“. ეუბნება დედა: „გახსოვს, შენ ვის უკბინე ასე?“ „დალი“ უპასუხებს თამაზი (მან გაიხსენარომ თავის ამბანავს კოცნიდა და ლოყაზე უკბანა) გარბის ბაბუასთან და ეუბნება: „ბაბუ დალი“... სავა სიტყვას ვერ იგონება და იკებნს აელზე (რითაც ანიშნა, თუ როგორ უკბინა დალის).

1, 8, 8; „მე? მე?“ (მე რატ არ მიყიდე)—დედამ ნანას კაბა უყიდა. თამაზმა ტირილი დაიწყო და დედას ეკითხება: „მე? მე?“ დედა აცმევს მას ნანას კაბას, თამაზი წყნარდება, უხარია, იცინის.

1, 8, 8, „დედა ეე... წინგლი, წინგლი, ფისუნია, მელია“ (წიგნი სადაც მელიის და კატის სურათებია)—თამაზი უჩვენებს დედას წიგნს და ეუბნება: „დედა-ეე“. „რა გინდა შეილო“. ეკითხება დედა „წიგნი?“ „წინგლი ფისუნია, მელია“ (წიგნი სადაც კატისა და მელიის სურათებია).

1, 8, 8; „დედა, დედა, ბაბუა ულააა, ულა თადილი, თადილი, ბაბუამ თადილი ულაა“ (ბაბუამ სადილი გაათავა)—ბებიამ თქვა: „ბაბუამ სადილი გაათავა“-ო. თამაზი შიშის დედასთან და უამბობს: „დედა, ბაბუა, თადილი ულაა“ და ა. შ. იმ თანმიმდევრობით როგორც ზემოთაა მოცემული.

1, 8, 8; „იქა პატალა გოგო ბაია“ (იქ პატარა გოგო)—თამაზი თანჯარის რაფაზე ზის და იხედება თანჯარაში. იგი ხედავს რომ მეზობლის პატარა გოგონა ეზოში თამაშობს, თამაზი თითოეულ უჩვენებს ნანას გოგონას და ეუბნება: „იქა პატალა გოგო ბაია.“

1, 8, 8; „გინდა შენ“ (მე მინდა)—ბებიას ვაშლი უჭირავს ხელში, უჩვენებს თამაზს და ეუბნება: „გინდა ვაშლი?“ თამაზი უპასუხებს: „გინდა შენ“ და ხელებს იწვდის ვაშლისაკენ.

1, 8, 8; „ბიჭი-გოგო. გოგო-ბიჭი“ ნანა ეკითხება თამაზს: „შენ, ბიჭი ხარ, თუ გოგო?“ თამაზი უპასუხებს: „ბიჭი-გოგო“ „შენ, გოგო ხარ თუ ბიჭი?“—ნანა შებრუნებით აძლევს იმავე კითხ-

ვას. თამაზი პასუხობს: „გოგო-ბიკი“ (ეს აასუხები ნანას შეკითხვის განმეორებას უფრო გავს).

1, 8, 8: „დედა, ქუთხი პიკა“ (ხუთი შპილკა სარეცხის დასამაგრებელი)—თამაზს უქირავს ზელში ხუთი ცალი დასამაგრებელი (სარეცხის) უჩვენებს დედას და ეუბნება: „დედა, ქუთხი პიკა“

1, 8, 9: „გატელი დანა“ (გაქერი დანით)—თამაზს მიაქვს თენგიზთან ვაშლი და დანა, ეხვეწება: „გატელი დანა“ თან ვაშლს უსვამს დანას, ანიშნებს გაქერიო.

1, 8, 9: „ეზოხი, ლიანა, ნანა, ლიანა, დოდო. დედა კაქია“ (ეზოში წამიყვანე; დედა კარგია)—თამაზი ფანჯრიდან ხედავს ეზოში გოგონები თამაშობენ და დედას ეხვეწება: „ეზოხი, დედა კაქია“, და ჩამოთვლის იქ მოთამაშე გოგონების სახელებს.

1, 8, 9: „ქუთხი, ოლი, ხუთხი, ერთი, ოლი, სამი, ექვსი, სამი“ (თამაზს ხელში უქირავს ორი ბურთი და ამბობს „ქუთხი“ (ხუთი)—დედა ეკითხება: „რამდენი ბურთია?“ „ოლი“ უპასუხებს იგი. „არაა ორი“ უსწორებს თენგიზი. „ქუთხი“ ამბობს ისევ თამაზი. „აბა დათვილე“—იწყებს დათვლას „ერთი, ოლი, სამი, ექვსი“. „რამდენია?“ არ ეშვება თენგიზი. „სამი“ პასუხობს თამაზი.

1, 8, 9: „ია, ია“ (ყვავილები)—ბებია ზის ტახტზე და კერავს. თამაზს მიაქვს ყვავილების კურათი, აჩვენებს და ეუბნება: „ია, ია“.

1, 8, 9: „დინ-დინ; ბაბუა-კაკა“ (ზარის დარეკვა; ტბილეული მონიტანა)—ისმის ზარის ხმა. თამაზმა ყურადღება მიაქცია და იძახის: „დინ-დინ“. ვინ მოვიდა? ეკითხება მას ბებია. „ბაბუა“ პასუხობს და კარებისკენ იცქირება. „რა მოუტანა თამაზს?“ ეკითხება ისევ ბებია. „კაკა“ უპასუხებს თამაზი.

1, 8, 9: „ჩემო დედა“ (ატამი მაქამე)—ბაბუამ ატამი მოიტანა. თამაზს უხარია, დედას მიუტანა პარკი და ეხვეწება, რომ მიცეს. დედა უპასუხებს: „მოიცა შეილო გაგრეცხავ, გაფეცქვნი და მერე გაქმევ“. თამაზი აყვირდება. დედა ეუბნება „ნუ ყვირი, ასე არ შეიძლება, მთხოვე, უნდა მთხოვო, კი არ უნდა იყვირო!“ უცებ თამაზი ჩუმდება, ხელი ყელთან მიაქვს ეხვეწება და ეუბნება: „ჩემო დედა, ჩემო დედა“.

1, 8, 9: „ბებია ჩქალა ჩაი, საქალი, ჩემო დედა კალალი“ (ჩქარა მომიტანეთ ჩაი, შაქარი და კარაქი)—სალაპოა. თამაზს ბელები დაბანეს, იგი იჩქარის შემშრალებას, ჯდება თავის მაგიდასთან და ეძახის ბებიას და დედას: „ბებია ჩქალა ჩაი, საქალი, ჩემო დედა, კალალი პული“. არ ისვენებს, სანამ ყველაფერს არ დაულაგებენ სუფრაზე.

1, 8, 10; „პამინდორი დედა ე-ე პამინდორი“ (ე პამიდორი) — მაგიდაზე დგას კალათით მწითლე პამიდორი. თამაზი ამჩნევს, დედას ხელს კიდებს, მიყავს ახლოს და ეუბნება: „პამინდორი დედა, ე-ე პამინდორი“ თან თითით უჩვენებს.

1, 8, 10; „ქუთი კაკალი, ქვა“ (მომეციოთ ქვაკაკლის გასატეხად) — თამაზს უჭირავს ხელში სამი ცალი კაკალი, იგი მიდის მამასთან, აჩვენებს მას კაკლებს და ეუბნება: „ქუთი კაკალი ქვა“ და არ შორდება, სანამ მამა არ აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას.

1, 8, 10; „პი პიი, მასინა. პი-პიი მასინა“. მანქანის საყვირის ხმა-თაღაშობა) — თამაზი ზის სკამზე შებრუნებულად, თითქოს მანქანის საჭეს აქერს თითს და იძახის: „პი-პიი მასინა, პი-პიი მასინა“.

1, 8, 10; „ეზოსი ლიანა“ (ეზოში ვიყავი ლიანასთან) — მამას ამოყავს თამაზი ეზოდან, დედა ეკითხება: „სად იყავი, თანაზ“? „ეზოსი ლიანა“, უპასუხებს თამაზი.

1, 8, 10; „ნანა ეზოსი, მოდი ჩხარა“ (ნანა ეზოშია, ამოდი ჩქარა) — თამაზი იხედება ფანჯარაში, ხედავს ნანა გოგონებთან თამაშობს. თამაზი დედას ეუბნება: „ნანა ეზოსი“, ნანას კი ეძახის: „ნანა მოდი ჩხარა“.

1, 8, 11; „ტამე წიპო“ (ქამე წიწილაე) — თამაზს მიაქვს პურის ნამცეცები ქათამთან, წინ უყრის და ეუბნება: „ტამე წიპო, ტამე“.

1, 8, 11; „ნანა მოდი ჩხარა, ააა“ (ნანა მოდი ჩქარა შენც დაიძინე) — დედა თამაზს ტანისამოსს ხდის. დასაძინებლად აწვევს. თამაზმა შეამჩნია, რომ ნანა არ წვება, იგი წამოხტება და უძახის: „ნანა, მოდი, ჩხარა, ააა“. (შენც დაწეკი და დაიძინე).

1, 8, 11; „ვალოდია, დადუა“ (ვალოდია დადურა) — კედელზე ჩამოკიდებულია დეიდას და ბიძიას სურათი. თამაზი მიჩერებია სურათს და ამბობს: „დადუა, ვალოდია“ (სახელებს იმეორებს).

1, 8, 11; „ა კაია, ბუთი, ა კაია ბუთი“ (რა კარგი ბურთია) — თამაზს მოუტანა მეზობლის გოგონამ წითელი დიდი ბურთი, მას ძალიან მოსწონს და ამბობს: „ა კაია ბუთი“.

1, 8, 12; „კაბა სელია კილო. კაბა სელია“ (კაბაც სველია) — თამაზს ბურთი დაუსველდა წყალში. დედა ეუბნება: „თამაზ, ბურთი სველია, კაბაზე ნუ მიიღებ“, მას კი კაბა უკვე დაუსველებია, კიდებს ხელს და იძახის: „კაბა სელია კილო“ და იწვევს მალე გასახდელად.

1, 8, 12; „წიპო-ჩიტი, წიპო-ჩიტი“ (ქათამთან ჩიტებიც არიან)—აივანზე ქათამი არის დაბმული. ჩიტები მოფრენილან და ისინიც კენკავენ მარცვალს. თამაზმა როდესაც ეს დაინახა, გაიქცა დედასთან და უთბრა „წიპო-ჩიტი, წიპო-ჩიტი“, თან ეწევა დედას, უნდა წაიყვანოს დააჩვენოს.

1, 8, 12; „ნანა-კაკო ალა“ (ნანა და კაკო არ არიან)—დედა რადიოს უსმენს, თამაზი ხელს უშლის. დედას უნდა მოიშოროს და ეუბნება: „წადი მეორე ოთახში იქ ნანა და კაკო, იმათთან წადი“. თამაზი მიდის, მაგრამ შუა გზიდან ბრუნდება და დედას ეუბნება: „ნანა, კაკო ალა“ (ატყუებს) და ისევ დედასთან ტრიალებს.

1, 8, 12; „ჩიტი დიდი ქვა ჰუპ“ (ჩიტი დიდი ქვით გავტეხე)—თამაზმა ცელულოიდის ჩიტს (სათამაშო) ქვა დაარტყა და გატეხა. დედა ეკითხება: „რა ქენი ეს თამაზ?“ ისიც უყვება: „ჩიტი დიდი ქვა ჰუპ“, თან ხელებით, ფეხებით ანიშნებს, როგორ დაარტყა ქვა და გატეხა სათამაშო.

1, 8, 13; „ბებია, ბებიკო ბოლა“ (ბებია ნავთქურა ბოლავს)—დედა სამზარეულოშია, თამაზიც იქვეა. ნავთქურა აბოლდა, დედა ასწორებს მას, თამაზს კი ეუბნება: „წადი აქედან“. თამაზი გარბის და ბებიას ეუბნება: „ბებია, ბებიკო, ბოლა“. ე. ი. უამბობს ნავთქურა აბოლდაო.

1, 8, 13; „არა დედა, წინგლი არა“ (დედა წიგნს ნუ კითხულობ),—დედა კითხულობს. თამაზს ეს არ მოწონს, მას უნდა ეთამაშონ. დედას ეხვეწება: „არა დედა, წინგლი არა“.

1, 8, 13; „მეტი არა“ (მეტს არ ვიზამ)—იატაკზე დგას დიდი კალათა ვაშლებით სავსე. თამაზი მიდის, იღებს ვაშლებს და აწყობს იატაკზე. ძალიან გაერთო, თითქმის სულ ამოალაგა ვაშლები. ამ დროს შემოდის ბებია და უჯავრდება. „ეს რა ამბავია?“ თამაზს შეეშინდა, ყრის ვაშლებს უკან და ბებიას ეუბნება: „მეტი არა, მეტი არა“.

1, 8, 14: „ვალელი იდი, ვალელი ნინადა“ (ვალერი მოდი, ვალერი სათამაშოს ხელს ნუ აძლებ)—ქუთაისიდან სტუმრად ჩამოვიდა დედის დეიდაშვილი პატარა ბიჭით, რომელიც თამაზზე 4 თვითაა უფროსი. ეს ბავშვი რუსულად ლაპარაკობს (დედა რუსი ყავს) ქართული არ იცის. პირველ დღეს ბავშვები ფესტ-მიმიკით აშკარებენ კონტაქტს ერთმანეთთან, მეორე დღეს კი თამაზი ცდილობს რუსულად ელაპარაკოს. პირველი სიტყვა, რომელიც მან იხმარა, ესაა: „ვალელი იდი“ (მოდი). ვალერი თამაზის მაგი-

დიდან იღებს სათამაშოებს და თანაშობს. თანაზი უჯავრდება: „ნინადა ვალელი, ნინადა“, და ცდილობს გამოართვას სათამაშო. ის არ ანებებს. ისინი წაიჩხუბენ, უფროსები აშველებენ. თამაზი მეორე სკამს დგამს თავის მაგიდასთან და ეპატივება ვალერის.

— „ვალელი მოდი, ვალელი ძამია, დაჯი ვალელი“ (ვალერი მოდი და დეჯეკი)— აჩვენებს სკამს და ქართულად ეუბნება: „ვალელი მოდი, ვალელი ძამია, დაჯი ვალელი“.

1, 8, 14; „ე-ე ბიჭი“ (თამაზი)— თავს ივარცხნის და სარკეში იცქირება, ხედავს თავის თავს და ამბობს: „ბიჭი, ე ბიჭი“, სურათზეც თავის თავს ეძახის: „ბიჭს“.

1, 8, 14; „აა-ბატონო“ (გაგონება)— დედა ეძახის, თამაზი უპასუხებს „აა!“ დედა უჯავრდება: „აგრე უნდა მიპასუხო?“ „არა“ აბა როგორ უნდა თქვა?“. ეკითხება დედა. „ბატონო“ პასუხობს იგი.

1, 8, 14; თამაზი „ავალივილი“ (თამაზი ავალიშვილი)— „რა გქვია შენ?“ ეკითხება დედა. „თამაზი“ უპასუხებს იგი. „რა გვარი ხარ?“ ავალივილი“ უპასუხებს თამაზი.

1, 8, 16; „თოფი ბუხ, თოფი“ (თოფი ესროლა)— თამაზი ათვალეირებს წიგნს, დაჩირებია სურათს, (მონადირეს მოჟკლავს მელია) და ამბობს: „თოფი ბუხ, თოფი“, ე. ი. მონადირემ თოფი ესროლა და მოკლავს.

1, 8, 16; „საკალელი დედიკო. ჩემო დედიკო“ (საყვარელო დედა)— დედა აძინებს თამაზს. იგი ეალერსება დედას: „საკალელი დედიკო, ჩემო დედიკო“ და კოცნის.

1, 8, 16; „გაჩე დედა, უჰ-უჰ“— თამაზი შეაძინებს ელექტრონის ლილს, უნდა სინათლის ანთება. დედა ნებას არ აძლევს. თამაზი ეუბნება: „დედა, გაჩე, უჰ-უჰ“.

1, 8, 16; „ბაჭია ტამ-ტამ“ (კურდღელი უკრავს)— თამაზი ათვალეირებს ზღაპრების დასურათებულ წიგნს, სადაც ბაჭია უკრავს გიტარაზე. თამაზი ამ სურათის შესახებ ამბობს: „ბაჭია ტამ-ტამ“. ე. ი. გიტარაზე უკრავს.

1, 8, -6; „მამალი, ფისუნია, ფისუნია ტუტუსი“— შემდეგ სურათზე დახატულია მამალი და კატა ერთად მიდიან ტყეში. თამაზი ამბობს: „მამალი, ფისუნია ტუტუსი“ (ე. ი. სასეირნოდ მიდიან).

1, 8, 16; „დედა ძუძუი. მე ალა, ალა. ჩემია ძუძუი მე, დედა ჩემია ძუძუი მპა“ (ძუძუ მომეცი, არ მოვწოვ მხოლოდ ვაკოცებ). დედა აძინებს. თამაზი თხოვს ძუძუს (რომელიც რამდენიმე დღეა

გააშვებინეს). და ეუბნება: „მე ალა ალა, მე მპა“ (მე კი არ მო-
ვწოვ, ვაკოცებო მხოლოდ).

1, 8, 16; „ძუძუ აკოცო, აკოცო მანტო, აკოცო მანტო“ (მარ-
ტო ვაკოცებ)—„მპა კი არა, თქვე ვაკოცებ“, უსწორებს დედა-
ისიცი იმეორებს: „აკოცო ძუძუ, მანტო აკოცო“. (ე. ი. მხოლოდ
ვაკოცებ).

1, 8, 16; „ვალელი ნინადა, ვალელი დეზი“ (ხელს ნუ კი-
დებ, ვალერი აიღე)—ვალერიზ აიღო თამაზის ბურთი. თამაზმა
როგორც კი დაინახა ეს, ეუბნება: „ნინადა ვალელი, ნინადა“.
ცდილობს წაართვას. მამა უსაყვედურებს „არა გრცხვენია თამაზ,
აგრე უნდა ძამიას?“ მან თავი ჩაღუნა, თითქოს შერცხვა, მივიდა
ვალერისთან და დარცხვენილად ეუბნება: „ვალელი დეზი“ და
მიაწოდა ბურთი.

1, 8, 16; „ტეტია ოლია“ [Тетя Оля] მე ჰოპლა“ [დეიდა
ოლია მე გადმოვბტი)—თამაზი ხტება ტახტიდან, შემდეგ მიდის
ვალერის დედასთან და უყვება როგორ გადმოხტა: „ტეტია ოლია,
მე ჰოპლა“.

1, 8, 16; „გვინო მინდა, წითელი გვინო“ (წითელი ღვინო
დამალევინეთ)—უფროსები სადილობენ. თამაზი ხედავს წითელ
ღვინოს და თხოულობს: „გვინო მინდა, წითელი გვინო“, იწვევს
ქიქისკენ.

1, 8, 16; „ბუთი ფეკი“ (ბურთს ფეხი გავარტყი)—თამაზი
ბურთით თამაშობს (ფეხი გაჰკრა ბურთს) მიდის მამასთან, გაიკეთა
დონიჯები და მოეშადა ფეხის, გასაკრავად, თან მამას ეუბნება:
„ბუთი ფეკი“.

1, 8, 16; „ბებია ცქვირი, ბებია ცქვირი ვავა“ (ბებია ცხვი-
რი მეტკინა)—ბურთი მოხვდა კედელს, დაბრუნდა უკან და თამაზს
ცხვირზე მოხვდა და ეტკინა. ის მიიქრა ბებიასთან და უთხრა:
„ცქვირი ბებია, ცქვირი“. „რა ცხვირი?“—ეკითხება ბებია. „რა
იყო?“ „ბებია ცქვირი ვავა“, უპასუხებს თამაზი.

1, 8, 17; „მამიკო თვალი, მარტო თვალი“ (მამამ თვალი
დახუჭა)—მამა წამოწოლილია ტახტზე. თამაზი უახლოვდება. მამა
თვალეებს ხუჭავს, თითქოს ძინავს. თამაზი გარბის დედასთან და
ეუბნება: „მამიკო თვალი, მარტო თვალი“, ხუჭავს თვალეებს, ანიშ-
ნებს როგორ დახუჭა მამამ თვალეები.

1, 8, 17; „მამიკო, გაჩე, მესინია“ (ნუ მაწვალე, მეშინია)—
მამა ეთამაშება თამაზს, უღიტიწებს. თამაზს უნდა გაქცევა, თან
სიცილი უსწორებს და ეუბნება: „გაჩე მამიკო, გაჩე, მესინია“.

1, 8, 17; „წიბო სამი წიპო“ (სამი ქათამი)—თამაზს ერთი ქათამი ყავს, მამამ კიდევ მოიყვანა 2 ქათამი და იქვე მოათავსა გალიაში. თამაზი უყურებს და ამბობს: „წიპო, სამი წიპო“.

1, 8, 17; „ეყოფა დედიკო, ეყოფა“ (კმარა, ეყოფა)—დედა კასრიდან ბოთლში ასხამს ღვინოს. თამაზი უცქერის ბოთლს, რომელიც უკვე ივსება და დედას აფრთხილებს: „ეყოფა დედიკო, ეყოფა“.

1, 8, 18; „მამიკო მოდი, სადილი მამიკო“ (მოდი, მამიკო სადილი მიირთვი) — დედა სუფრას შლის, თამაზს გზავნის მეორე ოთახში: ეუბნება: „წადი, მამას უთხარი ისადილოს“. თამაზი გარბის მამასთან და ეუბნება: „მოდი მამიკო, სადილი მამიკო“. —

1, 8, 18; „ალო, ალო ბუძია, ალო“ (ტელეფონზე ლაპარაკი) —თამაზი ხშირად ისმენს ბიძამისის ლაპარაკს ტელეფონით. შუადღისას თამაზი ძილის წინ საწოლში, თავისთვის ლაპარაკობს: „ალო, ალო, ბუძია, ალო“.

1, 8, 18; „ჯუღია პატარა გოგო, ბუძია უპ ჯოხი, ბუძია ჯოხი“ (ჯულიამ უკბინა პატარა გოგონას, ბიძიამ ჯოხი დაარტყა): —მეზობელს ყავს კოჭლი ძაღლი. დედამ უანბო თამაზს ძილის წინ, იმ ძაღლმა პატარა გოგოს როგორ უკბინა, ბიძიამ ჯოხი როგორ დაარტყა ძაღლს და ფეხი მოტეხა. თამაზი გაღვიძებისთანავე იგონებს დედის ნაამბობს და ყვება, თან თავის თავს უსვამს კითხვებს და თვითონვე პასუხობს.

— „— „მერე ხადა ვავა? ფეხი ვავა“ (ხად ეტკინა? რა ეტკინა?) ფეხი ეტკინა— „ბუძია, უპ, ჯოხი ჯუღია“ —ბიძიამ ჯოხი დაარტყა ჯულას.

1, 8, 19; „ერთი, ოთხი, ერთი ოთხი ძამია“ —მაგიდასთან ზის და თავისთვის ლაპარაკობს „ერთი-ოთხი, ერთი-ოთხი ძამია“.

1, 8, 19; „ნანა, ნინადა, ნინადა“ (ნუ მივარცხნი თმას)—ნანა ცდილობს თავი დავარცხნოს თამაზს. იგი წინააღმდეგობას უწევს, არ ავარცხნივებს და ეუბნება: „ნინადა ნანა, ნინადა“.

1, 8, 19; „ვაშლი ჟამეა“ (მეავეა)—მაგიდაზე დგას თეფშით ვაშლი. თამაზმა აიღო ერთი ვაშლი, მოკბიჩა, პირიდან გადმოჟარა და სთქვა: „ვაშლი ჟამეა“.

1, 8, 19; „მომე ვასლი. დამპალი ვასლი“ (მომეცი ვაშლი. დამპალია ეს ვაშლი)—თამაზი თხოვს ნანას ვაშლს, ნანა აძლევს ვაშლს, რომელსაც გვერდი აქვს ცოტა დაბეეილი. თამაზმა ეს შეამჩნია. „დამპალი ვასლი“, თქვა, გამოართვა და გადაავლო.

1, 8, 19; „პატარა გოგო, კაცი, ბუძია, აიგო ჯოხი, დაატყა ჯოხი, მოტეხა ფეჟი, ვავა ჯუღია“ (კაცმა აიღო ჯოხი, დაარტყა ჯუღიას, მოტეხა ფეხი და ჯუღიას ტყევა ფეხი)—თამაზი დადის ოთახში და იშეორებს იმ მოთხრობას, რომელიც გუშინ დედამ უანბო, მხოლოდ უფრო მეტი სიტყვების გამოყენებით, ვიდრე გუშინ.

1, 8, 19; „სუფი ნინადა, პული ნინადა. დედა, ნინადა სუფი“—დედამ ხელები დაბანა თამაზს, მაგიდასთან დასვა და სადილი მიუტანა. თამაზი ყველაფერზე უარს ამბობს რაც მიუტანეს: „სუფი ნინადა, პული ნინადა, დედა ნინადა სუფი“.

1, 8, 21; „თამაზის ალაღი, თამაზის ბებია, თამაზის“ (ბებია ალაღები მაქამე)—ბებია სამზარეულოში ალაღებს აცხობს. თამაზი თხოვს: „თამაზის ალაღი, თამაზის ბებია ალაღი“.

1, 8, 21; „ნანა აიგე ვასლი, დედა აიგე ვასლი“ (აიღე ვაშლი, გამომართვი)—თამაზს უჭირავს ვაშლი, აწოდებს ნანას და ეუბნება: „ნანა აიგე ვასლი“. ნანა არ ართმევს, მიდის დედასთან, ეხლა დედას თხოვს: „დედა აიგე ვასლი“.

1, 8, 21; „ე-ე-ე პატეფონი“ (პატეფონი დაუკარი)—თამაზი კიღებს ხელს ნანას, მიყავს პატეფონთან და ანიშნებს, თხოვს, რომ დაუკრას.

1, 8, 21; „ბაბუა ტელემონი“ (ბაბუა ტელეფონზე ლაპარაკობს)—ბაბუას გამოუძახეს ტელეფონთან, იგი ლაპარაკობს. თამაზი მიდის დედასთან და ეუბნება: „დედა ბაბუა ტელემონი“.

1, 8, 21; „თამაზი სემიკა-დიდი პირი“ (მზესუმზირა მაქამე)—ნანა მზესუმზირას ქამს. თამაზი მიდის და ეუბნება: „თამაზი ხემიკა, დიდი პირი“, თან პირს უღებს.

1, 8, 22; „იქა-იქა ოთახში, თამაზი გატეკა“ (იქ ოთახში კიქა გავტეხე, თამაზმა გატეხა)—თამაზს შეორე ოთახში კიქა გაუტყდა, იგი გაროდის აქეთ ოთახში და უამზონს დედას და ბებიას. „იქა-იქა ოთახში, კიქა“. ვინ გატეხა?“ ეკითხება დედა. „თამაზი გატეკა“ უპასუხებს იგი.

1, 8, 22; „ნანა ფეჟი ტუზიკა. ვავა, მიშენე, მიშენე, დედა იოღი“ (ტუზიკამ ნანას ფეხზე უკბინა, ნანამ იყვირა მიშველეო. დედამ იოღი წაუსვა)—დედამ უამბო ბავშვობისას ნანას ფეხზე როგორ უკბინა მებობლის ძალღმა ტუზიკამ. როგორ ყვიროდა ნანა, შერე დედამ იოღი წაუსვა და ნანას ფეხი მოუჩრჩა. თამაზი უყვება მამას: „ნანა ფეჟი, ტუზიკა ვავა, მიშენე, მიშენე, დედა იოღი“.

1, 8, 22; „**მორჩა ცოტა თეფშზე, ნანა დიდი პირი ამუ ტა-**
ნე (ცოტა საქველი დავტოვე, ნანამ დიდი პირი დაალო და შექა-
მა)—თამაზმა ისაღილა, ერთი ნაქერი ხორცი დატოვა, მერე აილო
და ნანას მიაწოდა. ნანამ განზრახ გაალო დიდი პირი და ხორცის
ნაქერი ჩაიდო პირში, თამაზი გაიქცა დედასთან და უამბო: „**მორ-**
ჩა ცოტა თეფშზე, ნანა დიდი პირი ამუ ტამე“.

1, 8, 23; „**ამუნია, დიდი ამუ**“ (დიდი ძაღლი)—ძია ლევან-
მა აჩუქა თამაზს ძაღლის ლეკვი. ბავშვს ძალიან გაეხარდა, ძაღლ-
თან ტრიალებს, თანაც იძახის: „**ამუნია, დიდი ამუ**“.

—“ — „**დედა, ნანა მესინია, მესინია**“. როდესაც მარტო
დარჩა ლეკვთან ერთად, შეეშინდა, გამოვარდა მეორე ოთახში და
ამბობს: „**დედა, ნანა! მესინია, მესინია**“.

1, 8, 23; „**თაბაზი გესინია დიდი ამუ**“ (თამაზსეშინია დიდი
ძაღლის)—ეუბნება დედას.

1, 8, 23; „**ვინ ალა?**“—ზარი დარეკეს; თამაზმა ყურადღება
მიაქცია და კითხულობს: „**ვინ ალი?**“ თან იცქირება კარებისაკენ.
ბაბუა მოვიდა. იგი მიეგება.

1, 8, 23; „**მანდლოზ**“ (მადლობა)—ბაბუამ ხილი მოუტანა,
თამაზმა გამოართვა პარკი და უთხრა: „**მანდლოზ**“, თან თავს
უხრის.

1, 8, 23; „**ასე, ვალელი, ასე**“ (ვალერიმ ასე დამკაწრა)—
4 დღის წინათ ვალერიმ სახეზე დაკაწრა და აატირა თამაზი. დღეს
იგონებს, ისევამს ხელებს სახეზე და ამბობს: „**ასე ვალელი, ასე**“
(ე. ი. ასე დამკაწრა).

1, 8, 23; „**დიდი ქვა, ღუმბ წყალში**“ (ქვის წყალში ჩაგდე-
ბა)—მამამ საუბარში ახსენა „ქვა“. თამაზს მოაგონდა ზაფხულზე
ცემში ქვის წყალში ჩაგდება და წამოიძახა: „**დიდი ქვა ღუმბ
წყალში**“.

1, 8, 23; „**ბებია თამაზი, თამაზი ხაწაპული, კუძენი, ატამი**“.
(მაქამე ხაქაპური, ყურძენი, ატამი)—ბებია ხაქაპურს აცხობს. თა-
მაზი მიდის და თხოვს ბებიას: „**ბებია, თამაზი ხაწაპული**“ მერე
დანიხავს მაგიდაზე ხილის ვაზას, რომელზეც აწყვია ყურძენი და
ატამი და დასძენს „**თამაზი ხაწაპული, კუძენი, ატამი**“.

1, 8, 23; „**დედა თქვი ჩიტო-ჩიტო-თქვა, თქვი ჩიტო-ჩიტო**“
(ჩიტო-ჩიტოს ამბავი მომიყევი)—დედა აბანავებს თამაზს. შემდეგ
საწოლში მყოფი თამაზი ეხვეწება: „**დედა, თქვი ჩიტო-ჩიტო**“ ე. ი.
თხოვს ზღაპრის მოყოლას, რომელიც ძალიან უყვარს).

1, 8, 24; „დედა, დედა მალილი, მალილი, დედა“ (მარილი დავაბნიე)—დედა სუფრას შლის. თამაზმა აიღო სუფრიდან სამარილე და უცებ ზარილი დაებნა. ის შეწუხდა, დედასთან მიიბრინა. მოკიდა ხელი კაბაში, ეწევა და მიყავს სადაც მარილია დაბნეული, უჩვენებს და ეუბნება: „დედა, დედა მალილი, მალილი, დედა“.

1, 8, 24; „დედა, ე-კოლოფი ახე“ (ე სახაზავი ყუთი „გოტოვალნია“)—თამაზმა დაინახა მაგიდაზე სახაზავი ყუთი, აჩვენებს დედას და ეუბნება: „დედა, ე-ე კოლოფი ახე“, და ანიშნებს მის გაღებას ხელით.

1, 8, 24; „აი გოგო, აი დიდი ჯოხი, ტაბუტი, დიდი ტაბუტი“ (დიდი ჩაქუჩი)—თამაზი და ნანა ჟურნალს ათვალეირებენ. თამაზი რასაც ხედავს, ასახელებს ნაცნობ სურათებს.

— — „უი! ბუ, ცქვირი, აი ცქვირი“ (ბუს ცხვირი აქვს) უკვირდება ბუს, შეამჩნია დიდი კაუჭა ნისკარტი და მას „ცქვირს“ ეძახის.

1, 8, 25; „სიმინდი, ბელი წითელი სიმინდი: ელთი, ოლი, ქუთხი, ხამი, ოთხი, ექსი სიმინდი“ (ბევრი წითელი სიმინდის ტაროები)—სახლში მოიტანეს ბევრი სიმინდის ტაროები და გარეთ დერეფანში დაყარეს იატაკზე. თამაზს უხარია მან შეამჩნია წითელი ტაროები, არჩევს და თვლის.

— — „ულაა, გოლიალა, ულაა სიმინდი, გოლიალა სიმინდი“ ძალიან დიდხანს თამაზობს სიმინდის ტაროებით. წითელ ტაროებს ერთად აგროვებს და მერე აგორავენს იატაკზე.

1, 8, 25; „სიმინდი, სიმინდი; კატა მღ, მღ, კატა მღ, მღ“. ძილის წინ ლოგინში თავისთვის ლაპარაკობს სიმინდზე, მერე უცებ გადადის და ბაძავს კატის კრუტუნს.

1, 8, 26; „წითელი სიმინდი მომე, ხამი მომე, ბელი სიმინდი მომე, მანდლობ მეტი არა“ (ბევრი წითელი ტარო მომეცი, მანდლობ, მეტი არ მინდა)—გაღვიძებისთანავე თხოულობს წითელ ტაროებს. ნანას მოაქვს. თამაზი ართმევს, მანდლობას უხდის და ეუბნება მეტი აღარ მინდაო.

1, 8, 26; „ჩემო დედიკო, მიეცი თამაზის პამიდორი, დედა კვადია მიეცი თამაზის პამიდორი“ (პამიდორი მომეცი, ჩემო დედა)—მაგიდაზე სამზარეულოში დგას კალათა პამიდორით. თამაზი დედას ეხვეწება, რომ მისცეს პამიდორი.

1, 8, 26; „ნანა ადე, აიგე უთო“ (აიღე უთო)—დედა აუთობდა, როდესაც გაათავა, აალაგა საუთოო, უთო კი დატოვა მაგი-

დაზე. ნანა მეცადინეობს თავის მაგიდასთან, თამაზი მიდის, ეწევა კაბაში და ეუბნება: „ნანა, ადე, აიგე უთო“.

1, 8, 26; „დედა, ბუზი ქელი. ტადი ბუზი. ვავა, იძინამს თაბაზი“ (დედა ბუზი დამაჯდა ხელზე. წადი ბუზო, თამაზის ეძინება)—დედა აძინებს თამაზს. ამ დროს ბუზი დააჯდა ხელზე. თამაზმა ყურადღება ღიაქცევინა დედას: „დედა ბუზი ქელი“ დედა ეუბნება: „უთხარი შეილო, ბუზს წადი“-თქო, ისიც ეუბნება: ტადი ბუზი ვავა, იძინამს თაბაზი“.

—“— „ძინამს თაბაზი“ (დაეძინა თამაზს)—თამაზს ძილი მოერია, თვალები მიელულა, გაახილა თვალები და თქვა „ძინამს თაბაზი“, გადაბრუნდა მეორე გვერდზე და მაშინვე დაეძინა.

1, 9, 3; „ეს თამაზი, ატამე თამაზი“ (ეს თამაზისია, აკამე თამაზს)—მაგიდაზე ხილი ალაგია. თამაზმა აიღო ყურძნის მტევანი, დაიდო თევზზე და ამბობს: „ეს თამაზი“. მერე დედას მიმართავს „ატამე თამაზი“.

1, 9, 3; ერთი, ორი, ხუთი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი“ (თვლის) —ნანამ წინსაფრის ჯიბეში თხილი ჩაუყარა. თამაზი იღებს და თვლის აღნიშნული თანაპიმდეგრობით.

1, 9, 3; „ჩიტო, ჩიტო. ჩიორაო, ერთი ბატკი მომე, თორე ვაი, ვაი“... (ყვება ზღაპარს)—თამაზმა დაიწყო ჩიტო ჩიორას ზღაპრიდან ლექსი და ამბობს, ამთაერებს თავისი სიტყვებით, რადგან ბოლო ველარ მოიგონა.

1, 9, 3; „უკუღე სულათი, უკუღე სულათი. ბუძია, დეიდა. ვავა თაბაზი, ვავა ასე“ (ბიძიას და დეიდას სურათმა თავი ნატკინა)—კედელზე ჰკიდია დეიდას და ბიძიას სურათი. თამაზი უტკერის, მერე ჩარჩოს ხელს ჰკიდებს შეანძრევს. სურათი ჩამოვარდა კედლიდან დაეცა თავზე და ეტკინა. იგი მოდის დედასთან, აჩვენებს ჩამოგდებულ სურათს და უამბობს რაც მოხდა.

1, 9, 7; „ფინთია, ფინთია ნანა, ფინთია ვალელი, ფინთია“ (ნანა ცუდია, ვალერიც)—თამაზი დედამ საჩხერეში წაიყვანა. დილით როგორც გაიღვიძა, ნახა რომ უცხო ოთახში ეძინა. მოიკითხა ნანა და ვალერი. არც ერთი არაა. გაჯავრდა და ამბობს: ცუდია ნანა და ვალერიო.

1, 9, 7; „ტუტუში არა. თბილისში. ნანა თბილისში, მამიკო თბილისი, ბებია თბილისი, ბაბუა თბილისი“ (ნანა, მამა, ბებია, ბაბუა თბილისში არიან)—დედა ეკითხება თამაზს „სად არის ნანა?“ თამაზი უპასუხებს „ტუტუში“. „არა! თბილისში“, უსწორებს დედა. ამის შემდეგ თამაზი ჩამოთელის ოჯახის ყველა წევრს, რომლებიც თბილისში დატოვა.

1, 9, 7; „ფისუნია. დედიკო, ნანა ფისო დაქატა, დედიკო“ (დედა, აი კატა, ნანამ კატა დახატა)—თამაზმა აღმოაჩინა თავის წიგნებში ნანას დახატული კატა (რვეულის ფურცელზე), მიუბრუნებინა დედას და უთხრა: „ფისუნია, დედიკო, ნანა ფისო დაქატა“.

1, 9, 7; „კენჭები. ბელი, ბელი კენჭები, სამი, ოცი“ (ბევრი კენჭები არის)—დიასახლისს მაგიდაზე უდგას შუშის ლამაზი ქურქული, რომელშიც ზღვის კენჭები ყრია. თამაზმა შეამჩნია ეს, უცქერის და აღტაცებული იძახის: „ბელი, ბელი კენჭები“ და აითქოს თელის.

1, 9, 7; „ბიძია კოჩკა მაშინა“ (ბიძია კოლას მანქანა)—ეზონი ისმის მანქანის საყვირის ხმა. თამაზი გარბის აივანზე და იძახის: „ბიძია კოჩკა მაშინა“.

1, 9, 7; „ცული ბამბა“—თამაზს იატაკიდან ბამბა აულია და დაატარებს ოთახში. დედა უჯავრდება არ შეიძლებაო. თამაზი არ იშლის, „ცულია“ ეუბნება გაჯავრებული დედა და ართმევს ბამბას. ცოტა ხნის შემდეგ თამაზი, როდესაც ბამბას დაინახავს, ამბობს: „ცული ბამბა“.

1, 9, 7; „ბუტე, ბუტე, გაგებუტე, თამალა დეიდა“—თამარა დეიდამ-გააბრაზა თამაზი, მას გული მოუვიდა, მოშორდა და ეუბნება: „ბუტე, ბუტე, გაგებუტე თამალა დეიდა“.

1, 9, 7; „ულემი, ხალები, ცხენი, მასინა“—თამაზი აივნიდან იცქირება ქუჩაში და რასაც ხედავს, ყველაფერს აღნიშნავს თავისი სახელით.

1, 9, 7; „დედა, თამაზი კენჭები დაქატა“—თამაზი კენჭებით თამაშობს, აწყობს ერთად, აშენებს, ისევ ანგრევს და ბოლოს ეუბნება დედას: „თამაზი კენჭები დაქატა“.

1, 9, 7; „აი დედიკო, აი ბაცა, ბაცა, ბაცაცელი“ (აი სავარცხელი, დამვარცხნე თავი)—თამაზს აულია სავარცხელი, მიდის დედასთან და თხოვს თავის დავარცხნას.

1, 9, 7; „დედიკო, კუძენი ამქელა“ (დიდი ყურძენი)—მაგიდაზე კალათით ყურძენი დგას. თამაზი იღებს დიდ მტევანს, ძალიან მოსწონს და დედას ეუბნება: „კუძენი ამქელა“.

1, 9, 7; „ფელამუხი ტკბილია“ (ფელამუში ტკბილია)—თამარა დეიდამ ფელამუში მოიტანა. თამაზს მისცეს, იგი ჭამს და მოწონს: „ტკბილია ფელამუხი“.

1, 9, 7; „კოჩკა ბიძიას ეს, კოჩკა ბიძიას“ (ეს კოლია ბიძიას შეუნახოთ)—თამაზი ცარიელ თეფშზე აწყობს კალათიდან ყურძენს და დედას ეუბნება: „ეს კოჩკა ბიძიას შეუნახე“.

1. 9, 7; „კუძენი, წითელი კუძენი“—თამაზმა შეამჩნია კალათში შავი ყურძნის მტევანი. აიღო, იგი მოწითალო ფერისად გამოიყურებოდა და გაკვირვებული ამბობს: „კუძენი, წითელი კუძენი“.

1, 9, 7; „დედიკო, აი თამაზი, ეგი თენგო, თამაზი გააკეთა“ (თამაზი და თენგო დაეხატე)—ქალაღღებ ხაზებს უსვამს, ბატავს. პირველ ნახატზე ამბობს: „აი თამაზი“, მეორეზე: „ეგი თენგო“ (თენგიზი), ბოლოს კი ასკვნის: „თამაზი გააკეთა“ (ე. ი. დაეხატე ესენი).

1, 9, 7; „ძასოლ თამაზი, პასოლ ნინადა“. (რუსულად ლაპარაკობს)—თამაზი ზის მაგიდასთან და ლაპარაკობს თავისთვის იმ სიტყვათა მარაგიდან, რასაც იგი იყენებდა ვალერისთან საუბრის დროს.

1, 9, 7; „მაკანტელი გაჭლი. მომე, მომე მაკანტელი, გაჭლი ეგი“ (მაკრატელი მომეცი ამას მოვჭრი)—დილაა. თამაზი ლოგინში წევს, იტყირება ფეხის ფრჩხილებზე და მოითხოვს მაკრატელს, ფრჩხილებს მოვიჭრიო.

1, 9, 8; „დედა, აჩუ-აჩუ, მამიდა“ (ლექსი)—წინა დღით დედამ უთხრა ლექსი „აჩუ-აჩუ ცხენო... მამიდასთან მივიჩქარი, გასწი, ნუ მარცხვენო“. დღით გაღვიძებისთანავე საწოლში იგონებს და ამბობს ნაწყვეტს ამ ლექსიდან.

1, 9, 8; „არიკა, მისველე დედა, მისველე დედიკონა“—თამაზს აუღია უთო და მოაქვს, ვერ ზიდა და დედას ეძახის, რომ მიეშველოს.

1, 9, 8; „დედა, თამალა ეი, ლატო თამალა აქა“ (თამარამ მიუთხრა ეი-ო, რატომ არის აქ თამარა)—თამაზს გაუჯავრდა თამარა დეიდა და უთხრა „ეე, შენ რახ ამბობ“-ო. თამაზმა მაშინვე მიუბრუნია დედას ეს ამბავი და ეკითხება: რატომ არის თამარა დეიდა აქაო (ფაქტიურად ჩვენ ვართ სტუმრად თამარა დეიდასთან).

1, 9, 8; „დედა ნანა ეზოსია, ეზოსი“ (ნანა ეზოსია)—დედა ეკითხება თამაზს: „სად არის ჩვენი ნანიკო?“ „ნანა ეზოსია დედა, ეზოსი“ უპასუხებს იგი.

1, 9, 8; „დედა, კოჩკა ბიძია კუძენი“ (ეს კოლია ბიძიას ყურძენია)—თამაზმა დედას ყურძენი თხოვა, დედამ მისცა, მან აიღო ხელში მტევანი, დააცქერდა და თქვა: „დედა, კოჩკა ბიძია კუძენი“, ე. ი. ეს ის ყურძენია, კოლია ბიძიას რომ შეუნახეთო. ;

1, 9, 9; „**ჟავვა კვეცი**“ (კვერცხი მლაშეა)—თამაზი სუფრას-თან ზის, საუზნობს. დედამ მოხარულ კვერცხზე ნარილი მოუყარა. თამაზმა კვერცხი აიღო თუ არა; გადმოყარა პირიდან უკანვე და თქვა: „**ჟავვა კვეცი**“. ეტყობა მარილიანი შეხვდა.

1, 9, 9; „**დედა, თამარა დეიდა უი**“—თამაზი და თამარა დეიდა აივანზე სხედან და ქუჩაში იტყვიან. თამარამ ვილაც დაინახა და თქვა: „**უი, ამას ვის ვხედავო**“. თამაზმა გაიგონა ეს, გაიხედა ქუჩისკენ, გაიქცა დედასთან და ეუბნება: „**დედა, თამარა დეიდა უი**“.

1, 9, 9; „**სუქალი, სუქალი, დედა**“ (მაქამე ორცხობილა)—თამაზმა დაინახა კარადაში თეფშზე ორცხობილა. იგი მიიქრა დედასთან და თხოვა: „**სუქალი, სუქალი, დედა**“.

1, 9, 9; **დანა მონე ვასლი გავქლი, დედი, ვასლი გაქელი**“ (პომეცი დანა ვაშლი გავქრა)—თამაზმა აიღო ვაშლი, მივიდა დედასთან და თხოვს დანას.

1, 9, 9; **დედიკო ააა, მე და სენ გეძინე, გეძინე მე და სენ**“ (დედა გეძინება. მე და შენ დავწვეთ)—შუადღეა, თამაზის ძილის დროა, დედა რალაკას საქიანობს. თამაზი მიდის დედასთან, კაბაში ეწევა და ამბობს: „**დედა ააა, მეძინე მე და სენ. მეძინე**“. დედა ხდის ტანააცემლს და აწვენს.

1, 9, 9; „**წითელი ვასლი ვისია?**“—თამაზს მისცეს წითელი ვაშლი. მას ძალიან გაეხარდა და ამბობს; „**წითელი ვასლი ვისია?**“ (აგონდება ლექსი).

1, 9, 9; „**მაწკვი დედიკო, წითელი მაწკვი**“ (წითელი მარწყვი)—ბავშვმა მისცა თამაზს წითელი კუნელი. მან დედას მიუბრუნა და ეუბნება: „**დედიკო მაწკვი, წითელი მაწკვი**“, უნდა შექამოს, დედა ნებას არ აძლევს.

1, 9, 9; „**თქვი დედა ჩიტო-ჩიტო თქვა; აჩუ-აჩუ მამიდა თქვი; კიკილო მამალო თქვი**“—სალამოა. დედამ თამაზი დააწვინა, თვითონაც მიუწევა. თამაზი იგონებს ზღაპრებს, ლექსებს რომლებსაც დედა უყვება ხოლმე და ეხვეწება უამბოს.

1, 9, 11; „**ვადი მომე, ვადი**“ (ვარდი მომეცი)—მაგიდაზე დგას ლარნაკი ვარდებით. თამაზი ხედავს ვარდებს, იწედის ხელს და თხოულობს.

1, 9, 11; „**ლატო დედიკო, ლატო თამადა, ლატო ასე**“ (დედა რატომ მიქნა თამარამ ასე)—თამარა დეიდას წიგნს თამაზმა ფურცელი მოახია. თამარა გაუჯავრდა და თითი დაუქნია: „**თამაზ-**

ეს რა გიქნია?“ შეურაცყოფილი თამაზი გარბის დედასთან და ეუბნება: „ლატო თამალა ასე“, თან თითს უქნევს, ანიშნებს.

1, 9, 11; „დედიკო მივცე წინდა?“—თამაზს უჭირავს ხელში წინდა, მეზობლის ბავშვი მას წინდას. თამაზი არ ანებებს და დედას ეკითხება მისცეს თუ არა.

1, 9, 11; „საწყალი ფისუნია, საწყალი მამალი“ (საწყალი კატა და მამალი)—თამაზი ნარტოა ოთახში და თავისთვის ლაპარაკობს. ეტყობა იგონებს ზღაპარს „მელია, ფისო და მამალი“, რომელიც ძალიან უყვარს.

1, 9, 11; უკულე. ეყოფა დედიკო ეყოფა, უკულე დედიკო, თუ თუ...“ (უყურე. ეყოფა თუ არა?)—თამაზი ზის მაგიდასთან და ხატავს. კარგა ხნის შენდევ დედას ეძახის და ეუბნება: „უკულე, დედიკო ეყოფა, უკულე, თუ, თუ...“ ვერ ამთავრებს წინადადებას. ვერ გავიგეთ რის თქმა უნდა.

1, 9, 11; „თეთრი წიწილა“ (თეთრი ქათამი)—ბაბუამ მოუყვანა თეთრი ვარია და უთხრა: „თანაზ, ეს 'ცენ' გყავდესო“. ძას ძალიან უხარია, ეფერება ქათამს და ამბობს: „თეთრი წიწილა“.

1, 9, 11; „უი კვადილი“ (უი, ყვავილი)—დღეს თამაზმა პირველად მიაქცია ყურადღება და შეამჩნია ნოხზე ამოქსოვილი ყვავილი, მან გაიკვირვა და თქვა: „უი კვადილი“, მიყავს ნანა და უჩვენებს მასაც.

1, 9, 11; „მზე, უი, ა კაი მზე, ა კაი მზე“, მოდი აქა, საკვალელი დედიკონა, ე-ე-ე“ (უი რა კარგი მზეა, მოდი საყვარელო დედა, ე-მზე)—ფანჯარაში შემოკრილი მზის სხივი ეცემა ბუფეტის მინას და მისი ანარეკლი იატაკზე იძლევა ცისარტყელის მსგავს სპექტრულ ფერებს. თამაზმა დაინახა ეს, გაუკვირდა, მოეწონა და დედას ეძახის.

1, 9, 11; „თქვი დედიკო ნანი-ნანასა სხვანაირი“ (დედა სხვანაირი ნანინა თქვი)—დედა აძინებს და უმღერის ნანინას, თამაზს ეს არ მოსწონს და მოითხოვს: „დედიკო, თქვი ნანი-ნანასა სხვანაირი“.

1, 9, 11; „წითელი ვაშლი ვისი, ხენ-მე თვალი დაქუქე“ (წითელი ვაშლი ვის უნდა, წენ თუ ჩე, თვალი დასუქე)—დედა ამბობს ლექსს. თამაზმა გაიმეორა იმდაგვარად. როგორც ზემოთაა მოყვანილი.

1, 9, 11; „ფისუნია საწყალი—თქვი კალები ასე, მამალი მისველე ძამია მისველე“ (მონიყევი ზღაპარი მამლის, მელიის კატის. მამალი იძახის მიწველე ძამია)—თამაზი ებვეწება დედას

უამბოს ზღაპარი „მელია, მამალი და ფისო“. დედა უამბობს, ზოგ ადგილებს თამაზი თვითონ ასწორებს. მაგ. „კალეზი ასე“ და აკეთებს კარების გაღების მოძრაობას. მამალი იძახის: „მისველე ძამია, ძამია მისველე“ და სხე.

1, 9, 11; მელიქსი, მელიქსი, ე-ე ფელიქსი, ფელიქსი“ (ფელიქსი)—თამაზის ბიძის ამსანაგი ხშირად მოდის ჩვენთან. თამაზმა დღეს პირველად თქვა მისი სახელი „მელიქსი“. გაიმეორა რამდენჯერმე. გაუსწორეს: „მელიქსი კი არა ფელიქსი“. კარგა ხნის შემდეგ თქვა „ფელიქსი“.

1, 9, 13; „მეე-კალი გამიღე, ძუძუები ძეე, ძუძუები ძე.“ (კარი გამიღე, ძუძუებით რძე მოგიტანე)—დედამ უამბო ზღაპარი ოხა და თიკანი. თხა უძახის შვილებს „მეე, კარი გამიღე, პირით ბალახი მომაქვს, ძუძუებით რძე“. თამაზი კი ინდაგვარად იწეორობს როგორც ზემოთ სწერია.

1, 9, 13; „სად ალი ძუძუ, ხად ალი? აი ძუძუები ძე, აი ძუძუები ძე“.—თამაზს ერთბაშად მოაგონდა, მივიდა დედასთან უხსნის უბეს, და იძახის: „სად ალი ძუძუები ძე, აი ძუძუები ძე“. ეფერება და კოცნის.

1, 9, 13; „აიღო ჯოხი, მაგლა დაატკა, ჯულიას ფეხი ვავა“ (აიღო ჯოხი, მაგრად დაარტყა ჯულიას და ატკინა ფეხი)—თამაზი წევს ლოკინში იგონებს ამბავს, რომელიც დედამ უამბო მეზობლის ძაღლის შესახებ და თავის თავს უყვება ამ თანამიმდევრობით და ამგვარად, როგორც აქ სწერია.

1, 9, 13; „ბაბუა მოდი, შოკოლა მომიტანე“ (ბაბუა მოდი, შოკოლადი მომიტანე)—სალამოა ბაბუას დაუგვიანდა ჰამსახურიდან მოსვლა. თამაზი ელოდება, დადის ოთახში და თავისთვის ლაპარაკობს.

1, 9, 13; „წითელი ფანქალი, არა ეგი მომე, ხო, ხო, ბაბუა წელილი თამაზი, ბაბუა მოდი, მოიტანე სოკოლა“ (წითელი ფანქარი არ მინდა ჰო, ჰო, ეგ მომეცი, თამაზი ბაბუას წერილს. წერს, ბაბუა მოდი და შოკოლადი ნომიტანე)—თამაზი თავის მაგიდასთან ზის და ხატავს ფერადი ფანქრებით. მიატოვა ფერადები, მიდის ნანასთან და თხოვს სხვა ფანქარს ბაბუას წერილის მისაწერად. ნანა აძლევს ფერად ფანქარს, თამაზი უარს ამბობს. ნანა აწვდის უბრალო შავ ფანქარს, თამაზი კმაყოფილი ართმევს. იგი ბრუნდება მაგიდასთან და წერილს წერს ბაბუას.

1, 9, 17; „ფაფა—გახადა ფეკალები, კიდე წინდები, კიდე პალტო, კიდე ქუდი, კიდე გახადა შავალი, ჩაჩვა პელანგი, დაწ-

ვინა და უმღერა ნანი-ნანინა; ბეკეკა, ჩიტო-ჩიტო“ (ამბავი: დედამ გახადა ბავშვს ფეხსაცმელები, ტანსაცმელი, ჩააცვა პერანგი, და-აწვინა და უმღერის ნანინას, უამბო ზღაპრები: ჩიტო ჩიორა და თხა და თიკნები)—წინა საღამოს დედამ უამბო თამაზს ერთი პატარა კარგი ბიჭის ამბავი, თუ როგორ იქცეოდა ეს წესიერი ბიჭი. დედამ გახადა, უმღერა და დააძინა. თამაზმა გაიღვიძა თუ არა დილით, დაუძახა დედას და მოთხოვა იმ ამბის მოყოლა, დედამ დაიწყო: „იყო ერთი კარგი ბიჭი, დედამ მას აქამა...“ „ფა-ფა“ თქვა თამაზმა და განაგრძო იმ თანაშიმღევრობით და ისე როგორც ზემოთაა.

1, 9, 18; „დედა, ახლა პული, ძაგლი ჭამოს, თამაზი აქამე“ (ახლა ძალლი პურს ჭამს, მე ვაქამე)—თამაზმა ეზოში ძალღს პური დაუყარა. ძალღმა დაუწყო ჭანა, თამაზი გამორბის დედასთან და უამბობს რაც გააკეთა.

1, 9, 18; „წითელი წინდა ვისია? წინდა წითელი თამაზისია, წითელი წინდა ვისია, სენ-მე თვალი დაქუჭე“—თამაზს ხელში უჭირავს წითელი წინდები, დადის ოთახში და თავისთვის ლაპარაკობს უკავშირებს ლექსს -წითელი ვაშლი ვისია“, მხოლოდ—ვაშლის“ მაგიერ აზობს „წინდას“.

1, 9, 20; „აქლა მეოლე“ (ახლა მეორე ხელი დამბანე)—დედა ბანა ხელებს, ჯერ არ დაუმთავრებია ერთის დაბანა, თამაზი უწვდის მეორე ხელს და ეუბნება: „აქლა მეოლე“.

1, 9, 20; „ჩემი დედა, ჩემი კაქი დედა, ცოტა ქანს შეიცა დედა. დეედა შეიცა“ (ჩემო კარგო დედა ცოტახანს მომიცადე)—დედას მიყავს სასეირნოდ, მას უხარია, მაგრამ უნდა თან სათამაშოებიც წაიღოს. დედა აჩქარებს და ეუბნება: „წამოდი, თამაზ ჩქარა, თორემ მე აღარ დაგიცდი, აი მე უკვე მივდივარ“. ის კი ეხვეწება ცოტა ხანს დაუცადოს და თან გაფაციცებით აგროვებს წასალეზ სათამაშოებს.

1, 9, 20; „ცალი ხელი მიეცი“ (ხელი მომკიდე)—დედამ წაიყვანა სასეირნოდ. კიბეებზე თამაზი თხოვს: „ცალი ხელი მიეცი“ ე. ი. დედა ხელი მომკიდეო.

1, 9, 20; „მასინა ნელა, ნელა, ტუტუსი მივდივარ“ (ნელა წადი მანქანა, სასეირნოდ მივდივარ)—მანქანაში ჩასხდნენ, წამყვანს, ჩქარა მიყავს მანქანა. თამაზი ეუბნება მძღოლს: „მასინა ნელა, ნელა, ტუტუსი მივდივარ“. ე. ი. ნელა იარე, მე სასეირნოდ მივდივარ.

1, 9, 20; „გახნი ეს“ (გამიხსენი ეს კოლოფი)—დედამ ყუთით კამფეტის უყიდა, სახლში დაბრუნებისას აძლევს და ეუბნება: „გახნი ეს“ და ხელით ანიშნებს გახსნას.

1, 9, 20; „გაქლი ვასლი“ (გამიქერი ვაშლი)—მამასთან მიაკვს ვაშლი და ეუბნება: „გაქლი ვასლი“.

1, 9, 20; „გადაუდე ქული თამაზი“ (ქული გადამივიარდა თავიდან)—თამაზი ოთახში დარბის. თავზე ქული ახურავს. უცებ ქული გადაუვარდა თავიდან, შეჩერდა, მოიხედა, აილო ქული და თქვა: „გადაუდე ქული თამაზი“.

1, 9, 20; „თამაზი აქამე ბოკვა პული ახლა“ (ახლა მე ძაღლს „ბოკვას“ პური ვაქამე)—თამაზმა ძაღლს პური აქამა, შემოდის ოთახში და დედას ეუბნება რაც გააკეთა.

1, 9, 20; „ლენა დეიდა წაბლი“ (ლენამ წაბლი მომიტანა)—ლენა ბიცილამ თამაზს წაბლი მოუტანა. როგორც კი მამა შინ დაბრუნდა, მან მიუბრუნია წაბლი, აჩვენა და უთხრა: „ლენა დეიდა წაბლი“.

1, 9, 20; „ქვა ძიმეა, ძიმე“ (ქვა მძიმეა)—თამაზმა ეზოში სცადა ქვის აღება, მაგრამ გადააგორა, ხელში აღება კი ვერ შესძლო. დაიწია უკან, მიუთითა მამას ქვაზე და თქვა: „ქვა ძიმეა“.

1, 9, 20; „ცივია ნწყალი“.—თამაზმა დედას მოთხოვა წყალი. მან ქიქით მიაწოდა. თამაზმა დალია, გააჯრეოლა და თქვა: „ცივია ნწყალი“.

1, 9, 22; „თუნგი ნწყალი მინდა, ჩემო გულამი. მეიტანე კიდე ნწყალი ამასი“ (გურამი თუნგიდან წყალი დამისხი, კიდევ ჩამისხი ქიქაში)—თამაზს წყალი წყურია, გურამს თხოვს ჩაუსხას ქიქაში წყალი თუნგიდან. გურამი ცოტას უსხამს. თამაზი სევამს, არ ყოფნის და კიდევ თხოვს.

1, 9, 22; „დაჩქე შესა თამაზი“ (მე შეშა დავჩეხე)—თამაზმა აილო პატარა ნაჯახი ჩეხავს შეშას და აღნიშნავს თავის მოქმედებას (თავისთვის ლაპარაკობს).

1, 9, 22; „თამალა დეიდა, უკულე თამაზის ქადი სია“ (უყურე ქადს ვქამ)—თამაზი სადილობს, დედას ქადი თხოვა, დედამ მისცა. თამაზი კმაყოფილებით შეექცევა. თამარა დეიდა ღიმილით უცქერის თამაზს, რომელსაც ეუბნება: „უკულე, თამაზი ქადი სია“ (ე. ი. ქადს ვქამო).

1, 9, 23; „დაწვა: მულმანი, გულამი, ომალი. დაწვი დედიკო, დაწვი შენ. მე და შენ დაწვი“ (დედიკო შენც დაწვი. მე და შენ დავწვიეთ)—შუადღისას დედა აძინებს თამაზს. იგი ამბობს

თავისი ამხანაგების სახელებს, რომ ისინი დაწვენენ; მერე დედას ეხვეწება, ისიც დაწვეს თამაზთან.

1, 9, 23; „ნანა, ნანა, პილი გააღე“—ხელში თხილი უქირავს, აღებინებს ნანას პირს და უდებს პირში თხილს.

1, 9, 23; „სიოზა, დასხი ცოტა ნწალი, ჩაინიკი ნწალი“ (სე-როგამ დაასხა ცოტა წყალი ჩაიდნიდან)—თამაზმა დაინახა მეზობლის ბიკმა როგორ გადმოასხა წყალი ჩაიდნიდან და უამბობს დედას.

1, 9, 23; „კაკალი გატეჟე“ (კაკალი გავტეხე)—თამაზმა ჩაქუჩით კაკალი გატეხა. გახარებული გარბის დედასთან და ეუბნება: „კაკალი გატეჟე“.

1, 9, 23; „წინ მელია. უკუღე, კაჩი, აჩუა, ძია, მამალი“ (წინ მელია გარბის. უკურე, კაცი, ცხენი, ბიძია და მამალი)—თამაზი მიდის თავის მაგიდასთან და იღებს ზღაპრების წიგნს, აიღო, სანამ გადაშლიდეს ლაპარაკობს იმაზე, რაც წიგნში ეგულება.

1, 9, 23; „ბომბოლა მულა“ (დიდი ძაღლი)—თამაზი და მამა ეზოში არიან. თამაზი დარბის. ამ დროს ეზოში წემოდის დიდი ძაღლი, თამაზი განცვიფრებული უყურებს და ამბობს: „ბომბოლა მულა“.

1, 9, 23; „ა-კაია კალბასი, ა-კაია კომპოტი“ (რა კარგია ძეხვი და კომპოტი)—დედამ ასადილა თამაზი, და ბოლოს ტკბილი კომპოტი მისცა. უფროსები სადილობენ. მან დაინახა ძეხვი, რომელიც მას არ მისცეს. თამაზი უყურებს ძეხვს და ამბობს: „ა-კაია კალბასი“.

1, 9, 24; Иди ну, иди ну мама (თამაზი დედას ეძახის რუსულად) „посел ии нада ყზე“. (посел, ии нужно ყже) ძაღლის ლეკვი მიიღებენს თამაზთან და ელაქუცება. თამაზი უჯავრდება და აგდებს: „посел ии нада“ როდესაც ძაღლი წავა. თამაზი ამბობს: „ყზე“, ე. ი. წავიდა უკვეო.

1, 9, 24; „ჩიტო ქიკ-ქიკ, ინდოული კავ-კავ“ (ჩიტო ქიკიკებს, ინდაური კავკავებს)—თამაზი ზის ფანჯარაზე და უცქერის ჩიტების ქიკიკს და ინდაურების კავკავს, რომელიც ეზოდან ისწის და ბაძავს მათ ხნას.

1, 10, 1; „ნანა ლამფა აანთო“—შუქი ჩაქრა; ნანამ ლამფა აანთო. თამაზი გამოდის მეორე ოთახში და მამას უამბობს ნანას მოქმედებას.

1, 10, 1; „ბაბუა თვალი დაქუქე“—ბაბუამ თვალები დახუჭა, ე. ი. დაიძინა)—ბაბუას ძინავს თავის ოთახში. თამაზი მივიდა

რადაცას ელაპარაკება. ბაბუა ხმას არ ცემს. გამოდის თამაზი და მამას ეუბნება: „ბაბუა თვალი დაქუჭე“.

1, 10, 1; „ბაბუა ბელი, ბელი კალაღოკი თამაზი, კალაღოკი თამაზი“ (ბაბუამ მე ბევრი კარაღოკი მომიტანა)—ბაბუამ მოიტანა კარაღოკი. თამაზს დააქვს კალათა, ყველას აჩვენებს და ეუბნება, რომ ბაბუამ ეს მოუტანა.

1, 10, 4; „ჩემო ნანა, წამიყვანე ეზოსი“ (წამიყვანე ეზოში)—თამაზი ეხვეწება ნანას ეზოში წაყვანას.

1, 10, 4; „ბაბუას ძინამს, თვალი დაქუჭა“—სამი დღის წინ თამაზი ამ ფაქტს თუ არა სწორად გამოთქვამდა, ეხლა თითქმის სწორად ამბობს.

1, 10, 4; „ამიყვანე ჩემო დედიკო“ მიდის დედასთან და თხოვს ხელში აყვანას.

1, 10, 4; „ცოტა ხანს მომეცი რა, ცოტა ხანს“—მამა მუშაობს. თამაზი მიდის და თხოვს ცოტა ხნით ფანქარს.

1, 10, 4; „იოდი, ბამბა, დედიკო“ (დედა, იოდი და ბამბა გაპომიგზავნეო)—დედამ ხელი გაიჭრა და თამაზს დააბარა იოდი და ბამბის მოტანა. ისიც მირბის მამასთან და ეუბნება.

1, 10, 4; „თამაზის გამოუდგა სამი ბატი კიკინა, ამ ბიჭიკოს ტიკინა“—ნანამ ასწავლა „თამაზის გამოუდგა სამი ბატი ყიყინით, ამ ბიჭიკოს დავიჭერთ, თავის კობტა ტიკინით“. ის კი ამგვარად იმიერებს.

1, 10, 12; „დედიკო, დედიკო, ქაჭაპული აგდია ძირს“—სალაშოს დედა ხაჭაპურს აცხობდა. თამაზი ეხვეწებოდა მაჭამეო, მაგრამ ვეღარ დაუცადა გამოცხობას და დაიძინა: ღამით წამოდგა თვალბდახუჭული ვადიხარა ტანით იატაკისკენ და ხმამალლა დაიწყო ლაპარაკი: „დედიკო, ქაჭაპული აგდია ძირს“. „სად შეილო?“ ეკითხება დედა. „იქ“, ამბობს ბავშვი. დედა ამშვიდებს, ისიც წკება და იძინებს. როგორც ჩანს, სიზმარში ნახა რალაც, ხაჭაპურთან დაკავშირებით.

1, 10, 12; „გაჩე მამიკო, თამაზი ძინამს“. (გაჩერდი მამიკო მე მიძინავს)—დილით გვიან გაელვძა. მამამ დაუწყო თამაზი. თამაზმა დაიუქა თვალები და ავუროთილებს მამას, რომ თავი დაანებოს, რადგან „თამაზი ძინამს“.

1, 10, 12; „ბუთი-ფეჭი გაატკა“ (ბურთს ფეხი გაარტყა)—გაზეთში მოთავსებულია სურათი, ერთ-ერთი მომენტი დინამოს სტადიონზე ფეხბურთის თამაშისა. თამაზს აუღია გაზეთი, უცქერის

ამ სურათს (ფეხბურთელს ფეხი აქვს მზად ბურთის გასარტყმელად). თამაზი ამბობს: „ბუთი ფექი გაატკა“.

1, 10, 12; „დედა სუ, მარტო ნანა“ (დედა გაჩუმდი, მარტო ნანა)—ნანამ სიმღერა დაიწყო, მას დედაც აყვა, თამაზი კი აჩერებს დედას და მოითხოვს მარტო ნანამ იმღეროსო.

1, 10, 12; „დედა აღი ზევით, შუქი აღ აღი“—სალამოს შუქი ჩაქრა. თამაზი ეუბნება დედას: „აღი ზევით“. ეს იმიტომ, რომ წინა სალამოს დედა სკამზე შედგა, ელექტროდამცველის საცობები გაასწორა და შუქი აინთო. ეხლაც ამას თხოვს, როცა ეუბნება: „დედა აღი ზევით, შუქი აღ აღი“

1, 10, 12; „შესინია, ბაბუა მოდის, ბაბუა სოკოლა მომეცი“ (მეშინია)—ლამეა, შუქი ჩაქრა. თამაზი იძახის: „შესინია“. ამ დროს შემოდის ბაბუა, ბაბუას ხმაზე თამაზი მაშინვე ეძახის მას, თხოვს შოკოლადს.

1, 10, 12; „ფისო ქამს“—თანაზს უქირავს ხელში სურათი: კატას წინ უდგას რძით სავსე თეფში და ქამს. თამაზი დასცქერის და აღნიშნავს კატის მოქმედებას.

1, 10, 12; „ბიჭი აქამე ძაგლი“ (ბიჭმა ძაღლს საქმელი აქამა)—შემდეგი სურათის შინაარსსაც თამაზი სწორად გადმოგვცემს.

1, 10, 12; „ბებია, ბებია, დედიკო დაატკა თამაზი, ჰუ: ჰუ, ცოც დედიკო“ (ბებია, დედამ მცენა)—თამაზმა რაღაც დააშავა. დედამ ხელზე დაარტყა. იგი გაიქცა ბებიასთან და შესჩივლა, თან უჯავრდება დედას, დედა ეუბნება: კიდევ იზამ? ბებია ეუბნება წადი, ბოდინში მოუხადე დედას.

1, 10, 12; „ბოდისი, მეტი ალა“ (ბოდინში მეტს აღარ ვიზამ)—თამაზი დარცხვენილი მიდის დედასთან და ბოდინს იხდის.

1, 10, 12; „ბაბუა მანდალინი მოიტანა“.—ბაბუა აძლევს მანდარინს. თამაზი სახეგაბრწყინებელი ართმევს, ჯელებს უჩვენებს და ეუბნება ვინც მოუტანა.

1, 10, 12; „დედა, დედა, დედოფალა“—ბებიამ უამბო თამაზს ზღაპარი დედოფალაზე. თამაზი გარბის დედასთან და უყვება.

1, 10, 12; „ელთი კამფეტო მაჩუქე. მოუპალა“ (ერთი კამფეტო მაჩუქე თითქოს თავეს სოუპარია)—თენგომ ასწავლა ლექსი: „თოვლი მოსულა, მოსულა, მიდამო დაუფარია, ერთი კამფეტო მაჩუქე, ვითომ თავეს მოუპარია“. მან მხოლოდ მეორე ტაეპი გაიმეორა, ისიც სიტყვა თავი განოტოვა.

1, 10, 12; „ჩემი ძაგლი. თენგო გააკეთა“ (ჩემი ძაღლი თენგომ გამიკეთა)—სათამაშო რკინის ძაღლი, რომელიც მომართვით

დადიოდა, გაფუქდა. თენგიზმა შეუკეტა და ისევ ამუშავდა; გახარებული თამაზი ათამაშებს ძალს და იძახის: „თენგიზ გაშიკეთა“.

1, 10, 12; „დედა, მამალი მიღის“.—თამაზი ათვალერებს წიგნს. სურათზე მამალი ნიღის და ისიც სწორად აღნიშნავს მამლის მოქმედებას.

1, 10, 12; „ნანა, მაპატიე ბოდისი“. თამაზმა ნანას აწყენინა. ნანა გაებუტა. თანაზი უტრიალებს, იგი ხმას არ ცემს. მერე ეუბნება: „ნანა მაპატიე, ბოდისი“, ბოდისს უხდის და კოცნის.

1, 10, 12; „ყავა მინდა, ყავა ჭამე თამაზი“ (ყავა დამალე-ვინეთ)—დედა ყავას ამზადებს. თამაზი ზის მაგიდასთან და აღარ იცდის ვერ ისვენებს და თხოვს დედას ყავას.

1, 10, 12; „სადილი ჭამოთ, ბაბუ მითვი. ბაბუ გვინო მითვი. სადილი მითვი“ (სადილი ვჭამოთ, ბაბუ სადილი-ღვინო მიირთვი)—დედა სუფრას შლის. ბაბუ თავის ოთახშია. თამაზი ნიღის ნასთან, ხელს კიდებს, მიყავს სუფრასთან და ეპატივება.

1, 10, 14; „მომეცი ეს, ეს მომეცი, კუხე მინდა, კუხე“. მომეცი შვეახე კარალიოკი)—ბებიას მოაქვს სუფრაზე კარალიოკი. თამაზი იღებს ერთს. ბებია ეუბნება: „შვილო ეს კუხეა, სხვა აიღე“ თამაზი ქირვეულობს: „კუხე მინდა, კუხე“.

1, 10, 14; „ჭელლო პეპელა გაფლინდი... დელა ნანიანა“ (ჭრელო პეპელა, გაფრინდი ნელა)—თამაზი დადის ოთახში და (თავისთვის) მღერის ამ სიმღერას.

1, 10, 14; „მამიკო დაუძახე მამიკო. მომიტანე კიკლიკო. ოლი, ოლი. მოდი ჩხალა“ (მამას უთხარი ჩქარა მოვიდეს და კამფეტის ორი მამალი მომიტანოს)—დედა ტელეფონით ელაპარაკება მამას, თამაზი იქვე დგას და დედას უკარნახებს, რა მოუტანოს მამამ.

1, 10, 14; „ბაბუ დაუძახე სოკოლა მოიტანე“ (ბაბუას დაუძახე შოკოლადი მომიტანოს)—როდესაც დედამ დაამთავრა მამასთან ტელეფონით ლაპარაკი, თამაზი თხოვს, ესლა ბაბუასაც დაელაპარაკოს ტელეფონით, რომ მან შოკოლადი მოუტანოს.

1, 10, 14; „ქეთო დეიდა ლოგოლა ხალ? აკოცე დალი-ლალი, ლალი-დალი მოიტანე“ (ქეთო დეიდა როგორა ხარ? აკოცე დალის და ლალის, ლალი და დალი მოიყვანე ჩემთან)—დედა ელაპარაკება თავის შვილებს ტელეფონით. მას ტყუპი გოგონები ყავს, თამაზის ტოლები და ნეგობრები. თამაზი არ აცლის დედას ლაპარაკს და კარნახობს მას, თამაზის მაგიერ გადასცეს ქეთო დედას.

1, 10, 14; „თამაზი დაატკი ჩაქუჩი მაგლა, ხო, ხო, ხო“ (ჩაქუჩი მაგრად დავარტყი და ლურსმანი მივაქედე)—თამაზმა მიაქედა კედელზე ლურსმანი ჩაქუჩით. მერე მიდის მამიდასთან და ეუბნება, ხელითაც ანიშნებს, როგორ მიაქედა ლურსმანი.

1, 10, 14: „მატანებელი უ-უ-უ“ (მატარებელი)—მამა გაზეთს კითხულობს. თამაზმა შეამჩნია ორთქლმავლის სურათი, აჩვენებს მამას, ამბობს მის სახელს და კივილსაც ბაძავს.

1, 10, 14; „ნანა, მაჩვენე დიდი წიგნი“—ნანა წიგნს კითხულობს. თამაზი არ აცლის და ეუბნება, რომ მისცეს ის დიდი წიგნი, რომელსაც კითხულობს.

1, 10, 14: „უკუღე, ტლიალობს, ბებია მაშინა ტლიალობს“ (მანქანა ტრიალებს უყურე)—თამაზი მიეპარა ბებიას საყვრავ ნანქანას, დაატრიალა და იძახის: „უკუღე ტლიალობს“. უხარია, რომ მან აატრიალა მანქანის ბორბალი.

1, 10, 14: „გაგექანა და დავეცი, შიატკი თავი, ტილის ი-იი, ბებია მისეღე, დედიკო მისეღე“ (გაგექანე, დავეცი, თავი მივარტყი, ვიტირე და დავიძახე ბებია, დედა მიშველეთ)—თამაზი დაეცა, თავი მიარტყა და იტირა. ნანა როგორც კი დაბრუნდა სამსახურიდან, შეხვდა მას და უამბო, რაც შეემთხვა.

1, 10, 17: „დედიკო ავდგეთ, ჩავიცვათ, საღილი ვკამოთ“—თამაზმა გაღვიძებისთანავე სრულიად გამართულად (მრავლობით რიცხვში) დაუწყო დედას საუბარი.

1, 10, 17: „ლა გატილებს ფისუნია დეიძახე, ფისუნია ლა გატილებს დეიძახე... თოღე, ლა გატილებს“ (ფისო თქვი რა გატირებს)—კატას ძინავს ტახტზე და კრუტუნებს. თამაზი იქვეა. აკვირდება კატის კრუტუნს. ჰგონია რომ კატა ტირის.

1, 10, 17; „აკოცე კიდე თამაზი“ (კიდევ მაკოცე)—დედა მოეფერა თამაზს. აკოცა, თავზე ხელი მოუხსვა და უთხრა: „კარგი ბიჭი ხარო“. მას ეს ძალიან ესიამოვნა და ეხვეწება დედას კიდე მაკოცეო, დედაც კოცნის.

1, 10, 17; „ბებია, დედა თავზე მკა“ (დედამ თავზე მაკოცა)—გახარებული მირბის ბებიასთან და ეუბნება, დედამ როგორ აკოცა.

1, 10, 18; „ზე და სენ ავდგეთ“ (მე და შენ ავდგეთ)—თამაზი იღვიძებს და ეხვეწება დედას ავდგეთო.

1, 10, 18; „ჩემო დედა, ჩემო საყვალელო დედა! დედა, კაქი დედა, ავდგეთ“ (ჩემო საყვარელო, კარგო დედა, ავდგეთ)—ძალიან ადრეა დედას არ უნდა ადგეს, თამაზი ეუფერება, კოცნის და ეხვეწება ადგომას.

1, 10, 18: „ჩემო ციციანა, ჩემო ნათელა“ (ჩემო ციციანათელა)—თამაზი დადის ოთახში და თავისთვის ღიღინებს „ჩემო ციციანათელას“, მაგრამ სხვა ხმით და სიტყვებსაც ასხვადფერებს (ისე როგორც ზემოთაა ჩაწერილი).

1, 10, 18: „ქალი აჩუაზე წვიდა“ (ქალი ცხენზე ზის, ცხენით მიდის)—თამაზი წიგნს ათვალეირებს, ნახა სურათი—ქალი ზის ცხენზე და აღწერს.

1, 10, 18: „ნანა წვეიდა კოლაკის“ (ნანა სკოლაში წვიდა)—ნანა და თამაზი ერთად თამაშობდნენ, მაგრამ ნანას სკოლაში წასვლის დრომ მოაწია და წვიდა. თამაზი გულდაწყვეტილი დარჩა და ამბობს ნანა წვიდაო.

1, 10, 18: „ნანა უკავია ხელსი სოკოლა“ (ნანას უქირავს შოკოლადი)—თამაზი მაგიდასთან ზის და წიგნს ათვალეირებს, ნანას შოკოლადი უქირავს ხელში და შეეჭტევა. თამაზი ამას შენიშნავს და ამბობს იმას, რაც ზევით წერია.

1, 10, 18: „დედა ამიკვანე, ბაბუა დაუძახე“ (ამიყვანე ხელში ბაბუას უნდა დაველაპარაკო)—თამაზი თხოვს დედას ხელში აიყვანოს და ტელეფონით დაალაპარაკოს ბაბუას.

1, 10, 18: „ფისო წამოქტა, თამაზი ჩამოხტა უკე“ (კატა წამოხტა და თამაზიც)—თამაზი ტახტზე ზის, კატაც იქვე წევს. უცებ კატა წამოხტა და თამაზიც ჩამოხტა ტახტიდან. თამაზი აღნიშნავს ორთავეს მოქმედებას.

1, 10, 18: „ჩაქუჩი აღ-აღი, ჩავალდა, აგელ ყოფილა“ (ჩაქუჩი ჩამოეარდა ძირს, აგერ ყოფილა),—თამაზს ჩაქუჩი გადაუვარდა ტახტს უკან, ეძებს, იპოვა, გაეხარდა და თქვა: „აგელ ყოფილა“.

1, 10, 18: „ბებია კავა მიეცი, დიდი პული კამს თამაზი“ (ყავა მომეცი)—ბებია ყავას აღუღებს. თამაზი მაგიდასთან ზის ემზადება საუზმისათვის, იღებს პურს და უძახის ბებიას, თხოვს ყავას.

1, 10, 18: „დაჯექი ბები, მომეცი კავა, ბებია ჩაჯდა, აკაია ჩაჯდა ბებია“.—ბებია ჩამოჯდა თამაზის მაგიდასთან და უსხამს ყავას. თამაზს უხარია და აქებს ბებიას.

1, 10, 18: „ვინ არი? მე ვარ თამაზი, მე ვარ თამაზი, კაჩი“ (მე ვარ კაცი)—კარებზე ისმის კაკუნი, თამაზი კითხულობს ვინ არის და თითონვე პასუხობს.

1, 10, 18: „ჩვენ გაწვინდოთ“ (ჩვენ გავწმინდოთ)—თამაზმა დედას მოუტანა დასვრილი ფეხსაცმელი და ეხვეწება მის გაწმინდას (მრავლ. რიცხვით).

1, 10, 18: „დიდი თევზი მომიტანა ბაბუამ თამაზის“ (ბაბუამ დიდი თევზი მომიტანა)—ბაბუამ მოიტანა დიდი ლოქო და

თამაზს უთხრა ეს წენი იყოსო. თამაზს ძალიან გაეხარდა. თევზი დადეს თასზე. თამაზი სულ იქ ტრიპლემს. სამსახურიდან მოსულ მამას მაშინვე მიახარა ეს ამბავი.

1, 10, 18; „რა არის ეს? დეიწვა თამაზი ფეჩზე, ბებომ უთო დაწვა“. (ბებოამ უთოთი დამწვა)—ბებო აუთოვებს თეთრეულს. როდესაც უთოს ძირს დგამდა, უთო მოუხვდა თამაზის ხელზე და დაწვა ხელი. მას ძალიან გაუკვირდა და კითხულობს, „რა არის ეს? (მას მხოლოდ ლუმელის ეშინოდა და არ ეკარებოდა ეგონა მხოლოდ ლუმელი წვადა)“—

1, 10, 18; „დასვენე ეს“ (დაფშენი ეს ტარო)—თამაზს მიაკვს მამასთან სიმინდის ტარო და ეუბნება: „დასვენე ეს“.

1, 10, 21; „ჯანდაბა ოხერი“.—თამაზმა ჩაქუჩით ლურსმანი დააქედა, შემდეგ მოინდომა მისი ამოძრობა, თანაც ბუზლუნებდა.

1, 10, 21; „ნანას უჭირავს ხელში, დედა ნანას უჭირავს ხელში“—დედას დაქირდა მაკრატელი. კითხულობს: „სად არის მაკრატელი?“ თამაზმა დაინახა, რომ ნანას უჭირავს ხელში, მაკრატელი და ის პასუხობს ნანას მაგივრად.

1, 10, 21; „ჩემო ნანა, ჩემო საკვალელო, კლელო პეპელა კოკა და ლელა“.—ნანა უკრავს პიანინოზე. თამაზი ეხუეწება, „ჭრელო პეპელა“ იმღეროს.

1, 10, 21; „ბებო მომაქ უწაპი, ამეიგო გაზი, ჰუ-ჰუ-ჰუ—ახე ამოიგე“ (ლურსმანი ამოვიღე გაზით და მომაქეს)—თამაზმა დიდი წვალების შემდეგ ნახა გაზი. ამოიღო თავისი დაქედული ლურსმანი, გახარებული ვაიქცა ბებოასთან და უამბო, როგორ ამოიღო ლურსმანი.

1, 10, 21; „დატკა, დატკა, ბოჩოლას ქანჯალი“ (ხბოს ხანჯალი დაარტყა ქალმა)—თამაზი ზის მაგიდასთან და წიგნს ათვალიერებს. ერთ სურათზე მოხუცი ქალი ხანჯლით ხელში მისდევს ხბოს.

1, 10, 21; „ბებოა მოკლა, ბებოა მოკლა ბოჩოლა ქანჯალი“ (ბებოამ ხანჯლით მოკლა ხბო)—დედას უამბობს ამ სურათის შინაარსს.

1, 10, 21; „კამეჩი ბელი კამეჩი. ქანჯალი. თოფი, მოკლა ბიჭის ქუდი ახურია, აჩუა კამს კვალილს“—(ბევრი კამეჩი, ხანჯალი, თოფი, ბიჭს ქუდი ახურავს, ცხენი ყვავილს ქამს)—თამაზი ფურცლავს სურათებიან წიგნს და რასაც ხედავს ზოგს ჩაძოთვლის, ზოგს აღწერს.

1, 10, 21; „გამოუღდა ხამი ბატი კიკინით, ამ ბიჭიკოს და-
ვიქვრთ, თავის კოხტა ტიკინით“ (ანბობს ლექსს „სამი ბატი ყიყი-
ნით“) — სურათზე დახატულია ჰატარა ბიჭი და ორი ბატი. თამაზს
აგონდება ლექსი, რომელიც გოგონას შესახებაა, მან კი ბიჭზე
გადაიტანა.

1, 10, 21; „ფისუნია მირბის, ყველი მოიპარა, ჩოჩხი დაატ-
კა კაჩი, ურაა; გათავა, აღექი თამაზი“ (კატა მირბის, კაცნა ცო-
ცი დაარტყა) — აღწერს სურათს, შემდეგ ხელებს მალლა წვეს და
იძახის: „ურაა გაათავა“.

1, 10, 21; „მამა წაქცა კვადია, მამა წაქცა... წიქეცი მამა
წიქეცი, ჭიღობენ. ჭიღობენ“ (მამა წაიქცა, კიდეც წაიქეცი მამა,
ჩვენ ვჭიღობთ) — თამაზი და მამა ჭიღობენ. მამა გადაკოტრიალ-
და ტახტზე. თამაზს უხარია და ეხვეწება: „კიდეც წაიქეცი ჭი-
ღობენ, ჭიღობენ“.

1, 10, 21; „ღედა, მათქოე ეს, ფანქალი“ (ღედა, მათხოვე ეს
ფანქარი) — ღედა წერილს წერს, თამაზი მიდის და თხოვს ფანქარს.

1, 10, 21; „პატეფონი დოუკალი, დოუკალი. ბებია მოდი
ნახე დოუკლა. წადი აქლა ნწკალი დამალევიწე დედიკო“ (პატე-
ფონი დაუკარი, ბებია მოდი ნახე. დაუკრა, ახლა წადი) — თამაზი
ეხვეწება ნანას პატეფონის დაკრას, როდესაც ნანამ პატეფონი
დაუკრა, თამაზს მოყავს ბებია. აჩვენებს და მერმე ეუბნება: „ახ-
ლა წადი“.

1, 10, 21; „მამიკო მიდის ისტიტუტში, პალტო ჩეიცვა. მე-
ხინია ბუა იყო, ფისუნია კოფილა, დაატკი ფისოს ღედა“ (მამა
მიდის ინსტიტუტში) — მამა სამსახურში მიდის, ამ დროს ტახტის
ქვეშ კატამ გაითბაჰუნა. თამაზს შეეშინა და თქვა: „მეხინია ბუი
იყოფო“ (ბუა მეგონაო). ამ დროს კატა გამოძვრა. თამაზი ღედას
თხოვს: დაარტყას კატას, რადგან მან თამაზი შეაშინა.

1, 10, 23; „ბატი, ბატი. დიდი ბატი ბალაქს ჰამს. კივის ბა-
ტი ყი-ყი-ყი“. (სურათზე ბატი ბალახს ჰამს) — თამაზი წიგნს ათვა-
ლიერებს. ნახა სურათი. მწვანე მინდორზე ბატები არიან გაფან-
ტული. თამაზი ათვალერებს ერთ ბატს, აკვირდება, აღნიშნავს
მის ნოქმედებას, იგონებს ყიყინს და ბაძავს.

1, 10, 23; „ჩემო ბიძია გამიშვი, შეიცა ბეწვი, ბეწვი. ჭილი-
ჰე, ჭილიმე გამისვი, მისველე ბაბუკო“ (ჩემო ბიძია გამიშვი, შენი
ულვაშები მაწუხებს შენი ჭირიმე, გამიშვი, ბაბუა ნიშველე) — ბიძია
ლევანი მოვიდა, თამაზი დაისვა ბუხლებზე და კოცნის, ეალერ-

სება. თამაზს არ მოწონს ბიძიას წვერ-ულვაში, აწუხებს. ეხვეწება გაუშვას და ეძახის ბაბუას დასახმარებლად.

1, 10, 23; „თალიკომ კაკალი მომიტანა“—თალიკო მოვიდა მანქანით და თამაზს კაკალი მოუტანა.

1, 10, 23; „თალიკო წადი მასინაში, მოიტანე კიდე კაკალი“—თალიკომ თამაზს ჯაკალი მისცა. თამაზმა შექამა და თალიკოს ეუბნება წადი და კიდევ მოიტანე კაკალიო.

1, 10, 23; „თალიკომ ქვა მოიპარა, ჩემი ქვა მომეცრ“.—თალიკომ ქვა დაუშალა, რომლითაც თამაზი კაკალს ამტვრევდა. თამაზს ეს არ გამოეპარა და მოთხოვა ქვის უკან დაბრუნება.

1, 10, 24; „თამაზი გადმოაღა ძილს, იტილა ი-ი-იი“ (მე გადმოვევარდი და ვიტირე)—თამაზი გადმოვარდა საწოლიდან იდაყვი იტყინა და დიდხანს იტირა, როდესაც დამშვიდდა. ყველას უამბობს ამ შემთხვევას.

1, 10, 24; „ფისო, უი შე ჯანდაბა“—თამაზი საუხმობდა, რაღაცით გაერთო, საუხმე დაავიწყდა, კატა მიეპარა მის ფლავს და დაუწყო ქამა. თამაზი კატას გაუჯავრდა.

1, 10, 24; „ბებია წავიდა, იქა. წამოდი იქ კოლიახთან“—ბებია გავიდა კოლია ბიძიას ოთახში. თამაზი მიდის მამასთან, ხელს კიდებს და უნდა წაიყვანოს ბიძიას ოთახში.

1, 10, 24; „ბაბუა, დიდი მადლობელი. კოლია ბიძიამ“ (კოლია ბიძიამ მადლობა შემოგიტყალა)—კოლია ბიძიამ თამაზს დააბარა ბაბუასთან პაპიროსი, თამაზმა პაპიროსი წაუღო, დაბრუნდა და ბიძიას დაეალებით მადლობას უხდის ბაბუას.

1, 10, 24; „მოდი მამა ვიკიდაოთ, ანთე სუქი. ბებია, ანთე სუქი ჩქალა“ (ანთე უსუქი)—სალამოს თამაზს მოყავს მამა ოთახში და ეხვეწება ვიკიდაოთო. ოთახში ბნელა და მოითხოვს სუქი ანთონ.

1, 10, 25; „მიხურე კალები, მიხულე ფეხით, ფეხით კალები“—ოთახში შემოდის თენგიზი და კარებს ტოვებს ღიას. თამაზი ეუბნება, რომ კარები მიხუროს ფეხით.

1, 10, 25; „მულჰანი, ნოდალი, აკაია, აკაია. აჩუაზე დაჯდა ედიშელი. აჩუა-კაი ა“ (მურმანი, ნოდარი და ედიშერი ცხენებზე შესხდნენ, რა კარგია ცხენი)—იგონებს ერთი თვის წინანდელ ამბავს. როდესაც საჩხერეში ვიყავით. ჩამოთვლილი ახალგაზრდები ცხენებზე ისხდნენ ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი. თამაზი ძალიან მეგობრულად იყო მათთან.

1, 10, 25; „**აცაღე ჰამს, აცაღე**“ (დამაცაღე ევამ) — თამაზი საუბრობს, ნანა ეძახის, თამაზი კი პასუხობს დამაცაღე საქმელს ვკამო.

1, 10, 25; „**შიდობით, მივდივალ ინსტიტუტში, კოლაქსი**“ (მშვიდობით მივდივარ ინსტიტუტში, სკოლაში) — თამაზმა აიღო ხელში წიგნები და ემშვიდობება სახლში მყოფთ, თითქოს ინსტიტუტში ან სკოლაში მიდის.

1, 10, 25; „**მივდივალ ეზოსი**“ (ეზოში მივდივარ) — მან დააწყო წიგნები, ნაგიდიდან სათამაშოები აიღო და ეხლა ეზოში წასასვლელად ემზადება.

1, 10, 25; „**დედა, სად იკავი, სად იკავი?**“ (სად იყავი) — დედა დაბრუნდა შინ, თამაზი მივარდა და ეკითხება სად იყო იგი.

1, 10, 25; „**ელთი, ოლი, სამი, ოთხი, ხუთი, დეილაღე თამაზი, დეილაღე**“ (დავილაღე მე დათვლით) — თამაზი და მამა სერიზოზობიდან ბრუნდებიან, თამაზი ითვლის კიბის საფეხურებს, მერე შეჩერდება და მამას ეუბნება, რომ დაილალა. თხოვს ხელში აყვანას.

1, 10, 25; „**ბებია, იქა იკავი, ეზოსი აზიზა ტილის. ძილს გოლილა**“ (რე ეზოში ვიყავი, იქ აზიზა ტიროდა და მიწაზე გორავდა) — თამაზი ეზოდან ამოდის და ბებიას უყვება, როგორ ტიროდა მეზოვის პატარა ბიჭი და როგორ გორავდა მიწაზე.

1, 10, 28; „**მესინია ბაჰია, მესინია ბაჰია**“ (კურდღლის მესინია) — ბაბუამ მოუყვანა თამაზს ორი ბაჰია. თამაზს ძალიან აინტერესებს, უნდა ახლოს მისვლა, მაგრამ ეშინია. დააკვირდა ერთს, „მესინია ბაჰია“ ამბობს და გამობრბის; აქეთ მეორე ბაჰია დახვდა მისი უარესად შეეშინდა და აყვირდა: „მესინია ბაჰია, მესინია“.

1, 10, 28; „**ბებია, მაცვენე ელთი ოლი ბაჰია**“ (ბებია მაჩვენეო ორთავე ბაჰია) — ნახევარი საათის შემდეგ ეხვეწება ბებიას აჩვენოს კურდღლები.

1, 10, 28; „**კუდი ბიჭიას აქვს? ბაჰიას ყურები აქვს? თვალი დახუჭა ბალახს ჰამს**“ — ბებიამ მიიყვანა თამაზი ბაჰიებთან. ნანას ბალახი მოუტანია და ბაჰიები ტუჩების ცმაცუნით ჰამენ. თამაზი აკვირდება მათ მოქმედებას და ამბობს ისე, როგორც ზემოთ არის ნათქვამი.

1, 10, 28; „**ეს ვისია? ეს ვისებია?**“ — თამაზი აჩვენებს მამას წიგნს და ეკითხება: „ეს ვისია?“ „ჩენი“ უპასუხებს მამა, ახლა მეორე წიგნს უჩვენებს და ეკითხება „ეს ვისებია?“

1, 10, 28; „ელთი წუთი ლა, ელთი წუთი დამაცადე; ელთი წუთი“ (ერთი წუთი დამაცადე)—თამაზმა ნანას თანქარი წაართვა, ნანა ცდილობს თანქარი დაიბრუნოს. თამაზი არ ანებებს და თხოვს ერთი წუთი დამაცადეო.

1, 11, 1; „გახსოვს ნოღალი, ამილანი? გახსოვს მეუფეზე? გახსოვს?“—თამაზი იგონებს საჩხერის მსახიობებს და ნანას ეკითხება ახსოვს თუ არა ისინიო.

1, 11, 1; „ბაჭია გამოძვლა, ჩვენ ოთახსი გამოძვლა“ (ბაჭია გამოძვრა ჩვენს ოთახში)—თამაზმა შენიშნა, რომ სამზარეულოდან ოთახში ერთი ბაჭია გამოვიდა და ყვირის.

1, 11, 1; „დედა ბაჭიას დამბანოთ პილი, დამბანოთ პილი“—თამაზი დედას ეხვეწება ბაჭიას პირი დავებანოთო.

1, 11, 1; „ბებია, ფისო ასე მღ, მღ, მღლღ. ბაჭია იქ ალი, ოთახში ბალაქს ჭანს“—თამაზმა ნახა სამზარეულოში ბაჭიები ბალახს შეექცეოდნენ, კატას კი თავგი დაეჭირა და ეშინოდა არავის წაერთმია და გამოცემდა სპეციფიკურ ბგერებს. თამაზს თავგი არ შეუმჩნევია, მარტო ეს ბგერები გაიგონა და ბებიას უამბოვს რაც ნახა სამზარეულოში.

1, 11, 1; „ელთი ნატეხი მომეცი, ელთი ნატეხი ჭადი მომეცი და ნატეხი კველი“ (ერთი ნაჭერი ჭადი და ყველი მომეცი)—ბებიას გამოაქვს სამზარეულოდან გამომცხვარი ჭადები. თამაზი თხოვს და როდესაც ბებიამ მოუტეხა ჭადი, მერე ყველიც მოთხოვა.

1, 11, 1; „ბებია მოდი. კუთქეშია, კუთქეშია, ქვეშ აქანა. ქვეშ პატალა ბაჭია. გეიჭცა. ქვაბი მომწოდე, ქვაბი გამეიგე ბაჭია“ (ბაჭია კუთხეშია, ქვეშ ქვაბში ჩაძვრა და გამოიღე)—თამაზი სამზარეულოში კურღლეულს გამოეკიდა, იგი ტახტის ქვეშ შეძვრა, მერე იქვე მდგარ ქვაბში ჩაბტა. თამაზს უნდა ქვაბი გამოიღოს და ბებიას ეძახის დასახმარებლად.

1, 11, 1; „მამალი ლოჟკავი, ლოჟკავი თეთლი მამალი? აი სადა კუფილა“ (რა უყავი მამალი, აი სადა ყოფილა)—სათამაშო რეზინის მამალი გაუვარდა ხელიდან. თამაზი ეძებს, პოულობს და უხარია.

1, 11, 1; „აი თეთლი მამალი, პილს ალგბს. აი წითელი, აი ჩაქუჩი. ასე მამალი, ასე დიდი ჩაქუჩი“ (თეთრი მამალი პირს ალგბს)—თამაზმა მამალს ტანზე ხელი მოუჭირა, მამალმა პირი გააღო, „აი წითელი“, ამბობს იგი მამლის ფერად კულზე. მერე გადააბრუნა მამალი და მოყვანილობით ჩაქუჩს მიამსგავსა, გადმოა-

ბრუნა ისეც მამალია. ატრიალებს ხელში და ამბობს: „ასე მამალი, ასე, დიდი ჩაქუჩი“.

1, 11, 1: „აი, უი.ვაი, ვაიმე გამექალდა. დედა ფისო ჩავარდა კუდი სველი აქვს, ვაიმე, ვაიმე, გამექალდა“ (ფისო წყალში ჩავარდა და კუდი დაუსველდა)—კატა აბაზანაში წყალს სვამდა, შიგ ჩავარდა და დასველდა. თამაზმა ეს დაინახა და ასტეხა ყვირილი. სიცილითა და სიხარულით იძახდა: „ვაიმე გამექალდა“.

1, 11, 1; „დედა, კვადია, დოუძახე თამაზის“ (დედა, მე დამიძახე)—თამაზი ერთი ოთახიდან უძაიის დედას მეორე ოთახში და თხოვს, რომ მან დაუძახოს თამაზს.

1, 11, 2; „დედამ, ნანამ, ბაბუამ დეიძინა. ბიძამ გვიღვიძა“—მამას ესაუბრება თამაზი და უამბობს ვინ რა გააკეთა.

1, 11, 2; „ჯიბეში“—ნანა დაეძებს ფანქარს და თამაზს ეკითხება, „წენ სად დამალე ჩემი. ფანქარი? „ჯიბეში“ უპასუხებს თამაზი.

1, 11, 2; „ლოგინზე“—ნანა მეცადინეობს. თამაზი ცელქობს, ხან რას წაართმევს და ხან რას. ახლაც წიგნი წაართვა, სად წაიღე ჩემი წიგნი? უყვირის ნანა. „ლოგინზე“ უპასუხებს თამაზი. ნანა უჯავრდება, გამოართმევს წიგნს და ხელზე დაარტყამს, თამაზი გაიბუტება.

1, 11, 2; „ნანამ“—მამა ეკითხება: „ვინ გცემა?“ „ნანამ“, ამბობს თამაზი და სატირლად ემზადება.

1, 11, 2; „ბებია, მამა გაგიწკლება, მამა გაგიწკლება ბები“ (მამა გაგიჯავრდება)—მამა ხშირად უჯავრდება თამაზს ფანჯრის რაფაზე არ ახვიდე და არ გადავარდეო. თამაზმა დაინახა, რომ ბებია ასულა რაფაზე და ფარდას ასწორებს. იგი აპურობს, რომ ჩამოვიდეს, თორემ მამა გაუჯავრდება.

1, 11, 2; „მამა, ელთი ოლი კიკლიკო მომიტანე, სამი ოთქი. კიკლიკო“. მამა სამსახურში მიდის. თამაზი აცილებს და აბარებს, რომ ერთი-ორი შაქრის მამალი მოუტანოს. „რამდენი?“ ეკითხება მამა. „ხამი-ოთხი“ უპასუხებს თამაზი.

1, 11, 2; „მამიკო ვიქიდაოთ, წეიქეცი, მამიკო წეიქეცი“—მამა ექიდავება თამაზს, მაგრამ მამა არ წაიქცა და იგი ეხვეწება მამას წაიქეციო.

1, 11, 2; „ამოვარდა-ჩავარდა ქათამი, მელია, კაჩი“. თამაზი და მამა ბაღში სასეირნოდ იყვნენ. იქ „ტირში“ შევიდნენ და ნახეს მიზანში სროლისათვის ფიგურები ავტომატურად როგორ ჩნდებოდნენ და იმალებოდნენ და, დამსწრენი როგორ ესროდ-

ნენ მიზანში. მოვიდა თუ არა სახლში თამაზი ამ შთაბეჭდილების ქვეშ ალტაცებული უამბობს ყველას, როგორ ამოვარდა და ჩავარდა ქათამი, მელია და სხვა.

1, 11, 2; „საათი ტიკ-ტიკ. ღამე შიღობის ბიძია“ (საათი მუშაობს ღამე მშვიდობის)—სალამოა. თამაზი მიჰყავთ დასაძინებლად, იგი საათს უყურებს და ამბობს: „საათი ტიკ-ტიკ“. შემდეგ ბიძიას ემშვიდობება.

1, 11, 4; „მამა მითი პაპილოსი“ (მიირთვი პაპიროსი)—თამაზმა შეამჩნია მაგიდაზე პაპიროსის კოლოფი. მან მიაწოდა მამას და თხოვს მიირთვას.

1, 11, 4; „მამა მოიტა ფაფა, გემლიელი ფაფა: გემლიელი“ (მომეცი გემრიელი ფაფა)—თამაზი საუზმობს. გააათა ფაფა, იგი აწვდის მინას თეფშს და თხოვს კიდევ მისცეს გემრიელი ფაფა.

1, 11, 4; „ლატო ხალ ფეხსველა? ლატო ხალ ფეხსველა?“ (რატომ ხარ ფეხშიშველი)—თამაზმა შეამჩნია, რომ მამამ ფეხშიშველმა გაიარა იატაკზე და ძალიან გაუკვირდა.

1, 11, 4; „ალ მინდა დაწოლა“—სალამოა. თამაზი წევს ლოგინში. მამა აძინებს, მაგრამ იგი არ იძინებს.

1, 11, 4; „ღამეა. ალ შეიძლება“—წამოდი სასიყვარულოდ ეუბნება მამა. ის იცქირება თანჯარაში და უპასუხებს. „ღამეა. ალ შეიძლება“.

1, 11, 4; „ტილალა, ტილალა, ლოლებს ჩამოგილალაფ, თუ ლოლები ალ გინდა, ძალლებს ჩამოგილალაფ, თუ ძალლები ალ გინდა, ვილებს ჩამოგილალაფ“—თამაზი წევს და ამბობს ხალხურ ლექსს მტირალაზე: „მტირალა, მტირალა, ლორებს ჩამოგილალაფ, თუ ლორები არ გინდა, ძალლებს ჩამოგილალაფ, თუ ძალლები არ გინდა, ვილებს ჩამოგილალაფ“.

1, 11, 7; „შიღობით დედა, მივდივალ ბაზალში, ლოცა. ლოცა, პული. კამფეტი დახულულში, დახულულში მივდივალ“ (მივდივარ ბაზარში, დახურულში)—თამაზმა აიღო დედის სასურსათო ზანთა, ემზადება წასასვლელად და ემშვიდობება დედას.

1, 11, 7; „პატალა ნაჯაქი დაატა, დედა პატალა ნაჯაქი“ (პატარა ნაჯახი)—თამაზი მაგიდასთან ზის და ათვლიერებს წიგნს. ნახა დახატული პატარა ნაჯახი, ბაშინვე აკეთებს ნაჯახის დარტყმის მოძრაობას, უძახის დედას და უჩვენებს ამ მოძრაობას და ეუბნება: „პატალა ნაჯაქი“.

1, 11, 7; „პატალა ძაგლს კული ალი, კული ალი პატალა ძაგლს“ (პატარა ძაღლს კული აქვს)—იმევე წიგნში ნახა პატარა

ძალის სურათი და გახარებული აღნიშნავს, რომ პატარა ძალს კული აქვს.

1, 11, 7; „მამიკო, ძუძუ ალ შეიძლება? ჰობ, ლატო ალ შეიძლება, ლატო ალ შეიძლება“. (მამა რატომ არ შეიძლება ძუძუ)—თამაზს დედა აძინებს. ის ძუძუს თხოვს. დედა ნებას არ აძლევს, შეძლევ მამას ეძახის. როცა მამაც უარს ეტყვის, ამოიხრებს და კითხულობს: „ლატო ალ შეიძლება ძუძუ?“.

1, 11, 7; „ნანა ტალახი ფექალები? ტალახი ფექალები. ლატო ჩაკავი ტალახი ლატო?“ (რატომ დასვარე ტალახში ფეხსაცმელები?)—ნანა დაბრუნდა ეზოდან, ფეხსაცმელები დასვრილი აქვს. დედა უჯავრდება. რატომ არ ჩაიცივი კალსებშიო, თამაზი ხედავს ამას და მერე მამას უაბობს ამ შემთხვევას.

1, 11, 7; „ფისოს ძინავს სახურავზე“—წიგნში ნახა სურათი: კატას ძინავს სახურავზე. აკვირდება და ამბობს: „ფისოს ძინავს სახურავზე“. მეორე ფურცელზე დახატულია სახურავი, მაგრამ კატა არ არის და თამაზი ეძებს.

1, 11, 7; „ადგა ფისო“—ე. ი. ფისო ადგა და იქ იმიტომ აღარ არისო.

1, 11, 11; „დედა თოვლი, თოვლი მაჩვენე“—დილას ნანამ დაიძახა: „თოვლი მოსულა, თოვლი“. თამაზი თხოულობს აჩვენონ თოვლი. დედა აცემებს და მიყავს ფანჯარასთან, მაგრამ თამაზი მარტო დანახვით არ კმაყოფილდება და თხოვს დედას: „მაჩვენე თოვლი“ ე. ი. ხელში მიცეს თოვლი რომ ახლოს ნახოს.

1, 11, 11; „თოვლები დედა, თოვლები, ბუთები სველია, ძიმეა“ (თოვლის გუნდები სველია და მძიმე)—საუზმის შემდეგ მამამ ჩაიყვანა ბავშვები ეზოში, სადაც თამაზმა ბევრი ითამაშა; მამა უკეთებდა მათ გუნდებს და ისინი გუნდაობდნენ. შემდეგ გააკეთეს თოვლის კაცი და გუნდებს ესროდნენ, როდესაც დაბრუნდნენ შინ, თამაზმა დედას უამბო გუნდაობის ამბავი.

1, 11, 11; „წავიდეთ ეზოსი ბიძია ლევან, იქ ეზოსი ბელი ბუთები იყო, ნანა ესროლა დოდო“—თამაზი თხოვს ბიძია ლევანს ეზოში წაყვებს, თან უამბობს როგორ იგუნდავეს.

1, 11, 11; „იქა თოვლი იყო. ბუთები ნანა ესოლა, დოდო, დოდო ბელი ბუთები ესოლა ლიანა, ესოლა ბელი, ბელი ბუთები. დოდო ესროლა ლიანა. დოდო ჩაჯდა. ნელი ესოლა“—ყველას ვინც შემოდის ჩვენთან აღტაცებული უამბობს გუნდაობის შთაბეჭდილებებს.

1, 11, 11; „წყლები დააკცია დედამ, წყლები“. (დედამ წყალი დაღვარა)—დედამ წყალი დაღვარა, თამაზი ამას მრავლობით რიცხვში აღნიშნავს: „წყლები“.

1, 11, 11; „გებეწები ჩემო დედა, გებეწები ძუძუ მომელა!“—დედა აძინებს. იგი თხოვს დედას ძუძუა. დედა უარს ეუბნება, ის დაეინებით თხოვს.

1, 11, 12; „მესინია ბუზის, არ მიღის იქით, გამორბის“—(ბუზის მეშინია იქით კი არა, აქეთ გამორბის)—კედელზე ბუზი შენიშნა, იძახის: „მესინია“. მამა ამშვიდებს ბუზი იქით მიღისო. თამაზი აკვირდება და როდესაც შეაპანია, რომ ბუზი მისკენ წამოვიდა, გარბის და ამბობს: „მესინია, არ მიღის იქით. გამორბის“.

1, 11, 12; „ლოგოლა ხალ? ავათა ხალ? გისმენს თანაზი. მადლობა კალქათ. ხო. ხო წადი აქლა“. (როგორ ხარ? ნადლობთ, კარგად)—ტელეფონით ესაუბრება ლევან ბიძიას.

1, 11, 12; „მომიტანე, მომანოდე, მიითი. აღ შეიძლება აღ მინდა“. (მიირთვით არ შეიძლება არ მინდა)—თამაზი თხოვს დედას კამფეტს. დედამ მისცა. მან წაიღო ეს კამფეტი ბაბუას მიაწოდა და ეუბნება: „მიითი“. „არ მინდა“, უპასუხებს ბაბუა. „აღ მინდა აღ შეიძლება“ ამბობს იგი.

1, 11, 12; „ბოთლში ჩაახსინ წყალი ჩემო დედიკო, ცოტა, ცოტა“.—თამაზს აულია პატარა ბოთლი მიაქვს დედასთან და თხოვს შიგ ცოტა წყალი ჩაუსხას.

1, 11, 12; „მამა წადი, მოიტანე თენგოს წამალი. ბოთლი წაიგე. ნანა ხვალ მოიტანს“. მამიდაშვილი თენგიზი ავად გახდა. ექიმმა წამალი გამოუწერა. თამაზი ეუბნება მამას, რომ მან წამალი ამოუტანოს. „ნანა წაეა“, უთხრა მამამ. „ნანა ხვალ მოიტანს“ უპასუხებს იგი.

1, 11, 12; „დაჩეხე სესა. ფეკი ალა იტკინო. ცეცლი აანთე, სუქი აანთე. აღ ალი სუქი, აღ ალი“ (შეშა დაჩეხე, ფეხი არ იტკინო, შექი აანთე)—დაჩეხალი შეშა გაწოილია. ნანა მიღის დასაჩეხად, თამაზი მიყვება და ეუბნება: „სესა დაჩეხე“, თან აფროთხილებს „ფეკი აღ იტკინო, სუქი აანთონ“.

1, 11, 14; „შეძვლა პული, ქვეს შეძვლა“. (პური ქვეშ შემიგორდა)—თამაზი ააუზმობს. მას პური გადაუვარდა და მაგიდის ქვეშ შევარდა; ის გადაიხრება, ეძებს, ვერ ხედავს და ამბობს: „პული ქვეს შეძვლა“.

1, 11, 14; „დედა უკუღე, ლატალამ გასალა ხელი ასე“. (უკურე ლატავრამ ხელი ასე განალა)—ნანას ამხანაგმა იცეკვა;

თამაზი იქვეა და აკვირდება. მერე მოტრიალდება და დედას უამ-
პობს როგორ გაშალა ხელები ლატავრამ, როგორ იცეკვა.

1, 11, 14; „გუნდა იყო, თამაზა თამაზიმ ბავსს“. (ეზოში
მე ბავშვს ვეგუნდავე)—ეზოში თამაშობდა თამაზი. თავის ტოლ
ბიქს ეგუნდავა. როდესაც ამოვიდა ბაბუას უამბო ამის შესახებ.

1, 11, 14; „გაკეთა ბებია ჩვენ გუნდები, გავაკეთე. იყო
დოდოსი, ნანიკოსი, თოვლით გააკეთა ნანა. (ჩვენ გუნდები გავაკე-
თეთ, ნანამ და დოდომაც გააკეთეს თოვლის გუნდები)—ეხლა ბე-
ბიას უამბობს გუნდაობის ამბავს.

1, 11, 17; „უფო ლა კაი წითელი ზიზია, წითელი ზიზია მღ-
მეცი. კვალილი ლა კაი კვალილი. ზევით გააკეთე ზანდ. ზევით,
ზევით“ (რა ლამაზი ყვავილია. ზევით გააკეთე)—დედამ შენოუვლო
საყვირზე წითელი ქალღმერთის არხია, რომელიც ყვავილს მიაშსგავ-
სა. თამაზს ძალიან მოეწონა და გაეხარდა.

1, 11, 19; „გისმენთ თამაზი, ბატონო? ალა, თამაზი ალა,
ლევან ბიძია ნონა შეიტანე. ბელი, ბელი აკოცე ხო! მადლობა
კაქათ“ (. . . თამაზი არა. ნონა მოიყვანე, ბევრი აკოცე. . .)—ტელეფონ-
ით ელაპარაკება ბიძია ლევანს. მან უთხრა, შენ ზაიმუნის ხარო!
თამაზი კი პასუხობს; „ალა, თამაზი ალა“, მერე თხოვს მისი ბი-
ძამვილი ნონა მოუყვანოს. თან ბევრი აკოცოს, ბოლოს კი მად-
ლობას უხდის და მიღს კიდებს თავის ადგილზე.

1, 11, 19; „ქუჩაში ჩვენი მასინა გაცელებულია, დედა მა-
სინა გაჩელებული ალი“ (ჩვენი მანქანა ქუჩაში დგას)—ეზოს წინ
ქუჩაში დგას მანქანა. თამაზი ამჩნევს და დედას ეუბნება.

1, 11, 19; „ჩემი წინდები გაიხადე ნანა!“—ნანას აცვია ისე-
თივე წინდები, როგორც თამაზს აქვს. მას თავისი წინდები ჰგო-
ნია და ნანას ეუბნება გაიხადოს.

1, 11, 19; „დედიკო, რანაირი თოვლი, რანაირი ტალახი“—
ქუჩაში სეირნობის დროს შენიშნა, რომ თოვლი დნება და ქუჩა
ატალახდა.

1, 11, 19; „დედიკო მე და სენ წვევიდეთ კინოსი“. კინოთე-
ატრის წინ დაინახა გამოფენილი სურათები და თხოვს დედას:
„კინოში წავიდეთ მე და ბენო“.

1, 11, 19; „ნანა წვევიდა მუჭიკაზე, თამაზი მიდივალ მუჭი-
კაზე, სიღობით“—ნანა წვევიდა მუსიკის გაკვეთილზე. თამაზი
იღებს ნოტებს და თბილისის თვითონაც მიდის, იგი ემშვიდობება
სახლში მყოფთ.

1, 11, 19; „ჩაი დუღაღუა, ცხელია“ (ჩაი მდუღარეა)—თამაზი
ჩაის სვამს, მოსვა, პირი დაეწვა და თქვა: „ჩაი დუღაღუა, ცხელია“.

1, 11, 19; „ნანა ფანქალი ლა უკავი, ალ ალი მაგიდაზე“
(ფანქარი რა უკავი, არ არის მაგიდაზე)—თამაზმა შეამჩნია, რომ

მაგიდაზე მისი ფანქარი არ დევს, ჰგონია რომ ხახამ აიღო და ეკითხება დას, რა უყო ფანქარი.

1, 11, 19; „ბაბუა! მამა ცემა. ციც, მამიკო! ლატო ცემე თამაზი ხელზე“. მამა გაუჯავრდა და ხელზე დაარტყა; როგორც კი ბაბუა მოვიდა თამაზმა მაშინვე შეჩივლა და თან მამასაც გაუჯავრდა, იგი გაბუტული იყო ბაბუას დანახვამდე.

1, 11, 21; „აი ნაძი ხეო, აი ნაძი ხეო. კუკლები ნანა, კუკლები“ (ნაძვის ხე)—დილით ნანამ თამაზი შეიყვანა მეორე ოთახში და აჩვენა მორთული ნაძვის ხე. თამაზი განცვიფრებული უცქერის, მერე თანდათან აკვირდება, ამჩნევს სხვადასხვა სათამაშოებს და ჩამოთვლის. იგი სულ იქ ტრიალებს.

1, 11, 21; „აინთო შუქები, აინთო შუქები“.—ნაძვის ხეზე ფერადი ელნათურები აანთეს. თამაზი გახარებული უყურებს და იძახის: „აინთო შუქები“.

1, 11, 21; „აინთო შუქები, აინთო, დედა იქა ნაძვის ხეო, აინთო შუქები“—თამაზი გახარებული გარშემო ურბენს ნაძვის ხეს მერე გადის მეორე ოთახში და დედას უამბობს.

1, 11, 21; „დედა ავადა ხარ? ყური გტყივა? მოგიჩა? ადგები? მე მოვიდე?“—დედა წევს: აეადაა. თამაზი თანაგრძობით ეკითხება დედას, როგორ ხარო.

1, 11, 21; „დაიძინე დედა, ძინამხ დედას“. ეფერება დედას თითქოს აძინებს.

1, 11, 21; „მამა, აი აჩუა, აი აჩუა. აჩუას კული ალა აქს“—თამაზმა იპოვნა ქაღალკის ცხენი, მიუტანა მამას და ეუბნება, ამ ცხენს კული არა აქვსო.

1, 11, 25; „ეს რა არის? მამიკო დავჯდე? შენთან მოვიდე? შეშა დაჩეხე? მამიკო კამფეტი მომიტანე? მამიკო დღეს არსად წახვალ? მამიკო ხვალ ისტიღუტში ღიღიხვალ? დედოკო ხვალ კანფეტს მიყიდი?“. დღეს დაიწყო ყველაფრის კითხვა და განსაკუთრებით კითხვის ნიშნის დასმბ. ყოველ ბოლო სიტყვის უკანასკნელ ბგერას აგრძელებს.

1, 11, 25; „წითელი ვაშლი ვის უნდა, შენ თუ მე, თვალი დახუქე“—თავისთვის ისე ლაპარაკობს თითქოს ღიღინებდეს.

1, 11, 27; „ჯან, ჯან, ჯანსია, პულს ჩაგიყლი ჯამსია, ხანჯალს მოგცემ ხელსია, გაგაგზავნი ჯალსია“. (ჯანშია, ჯამშია, ჯარშია)—ამბობს ზეპირად ხალხურ ლექსს.

1, 11, 27; „აჩუ, აჩუ, ცხენო, უნდა გაგაქენო. მამიდასთან მიდივალ, გასწი ნუ მაცენო“—ცდილობს შინაურების ყურადღება მიიქციოს და ამბობს ყველა ლექსს, რაც იცის.

1, 11, 27; „თამაზის გამოუღდა სამი ბატი ყიყინით. ამ ბიკიკოს დაეკერტ, თავის კობტა ტიკინით“. „თამაზიკო კიდევ რა იცი?“ ეკითხება ნანა: „ჩიტო, ჩიტო, თქვი აბა თუ გახსოვს?“.

1, 11, 27; „ჩიტო-ჩიტო ჩიორაო, ლაო ბატონო მელაო, ელთი ბატკი ვადმომიგდე, თოლე ვაი სენი ზლალი“—ამბობს გაბარებული თამაზი და მას გადააბანს მეორე ლექსს.

1, 11, 27; „თოვლი მოსულა, მოსულა, დაუთოვია ბარია, ერთი კამფეტი მაჩუქე... თავვს მოუპარია“, ბოლოში მოუჩქარა თან სიტყვა „ვითმძე“ გამორტოვა. ამ სიტყვას ის სწორად ივიწყებს.

1, 11, 29; „ტუზიკამ უკბინა ნანას, ცოდლა ნანა“. თამაზი ათვალავრებს წიგნს, სადაც ძალღია დახატული. გაიხსენა მეზობლის ძალღმა რომ უკბინა ნანას ფეხზე და იცოდებს მას.

1, 11, 29; „აი ჩაინიკი. მე დავაქციე გუსინ, დავაქციე ჩაინიკი“.—წიგნში ჩაიდანია დახატული. მოიგონა გუშინდელი შემთხვევა: ჩაიდანი რომ წააქცია და წყალი დაღვარა.

1, 11, 29; „აჩუა ცალი ფეხით მიდის“—იქვე ცხენის სურათია, რომელზეც ცხენს წინა მარჯვენა ფეხი აწეული აქვს.

1, 11, 29; „ნანა არ დაიძინო, დედა ჩაის მოგიტანს“. ნანა ავად არის, წევს. დედა ჩაის ამზადებს. თამაზი მიდის ეფერება და ეუბნება: „არ დაიძინო, დედა ჩაის მოგიტანს“.

1, 11, 29; „ნუ ტილი ნანიკო, ნანიკო, ჩემო ნანა, ნუ ტილი“. ნანა განგებ წაითარებს საბანს თავზე, თითქოს ტირის. თამაზი უურო მეტად ეფერება.

1, 11, 29; „ბაბუა ყული გტკივა? ხვალ მატალეებელსი ჩაჯედები? პეჩენიას მომიტან? მანდალინას მომიტან? ვალოდიასთან იყავი? მოხვედი უკვე?“—შემოდის ბაბუა, რომელსაც ყური აქვს შეხვეული; თამაზი ბაბუასთან ტრიალებს სანამ ის პალტოს იხდის და უამრავ კითხვებს აძლევს.

1, 11, 30; „ბოვსებო მირბიან, ყვირიან“—თამაზს ხელში უჭირავს წიგნი „დედა-ენა“ და მის გარე კანზე რომ სურათია, იმაზე ამბობს, ფურცლავს წიგნს და განაგრძობს ჩამოთვლას რასაც ხედავს.

1, 11, 30; „მირბის წყალზე საბანაოდ ცელქი ბიჭი ზურია“—შემდეგ ფურცელზე ბიჭის სურათია, რომელიც გარბის. თამაზს აგონდება შეეატყვისი ლექსი და ამბობს, როგორც აქაა მოტანილი.

1, 11, 30; „ეს ყვავილია? ია. ეს თითი. საათი. თხა. ხე. უთო“. დედა იქვე უზის და ეკითხება: „ეს რა არის?“ და ისიც ჩამოთვლის, რაცაა დახატული.

1, 11, 30; „აი, აჩუას ხე“ (ცხენის ძუა) — (ცხენი. თუ არის დახატული იგი ამბობს: „აჩუას ხე“. „რომელი ხე?“ ეკითხება დედა. „აი, აჩუას ხე“, და უთითებს „კულზე“, „ეგ, ხე კი არა, კუდია“. „ჰო კუდია, აჩუას კუდია“ იმეორებს თამაზი.

1, 11, 30; „სოკო, თევზი, თოფი, თბა, მამალი, ურემი“. თამაზი ყველაფერს ასახელებს, რაც წიგნშია დახატული.

2, 0, 0; „მე ოლი წლის ვალ“ — დღეს თამაზს შეუსრულდა 2 წელი, ვინც შემოდის ყველას ნიახარებს: „მე ოლი წლის ვალ“.

2, 0, 0; „მე ოლი წლის ვალ. მამიკომ მომიტანა ბელი სა-თამასო, სატლიალო მასინა, ალოპლანი, დოლი. გიტალა, საათი ალ სობა ტიკ-ტიკ“ (მამამ ბევრი სათამაშო მომიტანა, სატ-რიალო-მანქანა, აეროპლანი, საათი არ მუშაობს) — ორი წლის შე-სრულების გამო ბევრი საჩუქარი მიიღო, ვინც შემოდის ყველას უამბობს თუ რა მიიღო საჩუქრად.

2, 0, 0; „გისმენთ თამაზი, მე ოლი წლის ვალ, მამიკო მო-დი მალე, მომიტანე ელთი-ოლი კიკლიკო, კიდევ კამფეტი. მად-ლობა. კარგად. ხო, ხო, ხო“. მამამ დარეკა ტელეფონზე. თამაზი არ აცლის დედას ლაპარაკს ართმევს მილს და თვითონ ელაპა-რაკება.

2, 0, 0; „მამიკო შესა დაჩეხე? ცეცხლი ანთე? ჩაქვლა? ალ აინთო?“ — მამამ შენა დაჩეხა, შემოიტანა და ღუმელს ანთებს. თამაზი ეკითხება: „შესა დაჩეხე?“ „კი“ უპასუხებს მამა. „ცეცხლი ანთე?“ „ეხლა ვანთებ“, პასუხობს მამა, თან ასანთს უჯიდებს. ასან-თი ქვრება. „ჩაქვლა, ალ აინთო?“

2, 0, 4; „ჩემი წიგნი სად ალი?“ — თამაზმა თავისი „დღეაენა“ ვერ იპოვა მაგიდაზე და კითხულობს: „სად ალის წიგნი“. პოუ-ლობს, ჯდება მაგიდასთან და იწყებს დათვლიერებას, ფურცლაჟს და ლაპარაკობს:

2, 0, 4; „ურემი არის, ზულიკოსი უღემი. უღემით მიაქს კომბოსტო. მირბის ბავსები, ყვილიან, მილბის ასე“ (ურჩენებს თუ როგორ გაირბინა) — სურათზე ურემია, ურემით თივა მიაქვთ. ის ამბობდა კომბოსტოს. შემდეგ სურათზე ბავსები გარბიან. თამაზი აღწერს მათ მოქმედებას.

2, 0, 4; „მირბის წყალში საბანაოდ ცელქი ბიჭი ზურია“. სურათზე დახატულია ბიჭი. იგი მირბის საბანაოდ და იქვეა ძალ-ლიც. თამაზი იგონებს ლექსს და ამბობს, მაგრამ ვადაშალა ფურ-ცელი და სხვა სურათთა. წყვეტს ლექსს და აღწერს სურათს.

2, 0, 4: „ყვავილი აღი. ია, თითი. საათი. თხა. ხე. უთო. აჩუას ხე—არა აჩუას კუდი. სოკო. იხვი. თოფი. თევზი. ბეკეკა-ლორი“ ღრუტუნა. მამალი. დაჯი პეპელა, ბეზია ჩუჩხელას აკეთებს. ბუზი. ვარდი. ჩიტი. კალმის ტალი. ფანქალი. კალამი. ულაა, მოლჩა და გათავდა“. ფურცლავს წიგნს და ჩამოთვლის, ან აღწერს ისეთი თანამიმდევრობით, როგორც აქა მოცემული.

2, 0, 7: „წიგნი, ქალაღი. კაცები, მიდიან, მღერიან. დედა ეს ლა არის?“ („ეჟვანი“ ეუბნება დედა) „ეჟვანი, ეჟვანი“. ისევ ათვალეირებს დედაენას და ააახელებს რასაც ხედავს.

2, 0, 7: „ძინავს ნანა თამაზის. ნანამ გეიღვიძა“—წიგნში დასატულია მძინარე ბიჭუნა, გოგონა კი სასთუმალთან დგას და დასცქერის. თამაზს ამ სურათის შინაარსი გადმოაქვს თავის თავზე თითქოს ნანა და თამაზი იყოს იქ დასატული.

2, 0, 7: „ჰაუ, ჰაუ, ქორო ნუ ფრენ ამ ეზოსი დიღ დიღახო“. ათვალეირებს ისევ თავის საყვარელ წიგნს. სურათზე ქორი და წიწილაა მოცემული. თამაზს აგონდება ლექსი და ამბობს.

2, 0, 7; „ქორო ჰაუ, ჰაუ, ნუ დადიხარ, წიწილას არ გაგატან“. ათვალეირებს, აკვირდება ამ სურათს და ახლა უკვე თავისი სიტყვებით ამბობს იმავე ლექსს.

2, 0, 7; „ჩიკა-ჩიკა მალულო, ტყიდან გამოპარულო, დაუჭირავს ღამურა, შეხტა-შეხტამუნო“. თამაზი ამბობს ხალსურ ლექსს, მაგრამ დასაწყისში სიტყვა მალულას მაგიერ თქვა „მალულო“ და ამის მიხედვით მთელი ლექსის რითმაც შეცვალა. მალულო. გამოპარულო, ღამურა შეხტამუნო.

2, 0, 7; „კითხვა ახწავლო? კითხვა. ეს რა არის? ეს მომიყევი, ეს“—სურათზე ნუტას სკოლაა. დედა უამბობს, მაგრამ თამაზს ეს არ აკმაყოფილებს და თხოვს დედას კიდევ მოუყვეს.

2, 0, 9; „დედა! მომიყევი ჩხავანა კატა. მომიყევი დედა რა, ნაძი ხეო. ძაგლი. ჯიუტი თხები. აჩუა მომიყევი“. თამაზი თხოვს დედას უამბოს ის, რაც იცის, რამდენჯერმე მოუხმენია, და აგრეთვე ისიც, რაც კარგად არ იცის—ახალია.

2, 0, 9; „ეს რა არის ველოსიპედი? მასინა არა?, ავტობუსი არი? მითხარი მითხარი რა, მომიყევი“—თამაზმა იცის ყველა ჩამოთვლილი საგნების სახელები, მაგრამ უნდა რომ დედამ მეტი რომ უამბოს მათ შესახებ.

2, 0, 9; „ბოვსები ჭამს, თამაშობენ. ქორმა წიწილა წაიღო“ — ისევ წიგნს ფურცლავს და ლაპარაკობს თავისთვის.

2, 0, 10; „დედა ადგები? დგები? უნდა ჩაიცვა? დედა ვიო-სება მოვიდა, ვიოხება“. თამაზმა ადრე გაიღვიძა, ბებიამ ტანთ ჩააცვა. იგი მივიდა დედასთან და აჩქარებს ადგომას. ამ დროს შემოდის ბაბუასთან მიძი ნაცნობი იოსები. ის კი იძახის: „დედა, ვიოხება მოვიდაო“, ე. ი. ჩქარა ადექიო.

2, 0, 10; „დედა მაჭამე ფაფა, მსია. დედა კატა მოსულა, კუდიანი ფისო, კუდიანი ფისო“. თამაზს დედამ საუბრე მოუმზა-და. თამაზი ჯდება მაგიდასთან და ამბობს: „მსია“. ამ დროს მო-ვიდა კატა მის მაგიდასთან. თამაზი ჭამს, თან ფისოზე ელაპარა-კება დედას.

2, 0, 10; „დედა ნანას დავატო თავისი ჯოხი, დედა და-ვატო“ — თამაზი და ნანა თამაშობდნენ. თამაზს მოუხვლა თავნი-ჯოხი, ნანას ეტკინა. თამაზი შეწუხდა. მივიდა დედასთან და უამ-ბო ეს შემთხვევა.

2, 0, 10; „ბებია დააღაგე. მეოლეც დააღაგე“. ბებია სა-წოლებს ალაგებს. თამაზი დაყვება ბებიას და ეუბნება: „მეოლეც, დააღაგე“. მეორე საწოლიც გაასწორეო.

2, 0, 10; „მიდიან საბავსო სასხი, ბოვსები მიდიან“. ათვა-ლიერებს წიგნს, სადაც სურათზე დახატული ბავშვები მიდიან სკოლაში.

2, 0, 10; „აი ბიძია ლევანი. ბიძია ლევანს ქუდი ახურია, ბურთი აქვს, ბიძია ლევანს. ბიძია ლევანი ფაფას ჭამს“. ბაბუა გახეთს კითხულობს, თამაზმა სურათი შეამჩნია: რკინიგზელს ხელ-ში რაღაც ნაწიანის ნაწილი უჭირავს და მიამსგავსა თავის ბიძას.

2, 0, 10; „აი მგელი; წაქცეული მგელი. ბიჭი ესროლა მგელის. წაქცეულა მგელი“. სურათი: დიდი ძალი წევს, რომლის ახლოს ბიჭი დგას. თამაზმა ასე აღწერა ეს სურათი, შეადგინა პა-ტარა მოთხრობა.

2, 0, 10; „მგელი შემოსულა, მგელი. უყურე მირბის ფისო და ძაგლები. მირბიან ფისო და ძაგლები. აი დაასხა ბიჭმა ჩაი-ნიკიდან, დეიბანოს“. ათვალიერებს წიგნს და აღწერს სურათს ისე, როგორც მოცემულია.

2, 0, 10; უყურე ნანა, ბიჭი და გოგო ჭამენ, უყურე ჭა-მენ“. ნანა და თამაზი ფანჯრის რაფაზე სხედან. თამაზი მოპირ-დაპირე მხარის აივანზე უტკერის ბავშვებს და ნანას უამბობს. რასაც ხედავს.

2, 0, 12; „ბეე, კარი გამიღე, პირით ბალახი მომაქვს, ძუძუე-ბით ძე“. თამაზს პირში დაუჭერია ოხრახუშის ფოთლები, მოად-გა კარებს და აკაკუნებს, ოთახში არ შემოდის, იქიდან აზბობს ლექსს, რომელიც ზეპირად იცის ზღაპრიდან „თხა და თიკნები“.

2, 0, 12; „ნანა, დამ მომცემ? რა არის ეს? მურაბა? კიდე მომეცი ნანა მურაბა“—ნანა სუფრასთან ზის მურაბას ქამს. მო-ღია თანაზი და თხოვს. ნანა აძლევს მურაბას, რომ შექამა მერე ეკითხება თამაზი: „რა არის ეს?“ და კიდევ თხოვს.

2, 0, 12; „დედა, დაუკრა პიანინო? აი დაუკარი. ნანა ცუ-ღია. ხომ ცუღია ნანა!“—თამაზი თხოვს დედას ნება მისცეს პიანი-ნოზე დაუკრას. დედა ნებას აძლევს. თამაზი მიდის გახარებული უკრავს თან ნანას უცქერის. ნანა უჯავრდება, ეს წყინს თამაზს.

2, 0, 12; „მე და ნანა გადაეხვა ნწყალსია, მე და ნანა გა-დაეხვა ნწალსია“. აზბობს ზურია და მურიკელას ლექსს და მო-ქმედ პირებად თავისი თავი და ნანა გამოყავს.

2, 0, 14; „დედიკო მომეცი ბაბუა, ჩემი ბაბუა მომეცი, ჩე-მი ბაბუა. აი ცხვირი, თვალი, ქუდი. ბაბუა კამფეტს მომიტანს? პეჩენიას მომიტანს, ჩაჯდება მატალებელში, კიდევ მანდარინს, სოკოლადს მომიტანს? დედა შეინახე ბაბუა, აჰა შეინახე დიდ შკაფში“. თამაზმა შეამჩნია კედელზე ბაბუას სურათი, ჩამოაღე-ბინა დედას და რაც მოაგონდა ბაბუასთან დაკავშირებით ყველა-ფერს ლაპარაკობს მერე კი თხოვს დედას ეს სურათი შეინახოს კარადაში.

2, 0, 14; „დედიკო, მომიყევი პატარა ბიჭი, მომიყევი. ის ბიჭი მასინაზე ჯდება? აჩუაზე ჯდება?“—თხოვს დედას უაზბობს პატარა ბიჭის შესახებ და მერე აძლევს კითხვებს.

2, 0, 19; „დედიკო ბაბუა, დავანგრიო? მამა დავანგრიო? კოჩკა ბიძია დავანგრიო?“—დედამ უამბო თამაზს სამი გოქის ზღა-პარი. ძალიან მოეწონა. განსაკუთრებით მგელი რომ სულს შე-ბერვით სახლებს ანგრევს. თამაზი ჩამოუვლის კედელზე დაკიდე-ბულ სურათებს და დედას ეკითხება: „ეს დავანგრიო, დავანგ-რიოო?“

2, 0, 19; „თა-მა-ზი ვარ, ჩე-მი-ა ბა-ბუ-ა, მა-მი-კო“. თამაზი სპონტნურად მარცვლავს სიტყვებს. იგი თავის მაგიდასთან ზის და ლაპარაკობს.

2, 0, 19; „არ მცალია, მესინია“—სალამოა. ნანა მეორე ოთახშია და იქიდან უჩახის თამაზს, ის არ მიდის და პასუხობს: „არ მცალია, მესინია“.

2, 0, 19; „მანდარინი ცივია, მეხინია, დავხუქე თვალები სემესინა“. ნანამ თამაზს თვალები დაახუქინა, პირი გააღებინა და მანდარინი ჩაუღო პირში. მან მანდარინს პირი მოუქირა უსიამოვნოდ გააგრეთლა და უთხრა „მეშინიაო“. ეტყობა თვალებია დახუქვა არ მოეწონა.

2, 0, 21; „მოვკიდე ხელი ცოკს“—ელექტრონის მავთულს მოკიდა ხელი, ბებია გაუჯავრდა და უთხრა: „რა ქენი ეს!“—„მოვკიდე ხელი ცოკს“, უპასუხებს თამაზი.

2, 0, 21; „სუსა უნდა გავაკეთო, ამასი დუხია“—აულია სუნამოს შუშა; დადის, დააქვს, თან მალ-მალ ყნოსავს.

2, 0, 21; „ხადა გაქვს მეოლე ყული? ხადა გაქვს მეოლე თვალი?“—თამაზს აქვს სათამაშო ცხენი, ეხლა იმას ეთანაშება და ეკითხება, თან ხელს კედებს ყურზე, მერე თვალზე.

2, 0, 22; „მიყვარს ჩაქუჩი მე, მიყვარს ჩაქუჩი მე“—თამაზს ჩაქუჩი უპირავს ხელში, დადის და მღერის.

2, 0, 22; „ძუძუ, ლოგოლა ხალ? მადლობა კადგად, ძუძუ, ბებია ხადაა? აი იქ ალი“. დედამ გახადა, დააწვინა, თითონაც იქვე უხის. თამაზი ეალერსება, ეკითხება და პასუხსაც თითონ აძლევს.

2, 0, 22; „უკან მისდევს ბანჯგვლიანი მურია, უცებ გაიხადა, გადუხვა ნწყალშია“. თამაზი თავის მაგიდასთან ზის და თავისთვის ლაპარაკობს, იგონებს ლექსის ნაწყვეტს. ცოტას ძავისებურად ასხვაფერებს, მაგ. უმატებს სიტყვას „უცებ“ და არც დასრულებულად ამბობს სტროფს.

2, 0, 23; „ნოვოსელია, ნოვოსელია, ფული ჰრელია“. დედამ მოუტანა პატეფონის ფირფიტა „Сорока сорока“ ძალიან მოსწონს და ხშირად უკრავენ ის და ნანა. ეხლა თავისთვის ლაპარაკობს და უცებ მოაგონდა ადგილი, მხოლოდ თავისებურად გადაასხვაფერა: „ნოვოსელია, ფული ჰრელია“ (ეს ორი ბოლოსიტყვა, რათქმა უნდა, რუსულ ლექსს არ ეკუთვნის).

2, 0, 23; „დელია ნანინაო, დელია ნანინაო, ბებია ნანინაო“. ზის თავის მაგიდასთან, ფურცლავს წიგნს და თან მღერის.

2, 0, 24; „ერთი, ორი, შვიდი, თუთხმეტი, ორი, შვიდი, ღვა, თუთხმეტი“. თამაზი თავისთვის თვლის.

2, 0, 24; „დაცხა და ნწყალი მოხწყურდა“. ხელში უპირავს წიგნი, თითქოს კითხულობს აკაკის იგავ-არაკიდან: „მგელი და კრავი“ (ნაწყვეტს)..

2, 0, 24; „პატარა გოგო წითელქუდა, წაუღო ბებიას კალათი, ძეგბი, ვასლები, კამფეტო, მანდარინი“—თამაზი წევს ლოგინში და თავისთვის ლაპარაკობს. უამბობს ზღაპარს თავისთავს.— „ვინ შეხვდა გზაში?“ ეკითხება დედა. „მგელი“, „რა უთხრა?“ „გამარჯობა წითელქუდაო“, უპასუხებს თამაზი. თან დაბალი ბოხი ხმით, მერე კი უფრო წვრილი ხმით უმატებს: „მე ვარ წითელქუდა“.

2, 0, 25; „მიდის აჩუაზე, შეხვდა მონადირე, ესროლა თოფი“. თამაზი ათვალეირებს წიგნს, სადაც ცხენოსანი კაცია დახატული.

2, 0, 25; „მელია ზის მგელზე“ (ფურცლავს წიგნს)—თამაზი ხედავს წიგნში სურათს, მგელს მიყავს ზურგზე შემჯდარი მელია, და მის შესახებ ლაპარაკობს: „მელია ზის მგელზე“—ო.

2, 0, 27; „კლავდაა, დედა, ამაყენე“—დღეს პირველად თქვა სწორად დედის სახელი.

2, 0, 29; „ნანა მომეცი რა ცოტა ხანი, შენ უყურე, როგორ დავწერო, მე აქა. სალამი მამიდა, გამომიგზავნე ყველი, ქაღი, ჯანჯუხა. სალამი ბაბუა, მომიტანე კამფეტები“—ნანა მეტადინეობს, თამაზი თხოვს ფანქარს თან ეუბნება რისთვის სჭირდება ფანქარი, წერილი უნდა დაწეროს. ნანა აძლევს ფანქარს და ქაღალდს. თამაზი ჯდება მაგიდასთან წერილს წერს, თან ხმამაღლა ლაპარაკობს, რა უნდა მიწეროს მამიდას; მერე უცებ გადადის სხვაზე, უკვე ბაბუას წერს წერილს.

2, 0, 30; „დედა, აქ არ შეიძლება დავწერო?“—თამაზი იღებს ახალ ქურნალს, უნდა ზედ დაწეროს ფანქრით. დედა ნებას არ აძლევს. იგი შლის ფურცლებს და კითხულობს: „არც აქ შეიძლება“?

2, 0, 30; „დედა, ნანა ეზოხია. დედიკო ამოიყვანო ნანა?“—დედა კითხულობს: „სად არის ნანა?“ თამაზი პასუხობს, თან დასძენს ეზოშია და, თუ დედას უნდა, ამოიყვანს ნანას ეზოდან.

2, 0, 30; „მე თითონ, მე თითონ. დედა წყალმა პირი დამწვა ცხელია“. თამაზი თავის მაგიდასთან ზის და საუბნობს. დედა ასმევს ჩაის, მაგრამ მას დამოუკიდებლად სურს დალიოს. ერთბაშად მოსვა, ჩაი ცხელია, პირს წვაავს და ყვირის: „წყალმა პირი დამწვაო“.

2, 0, 30; „იმიტომ, რომ ხვალ ორი წლის ვარ“ თამაზმა რაღაც დააშავა. დედა უჯავრდება: „რატომ გააკეთე ეს თამაზ?“ „იმიტომ, რომ ხვალ ორი წლის ვარ“, პასუხობს იგი.

2, 0, 30; „ჩაქუჩი, ჩაქუჩი, აი კიდე ჩაქუჩი. აი კიდე ბევრი ჩაქუჩები“—ნანას საწერ მაგიდასთან გაკრული აქვს გამრავლების ტაბულა. თამაზი მისულა, უყურებს და ამბობს: „აი ჩაქუჩი“. „სად არის ჩაქუჩი?“ ეკითხება მამა. „აი ჩაქუჩი“ ამბობს თამაზი და უთითებს 7-იანზე: „აი, კიდე ჩაქუჩები“, ამბობს ყველა შედიანზე.

2, 0, 30; „ეს ყვავილებია, ეს ჩაქუჩებია, დედა ეს ჩაქუჩია? შერე როგორ დავარტყა?“. 8-იანზე ამბობს ეს ყვავილებია: 7-იანზე კი ჩაქუჩებიაო. ცოტა ხნის შემდეგ დაფიქრდება და ეკითხება დედას როგორ შეიძლება გამოიყენოს ეს ჩაქუჩები, როგორ დაართყას იმით და დააქედოს ლურსმანი.

2, 0, 30; „დედა, მე წვენი არ მინდა“. თამაზი სადილობის დროს გაჯავრებულია და აცხადებს: „დედა, მე წვენი არ მინდა“. ბაბუა ეუბნება: „მე მომეცი, მე შევქან“. დედა უჩურჩულებს: „უთხარი ბაბუას თქვენ უკვე ხომ მიირთვით“-თქო:

2, 0, 30; „ბაბუა შენ უკვე მიირთვი წვენი, უკვე მიირთვი შენ წვენი“. თამაზს მოეწონა დედის რჩევა; გამოცოცხლდა, უპასუხა ბაბუას და იწყებს თვითონ წვენის ქამას.

2, 1, 0; „ძაღლო როგორა ხარ? ზაღლობა, კარგად. ძაღლო, შენ კული გააქ? კი მაქ. ძაღლო შენ დიდი ყურები გააქ? კი მაქ“.

2, 1, 0; „ძძუძუ როგორა ხარ? დახუჭე თვალები, დახუჭე თვალები. უკვე დახუჭა. ალებს თვალებს“. თამაზი წეის ლოგინში დედასთან და ეალერსება.

2, 1, 0; „შეიკრიბენ დიდ ღარბაზში, შეიკრიბენ ღარბაზში და ტაში. ასე ქონდა მას ლოყები, ასე ქონდა თვალი, ცუგრუმელია ქალი, დედამისმა მკითხა. დედამისმა მკითხა“.—თამაზი ძილის წინ თავისთვის ლაპარაკობს, იგონებს ლექსს: პატარა გოგონა შიიყვანეს ბაღში, მაგრამ ზეპირად არ იცის კარგად, ცვლის თავის სიტყვებით. მაგალითად: „დედამისმა მოაკითხა“ წერია ლექსში, ეს კი ამბობს: „დედამისმა მკითხა“. სადაც არ იცის, სტოვებს. მაგრამ რითმის იცავს.

2, 1, 1; „კანარეიჩიკი, ნოვოსელიე, ნოვასელიე. დედა გახსოვს ხად არის ნოვოსელიე? გახსოვს ხად არის ნოვოსელიე? გახსოვს? იქ არის“—თამაზი ლაპარაკობს თავისთვის, იგონებს „Сопика неаосика“-დან (პატეფონის ფირფიტიდან) ლექსს, რომელიც ძალიან მოსწონს და ხშირად მოითხოვს, რომ დაუკრან. ეხლაც კითხავს დედას: „შენ გახსოვს ხად არის ნოვოსელიე?“ დედა უპა-

სუბებს, რომ არ ახსოვს და თან ეკითხება: „სად არის შვილო?“ თამაზი უთითებს, პატეფონზე და ამბობს: „იქ არის“.

2, 1, 2; „ბაბუა! გისმენს თამაზი. თამაზი ეზოსი იყო. იქ ძაღლები იყო და მერე იჩხუბა ძაღლები. მე ქვა ვესროლე. კარქი წადი ახლა, შიღობით“—ელაპარაკება ბაბუას ტელეფონით.

2, 1, 2; „დედიკო, მე ვიყავი ეზოსი, იქ ომარი და აეთო იყო. მიაწებ დედა სხვა ბიჭზე ამბავი. გახსოვს? ნანას ახსოვს?“—თამაზი ეზოდან დაბრუნდა და უამბო დედას რაც ნახა ეზოში, თანაც ეხვეწება დედას, რომ უამბოს ბიჭზე რაიმე. დედა სშირად უამბობს ხოლმე პატარა ბიჭზე დარიგების მიზნით.

2, 1, 2; „ეს რა არის? სირაქლემა? სირაქლემას ფეხები აქვს? კული აქვს? თვალეები? ჭიპი?“—თამაზი წიგნს ათვალეირებს. ნახა სირაქლენას სურათი და დედას ეკითხება: „ეს რა არის?“ დედა უპასუხებს „სირაქლემა“ თამაზი აძლევს უამრავ კითხვებს სირაქლემას შესახებ.

2, 1, 2; „მეც მინდა. ნანა ადექი ნანა, ჩიფიკ, პიფიკ, გდე ტი ბილ“—ნანა მეცადინეობს მუსიკას. თამაზმაც მოინდომა პიანინოზე დაკვრა, მივიდა და ბრძანების კილოთი უთხრა: „მეც მინდა“. ააყენა ნანა, დაჯდა, უბარტყუნებს, თან ამღერებს. შემდეგ შეამჩნევს გადაშლილ ნოტებს, მიაჩერდება მათ და თითქოს კითხულობს, ისე უკრავს.

2, 1, 4; „დედიკო სიცივეა? ეზოსი შეიძლება? აი მაღაღეც. შეიძლება, შეიძლებაო. ორები, ბევრები, ბევრები ბიჭები ეზოში“. —დედა აცმევს თამაზს ფეხზე. თამაზი ეხვეწება გაუწეას ეზოში და როდესაც დედა თანხმდება, გახარებული ყვირის: „შეიძლება, შეიძლებაო“, და წარმოიდგენს, რომ იქ ეზოში ბიჭები დახვდებიან და უხარია. თან უმატებს სიტყვა „მაღაღეც“-ს. ამ სიტყვას ხშირად მეზობლის ბიჭი ამბობს ხოლმე, (თამაზმაც გადმოიღო).

2, 1, 4; „ახლა დედიკო დაუთვალე, ორი, შვიდი, რვა, თუთხმეტი, დაუთვალე“. თამაზი თავისთვის ლაპარაკობს, თელის, არავის ყურადღების არ აქცევს.

2, 1, 12; „ნანა მიშველე, თავი მოვიტეხე, მისველე ჩემო ნანიკო“. თამაზი სკამიდან გადმოვარდა და თავი დაარტყა. მახლობლად ნანას გარდა არაფერი იყო და იმას თხოვს შეეღას.

2, 1, 12; „ჩიფიკ, პიფიკ, გდე ტი ბილ. ფოკუს მოკუს, გდე ტი ბილ“—თავისთვის მღერის და უმატებს: „ფოკუს, მოკუს“, და რითმავს პირველი სტროფის მსგავსად.

2, 1, 12; „მომეცი ღვეწერო“ — ნანას წაართვა თანქარი და-
ჯდა თავის მაგიდასთან და წერს, უფრო კი ხატავს, მაგრამ წე-
რას უწოდებს, თან ლაპარაკობს.

2, 1, 12; „აი ღვეწერე ყვავილები, ბაქიები, სახლები, ღვე-
წერე. სულ ღვეწერე, მორჩა და გათავდა“. წყვეტს ხატვას, დგება
და გარბის

2, 1, 12; „მომიტანე ტანსაცმელი, ჩამაცვი ჩქარა. ჩა-მა-
ცვი-ი-ი-ი“... დედას მიყავს სასეირნოდ. ახალ ტანსაცმელს იღებს
უჯრიდან, უნდა ჩააცვას. თამაზი ნერვიულობს და ყვირის. „რა
გაყვირებს? თუ ასე იყვირე, სულ არ წაგიყვან.“ — ეუბნება დედა.

2, 1, 12; „ბოდისი ჩემო დედიკო, მეტი არა ბოდისი. ჩქარა
ჩამაცვი რა ტანსაცმელი“. ბოდიშობს თამაზი.

2, 1, 20; „დედიკო! რა კიღია კედელზე? სურათი? ვისაა?
ეს ბაბუა და ბებიია? რომ დავარტყამ, რომ დავარტყამ ამ ჩაქუჩს
გატყდება?“ კედელზე კიღია ბებიას და ბაბუას ახალგაზრდობის
სურათი ჩარჩოთი. თამაზი ჩაქუჩს ადებს ჩარჩოს და დედას ეკით-
ხება, რომ დავარტყა გატყდება თუ არაო.

2, 1, 20; „ვისია დედა, ეს სურათი?“ — თამაზი ისევ ეკითხება
დედას: „ვისია ეს სურათი?“ „შენია შეილო“ — პასუხობს დედა.
თამაზი არ ეთანხმება: „ჩემი კი არა ბებიასი და ბაბუასია“.

2, 1, 20; „დედა, ხომ იცი, ხომ იცი, ხომ იცი ეს რა არის?
ეს ვინაა? ხირაქლემია. ეს ბატია? ყურები აქვს? კისერი? ეს რა
არის?“ — თამაზი ათვლიერებს წიგნს, დედა იქვე უნის. თამაზმა
ნახა სურათი, სირაქლემას ზურგზე ხალთა ადევს და შიგ შეილები
ყავს. კითხულობს ეს ვინ არის? რა აქვს და რა მიაქვს ზურგიით.

2, 1, 20; „მომაწოდე მჭირდება, მაცალე გავასუფთავო. არ
უნდა ნანას, მე მჭირდება, რო ვგიღებ ჩაქუჩს და რო დავარტყამ
ასე“. (ბელებით აკეთებს სათანადო მოძრაობას) — ნანა ართმევს
წიგნს, თამაზი არ ანებებს, ყვირის, არ უნდა მისცეს, მერე კი გა-
ჯავრებული ბუზღუნებს.

2, 1, 22; „დედა, ნანამ თქვა, რომ თუ შეიძლებაო, თუ შე-
იძლებაო, რა.. რა... დედას ვცემო? შეიძლებაო“ — თამაზი მი-
დის დედასთან და ეუბნება. დედა ეკითხება: „მერე შენ რა უთხა-
რი? შეიძლებაო“ — პასუხობს თამაზი. „მერე განა შეიძლება დედას
ცემო (ეკითხება დედა), როგორ შეიძლება თამაზ?“

2, 1, 22; „წავალ ვეტყვი, ნანა, როგორ შეიძლებაო დედამ
თქვა“. (მირბის ნანასთან და ეუბნება) „დედამ თქვა რო, თქვა რო.
თუ შეიძლებაო“ — ველარ დალაგა და ვერ გადასცა სწორად რაც
უნდოდა ეთქვა. ფაქტიურად კი ნანას არც უთქვამს დედის შესახებ,

თამაზმა გააჯავრა, და დაემუქრა: „გცემ, ეხლა შენ გცემ, წადი. დედას უთხარიო“. იმან კი ეს გადაასხვაფერა და ისე მიუტანა დედას ამბავი.

2, 1, 22; „მამიკო, მოდი ვიბურთაოთ. აი აქ დადგი სკამი“. მანა გაზეთს კითხულობს, თამაზი თხოვს ბურთი ეთამაშოს. „რატომ დადგა აქ სკამი?“ — ეკითხება მამა.

2, 1, 22; „იმიტომ, რომ უნდა მეთამაშო“ — უპასუხებს თამაზი. იწყებენ თამაშს, მამა განგებ ახველებს, თამაზი კი ეუბნება. — „გაჩუმდი მამა, გაჩუმდი“ (გაჩერდის ნაცვლად).

2, 1, 22; „უნდა ვნახო, იმიტომ, რომ მაინტერესებს“. ეზოში შემოვიდნენ მოხეტიალე მუსიკოსები. თამაზმა სკამი დადგა ფანჯარასთან და უნდა რათაზე ასვლა. „რას შევბი თამაზ?“ ეკითხება მამა. „უნდა ვნახო“, უპასუხებს თამაზი, აღის სკამზე და იცქირება ფანჯარაში. უკან უნდა ჩამოსვლა, ველარ ჩამოდის და დედას ეძახის.

2, 1, 22; „დედა, ჩამოუსვი თამაზი“. თხოვს დედას ჩამოიყვანოს.

2, 1, 22; „არა, არა, არ მინდა შიღობით. არა, ეს ნანამ ქნა. არა, როცა გრცხვენია მინდა შენთან რომ მოვიდე“. თამაზს მარცხი მოუვიდა, ჩაისეკლა, უნდა წასვლა. დედა ეუბნება: „ეს რა არის, არ გრცხვენია?“. თამაზი ჯერ ცდილობს გადააბრალოს ნანას, მერე კი გამოსავალს პოულობს „როცა გრცხვენია, მინდა შენთან მოვიდე“ და ეხვევა დედას, რომ არ გაუჯავრდეს.

2, 1, 22; „ეს რა არის? ბუზი ბზუილა? კოლო ტყუილა?“ — თამაზს აჩუქეს ლამაზად დააურათებული რუსული ხალხური ზღაპრის წიგნი „Лисичка“. დედამ უამბო იგი ქართულად. თამაზს ძალიან მოეწონა ის და ხშირად ამეორებინებდა. ეხლაც როგორც კი ნახა ეს წიგნი, ნანამ მოურბენინა და ეკითხება: „ეს რა არისო“, ნანა უპასუხებს „ეს შენა ხარო“.

2, 1, 22; „არა, მე თამაზი ვარ. შენა ხარ ბუზი ბზუილა“. ეუბნება გაჯავრებული თამაზი.

2, 1, 24; „დედა, ეს რა არის? ბიჭის ეძინება? მერე ეს მგელი ამევიდა, მერე წეიყვანა? რას შობა ბიჭი? ეს ბიჭია? ეძინება ბიჭს? ეს ბიჭი თამაზია? თამაზია, თამაზი“. დედა უზის გვერდით თამაზს და ათვლიერებენ წიგნს (რუსული ხალხური ზღაპრებია დასურათებული). პირველ სურათზე ბიჭს ძინავს. ფანჯარაში მგელი იცქირება. თამაზი კითხულობს: „ვინ არის ეს, რას აკეთებს და ვინაა ეს ბიჭი?“ დედა ეუბნება: „შენ ხომ იცი აქ რაც

არის? აბა მითხარი, თამაზიკო აქ რა არის? მომიყევი“. თამაზი კმაყოფილებით ფურცლავს წიგნს და ყოველ სურათზე სვამს კითხვას, თვითონ პასუხობს, და უმატებს კიდევ, ასოციაციით, რაც აგონდება ამასთან დაკავშირებით.

2, 1, 24; „რა არის ეს? აჩუა მიყავს; ეს ჩაქუჩია? დიდი ჩაქუჩი, მე პატარა მაქვს. მერე როგორ დავარტყა ჩაქუჩი? რო დავარტყა ჩაქუჩი, რო, რო, რო დავარტყა. ეს რა არის? ფისოა? ფისო ამბობს მშიაო. თოვნიხ (თონის) პური მომიტანა ბაბუამ. თოვნიხ პური. ეს რა არის? მომიყევი ეს რა არის დელიკო? „იხვებია“—ეუბნება დედა“. მელიამ წაიყვანა იხვები? (რასაც თამაზი ლაპარაკობს, სტენოგრაფულად ვწერთ).

2, 1, 24; „ეს კოლია ბაბუაა? აბა, რა არის? თოვლის ბაბუა? ქული ახურია ბაბუას?“—წიგნში დახატულია სოკო. თამაზმა მას ბაბუა დაარქვა, ყველამ გაიცინა, თამაზი გათამამდა და უფრო დაწვრილებით აღწერს სოკოს, თან ჩვენ გვიცქერის. „ეს რა არის? თხა, მიაბა. ეს თხა არის“. სურათი: გოგონა აბამს თხას.

2, 1, 26; „დედა აქ დაწევი, მომიწევი აქ, აქ“. შუადღისას თამაზს ეძინება და გაკირვეულდა. დედას ეძახის—„აქ მომიწევი“, მანამ არ დაიძინა, სანამ დედა არ მოუწვა.

2, 1, 26; „ჩემო კოლია ბიძია, ჩემო საკვალელო, თუ შეიძლება მაჩვენე წიგნი!“—მიდის ბიძასთან და თხოვს წიგნს, რომელსაც ბიძია კითხულობს.

2, 1, 26; აანთე შუქი, აანთე რა დედა შუქი!“, თამაზი მიდის დედასთან ყვირილით. „რატომ ყვირი ასე?“ ეკითხება დედა. თამაზი უცებ იცვლის ტონს და დაყვავებით ეუბნება დედას.

2, 1, 26; „ჩემო დელიკო, თუ შეიძლება აანთე შუქი. საკვალელო კლავდია დედა, კლავდიკუნი დედა“. ეფერება დედას.

2, 1, 26; „ნინადა ხოლმე, ნინადა ხოლმე, ნანა“. ნანა წაავლებს ხელს თმაში, აწვალებს. თამაზს არ მოსწონს, ბრაზობს და რუსულად ეუბნება.

2, 1, 26; „მომიყევი ეს, ამაში რა წერია? ეს რა არის? ეს ფიფრინავია? ფიფრინავი (თვითმფრინავი). ეს რა არის, აქლემი? აქლემები“. მიუტანა ნანას წიგნი და ეხვეწება უამბოს რაც წიგნსწერია.

2, 1, 26; „მამა, რომელი საათია შენტან? ორი წუთი?“ ეკითხება მამას და სანამ მამა პასუხს გასცემდეს თვითონვე პასუხობს.

2, 1, 26; „დედა, მოაძვრე ეს“—თამაზი ეხვეწება დედას-
ლურსმნის ამოდრობას. „რა იყო, რა გინდა თანაზ?“ ეკითხება
დეიდაშვილი კობა (ახლოს მიდის თამაზთან).

2, 1, 26; „შენ დედა არა ხარ. შენ კობა ხარ“—უპასუხებს
უკმაყოფილო თამაზი.

2, 1, 20; „ძაღლებო! ძაღლებო! როგორა ხართ? მადლობა,
კარგად“—თამაზს აუღია ხელში რეზინის სათამაშო კატა და
ძაღლი, ელაპარაკება მათ და თვითონვე პასუხობს.

2, 1, 20; „დედა, დედა! მამა დაიჭერხ ჩიტს და მე მომიყ-
ვანს?“—ფანჯრიდან ხედავს გუნდის ხეზე ჩიტებს და დედას ეკით-
ხება, ხომ დამიჭერს მამა იმ ჩიტებსო.

2, 1, 20; „ბაბუა, ცოტა ღვინო შეიძლება? სულ ცოტა ღვი-
ნო დამისხი?“—უფროსები სადილობენ. თამაზი მიდის ბაბუასთან
და თხოვს ღვინოს.

2, 1, 20; „პატარა კაცი ხად არის? ბაბუა წავიდა?“—ბაბუას-
თან მოვიდა ტანმორჩილი კაცი და იმის შესახებ კითხულობს
თამაზი.

2, 1, 20; „ეს რა არის? ეს რას აკეთებს?“ დედა გაზეთს კი-
თხულობს. თამაზმა შენიშნა სურათი, ქარხნის ერთ-ერთ საანქრო-
ში მუშაობის მომენტი. თამაზი კითხულობს რა არის და რას სა-
ქმიანობს ის კაციო.

2, 1, 20; „კოჩია ბიძია, როდის მოხვედი?“—ეკითხება ბიძას,
რომელიც ის ის იყო შემოვიდა.

2, 1, 20; „ჯონჯორები მომაწოდე, ვირიგლეთი მინდა“. სუ-
ფრას უცქერის და რასაც ხედავს თხოულობს. სუფრაზე კი არის
ჯონჯოლი და ვენიგრეტი.

2, 1, 30; „რო გავაგორებ. რო, რო გავარტყამ და გავაგორებ
მოხვდება ერთმანეთი. ორივე გაგორდა, ორივე მოხვდა ერთმანე-
თი“—ათამაშებს ორ ბურთს და თავისთვის ხმამალა ლაპარაკობს.

2, 2, 0; „ნანა, ნანიკო როდის გაიღვიძე? როდის ადექი? მო-
მიტანე წიგნი!“. დილაა. ნანა ამდგარა და სკოლაში წასასვლელად
ემზადება. თამაზი ეხმარება და თხოვს წიგნს. ნანა აძლევს წიგნს.
იგი ათვლიერებს და ეხვეწება მამას უამბოს.

2, 2, 0; „ეს რა არის, მომიყევი, მამიკო, მომიყევი“—„არა
შენ მომიყევი“—ეუბნება მამა. იგი იწყებს მოყოლას.

2, 2, 0; „ერთმა, ერთმა, ორებმა, ორებმა (უცქერის ორ
ცხოველს)—როგორ გაიქცნენ, ორი, ორი გაიქცნენ. ერთ ბაჭიებს
უნდოდა ასვლა, ორი ბაჭიებს უნდოდა“. სურათზე ორი ბაჭიაა-
დახატული.

2, 2, 0; „ახლა უნდა დავწერო, ცოტა ფანქარი მომეცი ნანა!“—მოყოლა გაათავა, ეხლა ფანქარი მოითხოვა. „ცოტა თუ პატარა, როგორ უნდა თქვა?“—ეკითხება ნანა.

2, 2, 0; „არა, ცოტა ფანქარი, აქ უნდა დავწერო“—ეუბნება თამაზი.

2, 2, 0; „ეს რა არის? კუკლა? ჩემი კუკლა? ჩემი კუკლა, ორი, ორი კუკლა. შენ თვალი გაქ? დედასთან გინდა დაძინება? გინდა? ძუძუ გინდა? დედა, მოვიდეს კუკლა შენთან?“. თამაზს მოუტანა დედამ ორი ცელულოიდის დედოფალა, მას ძალიან გაეხარდა და მაშინვე საუბარი გამართა მათთან.

2, 2, 0; „დედა! რას შობიან კუკლები? დაჯდა? ჩემი კუკლები გადაკოტრილდა. ნანა არ მოგცემ, ჩემია. ნანა არ აიღო ჩემია“. ნანას უნდა დედოფალას აღება ხელში, მაგრამ თამაზი არ ანებებს.

2, 2, 1; „ლამაზი. პორთფელი მომეცი ჩემია, ჩემი პორთფელი, ლამაზი პორთფელი“. ნანას უყიდეს ახალი ჩანთა. თამაზმა როგორც დაინახა მაგიდაზე ნანას ჩანთა, აიღო, ამოიღო ილიაში და დაიწყო სეირნობა.

2, 2, 1; „აკაკო-მაკო, როგორა ხარ? ბაბუა ხად არის? ნანამ მომცეს ჩემი წიგნი. ადექი ნანა, ადე ჩქარა“—თამაზი ტელეფონით ელაპარაკება მამას. ამ დროს დაინახავს, რომ ნანა ზის ზის მაგიდასთან და წიგნს ათვალიერებს. იგი წყვეტს ლაპარაკს, გარბის ნანასთან და უჯავრდება.

2, 2, 1; „დედა! მე მშია, მაჭამე სადილი, ჭადო, ლომი. მე შინდა, ნანას არ უნდა“. დედა სუფრას შლის, თამაზი დაინახავს ამას, ჯდება მაგიდასთან და თხოულობს სადილს.

2, 2, 1; „ნანა, უყურე, როგორ ვაპრიკინებ“. თამაზი ზის პატარა სკამზე და ანძრევს მას. სკამი ქრიკინებს, მას ეს ძალიან მოსწონს და ნანას ეძახის.

2, 2, 1; „აი, აქ მტკიცა ფეხი, აი აქ. აი აქ. დედა, მეტკინა“. გადმოვარდა სათამაშო ცხენიდან, ფეხი იტკინა და ტირის. „სად გტკიცა შვილო?“—ეკითხება დედა.

2, 2, 1; „ცხენმა ფეხი მატკინა, დედა ჩამოვარდი ცხენიდან“. უპასუხებს თამაზი ტირილით.

2, 2, 4; „დედა სემესინდა. კაცმა გეზადა და წეიქცა, დეიწყო ყვირილი მე სემესინდა; ის კაცი შემწამს“. ნანას ამოყავს ატირებული თამაზი. ეზოში შემოსულა ერთი კოკლი მომღერალი, რომელსაც წაეკითხა მონოლოგი ოტელოდან, გაეხადა ტანსაცმე-

ლი და გაგორებულიყო მიწაზე. თამაზი მართლაც ძალიან შეშინდა, როდესაც იგი ჯოხით ხელში (თითქოს იარაღით) დახტომოდა თავის ტანსაცმელს, თითქოს დეზდემონას კლავდა. თამაზმა ტირილი დაიწყო და ნანამ წამოიყვანა სახლში.

2, 2, 4; „დედა, იქ ვითამაშეთ, ვიმღერეთ იოლოჩკა“. ცოტა ხნის შემდეგ დაწყნარდა და უამბობს დედას, როგორ თამაშობდნენ ბავშვები ეზოში, თითქოს ნაძვის ხის გარშემო მღეროდნენ.

2, 2, 4; „ლუსმანი, ლუსმანი, დაიცა ვნახო ჩაქუჩი და მაგრა დავჭედო“. ყუთში იპოვა ლურსმანი, გაეხარა ამოიღო და ყვირის, პირველად ისმარა სიტყვა „ლუსმანი“. აქამდე უწყაპს ეძახოდა, ეძებს ჩაქუჩს დასაჭედებლად.

2, 2, 4; „დედიკო, მოუტანე სადილი ეძინება, ეძინება. ნახე პამადა აქვს. კუკლა სადილი გინდა? მშიაო, მშიაო“. თამაზი ათამაშებს დედოფალას და დედას თხოვს სადილი აქამოს მას.

2, 2, 4; „დედა, ბაბუამ რომ კოკტელი მომიტანა ის მინდა“ თხოვს დედას კოკტიელს (ტკბილი გაზიანი სასმელი). დედა უსხამს კიქაწი.

2, 2, 4; „იცოცხნეთ, გაგიმარჯოთ“. თამაზი ამბობს სადღეგრძელოს და სვამს სასმელს.

2, 2, 4; „ბაბუა თოვნი პური მომიტანე? კიდევ რა მომიტანე? რა გაქვს პორთფელში მაჩვენე, უნდა ვნახო, უნდა გავხსნა—ბაბუა დაბრუნდა სამსახურიდან, თამაზი კარებში ხედება, ჩამოართმევს პორთფელს და ცდილობს გახსნას.

2, 2, 6; „უცებ დაუნახია, ამ დროს გამოვარდა ჯულიები, უკმინა და უკმინა. რატომ უკბინე ააჰა?“—თამაზს ხელში უჭირავს წიგნი, უცქერის ძაღლების სურათს და თავისთვის ლაპარაკობს, იგონებს დედის მიერ მოთხრობილ პატარა ამბავს მეზობელის კოკლი ძაღლის შესახებ, რომელიც თამაზს ძალიან მოსწონდა და ხშირად აამბობინებდა დედას.

2, 2, 6; „გამოვარდა ჯულიები (ჯულია ქვია ძაღლს), რეზოს და კობას უკმინა. მურიო, მურიო, დაცხო და დაცხო და გავარდა. რა გავარდა, გეიქცა“—განაგრძობს თავისთვის ლაპარაკს.

2, 2, 6; „დედიკო, სად არის ლურსმანი? ამის დასაჭედებელი სად არის? რეზო, ლურსმანი მომეცი სად წაიღე?“—თამაზს უჭირავს ხელში ჩაქუჩი, დაეძებს ლურსმანს, უნდა ჩაქუჩით მიაკელოს.

2, 2, 7; „ნანა, მომეცი წიგნი, თორემ იცი რას გიზამ? ცუღს მოვიღან ცუნცულასა, ხელეჩოს და წალღუნასა, ხესაც მოვჭრი

ხის ძირსაცა, შენც შეგვამ, იცო-?—თხოვს ნანას წიგნს და მოაყო-
ლებს ჩიტო ჩიორას ლექსს.

2, 2, 7; „მამა, ეს პაპიროსებია? ვისი პაპიროსებია? იქ პა-
პიროსები იყო (სად?) კოლოფში ჩალაგებული“. თამაზი იღებს
პაპიროსებს ყუთიდან და ალაგებს მაგიდაზე.

2, 2, 8; „დედა! მომეცი ფანქარი, უნდა გავალამაზო“. თა-
მაზი თხოვს დედას ფანქარს და აფერადებს სურათს.

2, 2, 8; „დედა, მომეცი წიგნი, უნდა წავიკითხო. ერთხელ
პატარა ბეკეკას დასცხა და წყალი მოხწყურდა, გეიქცა და მოკვ-
და“. გამოართვა დედას წიგნი და კითხულობს.

2, 2, 8; „მე კარგი ბიჭი ვარ, იმიტომ, რომ ორი წლის ვარ“.
„შენ როგორი ბიჭი ხარ?“ ეკითხება ნანა. ისიც უპასუხებს კმა-
ყოფილებით.

2, 2, 8; „მე ცუდი ბიჭი ვარ, იმიტომ, რომ ცელქი თამაზი
ვარ“. მამა შეეკითხა თამაზს, რომელმაც მისი დავალება არ შეას-
რულა, „ეხლა როგორი ბიჭი ხარ?“ „თამაზმა გაიცინა და უპასუხა;
„ცელქი ვარო“.

2, 2, 8; „მეტი არა, ბოდისი, საკალელო დედიკო, თუ შეიძ-
ლება ამიყვანე“. თამაზმა დედა გააჯავრა, დედამ უთხრა: „თამაზ,
აგრე ცუდმა ბიჭებმა იციან“.

2, 2, 8; „მეტი არა, ბოდისი. საკალელო დედიკო, თუ შეი-
ძლება ამიყვანე“, ეუბნება თამაზი და უალერსებს დედას.

2, 2, 9; „დედიკო! მამა გამომიგზავნის ტრაქტორს?“ „მერე
რათ გინდა?“ ეკითხება დედა.

„უნდა გავისეირნო, უნდა გავისეირნო მასწავლებელთან“.
უპასუხებს თამაზი.

2, 2, 9; „შენ გაჩერდი, უჰ ჯვანდაბა, დაშანებე თავი, დამა-
ნებე ჯვანდაბა“. ნანა ესუბრება, აწვალებს, თანაზი ებუზღუნება.

2, 2, 9; „რას სობი მამა, რატო ცემ, რას სობი“. ნანა ესუბ-
რება ხელზე არტყამს.

2, 2, 9; „რას სობი, უნდა გადამაგდო?“—თამაზი ტირის,
მამას ხელში აყავს, ესუბრება. თამაზი უცებ ვაშხიარულდა.

2, 2, 9; „რეზო, გამაცილე სადგურში მივდივარ, გამაცილე.
ნანა, სადგურში მივდივარ „გამაცილე“. თანაზი იღებს ხელში ბა-
ბუას პორთფელს, იხურავს მის ქუდს და თითქოს მიდის.

2, 2, 12; „უნდა დავხატო ბოჭკები, ბოჭკები დავხატე. აი
რა დავხატო? მაკრატელი დავხატე, კილო დავხატო“. თანაზი ზის
მაგიდასთან. ხატავს და თან თავისთვის ლაპარაკობს.

2, 2, 12; „ბაბუ დავწერე, თამაზი დავწერე, გოგო დავწერე“.

2, 2, 15; „ერთლა კაცმა მეიჭრა ფეხები“.

2, 2, 15; „მამა! დედა გამიჯავრდა, მცემა. რატომ მცემე დედა, შა? მითხარი, რატომ დამარტყი?“—თამაზმა რალაც დაწავა. დედამ ხელზე დაარტყა. თამაზი გაიქცა მამასთან, შეჩვილა. შემდეგ თამაზი დედას მიუბრუნდა და ეკითხება, რატომ დამარტყიო.

2, 2, 15; „დედა! რეზო ურტყამს კობას, უთხარი რატომ ურტყამს“.

2, 2, 15; „ბებია, მეიხარმა? ეს აღუღდა? გამოცხვა? ხომ მეიხარმა? აბა მაჭამე“.

2, 2, 23; „მერე აღარ გიკბინა ობობამ? რომ მოარტყი ხელი, ხელზე არ გიკბინა“?

2, 2, 23; „ვიცი—ღაი ნუ“.

2, 2, 23; „მომეცი საათი, უნდა ავამუშავო, უკვე ავამუშავე. მუშაობს ნახე?“

2, 2, 23; „კობა, მოდი ეს დავათვალიეროთ. ამაში ჩემი სათამაშოებია, მოიცა დედა, რალაცა მოვძებნო, რალაცას ვეძებ“.

2, 2, 23; „დედა! ეზოში შეშოიყვანა მანქანა, ბიძიას მანქანა, ავიდენ ავთო, ომარი, ვახტანგი, ხუყველა ხალხები და წავიდენ“—

2, 2, 23; „მამა, ვასკდა ბურთი“—

2, 2, 23; „მამა, ვასკდომე“.

2, 2, 23; „მესინია, მესინია, მიჰუროს რეზომ კარები“.

2, 2, 24; „მელია, ფინია, კუდი გრძელია, თვალეზ დახუჭულია“

2, 2, 24; „სალამოს მომიყევი ამბავი მელიაზე, მელია რომ მოსაპარავად წავიდა“—

შესახებ. თამაზს მოაგონდა ეს და ეხვეწება უამბოს. დედა პირდება სალამოს გიამბობო და ისიც თანხმდება. მხოლოდ უმეორებს რამდენჯერმე, რომ სალამოს უამბოს.

2, 2, 24; „შენ ხაპარისმახეროში იყავი? საპარისმახეროში? პარისმახერო“ (იწერებს). მამა დაბრუნდა გაპარსული და თმაგაკრეკილი. თამაზმა შეამჩნია და ეკითხება, სად იყო და იმეორებს ამ ძნელად გამოსათქმელ სიტყვას.

2, 2, 24; „დედა, ამას გავტეხავ, ვნახო რა არის შიგ, უნდა ვნახო. გავხსნი რა“—მამამ მოუტანა რუსული ზღაპრების წიგნი და ცელოფანის სათვალე. თამაზი დააინტერესა სათვალემ და უნდა მისი დაშლა.

2, 2, 24; „მამა, რატომ იყავი აბანოსი?“. ეკითხება მამას, რომელიც აბანოდან დაბრუნდა.

2, 2, 24; „დედა, რატომ არის თევზი მაღაზიაში?“ დედამ მოიტანა თევზი მაღაზიიდან.

2, 2, 24; „ნანა, რა გატირებს? ფული ვინდა? ერთი-ორი მაკ. ერთი ორი ვინდა?“—ნანა თითქოს ტირის, თამაზი აჩუმებს და ფულს თავახობს.

2, 2, 24; „ეს ბუდეა. ამაში ბარტყებია“. უჩვენებს სურათს, რომელზეც დახატულია ხე და ტოტზე ჩიტის ბუდეა გაკეთებული.

2, 2, 24; „დედა, მომიყევი ზღაპარს, კალაც მომიყევი“. ეხვეწება დედას. დედა უამბობს ქორი და წიწილას ლექსს. თამაზი აძლევს შეკითხვებს.

2, 2, 24; „რატომ წაიღო? სად წაიღო? ბუდეები, რატომ უნდა შეჭამოს? რატომ იტირა კრუხმა?“

2, 3, 4; „დედა, ეზოში მაინც წავალ“. დედა ეუბნება თამაზს: „ველოსიბედზე არ შეჯდ, თორემ გადმოვარდებიო“. იგი თანხმდება, მაგრამ ეზოში გაშვებას მაინც თხოვს.

2, 3, 4; „დედა, ჭადი მაინც მომეცი, უსათუოდ“. დედამ ჭადი გამოაცხო და თეთვზე დასდო. თამაზი თხოვს: „უსათუოდ მომეცი“.

2, 3, 4; „მე ჯერ მჭირდება, ამ წუთში ადექი, ამ წუთში წადი, მე კაი ბიჭი ვარ“. თამაზი ხატავს, ნანამ თხოვა ფანქარი.

2, 3, 4; „ეს რა არის? მომეცი პატარა ღოქი. ამაში წყალი ჩაახსნი; ბებია, წყალი დავლიე ასე: მწკ, მწკ, მწკ“. მამამ პატარა ჭინჭილა (ღოქი) მოუტანა, ბებიას შიგ წყალი ჩაახსმევია და დალია.

2, 3, 4; „მე ოხრახუში ვჭამე, ოხრახუში დავჭერი და ვჭამე“. დედამ მწვანილი დაჭრა სადილისათვის. თამაზმა მიპარვია და

შეუქამია. შემოიჭრა ოთახში და სიცილით ამბობს, რაც ზემოთ არის ხაზგასმული.

2, 3, 4; „დედა, მომეცი და მერე მე მოგცემ კალამს, უნდა დავწერო და ავღვე და წვეკითხო“. დედა წერს. თამაზი თხოვს კალმისტარს.

2, 3, 4; „ის კაცი ვინაა? როცა მოვიდა, შუქი გაქრა, რატომ გაქრა?“—ელექტრონის ხაზის შემკეთებელი მოვიდა, დაიწყო მუშაობა და შუქი გამართო.

2, 3, 5; „მეტს აღარ ავანთებ“. თამაზი ანთებს და აქრობს წუქს. დედა უჯავრდება.

2, 3, 5; „ეს ჩემი ყვავილია, ხენი ნახე, ხენი“. თამაზს უქირავს ხელში ყვავილი. ნანა ცდილობს წაართვას, თამაზი არ ანებებს.

2, 3, 5; „სუნი გემრიელია, რა კარგიაა“. თამაზი ყნოსავს ყვავილს. ცალი თვალთ ნანას უცქერის, ეშინია არ მოსტაცოს.

2, 3, 5; „ბაბუა, დევიხჩვი, მამიკო, დევიხჩვი, მახველებს მისველეთ“. თამაზს გული აერია და ყველას თხოვს შველას.

2, 3, 5; „ავიღებ და გადაუგდებ ძაღლებს ძირს“. თამაზი საუნზობს, პური მორჩა, ხელში უქირავს, აღარ უნდა ქამა.

2, 3, 5; „შეხედე! მელიას დაუჭერია ჩიტუნია, მელიამ მოიპარა. ჩიტუნია ტირის. ჩიტუნია ი-ი-ი“. თამაზი წიგნს ათვალერებს შეჩერდა სურათზე, სადაც მელიას დაუჭერია ჩიტი.

2, 3, 5; „ამას გადავქცევ ვედროში“—თამაზს უქირავს ხელში ქიქა წყლით და უნდა გადაღვაროს.

2, 3, 6; „თამაზი ლამაზი, თამაზი როგორა ხარ? მადლობა, კარგათ. თამაზი კარგათ“. ის იხედება სარკეში და ელაპარაკება თავის თავს.

2, 3, 6; „კაცო, კაცო, ამოდი, ამოდი. ხომ არ მცემ. არაა? კარგი, არ გცემო, არ მცემო კაცო, არა, არა. არა თქვა კაცმა; არ გცემო“. თამაზი ლოგინზეა დამხობილი და თავისთვის ლაპარაკობს.

2, 3, 13; „პატარა კოვზი ჯობია, პატარა კოვზით მაქამე“—დედა აქმევს სადილს დიდი კოვზით.

2, 3, 13; „ლურსმანი რაზეა მიქედებულდი? არ იხედება? არ გამოძვრება?“ თამაზმა შეამჩნია ყუთზე დაქედებული ლურსმანი. მაშინვე გაუბრწყინდა თვალები (მისი ყველაზე საინტერესო გასართობი ლურსმანი და ჩაქუჩია), ცდილობს მოაძროს, თან დედას ეკითხება: როგორაა მიქედებული ლურსმანიო და სხვა.

2, 3, 13; „დედა, იცი იქ რა იყო? თამაშობდნენ ბავშვები. არტისტები იყო. ასე, ასე თამაშობდნენ (აღის სკამზე), იქიდან გადმოვარდებოდნენ, იცი რა ამბავი იყო?“—თინათინა უყურა ბავშვების მიერ გამართულ წარმოდგენას ეზოში, ამოვიდა და უამბო დედას თავისი შთაბეჭდილება.

2, 3, 18; „დედა უყურე! ბიჭი მიდის სახლში, იყიდის პურს მერე ქაშს. ქაშს პურს“. დედა და თამაზი ათვალეირებენ წიგნს. თამაზი უამბობს სურათის შინაარსს.

2, 3, 18; „ჩიტი; ჩემი ჩიტი, ეძინება? შენ ხომ არ გიკბნამს? ხვალ დილას გეიღვიძებს? მერე შევქამ, მოცხრაკავ და შევქაშ“. („არ შეიძლება“—ეუბნება დედა) „აბა მოვეფერები“, უპასუხებს თამაზი.

2, 3, 18; „წევს. პირი შეიხოცა, ყურები. მირბის, ეს ჯერ არ მირბის, ახლა გადახტა“—თამაზი აღწერს სურათს: ბავშვები მდინარის პირას ზოგი გარბის, ზოგი ბანაობს და სხვ.

2, 3, 20; „ბაბუა! მამა მოიტანა ბევრი თევზები, ბევრი. გაიქცნენ და მერე გაშექცნენ წყალში“—ნამამ მოიტანა ცოცხალი თევზები და წყალში ჩაყარა. აღარ იცოდა რა ექნა თამაზს სიხარულისაგან. ბაბუა როგორც მოვიდა დაშინე უამბო ყველაფერი.

2, 3, 20; „მძივები დაუცვივდა, უყურე დედა, უყურე, მძივები ყრია იატაკზე“. ნანას ძაფი გაუწყდა და მძივები დაეფანტა, თამაზი გაიქცა დედასთან და მიუტანა ამბავი. როდესაც უკან დაბრუნდა ნანას უკვე აეკრიფა მძივები.

2, 3, 20; „სად წავიდა, სადა? (კითხულობს მძივებზე). თევზებს შეუჭამია, რატომ შეჭამა? თევზებს ხომ არ შიოლა?“

2, 3, 20; „მამა მომეცი თოფი, უნდა მოვკლა ვალერი, მერე გავჭრი მუცელს და ამოვა ბაჭიები“. მისმა დედაშვილმა გააჯავრა და მამას თხოვს თოფს მის მოსაყლავად.

2, 3, 20; „დედა თოფი გაუხსროლო, მომეცი რეულვერი, მოიცა გაუშიწნო“. მამამ მოუტანა სათამაშო დამბაჩა, მოტანისთანავე უმიზნებს ვალერის.

2, 3, 20; „დამაცალე, ჯერ არ მცალაია, მერე, მერე“. დედა ეძახის, თამაზი არ მიდის, აქედან პასუხობს, გართულია თოფით.

2, 3, 20; „დედა, ჩემო საყვარელო დედა, ვეტყვი ბებიას კარტოფილი ჩაყარეო“. დედა უკითხავს წიგნს. ამ დროს ბებია შემოალეხს კარებს და ეკითხება დედას. „კარტოფილი უკვე ჩაყარო?“ თამაზი ბებიასთან გარეთ გარბის. ამ დროს მოაგონდება გადაშლილი წიგნი მაგიდაზე და დედას ეუბნება:

2, 3, 20; „შენ არ წაიკითხავ?“ —ეშინია დედამ მის მოსულამდე არ წაიკითხოს.

2, 3, 22; „დედა უყურე! მე დავწერე სკამი, დავწერე ჩაი-ნიკი, კოვზი დავწერე, ქათამი დავწერე“—მიუტანა დედას ნაჯღაბ-ნი ფურცელი და უამბობს რა „დაწერა“.

2, 3, 22; „ეს მე არ დამიწერია, ეს კობას დაუწერია“—ამას ამბობს ფურცლის იმ ადგილების შესახებ, რომელიც მელნით გაეთხუპნა.

2, 3, 22; „შეხედე მამა, რას შობა ეს ბიჭები? ჩხუბობენ. შეხედე, ამ ბიჭმა სკამი დადგა მეორე სკამზე, იმიტომ, რომ გად-მოიღოს, სკამები დაეცა“. თამაზი უხსნის მამას სურათის შინა-არსს. ერთ ბიჭს სკამი სკამზე შეუდგამს ჩირის მოსაპარავად და გადმოვარდა.

2, 3, 25; „გუშინ დედამ კამფეტი მომიტანა მაღაზიიდან“. —თამაზმა მოიგონა წინა დღის ამბავი.

2, 3, 25; „დედა, წავალ სკოლაში“—ეხვეწება თამაზი დე-დას. „იქ მერე რას გააკეთებ?“ ეკითხება დედა. „კამფეტს ვიყი-დი“. უპასუხებს თამაზი.

2, 3, 29; „დედა, რა მოიტანე? თევზი? დიდი თევზი? ტო-ტოჩინა? წყალში დაიჭირე?“ დედამ თევზი მოიტანა, თამაზი შეე-გება და აძლევს უამრავ კითხვებს.

2, 3, 29; „დედამ თევზი მოიყვანა,—მერე დაიჭირა, მოხარ-შა და შევკამ მე“. როდესაც მამა ბრუნდება სამსახურიდან კა-რებში ეგებება და უამბობს, მერე დედას მოუბრუნდება და ისევ ეკითხება.

2, 3, 29; „დედა, თევზი წყალში დაიჭირე? დედამ თევზი წყალში დაიჭირა“.

2, 3, 29; „დედამ ზევით ტაცა თევზს ხელი და დაიჭირა, ტოტოჩინა თევზი“. იგონებს ისევ იმ თევზს 5—6 საათის შემდეგ.

2, 3, 29; „ეს თევზია, ამას ძვალი აქვს, დანით გავჭირთ და შევკამ, ხომ მოვხარშავ“. იპონა სათამაშო თევზი, ხელში უჭირავს და თავისთვის ლაპარაკობს.

2, 3, 29; „მამა მიყიდის ველოსიპედს, ვაი რა კარგია! შე-ვჯღღები და ვივლი, შენც შეგაჯენ, შენც, შენც, მერე თუ წვიქ-ცევა, მეც წვიქცევი, მერე ავდგები და იმხანაც ავაყენებ“. მამა დაპირდა კარგი ველოსიპედის ყიდვას, იგი გახარებული ყველას პირდება, რომ გაასეირნებს ველოსიპედით.

2, 3, 30; „მე ავიღებ დანას, ჩავიდებ ჯიბეში, წავალ ტყეში სანადიროდ, მოვკლავ მგლებს, ბაქიებს, დათვებს, მოვკლავ და გავჭკრი და შევჭკამ“. დილით ადგა და ლაპარაკობს დიდი ალტაცებით.

2, 4, 29; „დედა! მომცეხ მიშა ბიძიამ სურათი ერთი წუთით“. მიშა ბიძია სურათს ათვალეირებს, თამაზსაც უნდა ნახოს, მიდის და დედას ეხვეწება. „მიდი თხოვე და მოგცემს“, — ეუბნება დედა. თამაზი მიდის მიშასთან, უმარცვლავს თვითეთლ სიტყვას და ისე თხოვს.

2, 4, 29; „ჩე-მო მი-შა ბი-ძი-ა, მა-თხო-ვე ერ-თი წუ-თით ხუ-რა-თი“.

2, 4, 29; „მიშა ბიძია, მე დაგაბანიებ, ერთი წუთით დაგისხამ წყალს, ერთი წუთით რა. მარტო ერთი წუთით“ — მიშა ბიძია ხელპირს იბანს. თამაზს უნდა, რომ დააბანიოს და ეხვეწება. მიშა ბიძიამ ნება დართო, იგი გახარებულა.

2, 4, 29; „აი, მე დაგაბანიე მიშა ბიძიას“ — ამბობს თამაზი.

2, 4, 29; „არ ვიცო მე ბოდისი, მე არ ვიცო, როგორ უნდა ბოდისი“ — თამაზმა მამა გააჯავრა. დედა ეუბნება წადი ზოდისი უთხარი მამას. თამაზი გაჯიუტდა და არ მიდის, ამბობს: „არ ვიცი მე ბოდისიო“.

2, 4, 29; „თვალეებს არ დავხუჭავ (ეზარება თვალების დახუჭვა, თავის დაბანის დროს), უი რა კარგია, მე თითონ დავიბან (მირბის დასაბანად), მე თითონ დავიბან რა, ცოტა ხანი კიდევ ჩემო დედოკო, ცოტა, ცოტა ხანი კიდევ“ — დედა ამზადებს დასაბანად, მას უსარია და თითონ გარბის. ჯდება აბაზანაში და იწყებს ბანას.

2, 5, 9; „მე ლამაზი ბიჭი ვარ, აბა მაჩვენე, თუ ლამაზი ვარ (იხედება სარკეში), ბაბუამ თქვა — კაი ბიჭი ხარო“ — დედამ პირი დაბანა, თამაზი იწევს სარკისაკენ, უნდა ჩახედვა.

2, 5, 9; „დედა! თუ გინდა მომეცი კუნწულა, თუ ბიჭი ხარ. მომეცი, გამოიკეთე, ანდა თუ გინდა“ — თხოვს დედას ბლის დახუნძულ ტოტს.

2, 5, 9; „დედა, სადილი მაქამე სადილი, არა, სადილი მინდა“. დედა საუზმეს უმზადებს. ის სადილს თხოულობს. „ჩაი არ გინდა? ეკითხება დედა. „არა“, „რძე“? „არა“, „აბა, რა გინდა?“ „სადილი მინდა, სადილი“.

2, 5, 9; „ნეს რა არის? ვინ მომიტანა? არა, ბაბუამ? ჩემთვის? მე უნდა ვჭამო? ვაი რა კაია“. შეამჩნია მაგიდაზე დალაგებული ტკბილეული.

2, 5, 9; „ბაბუა, მოდი მალე, მომიტანე კოკტეილები და ბევრი ბალები“. ტელეფონით ესაუბრება ბაბუს თამაზი და ეხვეწება კოკტეილისა და ბალის მოტანას.

2, 5, 9; „კობა ტირის ბაბუა, მე არ ვტირი. უთხარი დედა, არ ტირისო, გავრუნდი, გავრუმდი“—ბაბუამ შემოუსწრო თამაზი ტიროდა, შერცხვა და კობას გადააბრალა.

2, 5, 9; „შენ გარუმდი თორემ გცემ. გაგარტყამ“—უჯავრდება კობას, რომელმაც თავი იმართლა, მე არ ვტიროდიო.

2, 5, 9; „მე რომ ჩავჯდები მანქანაში რარ-ასე წავალ, რომ ჩავჯდები მიმფრინავში (თვითმფრინავში) ფრრრ ასე წავალ“ ეუბნება კობას და თან აკეთებს სათანადო მოძრაობებს.

2, 5, 9; „დედა, ეს რა არის? ის? უი მთვარე მიდის?“. პირველად შეამჩნია ცაზე მთვარე და მისი მოძრაობა. დედა უხსნის, რაც არის.

2, 5, 9; „არა ის სინათლეა, ის სინათლეა“. არ უჯერია თამაზი და ამბობს „раз, два три—фигуры пакажи“. თან რალაც მოძრაობებს აკეთებს ფეხების გრეხით.

2, 5, 9; „არ მინდა დედა. გუშინ გვამე, უკვე გუშინ გვამე. დავილაღე, ცოტა დავისვენო ცოტა“—დედა აკმევეს, მას არ უნდა და იგონებს მიზეზებს.

2, 6, 13; „ჭაოპლანი, ჰაოპლანი, სად იყო ის ჰაოპლანი? კიდეც მოვა ჰაოპლანი? ჰო კიდეც მოვა?“—კოჯორში ვართ აგარაკზე. თამაზი და ნანა ეზოში თამაშობენ. ძალიან დაბლა ეზოზე გადაიფრინეს თვითმფრინავებმა. თამაზმა მიაქცია კურადღება, ეკითხება ნანას მათ შესახებ და თვითონვე პასუხობს: „ჰო, კიდეც მოვა“.

2, 6, 13; „სადაა მთვარე? რატომ არ ჩანს მთვარე? დაიშალა? მერე როგორ გამოჩნდება? მერე გამოჩნდება? მერე გამოჩნდება? მე ახლა მინდოდა“.. თვითმფრინავების ცაზე გადაფრენამ მთვარე მოაგონა და კითხულობს სადაა იგი და როდის გამოჩნდება კიდეც.

2, 6, 13; „სად იყავი ნანა? წყალზე? სად იყავი?—ნანა ამოდის აივანზე ხელში ჩაიდნით; წყალი მოაქვს, თამაზი ეკითხება. \

2, 6, 13; „ჰაოპლანი მამა, ჰაოპლანი, ჰაოპლანი მოდის მამა! კაი მანქანა მოდის მამიკო!“ თამაზს შემოესმა რალაც გუგუნის ხმა. მას ეგონა თვითმფრინავი და აღტაცებული მამას ეძახის, მაგრამ მანქანა გამოდგა. მას ეხლა უკვე მანქანაზე გადააქვს სიხარული და მანქანას აქებს. „კაი მანქანა“.

2, 6, 13; „ქარიკაობა მომაქვს, ამა ქარიკაობა“ — მანამ ასწავლა ჯოხებით ფარიკაობა. ძალიან მოეწონა. დიდხანს ერთობოდა ამ ახალი სახის გასართობით. კარგა ხნის შემდეგ ზოიტანა ის ორი ჯოხი, ამოვიდა აივანზე და იძახის „ქარიკაობა მოვიტანეო“. ჯოხებს ეძახის ქარიკაობას.

2, 6, 13; „მამა, მამა, შაოპლანი. ამიყვანე, დამანახე, თორე გაიქცევა. იმას შაოპლანი ქვია? ხად იყო შაოპლანი? ჰო! ქუთაისში?“ თვითმფრინავმა ისევ გადაიფრინა. თამაზი მამას ეკითხება სად იყო იგიო? და როდესაც მამამ უთხრა ქუთაისშიო, დაკმაყოფილდა ამით.

2, 6, 13; „რა დახატე მამა? რა დაწერე? დაწერე ავალიშვილი თამაზი?“ — მამა წერს; თამაზი ეკითხება, ლუ რას წერს იგი.

2, 6, 13; „მე ძაღლებთან მივდივარ, მამა ხომ არ მიკბენს? ძაღლებთან ხომ არ მიკბენს ის ძაღლი? გააგდებს“ — ეზოში ძაღლები თამაზობენ. თამაზს უნდა ახლოს მისვლა, მაგრამ ეშინია, გაუბედავად მიდის და თან მამისკენ იცქირება.

2, 6, 13; „შაოპლანები, შაოპლანები. ორი, ბელი. ბევრები. სად იყო შაოპლანები? კიდევ მოდის, მამიკო, კიდევ მოდის, კიდევ მოვა შაოპლანები ბევრი, იცი? კიდევ მოვა“ — გადაუფრინა სამმა თვითმფრინავმა, ცოტა ხნის შემდეგ კიდევ მოყვა ორი. თამაზი აღტაცებული უცქირის, ნითუმეტეს, რომ ძალიან დაბლა გადაიარეს.

2, 6, 13; „ავერ მეთკინა იცი, ავერ მეთკინა“. ეკალზე გაეკაწრა ხელი. იგი მიდის მანასთან და უჩვენებს, თან სატირლად ემზადება.

2, 6, 13; „ალარა ქნავ? ალარა ქნავ, მამიკო“. ნინდორზე კიდაობენ მამა და თამაზი. ჯერ მამა წაიქცა, ეს მას გაეხარდა. შერე მამამ წააქცია თამაზი. ეს უკვე ალარ მოეწონა და ეუბნება: „ალარ დაგეჭიდებოო“.

2, 6, 13; „მამა, წავედით ზევით, ავედი მე ზევით, ავედი“. — მამამ ბავშვები წაიყვანა სასეირნოდ. პატარა აღმართია. თამაზი წინ გარბის. პირველი ავიდა აღმართზე და უხარია, რომ „ზევით ავიდა“.

2, 6, 13; „რა იყო მამა ის? რა იყო?“. მინდორში კალია აუფრინდა წინ. თამაზმა თვალი გააყოლა, ეუცბოვა და მამას ეკითხება, რა იყო ბები. „კალია“ — უპასუხებს მამა.

2, 6, 13; „რატომ იყო კალია? რატომ იყო კალია? უყურე მამა, ბუზი, ბუზი მოვკალი“ — დიდ ბუზს დაადგა ფეხი და მოკლა.

2, 6, 13; „მამა, მამა, იქ ძალი ყფუს, ძალი“—ისმის ძალი ყფუა, თამაზი მიბრუნდება იქით და მამას უჩვენებს იქ ძალი ყფუსო.

2, 6, 13; „ჩემი დედას დაუძახე რა. აქედან დაუძახე რა!“—სახლს მიუახლოვდნენ. თამაზი მამას ეხვეწება დედას დაუძახოს აქედან ე. ი. შორიდან.

2, 6, 13; „მამა უყურე! შენზე მიდის, ეს რა არის? მე მეგონა კიანჭველა, იცი?“ თამაზმა შეამჩნია, რომ მამას მხარზე კიანჭველა მიცოცავდა, ეკითხება ეს რა არისო. როდესაც მამა უპასუხებს „კიანჭველაო“ იგი ამბობს: „მე მეგონა კიანჭველა“-ო“.

2, 6, 13; „მამა, ის რა არის? ბევრი ბოლი? ბევრი ბევრი ბოლი. მთვარე გამოჩნდება? სად არის მთვარე?“ თამაზი ეზოში ჰამაკში წევს. იქვე ხალიჩაზე მამა ზის. თამაზი შეცქერის ცას, შეაჩნევს თეთრ ღრუბლებს და ეკითხება რა არისო და სხვა.

2, 6, 15; „მე გავიწმინდე, მე გავიწმინდე“—დედამ პირო დაბანა და შემდეგ პირსახოცი მიაწოდა. მან თითონ შეიწმინდა და უხარია.

2, 6, 15; „აი, პეპელა, პატარა პეპელა. ხომ არ მიკბენს?“—პეპელა, რომელიც ყვავილს დააჯდა.

2, 6, 15; „არა, ჯერ თითონ მოვა აქ“—თამაზი ბავშვებთან თამაშობს. მამა შორიახლოს არის და თვალყურს ადევნებს. ერთი ბიჭუნა შენიშნავს მას და თამაზს ეუბნება: „თამაზ, ე-ე მამაშენი, წადი იმასთან“. თამაზი გაიხედავს მამისაკენ და ბავშვებს უპასუხებს: „არა! ჯერ თითონ მოვაო“.

2, 6, 15; ე-ე მამა რამდენი ბავშვები, რამდენი ბავშვები („ბევრია?“ ეკითხება მამა) „ჰო ბევრია“. მოედანზემყოფათ მასწავლებლებს ს/ბალის ბავშვები.

2, 6, 15; „ე-რამდენი ჩიტებია, ე რამდენი, ორები ჩიტებია“—თამაზი ჰამაკში წევს და უცქერის ხეზე მსხლამ ჩიტების გუნდს.

2, 6, 15; „ეს კაი დროშაა (წითელი) ის გლახა დროშაა“ (თეთრი)—მინდორში ს/ბალის ბავშვები პეპლებს დასდევენ პეპლების საჭერი ბადით. ზოგს წითელი აქვს, ზოგს თეთრი. თამაზს წითელი ბადე უფრო მოსწონს და მას დროშას უწოდებს.

2, 6, 15; „ე-დროშა, კიდევ მეორე დროშა, ის კაი დროშა“—იმეორებს. „ეს კიები სად იყო? ჰო, ჰო, შემეწმინდა“. თამაზმა ხის ქვეშ ქვა აიღო და კიები გამოჩნდა: „ეს კიები სად იყო?“ კითხულობს თამაზი გაოცებით. „ქვის ქვეშ“—უპასუხებს მამა.

2, 6, 15; „ისინი ხად არიან (რა?) ქიები (დაიმაღენ) მოვლენ? მამა, მოვლენ? მოვლენ? ქია გაჩვენო?, აჰა კიდევ გაჩვენო? როცა მოვა, მერე გაჩვენებ“. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ იმ ხის ქვეშ მიყავს მამა, უნდა აჩვენოს ქიები, მაგრამ იქ ქიები აღარ დაუხვდა.

2, 6, 17; „დაი ნიშნოშკო“. აგარაკზე ჩვენ გვერდით ცხოვრობს ოჯახი, სადაც ჰყავთ 4 1/2 წლის ბიჭი—ნაზიკო, რომელმაც სრულიად არ იცის ქართული და მხოლოდ რუსულად ლაპარაკობს. იგი თამაზს ბორბლით ეთამაშება. თამაზს უნდა დაამყაროს მასთან კონტაქტი. ნაზიკოს ხელში უჭირავს ჯოხი, რომელზეც მიმაგრებულია ბორბალი და აგორავენს. თამაზს მოსწონს ეს სათამაშო და თხოვს: „დაი ნიშნოშკო“. უნდა ცოტა ხნით ითხოვოს სათამაშო.

2, 6, 17; „ვოტ ქათამ“. თამაზი უჩვენებს ნაზიკოს ქათამს და ეუბნება სიტყვა ქათამს ბოლო მოკვეცილად. ნაზიკო განცვიფრებული უცქერის, ვერ გაიგო რას ეუბნები იგი.

2, 6, 17; „ვოტ-ბურთ, ბურთ“—თამაზი უჩვენებს ბურთს.

2, 6, 17; „იდი სუდა ბურთაობ“, იწვევს ბურთის სათამაშოდ თავის რუს ამხანაგს, თითქოს რუსულად ელაპარება.

2, 6, 17; „ნაზიკო, ეტო ჯოხ, ჯოხ“. უჩვენებს ჯოხს.

2, 6, 17; „ნაზიკო, ვოტ ამისთან, სმატრი ამისთან მამ“. ნაზიკოს უჭირავს ხელში მათრახი. თამაზსაც ეოუნდა ისეთი. მამა უკეთებს ისეთ მათრახს. თამაზი გახარებული გარბის ნაზიკოსთან, კიდებს ხელს მის მათრახს და ეუბნება: „ვოტ ამისთან“, ე. ი. უყურე მამამ ასეთი მეც გამიკეთაო. ნაზიკო გაშტერებული უყურებს თამაზს.

2, 6, 17; „ვოტ ძროხ, ვოტ ძროხ“. მენახირემ ძროხები გაატარა ჩვენს ეზოზე. თამაზი და ნაზიკო აივნიდან უცქერიან. თამაზი „რუსულად“ ეუბნება ძროხის სახელს.

2, 6, 17; „ნაზიკო, იდი ხუდა, იდი, ხუდა“, ეძახის თამაზი თავის ამხანაგს. იგი არ მიდის. თამაზი მამას ეკითხება:

2, 6, 17; „მამა რატომ არ მოდის ნაზიკო?“

2, 6, 17; ეს რაა არის? მე ქიანქველა მეგონა“. მამა ხალიჩაზეა წამოწოლილი. უცებ მხარზე კალია დაახტა, თამაზი ჯერ შეკრთა, მერე კითხულობს, თუ რა არის იგი.

2, 6, 17; „რას შვებიან ესენი? რახ აკეთებს, რახ აკეთებს მამა ჰა“. ს/ბალის ბავშვები მოედანზე მიწას თხრიან. თამაზს ვერ გაუგია მათი მოქმედება და მამას ეკითხება.

2, 6, 17; „ბოჩოლები. მოდი გაჩვენო ნამა, მირბიან, მამა, მირბიან“—ეზოში ხბოები არიან. თამაზი მათთან მიდის და მამას ეძახის. მამა უახლოუდება, ხბოები გარბიან. თამაზიც მისდევს.

2, 6, 17; „დღეა, დაღამდა? ზო არ დაღამებულა? გათენდა? უი, გათენებულა ნანა, კი არ დაღამებულა“—თამაზმა ნასადილევს დაიძინა ჩვეულებრივ. როცა გამოეღვიძა ვერ გამოერკვა დღეა თუ ღამე, რომ დარწმუნდა დღე იყო ძალიან გაეხარდა.

2, 6, 18; „შენზე იცი რა იყო? ჭიანჭველა. ფეხზე დაგახტა აი, ამაზე (უთითებს) ჭიანჭველა დაგახტა“. ჭიანჭველა შეაცოცდა მამას ფეხზე: ეს შენიშნა თამაზმა.

2, 6, 18; „ის მომიწყვიტე, ეს-ეს. ეს ფოთოლი მომიწყვიტე რა! მინდოდა“. თამაზი იწვედის ხელს ხის ტოტისაკენ და თხოვს მამას ფოთლის მოწყვეტას. მამა ეკითხება, უნდა გაიგოს თამაზმა იცის თუ არა ფოთლის სახელი, რა მოგიწყვიტო? „ფოთოლი“. მამა უწყვეტს ფოთოლს. იგი იღებს ფოთოლს და მიაქვს ნაზიკოსთან უჩვენებს და ეუბნება.

2, 6, 18; „ნაზიკო, აი, ფოთოლი“—უწვედის ფოთოლს.

2, 6, 18; „ნაზიკო! იდი, იდი. იდი ოჩენ მინდ, ოჩენ. დავი ბურთ, დავი მიაჩ. ნაზიკო, ოჩენ მინდ, ოჩენ“. ნაზიკოს ბურთი უჭირავს, თამაზს ძალიან უნდა მასთან ბურთის თამაში.

2, 6, 18; „მამა მიაჩიკ მინდა რა, მინდა მიაჩიკ, მიაჩიკ გდე (იმღერის), მიაჩიკ გდე, მიაჩიკ გდე, მიაჩიკ გდე?“, თამაზი მიუბრუნდება მამას და ახლა მას ელაპარაკება რუსულად, შემდეგ მღერის.

2, 6, 19; „მამა, ეს გაკუჭუქიანდა“ [რა?] კოვზი. „რატომ გაკუჭუქიანდა?“ იმან (ნაზიკოზე უჩვენებს) ასე დაადგა კოვზს ფეხი“. თამაზს მიაქვს მამასთან ტალახში გასვრილი კოვზი.

2, 6, 19; „სპასიბა“. ნაზიკო, აძლევს ვაშლს და ეუბნება: „Таманк, на ярмоку“. თამაზი უხდის მადლობას.

2, 6, 19; „ნაზიკო, ნაზიკო, იდი, ხედავ? ვოტ ჭიანჭველა“. თამაზმა შეამჩნია რომ ხეზე აუარებელი ჭიანჭველები ადიოდ-ჩამოდოდა: იგი განცვიფრებული უცქერის, ეძახის ნაზიკოს და უჩვენებს.

2, 6, 19; „ე, მამა სხვისი გამაკი. ჩემი გამაკი გააბი რა მამა. გამაკი მინდოდა“—თამაზმა დაინახა, რომ მეზობელმა ეზოში ჰამაკი გააბა და შიგ ბავშვები ჩააწვინა. თამაზი თხოვს იმასაც გაუბან ჰამაკი.

2, 6, 19; „უი ჰაოჰლანი. ის ჰაოჰლანი სად იყო? რამდენი არ არის, არ არის რამდენი, ერთია“. აივანზე თამაზი და მამა

წამოწოლილი არიან ტახტზე. გადაიტრუნს თვითმფრინავი. თამაზი აქცევს ყურადღებას. მამა ეკითხება „რამდენია?“ თამაზი პასუხობს: „რამდენი არ არის“, ე. ი. რამდენი ესმის ბევრის მნიშვნელობით.

2, 6, 19; „იმგენს ქვია ბეკეკები“. ისამინის ბუჩქს შეესიენ თხები და დაუწყეს კამა. თამაზი მათ „ბეკეკებს“ უწოდებს.

2, 6, 19; „მამიკო, წავიქეცი. როგორ წავტრიალდი ე იქიდან“, თამაზი გაიქცა, წამოკრა ფეხი, დაეცა, ჩაგორდა თავდაღმართზე. როდესაც აღვა, მივიდა მამასთან და უამბო, როგორ დაეცა.

2, 6, 19; „იქით ვაღამახტუნე რა, იქით ვაღამახტუნე“. მამამ ბავშვები წაიყვანა სასეირნოდ, წინ შეხვდათ თხრილი. ნანა თითონ გადახტა, თამაზი კი მამას ეხვეწება თხრილზე გადახტუნოს.

2, 6, 19; „დედიკო, რარები მაქვს ხელში? ამაში რარებია?“. უჩვენებს მოკუმშულ ხელს, რალაცა აქვს შიგ.

2, 6, 19; „ჯორი, ჯორი, პატარა ჯორი. პატარა“. მემამუენემ შემოიყვანა სახედარი. თამაზს ძალიან მოეწონა, უტრიალებს გარშემო და ჯორს უწოდებს.

2, 6, 20; „მამა ის რარებია? ბეკეკები? ბეკეკები?, ბევრი ბეკეკები? ის თეთრი ბეკეკა, ის შავი ბეკეკა, ე-ე პატარა ბეკეკა?“. ეზოში თხები შემოვიდნენ და ლობესთან ბუჩქებზე ფოთლებს ქაშენ. თამაზი უთითებს მათზე და სწორად აღნიშნავს მათ ფერსა და სიდიდეს.

2, 6, 20; „რას შვებიან? აკრახუნებენ? ჰო აკრახუნებენ“ — თამაზი აკვირდება მათ ქაშას და მამას ეკითხება. მამა არ პასუხობს, მერე ის თითონ ამბობს: „აკრახუნებენ“ და თითონვე ადასტურებს: „ჰოო“.

2, 6, 20; „მამა, მომიტეხე ფოთოლი, ბეკეკას ვაქმევ (რატომ?) იმიტომ, რომ შიათ. მამა, მეც მშია, მეც მშია“. მამა უკრეფს ფოთლებს, და როდესაც თამაზი ამბობს მეც მშიაო, მამა აწვდის მასაც ფოთოლს „ჰა ქამე“. ის თავს აქნევს „არა შე კარაქი და პური მშია“; ამბობს თამაზი.

2, 6, 20; „მამა რას შვება? მეც ვქნა? მეც ვქნამ, მინდოდა. შე დიდი ვარ მამა, დიდი ვარ“. მწყემსი ბიჭები თამაზობენ. ერთი მათგანი ყირას აკეთებს. თამაზი გაფაციცებული უცქერის. მამას ეკითხება რას აკეთებს ის ბიჭიო. მერე თვითონაც აცხადებს სურვილს მეც მინდაო. მამა უპასუხებს: „არ შეიძლება, შენ ჯერ პატარა ხარო“. „არა შე დიდი ვარ“. უმტკიცებს მამას. „დიდი ხარ, მაგრამ მაინც არ შეიძლება“. „ჰო, არ შეიძლება“ — იწიორებს გულდაწყვეტილი თამაზი.

2, 6, 20; „სახლში მინდა მამა. იცი რა მამა? სახლში წავიდეთ“. თამაზი და მამა მინდორში არიან. თამაზს მოეწყინა და თხოვს მამას სახლში დაბრუნებას.

2, 6, 20; „დავაი ის ჰაოპლან, დავაი ტაკ-კაკ-ესტ“. სახლში დაბრუნებისას თამაზი გზაზე თავისთვის ლაპარაკობს.

2, 6, 21; „სიჩას, ვოტ, ვოტ“. თამაზი და ნაზიკო ბურთს თამაშობენ. ამხანაგი ეძახის „ИУ ДАЖИИ“. თამაზი პასუხობს: „სიჩას“. ბურთი მამამ აიღო. თამაზი უთითებს მამაზე და ეუბნება „ვოტ-ვოტ“.

2, 6, 21; „პაიწაძე (პაიჭაძე) ვარ, პაიწაძე—ტაკ-ვოტ-ტაკ“. ურტყამს ბურთს ფენს და თავის თავს ფეხბურთელ პაიჭაძეს უწოდებს.

2, 6, 21; „შენ გახდები, შენ გახდები ავად, მე არა“. მამა ეუბნება მიწაზე ნუ ჯდები, სველია და ავად გახდებიო. თამაზი პასუხობს: „შენ გახდები ავადო“.

2, 6, 21; „სახლში მინდა მამა, ე ის სახლი ვისია? ჩემი სახლია? დამოი ხოჩეშ ნაზიკო?“—მინდორში არიან, მოწყინდათ, თხოვს მამას სახლში დაბრუნებას. ნაზიკოსაც კითხავს უნდა თუ არა სახლში წასვლა.

2, 6, 21; „დავაი ხელ, ამაყენ“. გზაზე ფეხი გაუსხლტა და დაეცა. ნაზიკოს თხოვს დახმარებას.

2, 6, 21; „ი-ია პალაუი, ვოტ ტაკ, სიჩას, ი, ია პალაუი ვოტ ტაკ“. თამაზი და ნაზიკო ორმოში ქვებს ისვრიან და საუბრობენ. თამაზი ეუბნება „აი მეც ჩავაგდე, აი ასე“.

2, 6, 23; „მამიკო მამა, გასინჯე როგორია? კარგია, ხომ კარგია?“ „არაა კარგი“—ეუბნება მამა, „არა! კარგია“. თამაზი მაწონს ქამს და მამას ეკითხება ხომ კარგიაო. მამა უწუნებს მუყავეაო, ის კი მაინც იძახის: „არა! კარგია“.

2, 6, 23; „მამა მოვედი [ვინ მოვიდა?] შე. [ვისთან?] შენთან [რატომ?] უნდა ვითამაშოთ [ვინ გამოგატანა პიჯამო?] დედაშ [ვისთან?] შენთან [რისთვის?] შენთვის“. მამა ეზოში წვეს თამაზი მოდის მოაქვს პიჯამო. და ასეთი საუბარი იმართება მათ შორის.

2, 6, 23; „მამიკო! რას შევბოღა ჰაოპლანის ქუთაისში? ფრინავდა? საით? იქით-აქეთ ფრინავდა“. მამა და თამაზი ეზოში არიან, გადაიარა თვითმფრინავმა. თამაზი ეკითხება მამას, მამა არ პასუხობს. შემდეგ თამაზი თითონ აძლევს პასუხს თავის კითხვაზე. „ფრინავდა იქით აქეთ“-ო.

2, 6, 24; „ეს ქვა დაიჭირე, ჯერ არ გადააგდო. დაიჭირე ჯერ არ გადააგდო, ჯერ არ გადააგდო“—მოუტანა მამას ქვა და თხოვა არ გადააგდოს. მამამ მაინც გადააგდო. ხელახლა მიაქვს ქვა და კიდევ აფრთხილებს არ გადააგდოს. მერე თითონ იღებს.

შეორე ქვას, ისერის, შემდეგ გამოართმევს მამას და იმასაც გადაადგებს.

2, 6, 24; „როგორ გადავადგე, როგორ გადავადგე!“ — ამბობს გახარებული თამაზი.

2, 5, 24; „რა უნდა გამოხატო მამა, რა უნდა გამოხატო?“ — მამა იწერს თამაზის ნალაპარაკებს. თამაზი არ ისვენებს, ეკითხება რას ხატავს. ამ დროს ღორმა გაიარა მათ წინ. თამაზი თხოვს.

2, 6, 24; „ღორი დახატე მამა, ღორი დახატე, მამიკო“. „მოდო მამა აქ, მამა მოდი აქ, რა გიჩვენო? წითელი ქიანჭველა, აი წითელი ქიანჭველა“. თამაზმა შეამჩნია ხეზე მოწითალო ფერის ქიანჭველები და მამას ეძახის.

2, 6, 24; „მამა, ის ჩვენი სახლია, ჩვენი სახლია ხომ? შენც წამოდი მამა, წამოდი რა შენც მამა, ჩვენ სახლში“. თამაზი შორიდან ხედავს სახლს, ცნობს და ეჩქარება შინ წასვლა. მამასაც თხოვს ისიც წამოვიდეს.

2, 6, 27; „დედა! დედა! ეს რა არის? დედა ის რა არის, რა იყო ის? პეპელა? ურრა იჩხუბებენ, იჩხუბებენ და ჩამოვარდა და გატყდა, ჩამოვარდა და გატყდა“. ოთახში დღისით ორი პეპელა შემოფრინდა ღია ფანჯარაში და დაიწყეს ფრთხილი. ერთი მათგანი იატაკზე დაეცა და კარგა ხანს იყო ისე. თამაზი თვალს ადევნებდა პეპლებს და გონია ძირს რომ დაეცა (გატყდა) დაიმტვრა.

2, 6, 27; „არა, მაგითი არ გეისროლება, დოდო, ეგ რიორველი კი არ არის ჯოხია, არ გეისროლება. ჩემი რიორველით გეისროლება“ — დოდოს ჯოხი უჭირავს ხელში და თამაზს ეკითხება: „გეისროლო“? მან ისე გაიგო თითქოს დოდოს ჯოხიდან უნდოდა გასროლა, თითქოს თოფი იყო.

2, 6, 27; „ვაი! ცუგა! საიდან მოვიდა? მეშინია? სად დევიმალა, დედა, რომ არ მიკბინოს“. ოთახში შემოვიდა პატარა ძაღლი. თამაზს შეეშინდა.

2, 6, 27; „ნანა! უყურე აძას. მიდიან ბავშვები კალათებით ხოკოზე, უყურე“. თამაზი ათვალაიერებს ჟურნალ „ოქტომბრელს“, სურათზე ბავშვები კალათებით ტყეში მიდიან.

2, 6, 27; „ამ გოგომ შექაშა პატარა ხოკო, ხო და მერე ეტკინა და დაიწყო ტირილი, ხო და ძაღლი მოვიდა და მოეფერა, ნუ ტირიხარ, შენ მოგიყვდა ეგ თავი, რატომ შექაშე და გათავდა“. უამბობს ნანას ამ სურათის შესახებ.

2, 6, 27; „ნანიკო უმღერე სიმღერა, დაიძინე შენ, დაიძინე თუ არ ვიცე, ვაი“. თამაზს უქირავს ხელში სათამაშო დათვი, და თხოვს ნანას უმღეროს, ნანა უპასუხებს შენ უმღერეო, თამაზიც ესაუბრება დათვს.

2, 6, 30; „ეზოში დარბიან, თამაშობენ. დოდო შეხედე პეპლები, ვაი პეპლები როგორ დახტიან, აი ასე“. დოდო და თამაზი აივანზე სხედან. თამაზი ეზოში იცქირება. ამჩნევს, რომ პეპლები დაფრენენ. დოდოს ესაუბრება და შლის ხელებს თითქოს ფრინავს.

2, 6, 30; „დოდო ამიყვანე, მე ფეხი მტკივა, ვერ წამოვალ“ თამაზი და დოდო მოდიან, თამაზი თხოვს დოდოს აიყვანოს ხელში. დოდო ეუბნება: „შენ თითონ წამოდი“. თამაზი დაიწყებს კოქლობას, თითქოს ფეხი სტკივა დასიარული არ შეუძლია.

2, 6, 30; „ღედა, დავეცი, აქ მეტკინა, მაკოცე. აი მორჩა“. თამაზი დავეცა და ფეხი იტკინა. მივიდა დედასთან და თხოვს რომ მან აკოცოს ნატკენ ადგილზე. დედა კოცნის, თამაზსაც „ურჩება“ ნატკენი ფეხი.

2, 7, 0; „უი, უყურე ნანიკო, ძროხაზე ბიჭი დადგა“—თამაზმა დაინახა, რომ ბიჭი ჩამოვიდა ხიდან და ხის ქვეშ დაწოლილ ძროხას დაადგა ფეხები. თამაზს უკვირს.

2, 7, 0; „ნანა, აი რამდენი ყურძენი, მოდი ვჭამოთ“—ნანა და თამაზი ჟურნალ „ოქტომბრელს“ ათვალეირებენ. იქ დახატულია წვრილ-წვრილი ყვავილები. თამაზმა ისინი ყურძენს მიაშვავს და ნანას ეპატიჟება. თამაზი ეკითხება ნანას გაათავა თუ არა ქამა. ნანა ეუბნება მე კი გავათავე, მაგრამ შენ დაგრჩაო. თამაზი. საჩქაროდ „განაგრძობს“ ქამას.

2, 7, 0; „შენ გაათავე? მე უკვე გავათავე, შენ? უი ცოტადამრჩენია, უი ჩემი სიკვდილი“. ამბობს თამაზი და „ქამს“.

2, 7, 1; „ეს რა არის? კალია? მოვკლა?“—ნანა და თამაზი ეზოში არიან. თამაზს კალია აუფრინდა, წინ, ნანას ეკითხება მოკლას თუ არა. ნანა ეუბნება. „თამაზიკო, არ მოკლა კალია“.

2, 7, 1; „არა, ცოდოა არ მოკლა, ცოდოა რა. მომეცი რა დოდო მომეცი. მანახვე რა“. დოდომ დაიჭირა კალია და თამაზი თხოვს აჩვენოს.

2, 7, 1; „მე ბურთს ვხატავ. წითელი ფანქარი რომ არ მაქვს?“ თამაზი იღებს ქალაღს და ჯდება დასახატად. აწუხებს, რომ წითელი ფანქარი არა აქვს. ნანა ამშვიდებს: „არა უშავს, ლურჯით დახატე“.

2, 7, 1; „ორ ბურთს დავხატავ, ერთს შენ მოგცემ, ერთს მე“—ეუბნება ნანას.

2, 7, 1; „ნანა, აჰა ამითი ითამაშე. დოდო, ჩემს მოგიტან იმითი ითამაშე“. ნანა და დოდო ბურთს თამაშობენ. თამაზმა დახატა ბურთი, მოუტანა ნანას და ეუბნება, რომ მისი დახატული ბურთით ითამაშოს. მერე დოდოსაც აწვდის.

2, 7, 2; „ნანა, აი მთვარე. დოდო, შენ გიყვარს მთვარე? [კი] მეც მიყვარს“. თამაზმა ცაზე მთვარე შენიშნა და ესაუბრება დოდოს და ნანას.

2, 7, 2; „დოდო და ნანა, მოდი ვითამაშოთ სახლობანა. შენ იყავი დედა, მე მამა. ნანა ჩვენი შვილი. მე ვითომ სამსახურში წავიდი, დოდო, შენ იყავი კლავდია, მე აკაკო. ეფერება ნანას: ჩემო საყვარელო შვილიყო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ხომ აღარ გტკივა თავი? მე ცეცხლს ავანთებ და ხაჭაპურს ვამოვაცხობ. ეხლა ხაჭაპურებს ვამოვაცხობ. აჰა ჭამე“—თამაზი, დოდო და ნანა თამაშობენ. თამაზი როლებს ანაწილებს. დოდო და ნანა იცინიან. მაგრამ, მაინც ეთამაშებიან. თამაზი თითქოს მიდის, შემდეგ ბრუნდება ავადმყოფ შვილთან. მას უელის და ნამცხვრებს უცხობს.

2, 7, 2; „უი პატარა ღორი, ღორი შენ გიყვარს? (ეკითხება ნანას) მეც მიყვარს“. ეზოში გოქი დაინახა და განოჯღგა დასაკერად,

2, 7, 3; „მამა! ბაბუა აქ ჩამოივლის? (აღმართი), აქ გაივლის! (ვაკე) ხეზე აივლის? იქიდან ჩამოივლის?“—თამაზი ესაუბრება მამას ბაბუას შესახებ, რომელიც მოენატრა და მოელის.

2, 7, 3; „დედიკო! იცი რა გქენი? ამოვთხარე მიწა, ამოვთხარე, იქ იყო ჭიანჭველები და მერე აქ ამოვიდენ (ხელზე). მერე ასე, და ასე და გადავარდენ“ (აქნევს ხელს). თამაზმა მიაგნო ჭიანჭველების ბუდეს მიწაში და ჯობით დაუწყო ანოთხრა. ჭიანჭველები შეაცოცდნენ ხელზე. თამაზმა ისინი ძლივს მოიშორა და დედას უამბობს.

2, 7, 3; „მამიკო, შეხედე ცხენი ჭამს შორს“. თამაზმა შეამჩნია შორს მინდორზე ცხენი ბალახს ლეხს და მამას აჩვენებს.

2, 7, 3; „დედიკო! დედა, სულ შევჭამე. გავქენი ასე, გავქენი კოვზით, გავსრისხე და გაუათავე“. დედამ ნოუწმბადა საუზმე. გოგლი-მოგლს უკეთებს. თამაზი თხოვს, დედა აძლევს. თამაზი ურევს და იწყებს ჭამას, თან ეუბნება რაც გააკეთა.

2, 7, 3; „ნანა, ნანა, საბაკა, საბაკა. პატარა საბაკა შენ გიყვარს? მეც მიყვარს ნაზიკოსაც უყვარს“—ეზოში პატარა ძაღლი

დასდევს დიდ ძალს და ეთამაშება. თამაზი აიენიდან უცქერის და ნანას უძახის.

2, 7, 3; „ნაზიკო! ნინადა, უხადი. ვაი, ეტო მონი, უხადი. რაზ. დვა, ტრი, ჩეტირე, ვოსემ, დევიატ, პიატ“. თამაზი მარტო თამაშობს ეზოში, ნაზიკო მიდის მასთან. თამაზს არ უნდა მასთან თამაში და აგდებს. „რას შევები თამაზ“? ეკითხება მამა.

2, 7, 3; „რუსულად ვთვლი“—უპასუხებს იგი. „აბა ქართულად თუ დათვლი“?

2, 7, 3; „ქართულად? ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი“—ითვლის თამაზი.

2, 7, 3; „სვინია რუსულად, ქართულად ლორი, ხო“?—ნაზიკო ეზოშია და ლორს უძახის: „Свинья, свинья“; თამაზი უსმენს და მერე თვითონ თარგმნის „Свинья“-ს ქართულად და ნანას იმოწმებს.

2, 7, 7; „მამიკო, მამიკო! იქ პატარა ძაღლია. სულ პატარა, ამხელა. (უჩვენებს ხელით) ვერ მიკბენს? მეშინია“—ეზოში ნახა პატარა ლეკვი, გამორბის და მამას უამბობს. მამა ეუბნება „რატომ არ ამოიყვანე (აივანზე). მეშინია“—უპასუხებს და თან ძაღლს უცქერის. არ გიკბენს, ნუ გეშინია, ამშვიდებს მამა.

2, 7, 7; „დედი ძაღლი იკბინება, პატარა არ იკბინება“?—კითხულობს შეექვებით.

2, 7, 7; „დედა, დედიკო! მიყიდე ბევრი მანქანები, თეთრი, ყვითელი, ოცი, ხომ მიყიდი? ჰა? იმას ის ექნება? (იკონებს). ტორმუზი, ტორმუზი, მე ჩავჯდები და იცი, როგორ იჯამს? რ-რ-რ-ასე და წავა. პი-პი-პი-პი—ასე ტორმუზით წავალ“—ეზოში მეზობლის მანქანა დგას. თამაზმა უტრიალა გარშემო, მერე საფეხურზე შედგა, მაგრამ მეზობლის ბავშვმა არ გააჩერა საფეხურზე, ჩამოაგდო. თამაზი გაჯავრებული წამოვიდა სახლში და დედას თხოვს უყიდოს ბევრი მანქანები, რომ თითონ წაიყვანოს.

2, 7, 7; „მამა, მე ვითამაშებ ბალი-ბოლს (ვალეიბოლს). იდი ნაზიკო ბალი-ბოლი. იდი ბალი-ბოლი. სად წავიდა ის ბურთი? მე და შენ ვიბურთაოთ, მამა“. თამაზი თხოვს მამას ფრენბურთი ეთამაშოს და ეძებს ბურთს, რომელიც ეზოში გაუგორდა. მერე ნაზიკოსაც იწვევს სათამაშოდ.

2, 7, 7; „დოდო, მიყურე, მივდივარ მე. (სად?), თბილისში ბაბუასთან, მერე ისევ მოვალ“. თამაზი ისევ ასულა მანქანის საფეხურზე და დოდოს ეძახის თითქოს თბილისში მიდის.

2, 7, 7; „დედა, მე იქიდან ჩავალ, ავგნიდან, კი არ ვადმოვარდები, ისე ჩავალ უცბად, ჩავალ რა“—თამაზი დგას აივნის შოაჯირთან და დედას თხოვს ნება დართოს აივნის იმ მხრიდან ჩასვლისა, რომელიც სახიფათოა და საიდანაც აკრძალული აქვს თამაზს ჩასვლა.

2, 7, 8; „მამიკო, მათხოვე რა წითელი ფანქარი და ქაღალდი, უნდა დავწერო თამაზი ავალიშვილი. მათხოვე რა უნდა დავწერო“—მამა წერს, თამაზი თხოვს ფანქარს თუმცა მას წითელი ფანქარი სულაც არ უჭირავს ხელში, თამაზი თითონ უმატებს.

2, 7, 9; „იმიტომ, რომ იქ კაცი იყო და მისი შემეშინდა. სათვალეზიანი კაცის შემეშინდა“. მამამ-წაიყვანა საპარიკმახეროში გასაქრეკად. როგორც კი შევიდნენ, თამაზმა იუცხოვა, ატირდა და გარეთ გამოვარდა. „რატომ არ გაიკრიკე“? ეკითხება მანა. ის პასუხობს: „სათვალეზიანი კაცის შემეშინდა“.

2, 7, 14; „ის რარებია? ხარებია? ძროხები და ბევრი ძროხები. ხეები მირბის, ღიღი ხე მირბის“. კოჯრიდან დაბრუნების შემდეგ მოუხდათ თამაზს და დედას ლანჩხუთში დეიდასთან მატარებლით გზაზერობა. თამაზი ფანჯარაში იცქირება. დედას უამბობს, რასაც ხედავს მატარებლის ფანჯრიდან.

2, 7, 14; „რა ქნა? რა იყო, რო იყვირა? მე ჩემი სახლში მინდა, ჩავიდეთ ძირს, ჩქარა ჩავიდეთ“. ორთქლშაველის საყვირის ხმა აშინებს და თხოულობს სახლში დაბრუნებას—მატარებლიდან ჩამოსვლას.

2, 7, 14; „შენ ჩემი ბებია ხარ? იქ რომ იყავი ჩვენი სახლში? ჩემი ბებია ხარ?“ ლანჩხუთში დახვდა ადრე ჩასული ბებია. თამაზს ორი თვეა ბებია არ ენახა, გაეხარდა და ახლა არკვევს, რომ ეს ის ბებიაა, რომელიც თბილისში მათთან ერთად ცხოვრობდა, თუ არა.

2, 7, 14; „დედა, დედა, რამდენი ბატებია? დავიჭიროთ ერთი, რა? რომ დავიჭერ მერე დავკლავ და შევკამ“. თამაზი დასდევს ეზოში ბატებს და დედას ეხვეწება დააქვინოს ერთი.

2, 7, 14; „თინა დეიდა, ჩვენთან დოდო იყო, იცი? დოდო? სხვა სახლში იყო იცი?“—თინა დეიდას უყვება მეზობლის გოგონა—დოდოზე, რომელიც ჩვენთან ერთად ისვენებდა კოჯორში.

2, 7, 14; „ბაია აღუს ამბობს, აღუს, აღუ-აღუ—სირცხვილია“—დეიდა თინას ყავს ჩვილი ბავშვი. თამაზი უკვირდება პატარას. დეიდა ეუბნება: „აბა შენ თუ იტყვი აღუს“. თამაზი ჯერ ამბობს ორჯერ ზეღიზედ, მერე ხელს მიიფარებს ტუჩებზე და აღარ იმეორებს: „სირცხვილია“—ამბობს იგი.

2, 7, 15; „მე ვარ მისი დედა, წავიყვან ჩემ სახლში, რომ ჩავჯდები მამ-მ“ (ვერ მოიგონა მატარებელი), რომ ჩავჯდები ტროლეიბუსში. წავიყვან ჩემ სახლში“—დედა ეკითხება „ვინ არის ბაიას დედა“? ისიც პასუხობს, რომ თითონ არის პატარა გოგონას დედა.

2, 7, 15; „თინა დეიდა! მე რამდენი ლეღვი მოვიტანე?“— ამბობს თამაზი და აივანზე ამოდის ხელში კალათით. მოაქვს ლეღვი. ვინ მოკრიფა? „მე“. „ლობებზე ვინ გადმოგიყვანა“? ეკითხება ისევ დეიდა. „მე თითონ“—უპასუხებს იგი. ეს ლეღვი ვინ მოკრიფა? კიდევ კითხავს დეიდა. „ვალოდია ბიძიამ“. ამბობს ბოლოს თამაზი.

2, 7, 16; „დედა! გუშინ არ დავიბანე! გუშინ რომ დევებანე. თავს ხომ არ დამბან, თავს?“—დედა ამზადებს თამაზს დასაბანად. მას ძალიან ეჯავრება თავის დაბანა და კითხულობს თავს ხონ არ დაბანს დედა:

2, 7, 16; „დედა ქათამს უნდა შევამტვერო“. თამაზი ქვიშას და სილას ყრის, თითქოს ანიავებს. დედა უჯავრდება „ნუ ამტვერებ“. ის კი პასუხობს: „ქათამს უნდა შევამტვერო“.

2, 7, 16; „ბაიას წავიყვან, ჩემი სახლში. რომ ჩავჯდები ტრ-ტრ-ტრ—ასე მოატრიალებს შოფერი. დედა ჩვენი სახლი, რომელ ქუჩაზეა? რომელ ქუჩაზეა ჩვენი სახლი?“ დეიდაშვილთან ტრიალებს, ძალიან უნდა ჩვენ წავიყვანოთ სახლში.

2, 7, 17; „ეს თინა დეიდაა, ბიცოლა კი არა“—მეზობლის გოგონა შემოდის და თინას ეძახის—„თინა ბიცოლა“. თამაზი კი უსწორებს; „ეს ბიცოლა კი არა დეიდაა“. იგივე გოგონა გურული კალთი ბებიას „ბებიებს“ ეძახის. არც ეს მოსწონს და ამბობს:

2, 7, 17; „არა! ეს არ არის ბებიე. დედა, ხომ არ არის ბებიე? ეს ბებიია ხომ“?

2, 7, 17; „დღეს მოვიტან ლეღვიან კალათს. დღეს მზე ამოვა დედა?“ აივანზე სხედან. ღრუბლიანი დღეა. თამაზს აგონდება გუშინ ლეღვი რომ მოკრიფეს, მზე მაშინ ამოსული იყო.

2, 7, 18; „დედა! სად მიდის ის? ბოლი სად მიდის? („აბა უყურე“ ეუბნება დედა) არა! მითხარი სად მიდის მატარა ბოლი“. —დედა და თამაზი აივანზე სხედან და ცაზე ღრუბლებს გასცქერნიან. თამაზმა შეამჩნია ღრუბლების მოძრაობა და დედას ეკითხება, სად მიდის ის ბოლიო.

2, 7, 18; „ვაი შენ და ცეცხლი წაგეკიდა, ცეცხლი. მერე სტაცა მელამ ხელი—არა პირი მამალს, გაარბენია, აარბენია“

ღრუბელზე და პატარა ღრუბელი მივიდა დიდ ღრუბელთან“. თამაზი უამბობს დედას ზღაპარს, როგორ მოიტაცა მელიამ მამალი, მერე დაუკავშირა ეს ღრუბლების მოძრაობას. ამდროს მართლაც პატარა ღრუბელი მიუახლოვდა დიდს და თამაზმა ეს თავის ზღაპარში ჩართო.

2, 7, 18; „დედა, ბავშვები ასე იძახიან: ნენა-ნენა, ბლანე-ბლანე, ბებიე-ბებიე“—თამაზი აკვირდებოდა ბავშვების ლაპარაკს გურულ კილოზე და დედას უზიარებს თავის შთაბეჭდილებას.

2, 7, 21; „დედა, მე ეზოში ვიყავი და ვისეირნე. ჩემ მაგიდაზე ნუ ჯდებო გაქუჭყიანდება“. დედა ასაუბრებს თამაზს. იგი ეუბნება დედას, რომ ეზოში იყო და ისეირნა. მერე დედა თამაზის მაგიდაზე ჩამოჯდა. თამაზი უშლის ნუ ჯდებო.

2, 7, 21; „უპ, რა მშვენიერი ქაშია. კაი შაქარია“. თამაზი ფაფას შეექცევა და თან აფასებს: „რა მშვენიერია“.

2, 7, 21; „ღამაცალე, ბატონო, ჯერ მე ვწერ“—თამაზი იწყებს წერას, დედა ეძახის ბელების დასაბანად.

2, 7, 21; „აი ჩაქუჩი გავაკეთე“—თამაზი ასანთის ღერებით თამაშობს, ალაგებს T-ს მსგავსად და მას ჩაქუჩს ეძახის.

2, 7, 22; „მომეცი დედა, აახწორე ჩქარა, აახწორე (განაღლე) აი ასე. ვოტ მაღალდე, კაია ზომი?“ თამაზმა თვალი მოკრა ნანას პატარა ქოლგას, და თხოვა დედას. მან მისცა. ეხლა უკან უბრუნებს და ეუბნება „გამალოს“ და როდესაც დედა ქოლგას შლის ძალიან მოსწონს.

2, 7, 22; „დედა, მე ნანა არ მიყვარს. დედა, მე ნანა არ მიყვარს, მომეცი მისი შოკოლადი“—ნანას და თამაზს მოუტანეს შოკოლადი. ნანა სახლში არ იყო და დედამ შოკოლადი შეუწახა თამაზმა თავისი შოკოლადი შეკვამა და ეხლა ნანასას მოითხოვს. ამას იმითი ამართლებს, რომ მას ნანა არ უყვარს და შოკოლადი უნდა შეუჭამოს.

2, 7, 22; „უკვე გათენდა? გათენებულა ნანა. ჩემი დედა, ჩემი კარგი დედა, ჩემი მამა, ჩემი ნანა“. ნაშუადღევს გაიღვიძა თუ არა მიიხედ-მოიხედა, დაინახა ყველანი ფეხზე არიან, გაეხარდა, რომ გათენებულა, ყველა ამდგარა და ეფერება ყველას სათითაოდ. ნანა ეკითხება: „რა თქვი თამაზიკო?“ ის იმეორებს;

2, 7, 22; „ჩემი დედა, ჩემი მამა, ჩემი შენ“—ეუბნება ნანას.

2, 7, 25; „უი ზევით რა ამბავია? შეხედე დედიკო? აბლაბუდები შეხედე?“—ამბობს გაოცებული თამაზი და დედას უჩვენებს აბლაბუდებს ძალდა ფანჯარაზე, ეზოდან ამოსასვლელ კიბეებზე.

2, 7, 25; „უყურე, ლაპარაკობს კაცი, ახლა იმეორებს“. თამაზმა რადიომიწელები ჩართო და წინასწარ გვაფრთხილებს რაც იქნება.

2, 7, 25; „დედა, მე რადიო ავამუშავე და გავამუშავე“. უამბობს დედას თავისი ქცევის შესახებ.

2, 7, 25; „კობა შენ იცი, მე რიორველი მაქვს, გაჩვენო? იმიტით მე კაცი მოვკალი. მე რომ კაცი მოვკალი, ჩემი რიორველით გერმანელი იყო იცი? მე გერმანელი მოვკალი. უნდა მოვკლა კიდეც გერმანელი“. უჩვენებს დედაშვილს კობას თავის დამბახას და თან უამბობს ფანტასტიურ ამბავს, როგორ მოკლა გერმანელი.

2, 7, 25; „ნანა! მე ბაბუა ვარ, იცი? კამფეთი მოგიტანე, აჰა, ჭამე (თითქოს აძლევს) ჭამე ნანიკო. დედიკო, მე ბაბუა ვარ კამფეთი, კამფეთი მოგიტანე ჭამე, ხომ კაია?“—თამაზმა გაიკეთა ბაბუას სათვალე, დაიხურა მისი ქუდი და თითქოს სამსახურიდან დაბრუნდა საჩუქრებით.

2, 7, 28; „დედიკო მოხვედი? ჩემი დედა, ჩემი კარგი დედა, რა მომიტანე? ახორტორგში (ოსობტორგში) იყავი? რა მომიტანე? ყურძენი? ბევრი და დიდი მინდა მე“. დედა დაბრუნდა ბაზრიდან. თამაზი მიეგება ჩამოართვა ჩანთა და გაუსინჯა შიგ რა იწყო. დედა უჯავრდება: „ასე არ შეიძლება, ასე არ თხოულობენ“—ეუბნება დედა.

2, 7, 28; „ჩემო დედა, დედიკო, ცოტა შეიძლება? ცოტა გამირეცხე ეს თუ შეიძლება?“—თავის მაგიდასთან ჯდება და ელოდება, სანამ ყურძენს მოუტანენ.

2, 7, 28; „დედა! დეიდა თინა ჩამოვიდა? ბაიას მოიყვანს? მე მიყვარს ბაია. იმან ალუ იცის“—თამაზი იგონებს ლანჩხუთში მყოფ დეიდას და მის შვილს.

2, 8, 3; „არა! გამიშვი, მეტს არ ვიზამ, მამას გფიცავარ არა, არ ვიზამ. მამას გფიცავარ რეზო, ბოდისი, მეტს არ ვიზამ რა!“. თამაზმა რეზოს დაარტყა. დედა გაუჯავრდა. თამაზი ეფიცება, რომ მეტს აღარ იზამს და ბოდისს უხდის რეზოს.

2, 8, 3; „დედა, მზე რომ ამოვა მაშინ? როცა ამოვა მზე, როცა გათენდება, მაშინ ვკამოთ ხომ, დედა? ხო, ხო, რა კარგია!“ მამამ ნესვი მოიტანა. თამაზმა მაშინვე მოინდომა მისი გაკრა. დედა ეუბნება: „ეხლა არა, ხვალ გავკრათო. თამაზი ცდილობს გაიგოს „ხვალ“ როდის იქნება.

2, 8, 3; „დედა, ცხენები მოდიან, ცხენები. ამხვი ფანჯარაზე. ორები, ერთი თეთრი, ერთი შავი, უყურე დედა“! ეზოში ორთვალა შემოიყვანეს და თამაზი გასცქერის ფანჯრიდან ცხენებს, უხარია, აღწერს როგორია ისინი.

2, 8, 4; „დედა, დედა, მე კვერცხი მინდა. კვერცხი მინდა, მამას გფიცავარ, ბაბუას გფიცავარ“. თამაზმა დაინახა სამზარეულოში თევზზე კვერცხები და თხოულობს. დედა ეუბნება: „აბა, კოლია ბიძია დაიფიცე!“.

2, 8, 4; „არ დავიფიცები. ის არაა ჩემი. ის—ის, კოლია ბიძია, სტახიკასია (მოიგონა ბიძაშვილი რომელიც მოსკოვშია).“

2, 8, 4; „დედიკო იცი? მე მამამ მათრახი გამოიკეთა სხვა ხალხში, სხვა ხალხში ჩემი მათრახი გამოიკეთა“. თამაზმა მოიგონა კოჯორში, რომ მამამ მათრახი გაუკეთა.

2, 8, 4; „რეზო. მომე ხაშლელი, კი არ შევკამ. მომე ერთ წუთში და ისევ მოგცემ. შენ გეგონა შოკოლადია და შევკამდი, შაა!“—თამაზი ხატავს, უნდა დაბატული წაშალოს და თხოვს დეიდაშვილს საშლელს.

2, 8, 5; „მინდა გულზე დაგაკრა ნარნარი ყვავილები“—თამაზი წევს ტახტზე და იმღერის თავისთვის. ნანამ გაიგონა, გაუხარდა და ეკითხება, „რას ზეები, გენაცვალე“?—თამაზი პასუხობს „მე ვმღერი, მინდა გულზე ნარნარი ყვავილები დაგაკრა“.

2, 8, 6; „დედა, სამალიოტი, სამალიოტი. გესმის? ბრრა, ასე იძახის. ეს ძაფი კი არა სამალიოტია, იცი? ვოტ პაჟალუხტა, ვოტ-პაჟალუხტა“. თამაზს კოკა დაუგდია იატაკზე, ძაფის ბოლო ხელში უჭირავს, დარბის. კოკა დაგორავს და ძაფი იხლართება. დედა შემოვიდა, გაუჯავრდა და მოთხოვა კოკა. ისიც აძლევს და რუსულად ებოდიშება.

2, 8, 6; „შენ მოგაპრი ენას დანით, იცი?“. სალამოს თამაზმა მიშა ბიძიას ენა გამოუყო. მიშამ უთხრა მეტი აღარ ქნა, თორემ ენას დანით მოგაპრიო. მას შეეშინდა და ტირილი დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ აიღო პურის დანა და გაბრაზებული ეუბნება მიშას ბიძიას: „შენ მოგაპრი ენას დანით იცი?“ „ქარგი, თუ გამოგყო, მომაპერი“. დედა უჯავრდება: „ეს რა გააკეთე? როგორ შეიძლება ასე ლაპარაკი?“ თამაზი თითქოს წყნარდება, მაგრამ გაბუტულია. ცოტა ხნის შემდეგ ბაბუა შემოდის. თამაზი მირბის ბაბუასთან და ეუბნება: „ბაბუა, მე იმას ენას მოვაპრი“. თან მიშასკენ ხელს იშვერს. „რატომ?“ „ბაბუას ხომ არ მოაპრი?“—ეკითხება ბაბუა. „არა! მე იმას მოვაპრი, მარტო, იმას!“ „თამაზი,

ასე არ შეიძლება, კარგი ბიჭები ასე არ ამბობენ“—ამშვიდებს ბაბუა. „აბა, ბოდიში უთხარი მიშა ბიძიას“. თამაზი გაჯიუტდა და არ უხდის ბოდიშს.

2, 8, 6; „დედა, დალი-ლალი ვინ არის? დალი-ლალი ვისია?“ ეკითხება დედას თავის ტოლ ტყუპ-გოგონებზე. „დედა ქეთოსი“. ეუბნება დედა. „ჰო, დედა ქეთოსი. ჰო, დალი-ლალი—ჩემია, კიდე ნიასი უმატებს იგი“.

2, 8, 7; „მაჩვენე აბა, თუ ლამაზი ბიჭი ვარ? დედი სარკეში, სარკეში დედი, აბა ეს სარკე, დედი, აბა“. დედამ პირი დაბანა. თამაზს უნდა სარკეში ჩახედვა, მაგრამ სარკეს ვერ წვდებოდა, მაღლა დგას, თან კედელზეა მიმაგრებული. თამაზი ამას ამჩნევს და მოითხოვს „აბაი“, ე. ი. ახსენიო.

2, 8, 7; „დედა, კობამ ბჭრიალა მელანში ჩააგლო. მე მინდა კობა გავლახო. მე იმას გავლახავ, მე იმას გაუჯავრდი. უთხარი არ შეიძლებაო“—შეჩივის თამაზი დედას და თან ეუბნება: „მე იმას გავლახავო“. დედა ეუბნება: „ეგ არ შეიძლება“ მერე კი კითხა: „როგორ გაუჯავრდი შენ კობას? „მე უთხარი არ შეიძლებაო“—პასუხობს თამაზი.

2, 8, 7; „იცი, კობა, მე ბაიასთან ვიყავი. ბაბუამ იქ საზამთრო მოიტანა იცი! ბაბუა ჩაჯდა მატარებელში და მოიტანა: საზამთრო. ჩვენ ის გავჭერთ და ვჭამეთ, აბა, წყალში ჩავდეთ. რო დალბა ვჭამეთ, აბა, იცი, ვჭამეთ“. თამაზი იგონებს და კობას ვრცლად უამბობს, როგორ ჩაიტანა ბაბუამ ლანჩუთში საზამთრო.

2, 8, 7; „ბაბუა, ხომ არ წახვალ დიანასთან, ხო არ წახვალ? ბაბუა ჩემია, დიანა ცუდია, ბაია ცუდია არ წახვიდე“. ახლა კი ეშინია ბაბუა არ წავიდეს მეორე შვილიშვილთან, ექვიანობს და უძაგებს მათ.

2, 8, 8; „ვოტ ნა, კუში, ვოტ პურ, კუში, ვოტ“. თამაზი კატას უყრის პურს და თან რუსულად ესაუბრება.

2, 8, 8; „მამა, იცი, მე კარები გავაღე და ისევ დავხურე. —(როდის?). ომარი, რომ მოვიდა, დედი ჩოთქი რომ წაიღო, მე გავაღე და დავკეტე, იცი? კარები“. მამა როცა დაბრუნდა სამსახურიდან თამაზი უამბობს, როგორ გააღო და დახურა კარები დამოუკიდებლად.

2, 8, 8; „ეტო მოი, ვოტ ეტო მოი. ვოტ ტამ-ტამ. ეტო, მოი სკამ. ეტო ტვოი სტოლ. იყო ერთი ბიჭი, მე დავარქვი ნაზიკო და იმას ვეუბნებოდი: იდი სუდა ბურთაობ. ეტო ნე ცხვარ, ეტო ბარან“. საღამოს, როცა დააწვინეს ლოგინში, ლაპარაკობს რუსულად.

ლად. მოიგონა კოჯორი და მისი აზერბაიჯანელი ამხანაგი ნაზი-
კო, რომელსაც რუსულად ელაპარაკებოდა.

2, 8, 9; „ეტო მოი. დაი, ეტო მოი ფანქარ. ეტო ნე მოი,
ეტო ნანი. (როდესაც დედამ მისცა ნანას ფანქარი) ეტო არ მინდ,
ეტო ნე ხაროშ, ეტო გლახ, ეტო ნე ხოჩუ, დაი ვოტ ტამ, ტამ“.
დილით ადგომისთანავე თამაზმა დაიწყო რუსულად ლაპარაკი,
თხოულობს თავის ფანქარს. დედა აძლევს სხვას—ნანასას. ის უარს
ამბობს, იწუნებს და უჩვენებს თითოთ, რომ ნანას მაგიდაზე მისი
ფანქარია.

2, 8, 9; „რა მძიმე გარ?“ აღის საწოლზე და თავის თავს
ვლაპარაკება.

2, 8, 9; „ეტო მოი მანქან, უეხალ მოი მანქან“—თამაზს
უქირავს ხელში ავტომატურად მოსამართი პატარა მანქანა. დედა
უსწორებს, მანქანას რუსულად ავტომატილი ქვიაო.

2, 8, 9; „ეტო ავტომობილ არა, მანქანა“. ასწორებს იგი.

2, 8, 9; „შეხედე ცხვირი აქვს ცხენს. შეხედე რა დაუხატა
ცხენს?“—ფანჯრის რაფაზე ზის უცქერის ცხენს და პირველად
შენიშნა, რომ ცხენს ცხვირი აქვს.

2, 8, 9; „ეს ნანას წიგნია. შესურათება შეიძლება? აუ, აუ,
ცხენები მიდიან. უყურე მიდის ცხენოსანი ჯარი. ბუმბუმ-ბუმ-ბუმ“.
—თამაზი ათვალეერებს ნანას წიგნს, უნდა შეაფერადოს ცარცით.
ამჩნევს სურათზე ცხენოსნები მოდიან. ეს იტაცებს და შეფერადე-
ბა უკვე ავიწყდება.

2, 8, 9; „ეს კბილის მოაწმენდია? კბილის?“—ხელში უქი-
რავს კბილის საწმენდი ჯაგრისი, მიდის დედასთან და ეკითხე-
ბა. იმოწმებს, ხომ ჯაგრისიაო.

2, 8, 9; „დედა, შენ სად მიდიხარ? დახურულში? იქ რა
არის? კრუპა? შაქარი? კამფეტი? წადი ჩქარა, მომიტანე ბევრი
კამფეტი“. დედა მიდის დახურულ მაღაზიაში, თამაზი გაედევნება
და აბარებს, რაც მას აინტერესებს.

2, 8, 9; „ნეტ, ეტო ნე ხაროში, თოვნის პურ, ეტო ჩტო?“—
თამაზი სადილობს. მაგიდაზე მჭადი არის. თამაზს არ უნდა მჭადი.
„აბა რა გინდა?“ ეკითხება ბებია და აწოდებს თონის პურს. თა-
მაზი ეკითხება: „ეტო ჩტო“. „ეტო ხლბ“—უპასუხებს ნანა.

2, 8, 9; „ნეტ, ეტო, ეტო თოვნის პურ, ეტო ჩტო ტაკოე?“,
კითხულობს თამაზი მჭადის სახელს, მერე თითონვე პასუხობს.

2, 8, 9; „ეტო ჭად, ეტო ხაროშ, ეტო ხაროშ“.

2, 8, 9; „დედა! მე ეზოში, რომ ვიყავი იქ მანქანით პიანინო მოიტანეს“. თამაზი სადილობს თან დედას უამბობს ეზოში ნახულ ამბავს. „კობა, თქვენ ქუჩაში გახვედით?“—ეკითხება დედა კობას, მის მაგიერ თამაზი პასუხობს.

2, 8, 9; „არა! მე ეზოში დავინახე, მერე გავხსწრე კობას და ისე დავინახე. იქ კაცები დაატრიალეს მავთული და პიანინო ჩამოიტანეს“. განაგრძობს თამაზი.

2, 8, 9; „ნანა შეხედე, შეხედე თოვლები, თოვლები წვიმა და თოვლები“. წამოვიდა კოკისპირული წვიმა და სეტყვა ერთმანეთში არეული, თამაზი ფანჯარაში იცქირება და ნანას ეძახის.

2, 8, 10; „დედიკო, იცი მე სად ვიყავი? მამამ რომ წამიყვანა იქ დიდი წყალი იყო. მერე მე ჩავაგდე დიდი ქვა და დაიძახა დუუმბ“. მამამ თამაზი წაიყვანა სასეირნოდ მტკერის სანაპიროზე. თამაზმა დიდხანს ითამაშა. შემდეგ ბორნისკენ ჩავიდნენ, იქ ნაპირიდან ქვებს ყრიდა წყალში და ბოლოს ბორნით გავიდნენ მეორე ნაპირზე.

2, 8, 10; „მერე მე იმაში... იმაში... გემში ჩავჯექი და ვისეირნე გემით. ვისეირნე გემით, ვიცურავე შუშ ასე წავიდა ჯერ გავედი პატარა ხილზე, ახე გრძელი იყო, მერე ჩავჯექი გემში და ვიცურავეთ, იცი?“ განაგრძობს თხრობას თამაზი.

2, 8, 10; „დედა! მამამ იცი რა მაჭამა?.. (იგონებს, ვერ მოიგონა) ეს რა იყო? მამა შენ რომ მაჭამე? ნამცხვარი და რა იყო კიდეც (ნაყინი? ეუბნება მამა), არა სხვა იყო ის კაცი რო იძახოდა (მაროენი უპასუხებს მამა), ჰო მაროენი, იცი რა კარგი იყო. რო ვჭამე მაროენი და პეროენი რა კარგი იყო“. მამამ ბაღში ნაყინი და ნამცხვარი უყიდა მას და ახლა იგონებს.

2, 8, 10; „დედა, მე სერიოზიკამ მცემა, აქ დამარტყა“. თამაზი ამოდის ეზოდან ატირებული და დედას შეჩივის. „მერე შენ რა უყავი?“. ეკითხება დედა. რატომ გცემა?

2, 8, 10; „მე იმას ვცემ, მე იმას დანით კისერს მოვჭრი, მე იმას მოვკლავ, ჩემი რიორველით. ჯოხს ჩავდობ და ვესვრი და მოვკლავ“.

2, 8, 10; „დედა! ნანა უკოლას თამაშობდა, დაეცა და ფეფები იტკინა“—უამბობს თამაზი დედას, როგორ დაეცა ნანა „კლასობანას“ თამაშის დროს.

2, 8, 11; „მე მამა! გოსკრიპრომში (გოსკინპრომში) ვიყავი. იქ თხები იყო, კიდეც რა იყო, რა იყო, დედიკო? (ვერ იგონებს ტანკის სახელს) ტანკი ჰო, იმას ვარსკვლავი ქონდა და ზარბაზანი გეიხროლიდა. მერე ყურძენი ვიყიდეთ, რალაცაზე (სას-

წორზე) დაღო და მერე მოგვცა ჩვენ კაცმა—თამაზი დედას ყავ-
და სახკინმრეწვში (ბიძის სამსახურში). იქიდან გზაში ყურძენი
იყიდეს და ეხლა ამას უამბობს მამას.

2, 8, 13; „ყვავილების ქვეყანა ჩოქრით (ჩოქეთ) შემოვი-
არევე, რომ მითხარი მოვალეობ... რისთვის დაიგვიანე... მინდა
გულზე დაგაკრა, ნარნარი ყვავილები“. მღერის თამაზი თავისთვის.
თავიდან სწორად მღერის მელოდიას, ბოლოში სიტყვები დაავი-
წყდა, მაგრამ გამოტოვა და განაგრძო. ცოტა მელოდიაც აურიო.

2, 8, 15; „სტეკლო სტავლა, სტეკლო სტავლა“. თანჯარიდან
ისმის მეშუშის ხმა: „Стекла вставляти“. თამაზი ბაძავს მას და ისიც
გაყვირის ოთახში.

2, 8, 15; „ეტო შოი, პაპა, გდე შოი კალმისტარ?“. ეკითხება
დედას. „მე პაპა კი არა დედა ვარ და თუ რუსულად გინდა თქვა,
თქვი: „Мама, где мая ручка?“ უსწორებს დედა.

2, 8, 15; „მამა, მამოჩკა გდე მაგნიტ? გდე პაპ? აი, შენი
შპილკა, პატარა შპილკა, ტვოი პატარა შპილკა“. თამაზი კითხავს
დედას სად არის მაგნიტი. იქვე იპოვა სარეცხის დასამაგრებელი,
მოურბენია დედას და ეუბნება: „ტვოი პატარა შპილკა“.

2, 8, 15; „დედა, დედა აქ რა არის? ნახე „გავა“, გავა. ეს
ნავთის „გავა“. უპოვნია ნავთის ძაბრი, ასხამს შიგ წყალს, რომ
გადის უკვირს, და ალბად ამიტომ დაარქვა მას „გავა“, ე. ი.
წყალი გავა.

2, 8, 15; „ჩტო ტი დელაეშ?“. დედა სახლს ალაგებს, ნაგი-
დას წმენდს, თამაზი ეკითხება, რას აკეთებო, ისიც უპასუხებს
რუსულად: „Я чищу стол“.

2, 8, 15; „ეტო ვის სტოლ, ვინ? დედ-მამ, ეტო ჩტო დედ-
მამ, ეტო ჩტო?“ კითხულობს თამაზი ყველა ნივთზე, თუ რა არის.
„დედ-მამ“, მიმართავს დედას. ესაა რუსულ-ქართული ნარევი
„დედა“.

2, 8, 16; „ნანა, მე რომ გავიზრდები, თითონ წავიხვამ კა-
რაქს“. ბავშვები საუზმობენ. ნანა თითონ უსვამს პურზე კარაქს.
თამაზს კი დედა უმზადებს, ის ნანას მიჩერებია და ამბობს.

2, 8, 16; „მე რომ გავიზრდები, თითონ წავიხვამ კარაქს და
აქ დაგვჯდები ამ სკამზე“—განაგრძობს თამაზი ლაპარაკს და უთი-
თებს დიდ სკამზე. თვითონ ზის პატარა სკამზე პატარა მაგი-
დასთან.

2, 8, 16; „მამა, წავიდეთ სახეირნოდ, ნანას ქოლგა წავიღოთ
და დავიფაროთ“, ეხვეწება მამას თამაზი.

2, 8, 16; „შეხედე, ცხენები მილიან (აჯავრებს), ახლა მან-
ქანებიდან (სიუჟეტი იცვლება) ისევ ცხენები მილიან“. ისმენს
რადიოთი მუსიკალური ნაწარმოების გადმოცემას და თავისებუ-
რად ხსნის მას.

2, 8, 16; „დედიკო, ნანა გაურეცხავ მწვანილს ჭამს (ნანას)
არ შეიძლება, გესმის ჭუჭყიანია“. უჯავრდება ნანას, რომელიც
მწვანილს ჭამს. თვითონ ხშირად იღებს ხოლმე ასეთ შენიშვნებს,
და ჰგონია ნანაც გაურეცხავს ჭამს.

2, 8, 16; „დედა! დედიკო! ფისომ საბანი არ დაიფარა ისე
ძინავს, გაცივდება“. თამაზი ხელავს ტახტზე კატას ძინავს და
დედას ეძახის.

2, 8, 18; „მე კურდღელი მყავდა ნანა, იცი? ბაბუამ ბაჭიე-
ბი მოიყვანა. ერთი ნანას, ერთი მე“. იგონებს თამაზი ბაბუამ რომ
ორთავეს ბაჭიები მოუყვანა.

2, 8, 25; „რაზ, დვა, ჩეტირე, ვოსემ, დევიატ, ყირა მინდა
გავაკეთო ლოგინში, ყირა მინდა“. თამაზი ლოგინში ცელქობს,
ითელის და ყირაზე გადადის და „ყირა მინდას“ იძახის.

2, 8, 25; „კოჯორში მამამ მათრახი გამოიკეთა მე. მე ასეთი
ჭული მქონდა კოჯორში (გაზეთისაგან გაკეთებული წოწოლა),
ვინ გამოიკეთა იცი? თმარიმ“. იგონებს თამაზი გასული ზაფხულის
ამბებს.

2, 8, 26; „დედა ჩვენმა მასწავლებელმა იცი რა ქნა? რო
შემოვიდა ჩვენი მასწავლებელი, აილო მათრახი და ისეთი გვცემა
და იმან იტირა ასე იიიი-იი“. კობა ბრუნდება სკოლიდან და გვი-
ამბობს სკოლის ამბავს. თამაზმა გამოართვა ჩანთა, გადაიკიდა
მხარზე, გაიკეთა დონჯები და ისეთ ამბავს ყვება, რაც არავისა-
გან არ მოუხმენია (თავისი ფანტაზიით შეთხზა რალაც).

2, 8, 26; „რატომ დააგდე შენი ჩურჩხელა? რომ კატამ შე-
ჭამოს დედა მომეცი ჩურჩხელა კიდე რა. მეტი არაა? ნანა მაკ-
ბეჩიე. დედა მაკბეჩიოს ნანამ ჩურჩხელა რა“. დედამ ბავშვებს
ჩურჩხელები დაურიგა. ნანამ თავისი მაგიდაზე დადო. კატა ფან-
ჯარაზე ზის და იწვევს მაგიდისკენ. თამაზმა თავისი შეჭამა და
თხოვს დედას და ნანას. „მეც მინდა ჩურჩხელა“—ეუბნება ბებია
თამაზის გასაგონად დედას. თამაზი უჯავრდება. „შენ ხომ მოგცა
დედამ, ხომ გაჭამა?—„შენც ხომ გაჭამა, რატომ თხოვ“?—ეუბნება
ბებია. თამაზი მაინც არ ცხრება. „მე კიდეც მინდა, ის არ მეყო“
იძახის და კიდეც თხოვს დედას.

2, 8, 28; „დედა, მე შაქარი ჩავაგდე ჩაიში და დალბა, თითონ გატყდა იცი? კამფეტს ჩავაგდებ და ისიც დალბებდა ხომ?“ თამაზი საუბრობს. დედამ დაუშაქრა ჩაი. თამაზი უკვირდება, როგორ დნება შაქარი.

2, 8, 28; „ეს კალამ-კალმისტარი, სამი ოთხი. იცი, ეს კარგი კალამ-კალმისტარია. დედა იცი! მეც დავწერ. მომეცო, კალამ-კალმისტარი და მე დავწერ“. დედა წერს. თამაზი ჯერ თავისთვის ლაპარაკობს, მერე მიმართავს დედას ათხოვოს კალმისტარი.

2, 8, 28; „მე არ ვიცი დათვალემა, ოღონდ ფანქარი მომეცი ოღონდ...“—დედას უნდა თამაზმა დაითვალოს და ეუბნება: „აბა თუ დაითვლი“. ის კი კალმისტრით არის გატაცებული, მას თხოულობს და დათვლაზე უარს ამბობს.

2, 9, 0; „დედა! ია ხაჩუ წყალ“—დედა უსწორებს რუსულად წყალს „Вода“ ქვია, შენ თქვი Вода хочу“. „ვალი, ცოტ-ცოტ, თუ ბევრ-ბევრ არ შეიძლება, ცოტ მინდ“.

2, 9, 1; „ვარ, ვარ. მე ნანას არ ვცემე, კობას არ ვცემე, რეზოს არ ვცემე, ხომ ვარ კარგი ბიჭი? ვარ“. დედა აცმევს თამაზს, ის არ იცვამს. „შენ არა ხარ კარგი ბიჭი“,—ეუბნება დედა. ის კი იმის დასამტკიცებლად, რომ კარგი ბიჭია ჩამოთვლის რომ არ ცემა ბავშვებს, მაშასადამე კარგია.

2, 9, 1; „მიდიან და იცინიან, მოდი ჩქარა ინდაური, ბატი, ჩქარა. გაგებუტე გადი, გადი ჩქარა, თორემ გაგებუტები. გადი ჩქარა გადი“. თამაზი ზის თავის მაგიდასთან, წიგნს ათვალეირებს და თავისთვის ლაპარაკობს.

2, 9, 1; „კარგად ბაბუა, შენ როგორ ხარ? საყვარელო, ხიდან მოხვედი?“—ბაბუა დაბრუნდა სამსახურიდან და ეკითხება თამაზს, „როგორ ხარ, საყვარელო?“

2, 9, 1; „ბაბუა, მე ფეხბურთელი ვარ. პაიჭაძე ვარ, ბაბ, ია პაიჭაძე, პაიჭაძე, ფეხბურთ“. თამაზი ბურთს თამაშობს თან ბაბუას ესაუბრება ჯერ ქართულად მერე „რუსულად“.

2, 9, 1; „დედიკო, მე მამამ მითხრა დედა არ ააწვალავო (გააწვალოს ნაცვლად), მე შენ არ გააწვალებ ხომ?“. თამაზი იღვანს სკამს, ადის ზედ და იღებს მაგიდაზე ედგარ ლარნაკიდან კამფეტს და მერე დედას ეფერება.

2, 9, 1; „ხომ არ აგაწვალე დედა, აჰა? მითხარი რომ არ აგაწვალე?“—„აბა ეგ რა არის, რატომ იღებ კამფეტს დაუკითხავად?“ ეუბნება დედა. თამაზი უკანვეღებს კამფეტს და მერე ეკითხება: „ხომ არ აგაწვალე?“

2, 9, 1; „დედა, ის ამოადგი, ამოადგი სანთელი და მომეცო-
ამოადგი რა!“ მაგიდაზე დგას შანდალი სანთელით. თამაზი მოით-
ხოვს სანთელი ამოიღონ და მისცენ მას.

2, 9, 3; „ნანა! შენ, რომ ეზოში იყავი აქ ტუზიკა (ძალი)
ხაქმელს კამდა, და შენ ფეხზე გიკბინა. მერე დედამ ექიმთან
წაგიყვანა. ექიმმა გაგხინჯა, იოდი წაგისვა და მოგაპრა მთლიანად
ფეხი, მოგაპრა იცი? მე რომ კოჯორში ვიყავი, მეც მიკბინა ძა-
ლმა და ექიმმა მეც მომაპრა ფეხი, მთლიანად მომაპრა იცი?“
თამაზმა შოიგონა ძველი შემთხვევა: ნანას რომ უკბინა ძალმა
ფეხზე, ეს „შელამაზა“, დაუმატა (მთლიანად მოპრა ნანას ფეხის)
და მერე ანალოგიური ამბავი თავის თავზეც შეტხზა და ახლა ნა-
ნას უამბო.

2, 9, 3; „აი, მატარებელი, პაშლი. ვოტ ილიოტ მატარე-
ბელ, ეტო მატარებელ“. თამაზი თამაშობს საშენი მასალით. აკე-
თებს მატარებლის გრძელ შემადგენლობას და რუსულად თავის-
თვის ლაპარაკობს.

2, 9, 4; „გისმენ ბაბუა. მე ვარ თამაზი. ჰო, ბაბუა ჰო. მო-
მიტანე ვაშლები კიდე კამფეტები ჰო, ჰო“. ტელეფონზე დარეკეს,
თამაზმა აიღო ელსმენის მილი და პასუხობს. თურმე ბაბუამ გაა-
თავა ლაპარაკი-დადო მილი. ამ დროს შემოვიდა დედა და ეკით-
ხება— „რა იყო თამაზ, რა თქვა ბაბუამ?“

2, 9, 4; „დედას დაუძახეო“. „მერე რატომ არ დამიძახე?“
ეკითხება დედა. „იმიტომ რომ შენ სადილს აკეთებდი“ — უპასუ-
ხებს ის.

2, 9, 4; „მე უჯრაში შევინახავ და არ გათხოვებ, აჰა“. თა-
მაზმა აიღო ნანას წიგნი. ნანა უჯავრდება: „მეტი აღარ აიღო,
თორემ მე შენ ფერად ფანქრებს ავიღებო“ — თამაზი კი უპასუხებს:
„მე უჯრაში შევინახავ-ო“.

2, 9, 4; „ვგაგონი იძახის დუგუ-დუგუ-დუგუ-დუგუ. მატა-
რებელი ჩუქუ-ჩუქუ-ჩუქუ. მანქანა პი, პიი, პიპიი, პიპ-იიი“.
თამაზი ათვალეერებს წიგნს და თავისთვის ლაპარაკობს.

2, 9, 5; „ორივე ხელი მოკიდე, თორემ დაგელვრება წყალი-
ორივე ხელი მოკიდე, გესმის?“ კობას მოაქვს წყლიანი თასი, თა-
მაზი აფრთხილებს.

2, 9, 5; „მე შენ გიჩვენებ ხეირს, მე შენ გიჩვენებ სეირს,
აბა დაიცა“. თამაზი საშენი მასალით აშენებს მაღალ კოშკს, მაგრამ
ენგრევა და ჯავრი მოსდის კუბიკებზე, თანაც ემუქრება.

2, 9, 5; „ბებია მითხრა ფეხშიშველი იარეო“ — თამაზს გაუ-
ხდია ფეხთ და ფეხშიშველი დადის. „რატომ დადიხარ ფეხშიშვე-

ლა“?—ეკითხება მამა. თამაზმა ბებიას გადააბრალა, რომელიც ამჟამად თბილისში არ იმყოფება, იგი ლანჩხუთშია წასული.

2, 9, 5; „დედა! ნანამ ორი ცალი წიგნი გადააგდო, იცი“? თამაზი თხოვს ნანას წიგნს, ნანა არ აძლევს და თამაზი დედას ეუბნება, თითქოს ნანამ წიგნები გადაყარა. „რატომ გადააგდო?“ —ეკითხება მამა.

2, 9, 5; „იმითმ, რომ მე არ მომცა და გადააგდო“,—ასკვნის იგი.

2, 9, 5; „არა კობა, არ გავტეხავ შენსას. აი შეხედე კობა რა დავხატე? ნაჯახი“. თამაზს ფანქარზე წვერი მოუტყდა; ეხლა კობას თხოვს და თან არწმუნებს, რომ მისას არ გატეხავს. რაღაც მომრგვალებული დახატა კობას წიგნზე და ეუბნება ნაჯახი დავხატეო.

2, 9, 5; „კი არ დავბლაჯუნე, მე დახატვა მინდოდა და დავხატე“—„რატომ დაუბლაჯუნე კობას წიგნი?“—გაუჟავრდა მამა. ის კი თავს იმართლებს „დახატვა მინდოდა-ო“.

2, 9, 6; „ჩიტს ფრთები აქვს? კი. რატომ? ჰო, მამალს ფეხები აქვს? ფეხები? ჩიტს პატარა, პატარა ფეხები აქვს. დიდ გოგოს დიდი ფეხები აქვს. კიდევ ყურები, თავი და მძივები“. თამაზი თავისთვის ლაპარაკობს, კითხვებს სვამს და თითონვე პასუხობს.

2, 9, 6; „ფისო, აი ხმალი და ხანჯალი. იცი! ამით მოგკლავ. ხმალით, ხმალით, აბა გაჩერდი თუ ბიკი ხარ“. თამაზს აულია ორი დანა. დიდი (პურის) და უფრო პატარა. მივიდა კატასთან და უჩაველიტა პურის დანით, კატა გაიქცა და ისიც გამოეკიდა.

2, 9, 6; „მე ახლა ვიმღერებ: „იდიდე—მარადე ჩემო სამშობლო“... ნანა სწავლობდა ზეპირად საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს. თამაზი თავისთვის ლაპარაკობს და იწყებს სიძღერას, თავისებურად რითმავს „იდიდე მარადე“-ო.

2, 9, 6; „დედა, დედა, ის მინდა... ჩურჩხელა. ჩურჩხელა კი არა თავმოწყვეტილი, ჩამოკიდებული როა, თინა დეილამ რომ გამომიგზავნა“. ბავშვებს თინამ ეწმლისა და ქლიაეის ჩირი გამოუგზავნა, რომელიც კედელზე ჰკიდია სანზარეულოში. თამაზმა ვერ მოიგონა მისი სახელი; ხან ჩურჩხელას მიაშვავსა და ხან რას. კატაც იქვეა, ისიც იწვევს მალა, თითქოს უნდა ჩამოაგდოს. თამაზმა ეს შეამჩნია და დედას ეძახის.

2, 9, 6; „დედა, დედა, ფისო იმას ქამს, ჩამოკიდებული რო არის“.

2, 9, 7; „აი მე რა ვიპოვე, ჩოხა-ახალოხი აცვია ამას“. ხელში უჭირავს სურათი. პატარა სოფლელი ბიჭი, სახედარზე ზის. თამაზმა უჩვენა დედას სურათი და ეკითხება:

2, 9, 7; „ეს რა არის? (ქალამანზე) „ქალამანი“,—ეუბნება დედა. აბრუნებს სურათს მეორე გვერდზე. იქიდან არაფერი ჩანს.

2, 9, 7; „სადა აქვს მეორე?“—ეძებს გაკვირვებული მეორე ქალამანს, რომელიც აქვთა მხრიდან არ ჩანს.

2, 9, 7; „არა აქვს მეორე ქალამანი? მეორე სადაა?“

2, 9, 7; „ყური სადა აქვს? აი, მე მოვავლიჯე“— „რატომ ქენი, ცოდო არ არის?“—ეუბნება დედა. თამაზი ცეცხლში აგდებს სურათს.

2, 9, 7; „რა არის ცოდო, არ ეტკინება, არა“

2, 9, 7; „ნანა ჭიანჭური იცი რას ქვია? სკრიპკას, კაცი რომ უკრავს“. უხსნის ნანას სურათის შინაარსს, რომელზედაც კაცი უკრავს ჭიანჭურს.

2, 9, 7; „ჯან ერევან, ჯან. მე რუსული ვიცი. იცი მამი-კო“. „მერე ეგ რუსულია?“—ეკითხება მამა. „ჰო. ეზოში ანო მღეროდა“—ამბობს მეზობელ ქურთის გოგონაზე.

2, 9, 10; „საქათმეში შევძვრები და ქათმებს დავიჭერ“. თამაზი დილით ლოგინში თამაშობს. საბანი წაიხურა თავზე, იმალება.

2, 9, 10; „მე მელია ვარ: მელია კულა გრძელია“—ამბობს თამაზი. „მერე, კული სად გაქვს?“ ეკითხება ნანა, „აი აქ მაქ“. იკიდებს ლამის პერანგზე ხელს-და კულივით წევს განზე.

2, 9, 10; „იდიდე—მარადე, ჩემო სამშობლო, იდიდე—გმირთა კერა ხარ გაუქრობელი... კერა ხარ გაუქრობელი“. თამაზი დადის და თავისთვის მღერის.

2, 9, 10; „დედა, ნანა ფეხშიშველი დადის“. მიაქვს დედასთან ამბავი. „მერე რა, იაროს“—ეუბნება დედა (განზრახ).

2, 9, 10; „გაცივდება და ავად გახდება, იცი?“

2, 9, 10; „დედიკო, დედა, მე სკამიდან გადმოვარდი, აი აქ შეტყინა“. დღისით თამაზს ეძინა, უცებ წამოვარდა ტირილით და იყვირა „სკამიდან გადმოვარდი“-ო „მერე სად დავარდი?“—ეკითხება დედა, თან ამშვიდებს. თამაზი ყურადღებით იცქირება ირგვლივ და ამბობს.

2, 9, 10; „აი, აქ ლოგინზე“—ეტყობა ეს სიზმარი იყო.

2, 9, 10; „თუ ყველას ძინავს, მეც დავიძინებ“. დედამ გახადა და ჩააწვინა ლოგინში, მაგრამ ცელქობს და არ იძინებს. დედა ეუბნება: „ბავშვებს ყველას ძინავს: ნანას, რეზოს, კობას, თენგოს, ყველას ყველას“. ისიც წება და აძობს: „მეც დავიძინებო“.

2, 9, 11; „მე რომ კოჯორში ვიყავი, ვაშაკში ჩავწეი და მერე დავიღრჩე“. თამაზმა მოიგონა შემთხვევა ჰამაკში იწვა, აქანავებდნენ და უცებ გული რომ აერია.

2, 9, 11; „ბურთი, ბურთი რომ ახატია და ბეკეკა, „ნორჩი ლენინელი“. რა ახატია ბეკეკა და ბურთი“. თამაზი წიგნს თხოვს დედას. იგი ეკითხება: „რომელი წიგნი გინდაო“, თამაზიც უხსნის.

2, 9, 11; „ეს წვალება კი არაა თამაზია, თამაზი. მე შენ გვალერსები, იცი“. დედა წერს. თამაზი ეთამაშება, ზურგიდან სკამზე აღის და ხტება. დედა ეუბნება „ნუ მაწვალებო“.

2, 9, 11; „ბაბუა, მე დედა არ გამიწვალებია, არც ბებია, აბა კითხე? ხომ არ გაგაწვალე დედა? შენ ბებია?“ ბაბუა შემოვიდა და ყური მოკრა თამაზის და დედას საუბარს. თამაზს ეშინია ბაბუამ შენიშვნა არ მისცეს და თითონვე ასწრებს და ეკითხება დედასა და ბებიას.

2, 9, 11; „დედა, მე ქადი უნდა გამოვაცხო. აი, ავაზილე. შეხედე? მერე პატარა ტაფაზე გამოვაცხო, პატარაზე და ფისოს ვაჭმევ. აი, დედა ავაზილე, შეხედე“. თამაზს ბებიამ პატარა ცოპის გუნდა მისცა, მან იგი მოამრგვალა და პატარა ტაფაზე დასვა გამოსაცხოვად.

2, 9, 15; „მე ვხატავ მატარებელს, ტრამვაის. გინდა კობა ჩაგაჯინო? მხატველი ვარ, მე კობა მხატველი“. თამაზი ხატავს, თან კობას ესაუბრება. ხელში უქირავეს წიგნი და თითქოს კითხულობს.

2, 9, 15; „დახტის ბურთი. ფართი-ფურთი“.
აქ გამოტოვამთელი ტაეპი.

„მომავორე, მძურს მაგისი ფართი-ფურთი,
მომავორე მძურს მაგისი ფართი-ფურთი“.

აქ კორი სტრიქონია შერწყმული თითონში,

უნდა იყოს: ყვირის: მომავორე ბურთი
მძულს მაგისი ფართი-ფურთი“.

2, 9, 15; „ტილი ბომ, ტილი ბომ,
ტილი ბომ, ტილი ბომ,
ზაგარელსია კოშკინ დომ“.

აქ მეორე სტრიქონი ზედმეტადაა ჩართული.

2, 9, 15; „დედა, ჩემი შუბა, ჩემი შუბა. თოვლი. თოვლში ჩავიცვამ. თოვლი როცა მოვა ჩავიცვამ და წავალ. თოვლი როცა მოვა ჩავიცვამ და პიპიი. პიპ-იიი, პანხალი-იი“. თამაზი დაინახავს თავის ახალ ქურქს. უხარია, და ვინც შემოდის ყველას მიახარებს.

2, 9, 15; „მიაგ, მიაგ ფისუნამ,
შაქარი დაისუნა,
ტკბილიაო არ ჭამა
მაგრამ, ცოტა დასუნა“.

თამაზი ზის და თავისთვის ლაპარაკობს. ზეპირად ამბობს ლექსს, რომელიც ამას წინათ წაუკითხა ნანამ.

2, 9, 15; „აი ბუზი. პეპელა. მიაგ, მიაგ, ფისუნა
მხოლოდ ცოტა დასუნა მიაგ, მიაგ, ფისუნა,
უმარაიტ ზაიჩიკ მოი“.

თამაზი ხატავს და თან ლექსს აყოლებს. ეს ლექსი თავისე-ბურად გადააქეთა, და ბოლოში რუსული ლექსის ნაწყვეტი მიაკერა:

2, 9, 16; „მე არ ვიტყვებ, დედას არ გავაწვალე და მი-ყოღის. ის კაცი გამომიგზავნის. ბაბუა პორთფელში ჩაიდებს და მომიტანს“. დედა დაბრუნდა ბაზრიდან და თქვა: „შევხვდი ერთ კაცს, რომელსაც ბავშვის სამთვლიანი ველოსიპედი გაეკეთებია, მიხამართი გამოვართვი და ჩვენც ვუყიდოთ თამაზსო“. თამაზს გა-ეხარდა და მაშინვე ნახა გამოსავალი, როგორ მოუტანს ბაბუა მას. ბებია ეუბნება თამაზს, რომ: „თუ იტყვებ და დედას გააწვა-ლებ, არ გიყიდის“-ო.

2, 9, 16; „ასე შევფუდები და ასე გავაქროლებ“. თამაზი სულ ველოსიპედის შესახებ ლაპარაკობს. იგი წარმოიდგენს, რო-გორ ისეირნებს და ხელებით და ფეხებით აკეთებს სათანადო მოძრაობებს.

2, 9, 16; „ერთი კაცი ველოსიპედს გამიკეთებს და მე გა-მომიგზავნის“. თამაზი ეუბნება სახლში ყველა შემომსვლელს.

2, 9, 16; „მამა, ერთი კაცი გააკეთებს ველოსიპედს. შენ ხო მიყიდი? კი არ გავაჯავგრებ დედას“. ეუბნება სამსახურიდან დაბ-რუნებულ მამას.

2, 9, 16; „დედა, ლურსმანი მომე, ამით ჰაოპლანს გავაკეთებ. აი, ასეთ ჰაოპლანს“. თამაზმა იპოვნა ფიცრის ნაჭრები, მოსთხოვა დედას ლურსმნები და 3 ნაჭრისაგან გააკეთა „თვით-მფრინავი“.

2, 9, 17; „მერე შევჯდები და რარ, ასე გავაკატავებ“. დილით გაღვიძებისთანავე თამაზი ველოსიპედზე იწყებს ლაპარაკს. „შენ რომ იტირებ, მამა იმ ველოსიპედს თანჯარაში გადაგიგდებს“. ეუბნება ნანა.

2, 9, 17; „მე რომ მამა ველოსიპედს თანჯარაში გადამიგდებს, შენ მეორე გამიკეთეო, ვეტყვი იმ კაცს და კიდე გამიკეთებს“—უპასუხებს თამაზი ნანას.

2, 9, 20: „წყალი დამისხი, წყალი. ბევრი წყალი“—სვამს თამაზი წყალს, თან მუცელზე იდებს ხელს და ამბობს:

2, 9, 20; „მე მუცელი გამისკდა“.

2, 9, 20; „იქ წყალი კი არ არის, არ დეიდრჩობა“. თამაზი კატას აწვალებს. ბებია ეუბნება: „ნუ აწვალებ კატას, დეიდრჩობა“. ის კი პასუხობს: „წყალი რომ არ არის, რა დაანრჩობხო“.

2, 9, 20; „ღვინო მინდა, მომეცი ღვინო“. უფროსები სადილობენ. თამაზი ღვინოს თხოულობს. „არ შეიძლება“—ეუბნება დედა.

2, 9, 20; „თუ კი მინდა?“ „თამაზ, არ შეიძლება, გული აგერევა და დაიდრჩობი“—აფრთხილებს დედა, ის მაინც არ ეშვება. მას ცოტას უსხამენ ქიქაში წყალგარეულ ღვინოს.

2, 9, 20; „აბა ცოტა, ძალიან ცოტა“—ის სვამს და ამბობს.

2, 9, 20; „აი ხომ არ დევიზჩვი? არც გული ამერია“.

2, 9, 20; „ისევ ჩხავი შე საძაგელო? ხომ გავგადე? დედა, კატამ თქვა: მეთს არ გიზამო. შემოუშვა?—დედა ხორცს სკრიდნ სამზარეულოში. კატამ ჩხავილი მორთო. დედა ეუბნება და თამაზი კატას გარეთ აგდებს. ცოტა ხნის შემდეგ, თამაზი თხოვს კატის შემოშვებას. კატა ისევ კნავის.

2, 9, 20; „შენ კიდევ ყვირი? წადი ახლა“. თამაზი კვლავ გარეთ აგდებს კატას.

2, 9, 24; „ბებია, ჩემი და ნანას ქათმები ჩხუბობენ სახლში შემომიშვიო“. გარედან ისმის თამაზისა და ნანას ქათმების ხმა. თამაზი გარეთ გარბის, მერე ისევ შემოდის და ბებიას ეუბნება.

2, 9, 28; „დედა, შენ ფრჩხილი გაქვს? რად გინდა?“ ეკითხება თამაზი დედას, დედა შეუბრუნებს კითხვას და ეუბნება; „შენ რად გინდა ფრჩხილი?“.

2, 9, 28; „**იმითომ რომ მოვიფრჩხილო**“—უპასუხებს იგი.

2, 9, 28; „**ამას თავი კი არა აქვს, ხელის მოსაკიდებელი აქვს**“. თამაზს წინა საღამოს უყიდეს ველოსიპედი. იგი ალტაცუბულია. შეჯდა ზედ და აღარ ჩამოდიოდა, ბოლოს ძილის დრო მოუვიდა, თვალები ეხუქებოდა, მაგრამ მაინც არ ანებებდა თავს. მეორე დღესაც ზედ იჯდა, ერთი წუთით არ იშორებდა მხედველობიდან. ეხლაც დასეირნობს. უცებ წაექცა ველოსიპედი. ბებია ეუბნება. „**შენ ველოსიპედს თავი მოტყუდა**“. ის კი უპასუხებს, რომ „**ველოსიპედს თავი არა აქვს, არამედ ხელის მოსაკიდებელი**“-ო

2, 9, 28; „**არა! იმას გასაქენებელი აქვს**“. „**შენ ველოსიპედს თავი აქვს?**“ ეკითხება დედა. ცოტა იწინა შემდეგ თამაზი უპასუხებს: „**გასაქენებელი აქვს**“. მაშ შენ მას აქენებ? კიდევ ეკითხება დედა.

2, 9, 28; „**არა იხ ცხენი კი არაა, მანქანაა**“. პასუხობს თამაზი.

2, 9, 30; „**დედა, მე რომ დიდი გავიზრდები, თითონ ჩავიცვამ და წავალ სკოლაში?**“—თამაზი იღვიძებს და დედას ეძახის, ადგომას თხოულობს. დედა აცმევს.

2, 9, 30; „**ნანა, მე რომ წავალ სკოლაში, მასწავლებელი კი არ გამიწყრება**“—ამბობს თამაზი, ჩაუტმელი მირბის ნანასთან ლოგინში და ეუბნება ლექსად:

2, 9, 30; „**დინ-დინ მოვიდენ
დამაფარე საბანიო**“.

2, 9, 30; „**ქალაუ, შენმა მანდელმა
ჰაერში გაიფრიალა**“
შემდეგ მიაყოლა სიმღერა.

2, 9, 30; „**მიაგ, მიაგ ფისუნა
, აგრე რამ დაგაძინა?
სევდა მოგვემატაო
ფისო ფეხზე წამოხტაო
ლეკური დაუარა**“.

მღერის, მერე ცვლის ჰანგს და მღერის, ისევ ლექსზე გადადის. ეს ლექსი ნარევია I სტრიქონი სხვა ლექსს ეკუთვნის; II სხვას, და ბოლო 3 სტრიქონი სხვა ლექსიდანაა აღებული, ოღონდ არც ისაა ზუსტად დაცული. ზოგი ადგილი გადასხვაფერებულია.

2, 9, 30; „მგელი წაგიყვანს ბებია, მგელი“—ეუბნება ბებიას.
„მე კი არა, შენ წაგიყვანს მგელი, მე რომ მაჯავრებ ხოლმე“. ეუბნება ბებიას.

2, 9, 30; „არა ბებიკო! მე შენ არ გაჯავრებ. მე შენი ვარ“. ეყვრება ბებიას.

2, 10, 0; „შენთან მოველ დედი!“ თამაზმა დილით ადრე გაიღვიძა და დედასთან მისვლას თხოულობს. დედა ნებას არ აძლევს. თამაზი ცოტა ხანს ჩუმდება, მერე ეუბნება:

2, 10, 0; „დედი! დაიღალა ლოგინი. შენთან მოვალ!“ დედა ისევ უარს ეუბნება.

2, 10, 0; „აბა ნანასთან წავალ“. ისევ ქირვეულობს თამაზი. დედა დგება და ეუბნება: „თუ დაიღალა ლოგინი, მაშ ადექი“. დედა აცმევს.

2, 10, 1; „დედა, მომიყვები ამაში რა წერია“, მიაქვს დედასთან წიგნი, თხოვს წაუკითხოს.

2, 10, 1; „დედა, მომიყვები კვატები რას იძახიან“. დედა ეუბნება, როგორ იძახიან იხვები.

2, 10, 1; „დედა, მომიყვები იხვები როგორ იძახიან“. დედა უმეორებს. ეს მას არ ჰოწონს.

2, 10, 1; „იხვები კი არა, კვატები იძახიან ასე: კვატ-კვატ“. დედა უხსნის, რომ იხვები და კვატები ორივე ერთია და ერთნაირად იძახიან.

2, 10, 1; „ძროხა როგორ იძახის?“—არ ისვენებს თამაზი. დედა უპასუხებს.

2, 10, 1; „ბეკეკა როგორ იძახის?“—„მიაუ“—უპასუხებს დედა. „არა, შეეე-ეე“. უსწორებს თამაზი.

2, 10, 1; „ფისო როგორ იძახის?.. კვლავ კითხულობს იგი დედა ისევ შებრუნებით ეუბნება: „ამუს“ იძახის.

2, 10, 1; „არა, მიას იძახის“: „ამუს ძალღი იძახის?“—ამბობს თამაზი. ეხლა დედა ეკითხება: „აბა მითხარი თამაზ, მელთა როგორ იძახის?“ იგი დაფიქრდება და მერე ამბობს:

2, 10, 1; „მელთა არ იძახის, მიცუნცულდება“.

2, 10, 1; „დედა! კატახ თვალელები დაწვილი აქვს?“ ეკითხება დედას, „რა თამაზ“?

2, 10, 1; „დაწვილი აქვს თვალელები კატახ?“ დედამ მაინც ვერ გაიგო რას კითხულობს და კიდევ ეკითხება. ის ბოლოს უფრო გასაგებად ამბობს:

2, 10, 1; „დეეწვა კატას თვალეზი“? „არა“—უპასუხებს დე-
და და მაინც გაუგებარია მისთვის, რატომ აძლევს ამ კითხვას.

2, 10, 1; „ფისო უღვაშიანი ბალში დაეხეტება,
ბეკეკა კი რქიანი ფისოს უკან დაუყვება.
ჩაცუტკდება ფისო ძირს, თათით იბანს
ლამაზ პირს.

ბეკეკა კი არხევს წვერს, კობტასა და
ნაცრის ფერს“.

ამ ლექსს ავბობს, მაგრამ ცოტა დახმარება სჭირდება.

2, 10, 1; „ყიყლიყო მამალო,
ღამე არ გეძინება?
ღღე და ღამე რომ ყივი
ყელი არ გეტკინება?“

დახტის და ავბობს თავისუფლად.

2, 10, 1; „ინდაური გავაბრაზე
გაიფუყა, გაიბერა
გავიქეცი, გამომიდგა
ვერ დამიჭერ, ვერა, ვერა“.

ნანა და მისი ამხანაგები მოვიდნენ. ნანა თავს იწონებს და
ათქმევინებს თამაზს, რა ლექსებიც იცის. თან სიმღერებსაც ამ-
ღერებს.

1. ყვავილების ქვეყანავ (სიმღერა)
2. შიავ, შიავ, ფისუნავ (ლექსი)
3. ქალაუ შენმა მერდინმა (სიმღერა)
4. საროკა ბელაბოკა (რუსული ლექსი)
5. ციცუნია, შე მსუნავო
6. ციცუნია კატაო, ეგრე რამ დაგხატაო?
და სხვა.

2, 10, 2; „ციცუნია, შე მსუნავო, ჩამოშორდი თაროს,—
თორემ ეხლავ დავუძახებ ცეგრუმელა მაროს.
შიავ, შიავ იქით, იქით, თორემ დაგკარავ თითსა“.

2, 10, 2; „ლორმუცელა ამუ, ამუ დაგიყენებ თვალსა,
ბრაზობს მურა იღრინება, ფისოს ემუქრება
ფისუნა კი არხეინად ხორციოთ ილუკმება“.

დილით გაღვიძებისთანავე ავბობს ამ ლექსს ზეპირად, რო-
მელიც ნანამ ასწავლა რამდენიმე დღის წინ.

2, 10, 2; „ციცუნია კატაო, ეგრე რამ დავხატათ?
ნუ ხარ ჩემზე გაბუტული, სევდა მოგვემატაო,
ფისო თავმომწონეო, მიაგ გავგავაგონეო.
ფისო ფეხზე წამოხტა ლეკური დაუარა“.
მერე ცოტა ხნის შემდეგ ამ ლექსს მიაყოლებს.

2, 10, 2; „არა! იქ ხე არაა“—მამამ წაიყვანა პიონერთა ბაღში. ღრუბლიანი დღე იყო. თამაზი ხის ქვეშ თამაშობდა. მზემ გამოანათა ღრუბლებიდან და მამამ უთხრა „მანდ ცივა, აქეთ გამოდიო“ და მზეზე გამოიყვანა. სახლში რომ დაბრუნდნენ, თამაზმა დერეფანში დაიწყო ველსიპედით სეირნობა. დედამ უთხრა: „ოთახში შემოდი, მანდ ცივაო“, ხოლო თამაზმა უპასუხა: „არა იქ ხე არააო“. დედამ ვერ გაიგო, რა უნდოდა `ეთქვა და უხსნის: მანდ ცივა და ოთახში შემოდიო. თამაზი ისევე უპასუხებს.

2, 10, 2; „იქ ხიციფე არაა, იქ ხე არაა“. ე. ი. როცა პიონერთა ბაღში უთხრა მამამ „ხის ქვეშ ცივაო“, მან ეს გადმოიტანა აქ დერეფნის მიმართ.

2, 10, 2; „დედა! თოკი მოაბი კულზე და დავიჭიროთ ჩიტ“.
ჩიტი შემოფრინდა ღია ფანჯარაში. თამაზი ეხვეწება დედას ჩიტის დაჭერას, „შენ მოაბი“: ეუბნება დედა.

2, 10, 2; „მე ვერ მივწვდები შორსაა“. უპასუხებს თამაზი. ამ დროს ჩიტი უკან გაფრინდა, თამაზი გულდაწყვეტილი უცქერს და ამბობს: „გაფრინდა, რატომ არ მიაბი? ხომ გაფრინდა“.

2, 10, 2; „დემონსტრაცია, დემონსტრაცია, დემონსტრაცია“
დარბის და იძახის. დედა ეკითხება „რა არის დემონსტრაცია?“
თამაზი უყვება 3 დღის წინათ—7 ნოემბრის დღესასწაულზე მიღებულ შთაბეჭდილებებს, სადაც ბაბუამ წაიყვანა ბავშვები.

2, 10, 2; „მე ვიყავი დემონსტრაციაზე, ბაბუამ წამიყვანა.
ბურთი მიყიდა, წითელი ბურთი. კობას ლურჯი უყიდა. მე ის გამიხკდა, გამივარდა და გასკდა. მერე ბაბუა კიდევ მიყიდის ბევრ ბურთებს. მე კი არ ვიტირე. მერე ბაბუა რომ მიყიდის ბევრ ბურთებს, მამიკოს გაჩვენებ. აჰა“.

„იქ ბევრი ხალხები იყო დემონსტრაციაზე, ბევრი ჯარისკაცები და ტანკები და მანქანები. პიონერები დოლებს უკრავდნენ. იქ ძია ლენინი იყო, და ძია სტალინი იყო აჰა, იძახდნენ: „გაუშარჯოს ძია სტალინს, ვაშა, გაუშარჯოს ძია სტალინს, ვაშა. მერე ველოსიპედებით გაიარეს ბიჭებმა. დედა, მე რატომ არ გამატანე

ველოსიპედი, მეც მინდოდა ველოსიპედით წასვლა, რომ მინდოდა რატომ არ გამატანე ველოსიპედი, ჰაა?"

2, 10, 2; „აკრატელი, მაკრატელი მე ვარ კოკროჭინატელი, თუ ის ცხენი მომიკვდება, პურს არა ვჭამ სამ წელიწადს

კაკლის მეტხა, ხორცის მეტხა,
გაშტკიცული... მეტხა“.

ამ ლექსის პირველი ტაეპიდან მარტო პირველ სტროფს ამბობს, დანარჩენს ტოვებს. 11-ე ტაეპიდან 1 სტრიქონში ბოლოა გადაადგილებული. კაკბის მაგიერ „კაკლის“ ხმარობს, ბოლო სტრიქონშიც გამოტოვა სიტყვა „პურის“. მერე მოაბამს სიმღერას: „დალი დალაღე, დალი დალაღეო“.

2, 10, 4; „დამაცადე როგორ აგატრიალო,
ნახე შენი ტანსაცმელი საით გავაფრიალო.
ჩახ, ჩუხ, გადაეშვა წყალშია,
გაიხადა ტანსაცმელი, გადაეშვა წყალშია,
ენვეწება მურია, ჩქარა ზურია მომეწეინა,
გადაეშვა წყალშია, არ მიგონებ?
დამაცადე როგორ აგადრიალო“...

ეს ლექსი თავიდან ბოლომდე კარგად იცოდა ზეპირად. დღეს ხელში უჭირავს ფოლადის ერთ მეტრიანი ხეეულა საზომი (რულეტი), იმას ათამაშებს და ლექსს ამბობს.

ამ ლექსს იგი ამბობს დამახინჯებულად; სიტყვებს ცვლის, გადაადგილებს, ტოვებს, კვეცავს.

2, 10, 4; „ვაშა, ვაშა, ძია სტალინს გაუმარჯოს.
ურაა, გაუმარჯოს ძია სტალინს.
ვაშაა, ვაშაა, ვაშაა“.

ხელში უჭირავს წითელი ღროშა, დადის აივანზე და ხმამაღლა იძახის.

2, 10, 4; „ყვავილების ქვეყანა,
ჩოქრით შემოვფარე,
რომ მითხარი მოვალო
რისთვის დაგვინეე“.

მღერის მის საყვარელ სიმღერას, მელოდიას არ ამახინჯებს.

2, 10, 4; „დედა! რატომ სვამ ამდენს? რატომ დალიე ამდენი? მაშიკო აგრე არ შვება!“ თამაზმა მოთხოვა დედას ღვინო.

დედამ დაუსხა ცოტა ღვინო და გაურია წყალი. გასინჯა (მაგარი ხომ არ არისო) და ისევ დაუმატა წყალი. თამაზი ამას აღწევნებს თვალყურს, არ მოეწონა და დედას შენიშნავს აძლევს. „აბა მამიკო როგორ აკეთებს?“—ეკითხება დედა.

2, 10, 4; „დაახხამს ღვინოს, მერე წყალს ჩაახხამს და მერე მომცემს მე“. აბა, აძლევს დედა ჭიქას. თამაზი გამოართმევს, მიიტანს პირთან, უკანვე აბრუნებს და ეუბნება:

2, 10, 4; „რომ არ მიგვიჯახუნებია?“—დედა იღებს მეორე ცარიელ ჭიქას და უნდა მიუჯახუნოს, მაგრამ თამაზი არ ეთანხმება.

2, 10, 4; „გავსე!“ არის შიგ—ეუბნება დედა და ხელით ფარავს ჭიქას. „ეხლა მივაჯახუნოთ“, და გახარებული თამაზი უჯახუნებს ჭიქას და სვამს.

2, 10, 5; საუზმის შემდეგ დედასა და თამაზს შორის გაიმართა ასეთი დიალოგი:

„დედა ჩიტი ფრინავს?“ დედა უპასუხებს: „კი“.

„შაერი ხომ არ ფრინავს?“—„არა“.

„ქათამი ფრინავს?“—„კი“.

„რატომ ფრინავს ქათამი?“—„იმიტომ, რომ ფრთები აქვს.“

„რატომ აქვს ფრთები?“—„იმიტომ რომ იფრინოს.“

„პირი რატომ აქვს?“—„რომ ჭამოს.“

„თავი აქვს?“—„კი“.

„დედა, დედა, ფისო შეჭამს ჩემ ქათამს?“—„ვერ შეჭამს შეილო“. ამშვიდებს დედა.

„რატომ?“—„იმიტომ რომ ქათამი დიდია“ (თამაზის ქათამს კატა ეთამაშება. მას შეეშინდა კატამ არ შეჭამოსო).

„აბა კუდს შეუჭამს, აი იყავი ახლა ასე“. თამაზმა ქათამი გალიაში შესვა და გადუკეტა ჭარები.

2, 10, 5; „წამოვდექი გავაზდექი,

შალე-შალე-გადაშალე

კალე-კალე—კანკი-კალე“.

ადის ლოგინის მოაჯირზე, გარედან ხტუნაობს თან ლაპარაკობს; თავისთვის რითმავს რალაცას.

2, 10, 5; „დედა, მიშველე, მამა შეფხანებს“. მამა ეთამაშება, მას ელიტინება და იცინის და დედას ეძახის მოეშველოს.

2, 10, 5; „აქ არ არის სიცხვე, აქ ხე არაა, სიცხვე ბალშია და ეზოში. იქაა ხეები“. დედამ აბანავა, შეახვია საბანში და ეუბნება: „ხელები არ ამოსწიო, თორემ გაცივდები“. ის იგონებს

რამდენიმე დღის წინანდელ საუბარს სიცივისა და ხის შესახებ პიონერთა ბაღში.

2, 10, 5; „მომეცით ჩემი ვერცხლის ჩანგალი, ელიკო დეი-
დამ რომ მაჩუქა“. თამაზს დედა უმზადებს სადილს. იგი მაგიდას-
თან ზის და თხოულობს ჩანგალს.

2, 10, 5; „ნანა, უყურე ჩანგალი მაგნიტი ყოფილა, პური-
აილა. მაგნიტია უყურე!“ ნანამ მოიტანა ამას წინათ მაგნიტი და
თამაზი იმით ერთობოდა.

2, 10, 6; „ვეფხვი მყავდა ვეფხვი ჰედილა,
უნაგირი შეჰედილა,
თუ ის ვეფხვი მომიკვდება,
სამ წელიწადს პურ არა ვჭამ,
კაკლის მეტხა, ხოხბის მეტხა
გამტკიცული შოთის მეტხა“.

თამაზი ათვალეირებს წიგნს. ნახავს ვეფხვის სურათს და ამ
ხალხურ ლექსს, რომელიც ცხენზეა ნათქვამი გადააკეთებს და სა-
დაც უნდა იყოს „ცხენი“ იქ სვამს „ვეფხვს“.

სიტყვა „კაკლის“ მაგიერ ისეუ „კაკლის“ ხმარობს.

2, 10, 6; „ბაბუა, ბევრი ბურთები, ბევრი სამოკატკები მი-
ყიდე“. ბაბუა სამსახურში მიდის, თამაზი აცილებს და აბარებს
რა უყიდოს. „ერთი ლექსი მითხარი ჩემო თამაზ, ან ლაღე მიმ-
ღერე“, თხოვს ბაბუა.

1, 10, 6; „არ ვიცი მე ლაღე—არ ვიცი“—უარს აცხადებს
თამაზი. „მე გასწავლი“ ეუბნება დედა.

„არა! მე ვიცი“—ამბობს თამაზი და იწყებს სიმღერას:

„ლაღე-ლაღე, დამლი დალაღე,
ერთ ვარსკვლავში შენ შეგნიშნე,
გოგოვ გენაცვალე“.

2, 10, 6; „ხომ გითხარი ბაბუა, ეხლა დიდი „სამაკატკა“ მი-
ყიდე“. თხოვს თამაზი გლუსუნის მსგავს საგორაოს, რომლითაც
მეზობლის ბიჭები დასრიალებენ ხოლმე ფილაქანზე.

2, 10, 6; „დედა! მიზა ბიძიას რამდენი ორდენები აქვს ნა-
ხე?“—თამაზის ბიძა, სტუმრადაა ჩვენთან, იგი სამამულო ომის
მონაწილეა და მართლაც ბევრი ორდენი და მედლები აქვს
მკერდზე.

2, 10, 6; „მამა! სადაა შენი ორდენები? სადაა?“—მიუბრუნ-
და და ეკითხება მამას.

2, 10, 7; „ღეღიკო, იცი რა მიყიდე? სოსკა (საწოვარა) მიყიდე“—ღეღა მიდის ბაზარში, თამაზი აბარებს. —კი. მაგრამ რად გინდა?“ ეკითხება ღეღა.

2, 10, 7; „წყალხ ჩაეახხამ და გავებრავ, ერთი ზე. ერთი ნანახ, ერთი კობახ და ერთი რეზოხ“—თამაზაა წინა დღით ეზოში ნახა ბიჭებმა როგორ გაბერეს საწოვარა წყლით და ეხლა თითონაც მოისურვა.

2, 10, 7; „ღეღა, ამუნია დიდი რომ გაიზრდება მიკბენს? პატარა კი არ მიკბენს“—იგი ეთამაშება პატარა ლეკვს, თან ღეღას ესაუბრება.

2, 10, 7; „ღეღა! ჩვენ სად წავალთ? ვისი თამაზისთან? ერეკლე ბიძიასი? სადაა მისი სახლი, იქ კიდევე ვინ არი? აგი? რატომაა იქ აგი?“—ღეღა-და მამა აპირებენ თავის მეგობართან წასვლას თამაზიც მიყავთ, მის პატარა მეგობართან დღეობაზე. თამაზს უხარია და აძლევს უამრავ შეკითხვებს.

2, 10, 8; „რეზო! მოდი ბურთი ვითამაშოთ. ეს ჩვენი იყოს, ესეც ესეც. და ეს სიმალღეებიც“. თამაზი ემზადება ბურთის სათამაშოდ და ანაწილებს როლებს და საგნებს.

2, 10, 8; „მე მქონდა რიორველი, თეთრი და წითელი ფანქარი, რომ გევისროლებდი ჩახ, ჩახ, ჩახ“—უყვება რეზოს, როგორ ღებდა ფანქრებს ლულაში და ისროდა ხოლმე ტყვიის მაგიერად.

2, 10, 8; „მე და ყურშა ხაზღვარზე
სადარაჯოდ მივდივართ.
ყურშა ორი წლიხაა
მე იმაზე დიდი ვარ“.

თამაზი მარტოა ოთახში და თავისთვის ამბობს ამ ლექსს. დაფიქრებული ზის, მერე გაიქცევა ღეღასთან და ეკითხება.

2, 10, 8; „მითხარი ღეღა, ყურშა რა არის?“—„ძაღლის სახელია შეილო“—ეუბნება ღეღა.

2, 10, 8; „მე შეგონა კირშა“—ამბობს თამაზი სხარტად.

2, 10, 8; „ეს მელიას კული ხად იყო? ვინ მოგცა?“—ღეღამ ბეწვი იყიდა პალტოსათვის, თამაზი უტრიალებს გარშემო და აძლევს შეკითხვებს. „მე მქონდა“—ეუბნება ღეღა.

2, 10, 8; „არ გქონდა, ვინ მოკლა მელია?(მონადირემ), ხადაა მონადირე? (თავის სახლში), მონადირემ მოკლა და შენ გამოგვიგზავნა? (პო), აი მალადეც“—ამბობს დაკმაყოფილებული თამაზი.

2, 10, 13: ჩიკა, ჩიკა მალულა,—
აქ რამ მოგაცუნცულა?
რაფუ, რაფუ რაფურა
სადარაჯოთ მივდივარ

ახალი წიგნი უყიდეს, ათვალეირებს, ვითომ კითხულობს. იგონებს ნაწყვეტებს სხვადასხვა ლექსებიდან და ლექსავს. აქ პირველი სტრიქონი სხვა ლექსის ნაწყვეტია, 3 სტრიქონი კი თავისი შეთხზულია.

2, 10, 13; „კილაობას რა უნდა?—
ფეხის გამოკვრა უნდა.
ბურთაობას რა უნდა?
ფეხის წამოკვრა უნდა“.

იწყებს ხალხურ ლექსს. მერე იგივე გადააქვს ბურთზე მხოლოდ „გამოკვრას“ მაგიერ ამბობს წამოკვრას.

2, 10, 13; „დედა თევზს სისხლი აქვს“?—დედა თევზს რეცხავს, სადილს ამზადებს. თევზი რომ გაქრა, სისხლი შეამჩნია და თამაზი დედას ეკითხება თუ აქვს თევზს სისხლიო, დედა პასუხობს, „კი“—მერე სხვაზე გადააქვს იგივე კითხვა.

2, 10, 13; „ქათამს აქვს სისხლი?
ინდაურს აქვს სისხლი“?

დედის დადებითი პასუხით კმაყოფილდება.

2, 10, 13; „კობა იცი! თამაზი,—ერეკლე ბიძიას თამაზი, ასე ამბობდა, ხალხებო, მოდიოთ ჩემთან ზალხებო, მოდიოთ, აგი—გიგიო მოდიოთ ჩემთან. მოიტანეთ ჩემი საჩუქრები. იქ აგი-გიგიო იყო იცი?“ უამბობს კობას თავისი ამხანაგის დღეობაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს.

2, 10, 16; „ჩემი დედა. ახალი დედა, კარგი დედა. ლამაზი დედა. კოხტა დედა. ჩემი დედა. ჩემი დედა“. თამაზი ეალერსება დედას და იგონებს აუარებელ საალერსო სიტყვებს.

2, 10, 16; „რას, დვა, ტრი, ჩეტირე, პიატ—
1. მოკვდა კურდღელი ყურებ ცანცარა,—
უმირაიტ ზაიჩიკ მოი,
პის, პახ, ოი, ოი, ოი“.

თამაზი ზის თავის მაგიდასთან, ათვალეირებს რუსული ხალხური ზღაპრების წიგნს და ამ ლექსს აბზობს. ეს ლექსი რუსულად

სწორად იცის, მაგრამ ახლა რუსულს ქართულად ამბობს ახალი ვარიანტით, თავისით გადააკეთა. განაგრძობს სიმღერას თავისთვის.

2, 10, 16; „ყვავ, ყვავ ყვანჩალა, —
წუწკი მელა მომკვდარა,
წადი და ქამე“.
„ყვავ, ყვავ ყვანჩალა,
აქ რამ მოგაჩანჩალა“.

II და III სტრიქონი გადაასხვაფერა.

2, 10, 16; „არმიელები მოდიან
მწკრივში დაწყობილები.
ბუჰ, ბუჰ, ჩვენი რაჰმი
კარგად მიდის ყველაზე“.

ბოლო ორი სტროფი ისევ გადასხვაფერებულია.

2, 10, 16; „გავფრინდებით მე და კობა,
ვიფრინავებთ ეზოში“.

ამბობს ლექსად იმავე რიტმით, როგორც ეს წინა ლექსშია. თვითონ თხზავს.

2, 10, 16; „დედა, გოგო რომ გასრიალდება „სამაკატკით“
გადავარდება?“ — ეუბნება დედას თამაზი. „ბიჭი?“ ეკითხება დედა.

2, 10, 16; „ბიჭი, კი არა!“ — „რატომ არ გადავარდება ბიჭი?“
ეკითხება დედა.

2, 10, 16; „იშიტომ რომ მისრიალებს“ — „გოგო არ მისრია-
ლებს?“ ისევ ეკითხება დედა.

2, 10, 16; „არა! გოგო მირბის“ — დაბეჯითებით უპასუხებს იგი.

2, 10, 16; „თამაზმა სოფელში წაიღო თავის მოტოციპლეტი,
დააყვირა და ქათმებმა დაიძახეს: კაა-კა-კა-კა, ვახ-ვახ კვატებმა;
მე დავიყვირე ასე: დუ-დუ-უუუ და გაიქცა ძაღლი, ხო და თამა-
ზი არხეინად მისრიალებდა“ — მამა დაპირდა თამაზს „შენი ვე-
ლოსიპედით სოფელში წაგიყვანო“. იგი აღგენს გეგმას, თუ რო-
გორ ისეირნებს სოფელში და როგორ. შთაბეჭდილებას მოახდენს
მისი ველოსიპედი, რომელსაც „მოტოციპლედს“ უწოდებს.

2, 10, 17: „ჩიტო, ჩიტო, ჩიორა,
აგრე რამ მოგაწყინა?“

შეხტი ფრთები გაშალე,
დაუარე ჩქარ-ჩქარა“.

ზის თავის ნაგიდასთან, ათვალეერებს წიგნს და ლაპარაკობს თავისთვის. ეს ლექსიც „ნარეგია“ სხვადასხვა ლექსებისა: I სტრ. „ჩიტი ჩიორადანაა“, მეორე თავისი საკუთარი შეთხზულია; .

2, 10, 17; „აჩუ, აჩუ, ცხენებო,
მამიდასთან მივიჩქართო,
გასწით კულმოსაქრელებო.“

III და IV „ყვაო ყვანჩალას“ ნაწილია. ისევ განაგრძობს „ლექსაობას“.

2, 10, 24; „იცო ომარიმ რა ქნა? ჩიტაიმ კი არა, ეზოში რომ არი, დედა რომ ყავს, ეხროლა ქვა ფანჯარას და გატეხა. მოხვდა და გატეხა“. უამბობს დედას ეზოში მომხდარ ამბავს.

2, 10, 24; „იცო ბაბუა! მე და რეზო და კობა და ნანა კინოში ვიყავით. აბა, იქ ბიჭები, ჩხუბობდნენ. მერე წააქცია და მოკლა. მერე ცხენით გაიქცა“—დედამ ბავშვები წაიყვანა კინოში „აკაქის აკვანზე“. როდესაც იქიდან დაბრუნდნენ, თამაზი უამბობს ბაბუას სურათიდან მიღებულ შთაბეჭდილებას.

2, 10, 25; „ბაბუა! ჩვენ კინოში ვიყავით. მერე იქ დაღამდა, მერე ეინთო, მერე იქ ნანიკო დავინახე და ნიაც იყო სურათში; მერე იქ ბიჭები მოკლა ერთმა კაცმა. იმ ბიჭს რა უქნეს კომბი რომ ამოუვიდა ბაბუა იცი? იოდი კი არ წაუსვებს. დედა, რა დაადებს იმ ბიჭს? (ფული შაურიანი), ჰო ფული“. მეორე დღეს ისევ უამბობს ბაბუას სურათის შესახებ.

2, 10, 27; „დედა! ნუ წახვალ გეხვეწები რა, ნუ წახვალ. აბა რას მომიტან? მიყიდე წითელი ცხენი, თამაზის რო ქონდა, ერეკლე ბიძიას თამაზის. ხომ მიყიდი?“—დედა მიდის ბაზარში. თამაზი არ უშვებს, მერე თხოვს ისეთი ცხენი უყიდოს, როგორიც მისი მეგობრის დღეობაზე ნახა; ძალიან მოსწონს და ხშირად იგონებს ხოლმე.

2, 10, 27; „დედა! თინა დედა რომ ჩამოიყვანს დიანას, და შენ რომ მოტოციბლეტს მიყიდი, ბაიას ჩავხვამ მოტოციბლეტში. მე მოვაჯღღები და რარ... გავაქანებ იცი?“—უამბობს გატაცებით დედას, როგორ ასეირნებს თავის პატარა დეიდაშვილს მოტოციკლით.

2, 10, 27; „უი, ბურთი. მე არ დავიძინებ. უნდა ვითამაშო ამით. კობა ამით „ბასკეტბოლი“ კი არ ითამაშება, იხე უნდა ნე-228

ლა, რომ არ გასკდეს. ჭერში რომ მოარტყა გასკდება—სალამოს, ძილის წინ ბაბუა მოვიდა და მოუტანა დიდი წითელი ბურთი. ძალიან გაეხარდა, აღარ აპირებს დაძინებას, თან კობას აფრთხილებს ბურთს ფრთხილად მოეპყრას, რომ არ გაუსკდეს—„აბა მიახეთქე ჭერზე“—აქეზებს კობა.

2, 10, 27; „მე ხომ პატარა ვარ, იმას როგორ მივწვდები?“

2, 10, 29; „დედა იცი, ჩვენი მეხუთე კლასელები კოჭაობას თამაშობენ. მე რომ დიდი ვიქნები ხანჯალს ავიღებ და ჩახ-ჩახს, მოვკლავ მოთამაშე ბიჭებს“. სკოლიდან დაბრუნებული მისი დეიდაშვილი კობა და რეზო ყვებიან სოღმე „მეხუთე კლასელების“ ცელქობაზე. თამაზი აქამდე ყურს უგდებდა. ახლა კი თვითონაც იბეორებს ნათქვამს და ისე ამბობს თითქოს უშუალო მონაწილე იყოს ამ ამბის.

2, 10, 29; „ბაბუ იცი! ბიჭები რომ ჩხუბობდნენ ქუჩაში მე მიგედი და ხანჯლით დაეარტყი, იცი?“—უამბობს ბაბუს თავის ფანტასტიკურ გმირობას. „სად იყო ეს ამბავი საყვარელო?“ ეკითხება ბაბუა. „ჩვენ სკოლაში“ უპასუხებს თამაზი დინჯად. თითქოს მართლა მოადა ეს ამბავი.

2, 10, 29; „დედა! ბაიას ფეხები აქვს? სიარული იცის? კბილები აქვს? ლაპარაკობს? ბები ირინასაც აქვს ფეხები? სიარული იცის? კბილებიცა აქვს? მერე რატო არ ლაპარაკობს?“—ეკითხება დედას თავის დეიდაშვილზე და მერე გადააქვს იგივე კითხვები მეზობლის გოგონაზე, რომელიც დინას ტოლაა.

2, 11, 3; „უი, რა ლამაზი ღილი! ჩემი იყოს. ამას ჩემ პალტოზე დამიკერებ. ჩემ წითელ პალტოზე დამიკერებ. უი რა კარგია“. თამაზმა იპოვა წითელი ღილი, ძალიან გაეხარდა და დედას ეხვეწება პალტოზე დაუკეროს.

2, 11, 3; „ეს ჩემი ღილია, შენ რატომ დაიკერე ნანიკო?“—ჩამდენივე ხნის შემდეგ მან შენიშნა ისეთივე ღილი ნანას კაბაზე და უჯავრდება. მას თავისი ნაპოვნი ღილი ეგონა.

2, 11, 3; „მტკივა, ჩამოვიტკინე იქ სკამზე“—თამაზი სკამიდან ჩამოვარდა, ფეხი ჩამოკრა. ეტკინა და ტირილი დაიწყო. დედა ეკითხება—„რა იყო?“—ის კი უპასუხებს „ჩამოვიტკინე“ ამოკვრის მაგიერ.

2, 11, 3; „დაიცა, ეხლა მოვიქცევი, ეხლა მოვიქცევი“. დედა აცმევს ტანსაცმელს. თამაზი გაექცა. „სად გაიქციე? მოდი თორემ მე წავალ და შენ დაგტოვებ“—ეუბნება დედა. ის კი უპასუხებს: „ეხლა მოვიქცევი“—ამბობს მოსვლის ნაცვლად.

2, 11, 3; „მე ეგ სიტყვა არ ვიცი, შენ რომ ამბობ. ეგ სიტყვა არ ვიცი“. სეირნობიდან დაბრუნდნენ. დედამ თქვა: „რას იცხება“. თამაზს ეგონა დედა მას ეუბნებოდა და უპასუხა: „ეგ სიტყვა არ ვიცი-ო“.

2, 11, 6; „უყურეთ როგორ დევიხატო? აი უკვე დევიხატე. მამა, ბაბუა, მიყურეთ როგორ დევიხატე“. თამაზს უნდა წიგნში ისიც იყოს დაბატული. იღებს წიგნს, შლის, დებს იატაკზე და დგება ზედ ფეხებით. მას ჰგონია, რომ ისიც დაიხატება წიგნში.

2, 11, 6; „ჩვენი ტყის მეგობრები
დათვი, კურდღელი, მელა
ამ ნაძვის ხის გარშემო,
ფერხულს უვლიან ყველა“.

დადის ოთახში და თავისთვის მღერის ამ ლექსს.

2, 11, 9; „მე! კარგად, თქვენ როგორა ხართ?“ — მამა დაბრუნდა სამსახურიდან, თამაზი შეეგება. მამა ეუბნება: „გამარჯობა, როგორა ხარ?“ ის უპასუხებს: „კარგად“ და თვითონვე უბრუნებს კითხვას. მაგრამ უკვე „თქვენობით“ ეუბნება. ისიც პასუხობს მერე გარბის დედასთან და ეუბნება: „მე და მამა შევეჩხუბეთ ერთმანეთს“, ე. ი. ამ დიალოგს „შეჩხუბება“ უწოდა.

2, 11, 9; „დიდი მგოსანი შოთა—რუსთაველი“—თამაზს აჩუქეს თ. თუმანიშვილის წიგნი „ჩემი სიხარული“, ძალიან მოსწონს, დაუსრულებლად აკითხებს ნანას, დედას და ყველას ვინც სახლშია. ეხლაც ათვლიერებს. გადაუშლია გვერდი, სადაც შ. რუსთაველის სურათია და მამას, ეკითხება: „აქ რა სწერია?“ „დიდი მგოსანი შოთა რუსთაველი“—ეუბნება მამა. ისიც იმეორებს. ცოტა ხნის შემდეგ მამას მიმართავს: „მამა, დიდი მგოსანი თამაზი ავალიშვილი, დიდი მგოსანი მამა ავალიშვილი“. სურათს ქვემოთ უწერია: შოთამ თქვა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“. ეხლა ეს წააკითხა ნანას. „აქ რა სწერია ნანიკო?“ ნანა კითხულობს, ის იმეორებს: შოთამ თქვა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. იმეორებს თავისთვის რამდენჯერმე. ამ დროს ბაბუა შემოვიდა, ყური მოკრა და ეკითხება: „რა თქვი თამაზ, რა?“. „მე ვთქვი? არა, შოთამ თქვა:“ „ვინ არის შოთა?“ არ ეშვება ბაბუა. „დიდი მგოსანი შოთა რუსთაველი“. უპასუხებს ის.

2, 11, 9; შავო ხბოვ, სხვის წყალზე ნუ გადახვალ, თუ გადახვალ ხის თოფს დაგარტყამ“. ფურცლავს ხალხური ლექსების წიგნს, სადაც სწერია:

„შავო ხბოვ, შავო ხბოვ!
ნუ გადახვალ სხვისასა,
თუ გადახვალ სხვისასა
თოფს ღაგარტყამ ხისასა“.

თამაზმა კი ასე გადაასხვადურა.

2, 11, 10; „ეს ვირი ძაღლმა შემიქამა,
დავჯექი და ვტირი, რა გატირებს?

ვირი შექამა ძაღლმა“—იქვე არის მეორე ხალხური ლექსი დასურათებული—ბიკი ტირის: „ვირი მგელმა შემიქამა დავჯექი და ვტირი“. ასე სრულდება ის ხალხური ლექსი. თამაზმა სურათზე მხოლოდ ეს ბოლო ტაეპი მოიგონა, ხოლო მგელი ძალით შეცვალა.

2, 11, 10; „გამარჯობა, როგორა ხარ? კარგად, შენ როგორა ხარ? მადლობთ კარგად. ჩვენ არ ვჩხუბობთ, ისე ვლაპარაკობთ“—თამაზი მარტოდ ესაუბრება თავის თავს, სვამს კითხვებს და თვითონვე პასუხობს.

2, 11, 13; „ბაღჩა ბაღის ვარდო—
ბუღკო პურის ნაქერო,
ბევრი, ბევრი იცეკვეო“.

2, 11, 13; „აყვავდი ტურფა ქვეყანა,
იღბინე ქართველთ მხარეო,
მხარე, მხარე
სწავლითა გაახარეო“.

მღერის თავისთვის სიმღერას, რომელსაც დეიდა თინას ამხანაგი უმღეროდა ხოლმე.

განაგრძობს თავისთვის, სიმღერის ბოლო სტრიქონს ველარ იგონებს, მაგრამ რიტმს მაინც იცავს.

2, 11, 13; „ყიყლიყო მამალო,
ღამე არ გეძინება?
როგორ არ მეძინება,
კი მეძინება;
თქვენ უნდა გაგაღვიძოთო“.

აიღო ხელში წიგნი, შიგ მამლის სურათს ქვემოთ ლექსი წერია. იწყებს „კითხვას“, ლექსი კი იცის ზეპირად, მაგრამ ამგვარად ცვლის-

2, 11, 13; „ბებია, გახსოვს? მე რომ ბაბუას ხამსახურში ვიყავი, დედამ რომ წამიყვანა, იქ ეთერი დეიდა იყო და მე შოკოლადი ნაქანა, გახსოვს?“—იგონებს და უამბობს ბებიას რამდენიმე დღის წინ მომხდარ ამბავს.

2, 11, 13; „დედა, ანთე შუქი! არა, დედა შუქი ტუესმა ჩააქრო, ტუესმა. ტუესი ზევით ცხოვრობს? მაღლა?“. საღამოზე შუქი აინთო, ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩაქრა. ტელეფონით გამოირკვა, რომ თელასმა გაშორთო, რაღაც დაზიანებდაო. თამაზმა გაიგონა და კითხულობს: „ვინაა ტუესი და ზევით ხომ არ ცხოვრობსო“.

2, 11, 13; „დედა! შუქი მოვიდა, ტუესმა ანთო, ტუესმა“. შუქი აინთო და თამაზი განარბებული დედასთან გარბის, რომ მიახაროს.

2, 11, 15; „დედა! მე რომ მივდოდი ქუჩაში იცი ვინ შემხვდა? ირინა თავის დედას მიყავდა, იცი?“ უამბობს დედას ვინ ნახა ქუჩაში სეირნობის დროს.

2, 11, 15; „მელია და ჩიტი დაძმობილდნენ, წავიდენ ტყეში. მერე მელიამ დაუძახა ჩიტს: ჩიტო, ჩიტო ჩიორაო!—რაო ბატონო მელიაო? ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ ვაი შენი ბრალი... მერე ჩიტი სხვა ბუდეში გადავიდა, გამოჩიკა ბარტყები. მელიამ უძახა, უძახა და ვერ გააგონა. ურააა გათავდა“. უამბობს დედას ზღაპარს თავისებურად შელანაზებულს.

2, 11, 15; „არა! არ ეტკინება, ის დახატულია. კაცები დახატულია არ ეტკინება“. თამაზი ქრის მაკრატლით სურათებს ნანა ეუბნება: „ნუ შეები, აო ეტკინება, რომ ქრი?“ ის პასუხობს: „დახატულია და არ ეტკინება“.

2, 11; 16; „დედა, გახსოვს? მე რომ კოჯორში ვიყავი, იქ რომ ომარი იყო ის ასე ყვიროდა: პი-პი-პი-პი. რა სიცილი იყო“. იგონებს თამაზი კოჯორის ნაცნობ ომარს, რომელიც ხშირად ართობდა ხოლმე თამაზს.

2, 11, 16; „იცი! შენ გიყიდი კამფეტს, ფულით გიყიდი. ხვალ წავალ და გიყიდი“. დედამ ნანას კამფეტები შეუნახა. თამაზი მისულა და შეუქამია. ნანა რომ მოვიდა, გამოირკვა ეს ამბავი. ნანა გაიბუტა, დედა უჯავრდება „ეს რა ქენი, არ გრცხვენია?“ თამაზი ნანასთან მიდის და ამშვიდებს.

2, 11, 16; „იყო დიდი უზარმაზარი დევი. მოვიდა დიდი დათვი. უზარმაზარი დევი, დათვი და ვეფხვი წავიდენ ზღვაზე და დაიღრჩო დევი, ბორანზე რომ ავიდა იკატავა“—თამაზი ათ-

ვალეირებს ზღაპრების წიგნს და ლაპარაკობს თავისთვის, მერე ვადაბაბს სიმღერას.

2, 11, 16; „ლაღე-ლაღე,
დამლი დალაღაღე,
ერთ ვარსკვლავში
შენ შეგნიშნე,
გოგოვ გენაცვალე“.

2, 11, 20; „ნანა ეკითხება თამაზს:
თვალეები რად გინდა?—„რომ დავინახო“.
ცხვირი?—„რომ ვისუნთქო“.
ყურები?—„რომ გაზოვილო ქუბუყი“.
პირი?—„რომ ვკამო“.
კბილები—„რომ ვილაპარაკო“.
ფეხები რად გინდა?—„რომ გავიარო“.
სინათლე?—„რომ გავინათო“.

2, 11, 20; „იყო ჩიტი. იმან ბუდეში გამოჩიკა ბარტყები. ამ დროს მოვიდა სელაია. მერე მოვიდა მონადირე. ბუხ, ბუხ, ესროლა თოფი და მოკლა მელია, და გელარ შექამა ბარტყები, მერე წავიდა მელია სხვა ბუდეში, უძახა, უძახა, არავინ გააგონა და დარჩა ისე. მორჩა და გათავდა“. ძილის წინ თამაზი ეხვეწება დედას ზღაპრის მოყოლას. „შენ თვითონ მომიყევიო“—ეუბნება დედა და ისიც უამბობს.

2, 11, 21; „დედიკო, ნაძვის ხე არის? მორთული? ჩაშაცვი ჩქარა, ვნახო“. თამაზი დილით გაღვიძებისთანავე (ახალწელიწად დილას) კითხულობს ნაძვის ხის შესახებ და აჩქარებს დედას ჩააცვას და აჩვენოს მეორე ოთახში მორთული ნაძვის ხე.

2, 11, 21; „უი, თოვლის ბაბუა. ბაბუები. ხომ არ წაიღებს თოვლის ბაბუა ნაძვის ხეს?—(შეამჩნევს თოვლის ბაბუებს)—ორი ცალი, დიდი და პატარა. ჩქარა გააღეთ კარები, უნდა დავინახო ნაძვის ხე“.

2, 11, 21; „ცოტა-ცოტა, სულ ნელ-ნელა აანთე და არ გადაიწვება“. ნანამ აანთო ფერადი ელნათურები. თამაზი აღტაცებული ნაძვის ხეს გარშემო უვლის. კარგა ხნის შემდეგ ნანამ შუქი გამოართო და ამბობს: „ეხლა ჩავაქროთ, საყვარელო, თორემ გადაიწვება, ეს პატარა ნათურებია“. თამაზი კი თხოვს: „ცოტა ნელა აანთე და არ გადაიწვება“-ო. თამაზმა თოვლის ბაბუას ფეხებთან აღმოაჩინა ლამაზი ყუთი საჩუქრებით. საღამოს ძილის წინ

უღებს ბაბუას ცარიელ ყუთს პარკით და ეუბნება: კიდეც მომიტანე საჩუქრები, ჩემო ბაბუა“.

2, 11; 22; დედა! ბაბუამ საჩუქრები მომიტანა? ჩამაცვი ჩქარა, უნდა ვნახო იოლოჩკა“. დილით, როდესაც გაიღვიძა მაშინვე საჩუქრები მოიკითხა, აინტერესებს მოუტანა თუ არა თოვლის ბაბუამ.

2, 11, 22; „დედა, დედიკო, მოუტანია მანღარინები, ბევრო თხილები, ჩურჩხელები, კიდე კამფეტები, კიდე შოკოლადი“. თამაზი გარბის მეორე ოთახში. მივარდება ყუთს და ნახავს, შიგ ჩადებული პარკი, რომელიც სალამოს ცარიელი დასტოვა, გავსებულია საჩუქრებით. აღტაცებული ჩამოთვლის თუ რა საჩუქრები მიიღო თოვლის ბაბუასაგან.

2, 11, 22; „კიდეც მომიტანოს, აპა უყურე, მე იქით წავალ და კიდე მომიტანს თოვლის ბაბუა საჩუქრებს“—თამაზმა შექაძნა ნაწილი ტებილეულისა, ნაწილი ბავშვებს დაურიგა და ცარიელი პარკი მიიტანა, ისევ დებს ყუთში, როგორც წუხელი. „ამას რატომ აკეთებ?“ ეკითხება დედა. ეხლა კი არ მოგიტანს, როცა დაიძინებ და გაიღვიძებ“. „მე ახლა მინდოდა“—ამბობს გულდაწყვეტილი თამაზი.

2, 11, 28; „მე სკამი არ მინდოდა?“—ლამით იღვიძებს და ტირის (ჩანს სიზმარი ნახა) „რა იყო შვილო?“ ეკითხება დედა და ამშვიდებს „აპა რატომ გამოიჯავრდი?“ ამბობს და ისევ ძილი სლევს „მე სკამი არ მინდოდა?“ ისევ იღვიძებს ტირილით „აპა სკამზე. რომ ავედო რატომ გამოიჯავრდი“. დედა ამშვიდებს. მალე ისევ იძინებს.

2, 11, 29; „პეტუშოკ, პეტუშოკ,
ზაგარელსა კოშკინ დომ.
ბიჟიტ კუროჩკა სვედრომ,
ზალივაეტ კოშკინ დომ“.

თავისთვის მღერის:

2, 11, 29; „დედა, კუროჩკა რა არის?
„დედა, მამალს რა ქვია
სახელი?“

ეკითხება დედას. დედაც უპასუხებს.

3, 0, 0; „მიყურე, მე ვაჟკაცი ვარ, მამა“. თამაზს დაბადების დღეს აჩუქებს ხის ხმალი, შემოირტყა წელზე, შეჯდა სათამაშო ცხენზე და ეუბნება ნამას. „მე ვაჟკაცი ვარ, მიყურე მამა, მიყუ-

რეთ, ყველამ მიუტრეტო“, ვინც შემოდის, ყველას ეუბნება და აჩვენებს თავის ხმალს.

3, 0, 0; „უყურე, მატარებელი ხილზე გადის. ეხლა გადადის, უყურე გადავიდა“. თამაზს აქვს მოსამართი ორთქლმავალი. მან მომართა. ორთქლმავალი გარბის, ისიც მისდევს. დაუდო ხელი და მატარებელი ზედ გადაატარა, თითქოს ხილზე გაატარა.

3, 0, 0; „მომეცი დედა ჩემი პატარა კოვზი, ჩემი კოვზი ელიკო დედამ რომ მაჩუქა, დედა იცი! მე რომ დიდი გავიზრდები, დიანას უყიდი ამისთანა პატარა კოვზს“. თამაზი საუზმობს და ლაპარაკობს.

3, 0, 0; „თინა დედა, ბაია თქვენია?“—ეკითხება დეიდას, (კი გენაცვალე).

3, 0, 0; „თინა დედა, ბაიას წაიყვანთ თქვენ სასეირნოდ?“ (კი), „მეც წაიყვანეთ“. ეხვეწება დეიდას.

3, 0, 0; „ნანა, ბაიას კბილები არა აქვს. იმას კბილები ხომ ამოუვა? (კი), ფეხებიც ჩამოუვა“. ეთამაშება დიანას, უკვირს, რომ კბილები არა აქვს და ვერ დადის.

3, 0, 0; „მინდვრად ვნახე თეთრი ქვა,
დავკარ ხელი თან ამყვა,
გოგო შენი სიყვარული,
სადაც წაველ თან წამყვა“.

მღერის კინოფილმ—„პოეტის აკვნიდან“ სიმღერას.

„სანთელი ვარ გავკრები,
შაქარი ვარ დავდნები,
სატრფოს ხმას რომ გავიგებ,
გენაცვალე, (ჯან), მკვლარი ვიყო ავღღები“.

მელოდიას სწორად მღერის, მხოლოდ ამ ბოლო სტროფთან ცვლის, უმატებს „ჯან“-ს და ბოლოშიც ველარ იცავს სისწორეს.

3, 0, 0; „მე ბაბუასთვის გავბრაზდი“—ბაბუამ შენიშვნა მისცა, თამაზმა იწყინა და გაიბუტა, „ბაბუა გამოიჯავრდა“—ამბობს ნაწყენი.

3, 0, 0; „შენ კი არა, რეზოს გაუჯავრდა“ ეუბნება დედა. „არაფერიც, მე გამოიჯავრდა, მე ბაბუასთვის გავბრაზდი, შენთვის კი არა“. აბა ბაბუა შენი აღარ იქნება“. არ შეუტრიგდები, არ ვეტყვი ღამე მშვიდობას“. მიუბრუნდება და სტუმარს ეუბნება. „ეთე-რი დეიდა, ღამე მშვიდობის“, „აბა ბაბუა დიანასი იქნება“—ეუბ-

ნება დედა. „დედა, მე ვეხუმრე, ღამე მშვიდობის ბაბუა, მე გე-
ხუმრე“. უცებ გამოდის გაბუტული მდგომარეობიდან, ემშვიდო-
ბება ბაბუას და მიდის დასაძინებლად.

3, 0, 0; „მაჩვენე ჩემი სურათები. უი კობა, უი რეზო. აგერ
ნანა. რა კარგად გამოსულა მე და ბაიაც. ჩემი ველოსიპედი,
დიდი მოტორი გატრიალებულა, მე გავატრიალე და იძახის რრრრ
ახე და გაქანდება“. წინა დღით გადაუღეს სურათები, ეხლა მოუ-
ტანეს, ათვლიერებს, თავის ველოსიპედს სურათზე საკვ შეტრია-
ლებული აქვს. ეს შენიშნა და ამბობს: „მე გავატრიალე“.

3, 0, 0; „ხომ მომიცვა სერი,
რომ ჩამაცვა სერი,
კარგი არის სერი,
მომიხდება სერი“.

3, 0, 0; „უი დახეულა“.

დედა აცმევს თამაზს ტანისამოსს და მოსამსახურეს ეუბნება:
„Машин серые брюки“. თამაზი ამ სიტყვას წაეტანება და რითმავს.
შეამჩნევს მუხლზე წინდა გახეულა. „იცი რატომ იხევა? სულ მუხ-
ლებზე, რომ დაკოცავ მიტომ დაგება“. ეუბნება დედა.

3, 0, 0; „დედა, სკამზე რომ ვჯდები შარვალი ხომ არ მე-
ხევა?“—ეკითხება ცოტა ხნის შემდეგ დედას.

3, 0, 0; „ნანა, შენ ფრიადოსანი ხარ? (კი), მეც ვარ ფრია-
დოსანი“, „შენი სკოლა სადაა?“ ეკითხება ნანა. „ის ჩემი სკოლაა,
შენი კი არა, მასწავლებელმა თქვა ეს თამაზის სკოლააო, იცი?“
წინა დღით ნანას სკოლაში იყო და ეხლა ეღავება.

3, 0, 0; „დარიბონი,
დარი ბონი,
მომაქვს დიდი დოლი,
დარი ბონი, დარიბონი,
დარიბონს აქვს დიდი დოლი,
ჯოხები და დიდი დოლი“.

ზის მაგიდასთან და თავისთვის ლაპარაკობს, რაღაცას რითმავს

3, 0, 0; „ბაბუა, ვისია ეს ფანქარი?“ ბაბუას უჭირავს ხელში
ფანქარი, თამაზი ეკითხება. ბაბუა ჯიბეში ინახავს ფანქარს და
სამაგიეროდ სხვას აძლევს. „არა ბაბუა, ეს მამასია. მე შენი მინ-

და“. ბაბუა აძლევს სულ ახალ გაუთლელ ფანქარს. „არა ბაბუა, ამას გათლა უნდა, გათლილი რომ იქნება, მაშინ დეიხატება“. ბაბუა ეუბნება ნანას „სხვა მიეცი-ო“. თამაზი იწყებს ტირილს. „მე სხვა არ მიყვარს, მე ბაბუას რომ უჭირავს მარტო ის მიყვარს“, სანამ ბაბუა არ აძლევს თავის ფანქარს, არ წყნარდება.

ბოლოსიტყვაობა

ქართველი ბავშვის მიერ დედაენის დაუფლება, მისი მეტყველების განვითარების სისტემატური დაკვირვება და შესწავლა დღემდე არააის უკლია. წინამდებარე შრომა ამ მხრივ პირველ ცდას წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ბავშვის მეტყველებაზე დაკვირვება ადრეული ასაკიდან იწყება. ბავშვის მეტყველების განვითარების შესასწავლად ძირითადად ობიექტურ მეთოდს, ე. წ. დლიურის წარმოების მეთოდს მიმართავენ. სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოქვეყნებული ბავშვის მეტყველების დლიურებიდან აშკარად ჩანს, რომ დღემდე არ არის დადგენილი დლიურების წარმოების ზუსტად განსაზღვრული წესი და, ამდენად, დლიურები თავისი შინაარსის მიხედვით, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ვხვდებით ისეთ დლიურებს, რომლებიც იწყება ბავშვის კივილისა და ტიტინის პერიოდში წარმოთქმულ ბგერათა კომპლექსების აღნუსხვით. მაგრამ, ზოგი ავტორი ბავშვის მეტყველების დლიურის წარმოებას ბავშვის მიერ სიტყვის წაროთქმის პერიოდიდან იწყებს, ვიდრე იგი წინადადებაში თავის აზრს სწორად ჩამოაყალიბებდეს. ხშირად ასეთი დლიურების წარმოების შემთხვევებში მისი შედგენის ერთნაირ პრინციპს მაინც ვერ ვხვდებით. ხშირია შემთხვევა, დლიურების წარმოება დღის სხვადასხვა მონაკვეთში, ან ბავშვის სხვადასხვა საქმიანობის პროცესში ხდება. ზოგ ავტორს ბავშვის მეტყველების დლიურში შეტანილი აქვს მხოლოდ დღის გარკვეულ მონაკვეთში ბავშვისაგან მოსმენილი ნალაპარაკევი, მაგ. დილით. გაღვიძების შემდეგ. ზოგიც განსაკუთრებულ ყურადღებას ბავშვის მიერ დაძინების წინ წარმოთქმულ სიტყვებს აქცევს. ამ ავტორთა აზრით, ბავშვი გაღვიძების შემდეგ და ძილის წინ განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობს და ასეთი მასალა დლიურის შედგენისათვის უფრო ხელსაყრელად მიიჩნიათ. ხოლო ზოგიერთი ავტორის დლიურში უპირატესობა იმ ნალაპარაკევის ენიჭება, რომელსაც ბავშვი ხატვის, ან სხვადასხვა თამაშის დროს წარმოთქვამს.

ბავშვის მეტყველების დლიურის წარმოება დაბადებიდან ორ წლამდე გრძელდება (ზოგისა უფრო ადრეც წყდება), რადგან ორი

წლის შემდეგ ბავშვის მეტყველება გაცილებით მრავალსიტყვიანი ხდება და დამკვირვებელი მის ჩაწერას ვეღარ ახერხებს.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ დღიურის წარმოება არც თუ ისე ადვილია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მარტო ინტერესი და სურვილი ბავშვის მეტყველების განვითარების მიმდინარეობის დღიურის წარმოებისა, საკმარისი არ არის. დღიურის ღირებულება, ბუნებრივია, მით უფრო დიდია, რაც უფრო განათლებულია დღიურის მწარმოებელი. კიდევ უფრო იზრდება დღიურის ღირებულება, თუ იგი ისეთი სპეციალისტის მიერაა შედგენილი, როგორიცაა ენათმეცნიერი, ფსიქოლოგი, პედაგოგი და სხვ.

ბავშვის მეტყველების დღიურის მწარმოებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ დღიური სისტემატურად აწარმოოს და მასში ბავშვის ნალაპარაკევის ზუსტი, ფოტოგრაფიული ფიქსაცია მოახდინოს. ბავშვის ნალაპარაკევის შეცვლა, მისი შელამაზება, დღიურს ობიექტურ ღირებულებას უკარგავს და, თავისთავად ცხადია, მასზე დაყრდნობით რაიმე დასკვნის გამოტანა საეჭვო ხდება.

ბავშვის მიერ ნათქვამი სიტყვების დღიურში რამდენიმე საათის და მითუმეტეს რამდენიმე დღის შემდეგ შეტანა შეუძლებელია. თუ რაიმე მიზეზის გამო დღიურის მწარმოებელს ბავშვის ნალაპარაკევის შეტანის შესაძლებლობა დღიურში მაშინვე არა აქვს, შემდგომში მის ჩაწერაზე ხელი უნდა აიღოს. ასევე არ შეიძლება ბავშვის მეტყველების დღიურის შედგენას წინასწარი თეორიული მოსაზრების საფუძველზე შევეუდგეთ. ასეთ შემთხვევაში დღიურის შემდგენი ყურადღებას გაამახვილებს იმ მომენტზე, რაც მას აინტერესებს, რასაც იგი ეძებს და მოელის, და ამ დროს შესაძლოა მხედველობიდან გამოეპაროს ისეთი მომენტი, რომელსაც შესაძლოა გაცილებით მეტი ღირებულება ჰქონდეს, ვიდრე იმას, რასაც დღიურის შემდგენი ეძებს.

დღიურის წარმოების დროს აუცილებელია აღინიშნოს ბავშვის ასაკი, შემდეგ მის ნიერ წარმოთქმული სიტყვა, ამ სიტყვის მნიშვნელობა (რისი თქმაც ბავშვს სურს) და ის სიტუაცია, რომელშიც ესა თუ ის სიტყვა იქნა წარმოთქმული.

ბავშვის მეტყველების დღიურის შედგენისას ყოველივე ზემოთ ნათქვამი ჩვენს მიერ მხედველობაში იყო მიღებული. დღიურის შედგენას ჩვენ შევეუდეთ იმ პერიოდის დროს, როდესაც ბავშვმა ტიტინი დაიწყო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტიტინის პერიოდის ბგერათა კომპლექსების გადმოტანა დღიურში იმგვარად, როგორც ამას ბავშვი წარმოთქვამდა, ძალიან ძნელი აღმოჩნდა,

ამისაოვის, დღიურში ჩვენ მხოლოდ ისეთი ბგერათა კომპლექსები შევიტანეთ, რომლის სწორი ჩაწერა ტექნიკურად შესაძლებელი იყო. როდესაც ბავშვმა სიტყვების წარმოთქმა დაიწყო, ამ დროიდან შევუდევით დღიურის სისტემატურ წარმოების – სამი წლის ხათვლით. დღიურის წარმოებისას დღის რომელიმე მონაკვეთს (დილა, საღამო, გაღვიძების შემდეგ, ძილის წინ), ან ბავშვის რაიმე საქმიანობას (თამაში, ხატვა) ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ბავშვის ნალაპარაკევეს ვიწერდით ყოველთვის და ყველგან (სახლში, ეზოში, სეირნობის დროს), სადაც კი ეს მოსახერხებელი იყო.

დღიურის წარმოებისას ჩვენს ერთად ერთ მიზანს ის წარმოადგენდა, რომ ბავშვის ნალაპარაკევი სისტემატურად შეგვეტანა დღიურში, რათა მოგვეცემოდა შესაძლებლობა მისი მეტყველების განვითარების მთლიანი სურათის გათვალისწინებისა. ბავშვისათვის არ შეგვიქმნია სპეციალური პირობები, რათა ამა თუ იმ სიტყვის წარმოთქმა მას ადრე ეცადა. მეტყველების განვითარებაზე დაკვირვების პროცესში არც რაიმე ექსპერიმენტები არ ჩავვიტარებია. ბავშვის ნალაპარაკევის ჩაწერის დროს ვცდილობდით ბავშვი არ მიხედრილიყო, რომ მასზე დაკვირვებას ვაწარმოებდით და, რომ მის მიერ ნათქვამ ყოველ სიტყვას ვიწერდით (ამ მხრივ განსაკუთრებული სიფრთხილე წლისა და ათი თვის ასაკიდან ვახდამსაკვირო).

აქ მოტანილი დღიური შემდეგი წესის მიხედვით არის შედგენილი:

1. ყოველი წინადადების დასაწყისში მოთავსებულია რიცხვი რომლითაც აღინიშნება ბავშვის ასაკი. მაგ.: 0, 7, 28; 1, 0, 15; 1, 3, 19; 2, 0, 5 და ა. შ. პირველი რიცხვი მარცხნიდან მარჯვნივ აღნიშნავს ბავშვის წელს, მეორე—თვეს, ხოლო მესამე—დღეებს. (აქ მოტანილი რიცხვები წაიკითხება: 1) შვიდი თვისა და 28 დღის; 2) წლისა და 15 დღის; 3) ერთი წლის, 3 თვის და 19 დღის; 4) ორი წლისა და 5 დღის და ა. შ.

2. ბავშვის ასაკის გასწვრივ აღნიშნულია ბავშვის მიერ წარმოთქმული სიტყვები (ბავშვის ნალაპარაკევი ხაზგასმულია).

3. ბავშვის მიერ წარმოთქმული სიტყვის გასწვრივ მოტანილია ამ სიტყვის მნიშვნელობა, შინაარსი. თუ ბავშვის მიერ წარმოთქმული სიტყვა ან წინადადება თავისთავად გასაგებია (განსაკუთრებით ორი წლის შემდეგ), ჩვენ მას კომენტარებს არ ვუკეთებთ.

4. შეზღვევ დღიურში მოტანილია იმ სიტუაციის მოკლე აღწერა, რომელშიც ესა თუ ის სიტუაცია იყო წარმოთქმული. სიტუაციის აღწერას ჩვენის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მხოლოდ ამით შეიძლება იმის გაგება, რისი თქმაც ბავშვს სურს.

5. ერთი დღის განმავლობაში ბავშვის მიერ სხვადასხვა შინაარსის მქონე ნალაპარაკები, ცალ-ცალკე არის აღნიშნული ერთი და იმავე ასაკით. შეიძლებადა ასაკის მხოლოდ ერთელ აღნიშვნითაც დავეკმაყოფილებულიყავით, მაგრამ რაკი სიტყვების მნიშვნელობა სხვადასხვა იყო, ისევე, როგორც მათი წარმოთქმის სიტუაციაც, საჭიროდ ვცანიით ახალი სიტყვისათვის ბავშვის ასაკიც წაგვემძღვარებია.

6. თუ ერთი და იმავე შინაარსის სიტყვებს ბავშვი ხშირად წარმოთქვამდა (სიტყვა ფონეტიკურად სწორად იყო გამართული და შინაარსის მხრივაც უცვლელი), ასეთ სიტყვებს დღიურში აღარ ვიმეორებდით. მაგრამ თუ ერთი და იგივე სიტყვა ფონეტიკურად არასწორად წარმოითქმებოდა, ან სწორად წარმოითქმებოდა, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით სხვა შინაარსის მატარებელი იყო (რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი), იგი დღიურში ხელახლა შეგვქონდა, როგორც ახალი სიტყვა.

7. დღიურში, ბავშვის ასაკის აღმნიშვნელ თარიღებში ზოგ ადგილას გამოტოვებული დღეები შეინჩნევა. ნიზეზი იმისა ის იყო, რომ ბავშვი, თუ რომელიმე დღეს ახალს არაფერს ამბობდა და მხოლოდ იმას იმეორებდა, რაც წინა დღეებში უკვე ჩაწერილი გვქონდა, მას განმეორებით აღარ ვიწერდით, რის გამოც ბავშვის ასაკის თარიღებში ზოგჯერ ხარვეზებს აქვს ადგილი.

ეს დღიური განკუთვნილია ბავშვის მეტყველების სისტემატური განვითარების გასათვალისწინებლად. მაგრამ აქ მოტანილი მასალის ღირებულება მარტო ამით როდი ამოიწურება. დღიურში ჩვენ ვხვდებით აგრეთვე ისეთ მასალასაც, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გარკვეული აზრი შეიმუშაოს დაინტერესებულმა მკვლევარმა იმაზეც, თუ რას წარმოადგენს ბავშვის „თავისთვის“ მეტყველება. დღიურში წარმოდგენილი მასალა შესაძლებლობას იძლევა აგრეთვე აღნიშნულ ასაკში ბავშვის აზროვნების განვითარების სისტემატური კვლევისა და აგრეთვე მთელ რიგ ფსიქიკურ ფუნქციათა კვლევისათვისაც (როგორცაა: აღქმა, მეხსიერება, წარმოდგენა, ფანტაზია, ნებისყოფა, ურადლება და სხ.).

ჩვენ მიერ შედგენილი დღიური შეიძლება საინტერესო იყოს არა მარტო ფსიქოლოგიისათვის, არამედ ენათმეცნიერების, ფიზიოლოგიის და პედაგოგიისათვისაც, რაც კიდევ უფრო მეტად აღიძებს დღიურის წარმოების პრაქტიკულ-თეორიულ ღირებულებას.

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ქართველი ბავშვის მიერ დედანის დაუფლებისა და მისი მეტყველების განვითარების შესწავლა ჯერ არავის უწარმოებია. ჩვენ მიერ შედგენილი დღიური ბავშვის მეტყველების განვითარებისა პირველ ცდას წარმოადგენს და, ცხადია, იგი უნაკლო არ იქნება. ბევრი არის ისეთი მშობელი, რომელსაც აქვს სურვილი და შესაძლებლობა (და სათანადო განათლებაც ხელს უწყობს) თავის ბავშვზე დაკვირვების დღიურის შედგენისა, მაგრამ საამისო გამოცდილება შეიძლება არ გააჩნდეს და მუშაობის დაწყებას ვერ ახერხებდეს. ეს ნაშრომი ასეთ მშობლებს გარკვეულ დახმარებას გაუწევს. თუ ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს მიმბაძველები გაუჩნდებიან, ამას შეიძლება ძალიან დიდი დადებითი შედეგი მოჰყვეს. ასეთი დღიურების დაგროვებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ბავშვობის ადრეულ ასაკში სხვადასხვა ფსიქიკური ფუნქციების მეცნიერულად შესწავლისათვის, რომ აღარ ვილაპარაკოთ მისი ღირებულების შესახებ მეცნიერებათა სხვა დარგებისათვის.

ბავში, რომელზედაც დაკვირვებას ვაწარმოებდით, დაბადებულია ქ. თბილისში 1945 წლის 11 იანვარს. იგი მშობლების მეორე შვილია. ბავშვის ზრდა-განვითარება მიმდინარეობდა ნორმალურ პირობებში.

ბავშვის მამა—ფსიქოლოგი აკაკი ავალიშვილი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დედა—ფსიქოლოგ-ლოგოპედი კლავდია ავალიშვილი, და—იმჟამად 8 წლის ასაკისა, ბაბუა—რკინიგზის ინჟინერი, ხოლო ბებია—დიასახლისი.

აღნიშნულ დღიურს ძირითადად ბავშვის დედა აწარმოებდა, ხოლო საღამოს საათებში, დასვენების დღეებსა და ზაფხულის არდადეგებზე—ბავშვის მამა.

შინაარსი

| | |
|---|------|
| 1. შესავალი | 83-3 |
| 2. ბავშვის მიერ სიტყვისა და ფონემის წარმოქმნის დაუფლება | 8 |
| 3. ბავშვის მეტყველების მორფოლოგიური განხილვა | 38 |
| 4. ბავშვის მეტყველების სინტაქსური განხილვა | 63 |
| 5. ბავშვის მეტყველების განვითარების სტადიების დადგენის ცდა | 73 |
| 6. ბავშვის მეტყველებაზე დაკვირვების დღიური | 91 |
| 7. ბოლოსიტყვაობა | 238 |

Анакий Мелитонович Авалишвили

РАЗВИТИЕ РЕЧИ РЕБЕНКА ГРУЗИНА
ДО ТРЕХ ЛЕТ
С ПРИЛОЖЕНИЕМ ДНЕВНИКА)

(На грузинском языке)

Издательство АН Грузинской ССР
Тбилиси—1961

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-ხაგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ზ. ხოჯავა
გამომცემლობის რედაქტორი ც. თაყაძე
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი გ. ჯაყელი

გადაეცა წარმოებას 27.4.1960; ანაწყოების ზომა 6×10;
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.6.1961; ქალაქის ზომა 60×92¹/₁₆;
ქალაქის ფურცელი 7,5; საბეჭდი ფურცელი 15,2; საავტორო
ფურცელი 13,0; საალრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 13,23;
შეკვეთა 690; უე 02829; ტირაჟი 1000
ფასი 97 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი გ. ტაბიძის ქ. № 3/5